

# ჩვენი მხედრობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

11 მაისი 2007 №10 (36)



ყველაზე ჩაგრული უმცირესობა  
როგორ ვკითხულობთ პოეზიას  
იოსებ იარღანაშვილის ნოველა  
ვახტანგ ჯავახაძის ლექსები  
პირველი კერძო დეტექტივი  
მეკოჭობე და ნაპოლეონი

## შინაარსი

<b>კრიტიკა</b>	2	თემურ ამყოლაძე როგორ ვპიტიხულობთ პოეტურ ტექსტს
<b>ჩვენი ყოფა, წუთისოფალი</b>	8	მიური ნ. როთბარდი ამერიკის ყველაზე ჩაბრული უმცირესობა
	10	მაია დე გრაფი ნადარეიშვილი პალმა რომ მაღალი გაიზარდოს
<b>პროზა</b>	12	იოსებ იარლანაშვილი მწვანე... წითელი...
<b>პოეზია</b>	18	ვახტანგ ჯავახიძე ავთანდილის მონატრება და სხვა ლექსები
	22	რეზო ესაძე მუხამბაზივით
<b>უხსოვთის ცხოვრებიდან</b>	23	ბერნარ ფოკონიე ბატონი ფრანცის საკვირველი კოშმარი
<b>მოგონებათა სქივრი</b>	26	ჟან კოკტო რილკეს ლამაზ
<b>დაუწინააღიარებელი სხეულები</b>	27	მოსე გვასალია კოტე ხიმშიაშვილი
	29	კოტე ხიმშიაშვილი მიკოქოვა
<b>გვიანდობიანი, ვასუსობი</b>	31	სიკეთე ბიომგრაფიული რომანისა
<b>მუზეუმები</b>	32	ეკა ბუჯიაშვილი სურათები ღვთისკაცის სამლოცველოდან
<b>დაბეჭდვისი გვიანი</b>	35	ალან პინკარტონი – პირველი კერძო დაბეჭდვისი (XIX საუკუნის სენსაცია)
<b>ერი და გეგინება</b>	39	როსტომ ჩხეიძე გზის შვილები
<b>რეპორტაჟი</b>	48	ქეთევან მეგრელიშვილი წათეს ნაღების მორგებაგდე
<b>გამონათქვამი</b>	50	ზაურ მჟავანაძე რა გვითქმევინებს ტანსაცმლის ოღას
<b>ფიქრები</b>	51	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
<b>პოეზიის გეგინება</b>	55	აზერბაიჯანული გაიანთები
<b>უხსოვრი ნოველა</b>	58	სავიონ ლიბრეხტი ნობას დაქალაქა
<b>აინსტოლა</b>	62	ზვიად კვარაცხელია გულს გული იცნოებს (ღია ბარათი მარინე გელაშვილს)
<b>მოზაიკა</b>	63	მარჩალო მიღის კანოსაში

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაზოში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
საჯარო-საბეჭდო, თბილისი, საჯარო-საბეჭდო 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: პრალა

დავით დარჩია აიეტის როლში („ნათესა წითელი ნაღები“)

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 25 მაისს

თემურ ამყოლაძე

# როგორ ვკითხულობთ პოეტურ ტექსტს

## I „პოეტი უმღერის სატრფოს...“

ამბობენ, გემოვნებაზე არ დავობენო, არადა, დავობენ და მერე როგორ! სხვა საქმეა, დავა ღირს თუ არა. ჩვენ ნუ ვიდავებთ, ოღონდ უნდა ვილაპარაკოთ კი, თუ გვსურს, ჭეშმარიტებას მივუახლოვდეთ მაინც, რაკი ბოლომდე ვერ ჩავწვდებით... და ბოლომდე რომ ვერ ამოვხსნით ამოუხსნელს, ამთავითვე ცხადია, რადგან ხელოვნება, ამ შემთხვევაში – პოეზია, მეტისმეტად მრავალნახნავა რამ გახლავთ, ობიექტურს, ცოტათა თვალისთვის დასანახს, აუცილებლად აედევნება სუბიექტური, კიდევ უფრო მცირე შემთხვევაში რომ დაედარება სხვისას.

და რაც უფრო მეტად რთულია (ან, თუნდაც, გენიალურად მარტივია) პოეტური ტექსტი, მითუმეტეს ძნელია ერთი ყოვლისმომცველი ფორმულის მოძებნა (უფრო – შეუძლებელი); „რეცეპტის გამოწერა“ უსარგებლო საქმეა, რადგან, რაც ერთ შემთხვევაში ხინჯად ითვლება, რის გამოც ტაეუი, სტროფი ყრუვდება, კოჭლდება, სხვაგან, ზემთაგონებული შემოქმედის ხელში, პირიქით, ის ერთადერთი და აუცილებელი საშუალებაა.

როცა გთავაზობთ კითხვას, როგორ ვკითხულობთ პოეტურ ტექსტს (ამჯერად პროზაზე ნუ ვისაუბრებთ, მეტისმეტად შორს გაგვიტყუებს), ვგულისხმობ, რამდენად ღრმად ვწვდებით პოეზიის ხიბლს, რამდენად სწორად ვგრძნობთ მის გადმოსათარგმანებლად, განსამარტებლად თითქმის მოუხელთებელ, იდუმალ საქცევებს.

ვგულისხმობ ლექსის არტისტულ კითხვასაც (თუმცა ეგ, ამჯერად, ნაკლებად მაინტერესებს), და მაინც არტისტულ კითხვასაც, რომელსაც იშვიათად მოვუხიბლივარ, შეიძლება ვთქვა, ძალიან იშვიათად, რადგან, სამწუხაროდ, არტისტის ხმა, ხშირად, ცალკე მიერეკება, სრულიადაც არ ემთხვევა ლექსისას, უფრო მეტიც, მსახიობს, ზოგჯერ, ნაკლებად ესმის, რას კითხულობს, ხმას იქ ააჩქარებს, სადაც სიმდოვრე ჭირდება, იქ შეყოვნდება, სადაც სულმოუთქმელად კითხვაა საჭირო... მოკლედ რომ ვთქვათ, თავად აქეთაა, პოეტი იქით. დარბაზიც ორადაა გაყოფილი – ზოგი ხვდება, ეს კითხვა ყალბი რომაა, უფრო მეტი კი – ვერა და დელაჰამაციის გარეგან სამკაულებს აჯილდოებს მქუხარე ტაშით... და ეს მაშინ უფრო თვალშისაცემია, თუ მსახიობი რამდენიმე ლექსს კითხულობს, სხვადასხვა ავტორისას, და ჭეშმარიტ ფასეულობასაც და რიგითს, საყველამუროსაც ერთნაირად ჩამტკბარ-ჩაშაქრული ან ფსევდოტრაგიკული მღელვარებით გთავაზობს, თითქოს ამისი და იმისი ვნება ერთნაირად მართალი იყოს, ერთნაირად მძაფრი, არადა, ერთი მართალია, ნაღდი, მეორე – ნასნავლი, წიგნური, ოღონდ ცუდად ნასნავლი.

და მაინც, ამჯერად, მსახიობთან საქმე არა მაქვს, ეს ლიტერატურული ოპუსი სულ სხვა მიზეზით იწერება, იმა-

ზე მინდა ვისაუბრო, თავად ჩვენ, ლიტერატორებსაც რომ გვებნევა თავ-გზა, ვილაცას თავდაუზოგავად ვაქებთ, სხვას, იმაზე უკეთესს, ვერც ვამჩნევთ (ანდა, არც ვამჩნევთ, რაც უფრო უარესია)... პოეტური ტექსტი რაღაც პირობით შინაარსზე დაგვყავს: რითმა წესრიგშია, აზრი სხარტია, ორიგინალური, ევფონიური მხარე – გადასარევი, ესე იგი, ლამის შედეგრი შეუქმნია მავანს... არადა, ასე რომ არ არის?!



ჩინური და იაპონური ლირიკის რამდენი შედეგია თარგმნილი ქართულად. მჯერა, აღმოსავლეთის ამ უძველესი და უღრმესი კულტურის ხალხებს მართლაც გენიალური პოეზია ექნებათ, მაგრამ, რა ვქნა, იქნებ გამომრჩა, იქნებ რაღაც სწორად ვერ დავინახე, მაგრამ ჯერაც არ ნამიკითხავს გენიალური ქართულ-იაპონური ან ქართულ-ჩინური ლექსი.

შეიძლება, მიზეზი ისაა, ორიგინალიდან რომ ვერ ვთარგმნით... ალბათ. ასე მგონია, მათს კონგენიალურად თარგმნას მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ, დედის რძესავით თუ გავითავისებთ იმათ ენას, მამის შემოკრული ხელივით ვიგრძნობთ უმცირესსა და უფაქიზეს ნიუანსს აღმოსავლური კულტურისას, პოეტური ფრაზისას... ტერენტის „გაზაფხულის საღამო“ გავიხსენოთ (მიმიხვდებით ალბათ, რატომ ვახსენებ ამ შედეგს აღმოსავლურის გვერდით)... ალბათ გაგვიჭირდება წარმოდგენა, ვინმემ კონგენიალურად თარგმნოს იგი სხვა ენებზე, არადა, თითქოს, რა მარტივი ტექსტია, რა იოლი, ერთი ხელი გაიწვინე და დევი ყურითა გყავს დაჭერილი, მაგრამ ნურას უკაცრავად... მე თუ მკითხავთ, გენიალური სიმარტივის მიღწევა ყველაზე რთული რამ პოეზიაში, თარგმანშიც, რასაკვირველია.

თარგმანს თავი დავანებოთ, მოდი, ის ვცადოთ (არაერთგზის უცდიათ, მეტნაკლები წარმატებითაც), ამ ჩვენი შედეგის გენიალურობის საიდუმლოს ჩავწვდეთ, ფორმულა დაფუძვნილი, რეცეპტად ვაქციოთ, იქნებ სხვაგანაც წავვადგეს... ნურას უკაცრავად, ვგრძნობთ კია, რაა, რატომაა, როგორაა, მაგრამ თქმა, განმარტება, ახსნა არ გინდა? მითუმეტეს, რაიმე ფორმულაზე დაყვანა? კიდევ რომ შეძლო, ეგ ფორმულა სხვაგან ხომ მაინც გიმტყუნებს, არ გამოგადგება, ცხადია, უნივერსალური ვერ იქნება, რაკი უნივერსალური მეთოდი არც არსებობს.

რამდენი წერილი წავიკითხავს პოეტური ტექსტის მუსიკაზე, ევფონიაზე, ლექსნოების საიდუმლოებებზე... ზოგი კარგი, ზოგიც, სამწუხაროდ, არაფერ შუაში რომ არაა

არც პოეზიის მუსიკასთან, არც ბგერწერასთან... ჩვენს ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, ხშირად, იდეურ-თემატურ-ფილოსოფიური... ანალიზი უფროა ლექსისა, ვიდრე იმ მოუხელთებლის ძებნა, რაც გართიმულ (ან გაურითმავ) სტრიქონებს პოეზიად აქცევს და საუკუნებს უძლებს...

საქართველოში დიდი ლექსი არ დაკარგულა ალბათ, ანი უფრო არ დაიკარგება (დაბეჭდილს რაღა დაკარგავს), დრო, ჟამი დაღწევის ყოველდღიურ, საყველპურო პატივსა და დიდებას მავანისას, დასავიწყებელს დაივიწყებენ, არავის გაახსენდება, ვის რა თანამდებობა ჰქონდა, ვის რა ჩინი და ტემლაკები, წყალნი წავლენ, ქვიშანი დარჩებიან და ჩვენი შთამომავლობა იმის ძებნას დაიწყებს, ამა და ამ დროს რატომ იყო ნეტა ასე პოპულარული ესა და ეს პოეტი, რა აგიჟებდათ კრიტიკოსებს, რატომ უძღვნიდნენ სახობტო წერილებს და ვერ ამჩნევდნენ სხვას, უკეთესს, ნაღდს... კაცნი ვართ, შევცდებით, რასაკვირველია, მაგრამ თავი არ უნდა მოვიტყუოთ და ნურც მკითხველს შევაყრით თვალში ნაცარს... დღეს სხვა დრო მოვიდა, კარის კრიტიკოსების ადგილი ტელევიზიამ დაიჭირა, ტელემწერლები, ტელეპოეტები შემოგვაჩენა ხელში (უამისობა არც ე.წ. საბჭოთა ეპოქაში გვჭირდა, მაგრამ მაშინ რაღაც პარიტეტი მაინც იყო). ამ რამდენიმე წლის წინ ერთი პოეტი გარდაიცვალა. პროფესიონალიზმისაგან მეტისმეტად შორს იყო, მაგრამ თავისი თემატიკით და აქტიურობით პოპულარობა კი მოიხვეჭა. ჰოდა, ერთხელაც, საპარიკმახეროს მოლარე ქალმა მითხრა მასზე, რა კარგი პოეტი იყო, ხომ გახსოვს ის ლექსი, მოხუცებული ქალი რომ ნაგავში ეძებს რაღაცასო. საპარიკმახეროს დონის გემოვნებაზე ლაპარაკს არ ვაპირებ, ამ საქმეს, ეტყობა, მაინც არაფერი ეშველება, ამნაირი მკითხველები ყოველთვის იქნებიან და თავისი შესაფერისი პოეტებიც ეყოლებათ.

დარწმუნებით ვერ ვიტყვით, მართლა რუსთაველისაა თუ ინტერპოლატორის ის სტროფები, „ვეფხისტყაოსანში“ პოეტების რანგებს რომ ჩამოთვლის. მართალი და საგულისხმო კია, ვისიც უნდა იყოს. რასაკვირველია, სააშპიკო ლექსიც ლიტერატურის ნაწილია, თავისი შეუცვლელი ადგილი აქვს – თავისი ადგილი, არც მეტი, არც ნაკლები, ოღონდ მეტისმეტი არ უნდა მოვინდომოთ; თავისი ადგილი აქვს „მეორე“ ლექსსაც და „მესამესაც“, ოღონდ „შარა გრძელში“ დღეს მხოლოდ ეპიკურ პოეზიას ვეღარ ვიგულისხმებთ, ვინლა წერს ახლა პოემებს, მითუმეტეს – სიუჟეტიანს. სააშპიკო-სალალობო ლექსის ადგილი განსაზღვრულია-მეთქი, რვაასი წლის წინაა განსაზღვრული; ცხადია, რუსთაველის ეპოქაშიც ანუხებდათ რანგების აღრევის პრობლემა, მას შემდეგაც, დღესაც გვანუხებს და ასე იქნება ყოველთვის. სააშპიკო ლექსი დიდ პოეზიად ძნელად იქცევა, თუნდაც უაღრესად ნიჭიერი პოეტი-პროფესიონალი წერდეს, რადგან დიდი ლიტერატურა სევდის გარეშე არ იქმნება, სადაც, თუნდაც იუმორში, ლაღობაში ცრემლი, დიადი სევდა არ გაერევა, დიადზე ლაპარაკიც არ შეიძლება, სალადაო კიდევ სევდას ვერ იგუებს და თუ იქ სევდა ჩნდება, სახუმაროც აღარა ყოფილა, ირონიულ-პაროდიული ლირიკის ძნელად დასადგენ საზღვრებს უახლოვდება, ძნელად დასადგენს, რადგანაც, იქ უფრო თვალსაჩინოა საფრთხე „დიადი ვერასოდეს“.

ესეც ერთი პრობლემაა: სახელმძღვანელო მწერალს თავდაუზოგავად ვუჭებთ ხოლმე ყველაფერს (ან მოდურ მწერალს), თითქოს მის შემოქმედებაში ჩავარდნა, მარცხი გამოირიცხული იყოს და მუდამ შედეგებს ქმნიდეს... ამისგანაც უნდა გავითავისუფლოთ თავი; საბედნიეროდ, პრინციპული, კომპლექსებისაგან თავისუფალი ადამიანები სანთლით საქებარი არაა ჩვენში... მითუმეტეს, დრო ყველაფერს დაალაგებს, თავის ადგილს მიუჩენს მერე და თუკი უნებლიეთ არ ვცდებით (ხდება), თავს ნუ მოვიტყუებთ.

ისე, კაცმა რომ თქვას, ბევრი რამ ვიცით, ბევრი რამ გვახსოვს, მაგრამ არ ვამბობთ, არ ვწერთ... არადა, უნდა ვთქვათ, პოეტიც გავამხნევოთ, ჩვენი სიყვარული გამოვუცხადოთ, მკითხველსაც თვალი ავუხილოთ, ავის და კარგის გარჩევა ვასწავლოთ; თუ იმისი გვეშინია, მდარე ლექსის კრიტიკით მტრად გადავიკიდებთ მავანს, ამნაირს სულაც ნუ ვახსენებთ, ვინ გვაძალებს... ოღონდ, კარგს მაინც ნუ მივჩქმალავთ. რაღა დროს ლექსის გაშინაარსება და თემატური ანალიზია, თუ ღმერთი გწამთ, XXI საუკუნე დაიწყო, ეგებები XX-ში დარჩა, უნდა დარჩენილიყო, ყოველ შემთხვევაში.

ვნერთ: „პოეტი უმღერის სატრფოს, მამულს, დედას“ ... უმღერის არა, ის!...

არაფერსაც არ უმღერის, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ!

პოეტს ან უხარია, ან წუხს და თავის საფიქრალს ამბობს (თუ პოეტიც), და თუ როგორ ამბობს, საქმეც ეგაა, ჩვენც მანდა ვართ, მანდ უნდა ვიყენეთ... საქმე ისაა, რომ უხარია, მართალი თუა იმ სიხარულში, და რომ წუხს, მართალი თუა იმ წუხილში, გულწრფელი თუა... და ხომ არ გვატყუებს, გულწრფელი ვართ. ამისი მიხვედრა, ტყუილ-მართლის გარჩევა პოეზიის ცოდნა. ხოლო გულწრფელობაა სწორედ ურთულესი რამ პოეზიაში, ძალა, უნარი, ნიჭი საკუთარ სულში შეღწევისა და იქვე თავისუფლების ხარისხი – თავისუფლება კონიუნქტურისაგან, თავისუფლება ახლობლების, ნათესავების, ოჯახის თვალისაგან, საკუთარი სულის „ჯურღმულების“ მოხილვისა და უშიშრად ამოტრიალების ძალა, თავისუფლება კომპლექსებისაგან, იმისგან, რომ ვინმე რაიმეს დაგაბრალებს, ვილაც რაღაცას ვერ გავიგებ... მარტივს, ბრწყინვალეს პრიმიტივად ჩავითვლიან, რთულს, ჩახუჭუჭებულს, ოღონდ უწერვოს, უჯიგროს მოგინონებენ, ანდა, კი არ მოგინონონ იქნებ, მაგრამ ინტელექტუალური პოეტის იმიჯს ხომ შეიქმნი...

და ოსტატობაც ისაა, იმ სიხარულს შესაფერისი სახელი დაარქვა, შესაფერისი სიტყვა მოუძებნო სამძიმარს, მართალი რომ იყოს, მართალი და ერთადერთი, ერთადერთი და განუმეორებელი, უტყუარი პოეტური დალით ალბეჭდილი...

II

დავით ნარკელიანის ესეი

მართალი გითხრათ, ეს ჩემი წერილი თავდაპირველად დავით ნარკელიანის ესეიზე მცირე გამოხმაურებად მქონდა განზრახული, ზუსტად ოთხი წლის წინ რომ დაიბეჭდა (გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2-9 აგვისტო, 2002 წელი, „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“). მაშინ, ცხელ კვალზე, ვერ დავწერე, მიმრჩა, მერე, იმისი იმედით, რომ სხვა დანერდა, გადა-

ვიფიქრე, მაგრამ მაინც ვერ მოვისვენე, და ახლა ვუბრუნდები, თუმცა მეტისმეტად ვრცელი შესავალი გამომივიდა, შესავალადაც რომ აღარ ჩაითვლება და ვატყობ, მინდა, არ მინდა, დავით წერედიანის ესეიზე საუბრის ჩარჩოსაც გავცდი, გავცდები.

ასეთი წერილები ყოველდღე არ იწერება, არც ყოველწელიწადს. და თუკი ოდესმე ქართული კრიტიკული აზროვნების შედეგების ტომი გამოვა, როგორც ეს გერმანელებს ჰქონიათ (დავით წერედიანი ახსენებს ამასაც სხვაგან), უამისოდ არა. ოთხი წელიწადია, ველოდები, ვილაღვ რაღაცას იტყვის ამ ესეიზე, რაღაცას დაწერს, ატყდება ერთი ამბავი... შენც არ მომიკვდე! ესაა, ომეგელთა ბათუმური შეხვედრის ანგარიში (თუ არ ვცდები) ამოვიკითხე, მოსწონებიათ და არ დაუფარავთ, მერე ისევ გიორგი ლობჯანიძემ მოიხსენია ერთი წლის თავზე ძალიან თბილად და ღირსეულად თავის მომხილვაში და ეგ იყო... იქნებ სხვაგვარ, მაგრამ, ალბათ, მე გამომრჩა... არადა, მეტს ველოდი, მთავარი კი მაინც ისაა, რომ, დავით წერედიანი ის კაცი არაა, ვინც ახლა ეძებს სახელს და ვინმესგან ხელის შეშველება ჭირდებოდას, პირიქით, ჩვენს ლიტერატურას ჭირდება ამგვარი უმნიშვნელოვანესი ფაქტის, როგორც ის ესეია, გახმაურება, ცოცხალი სალიტერატურო პროცესის გასაცხოველებლად, იმათი ყურადღების მისაქცევად, ვისთვისაც პოეზიაზე მსჯელობა ან საეჭვო შინაარსისა და პრობლემატიკის ძიებაა (მუსიკალური, ფილოსოფიური, ასტრონომიული...) ჯერაც, ან, რაც არც უარესია და არც უკეთესი, ტრაფარეტული იდეურ-თემატური ანალიზი და „გამოსახვის მხატვრული საშუალებების“ (შედარება, ალიტერაცია, ეპითეტი, მეტაფორა, რითმა...) ჩამონუსხვა.

არადა, კაცმა რომ თქვას, ან მე რატომ ველოდებოდი სხვას, თავად დამეწერა, თავად გამომეცხადებინა ჩემი სიყვარული და მადლიერება (არა მხოლოდ ამ ესეის გამო) დავით წერედიანისთვის, იმ მკითხველისათვის მეთქვა, ვისაც მივწვდებოდი, აუცილებლად მოძებნეთ და წაიკითხეთ ეს ახალი შედეგრი-მეთქი, მაგრამ, ეტყობა, კარგი პროფესიონალები ვერა ვართ, ან პროფესიონალიზმიც ცუდად გვესმის.

ძნელია იმ ესეიდან ციტატების ამონერა, მაშინ მთელი ტექსტი უნდა გადმოწერო. იქნებ იმიტომაც მომეწონა ასე, თავადაც რომ ამგვარად ვფიქრობ, ამგვარად ვუყურებ ლექსს, პოეზიას საერთოდ, და არა მხოლოდ მე, სხვაც ბევრი ჩემს ირგვლივ... გვიცდია, სწორედ ამგვარად მოგვეხელთებინა ის მოუხელთებელი და იდუმალი, მივახლოებოდათ მაინც, რისი გადმონერაც, თარგმანებაც შეუძლებელი მგონია ბოლომდე, რაკი ყოველთვის რჩება რაღაც დაფარული, სუბიექტური საქციევი, სხვა რომ დაინახავს და შენ ვერა...

„საიდან იბადება ეს მუსიკა, ეს უჩვეულო ხმოვანება? რა აჩენს ამ უცნაურ რხევებსა და მიმოქცევებს? ალიტერაციები? ბგერათა შეთანხმება? ვჩხრეკთ, ვითვლით, ვანგარიშობთ, მაგრამ შედეგი არადამარწმუნებელია. კარგმა ალიტერაციამ, ბგერათა კარგმა შეთანხმებამ შეიძლება ჟღერადი სტრიქონი დაბადოს, მაგრამ ჟღერადი სტრიქონი, ეგ ადვილია, მსგავსი მუსიკა ამით არ მიიღწევა. თან ისიც საკითხავია, განა გალაკტიონის რომელიმე მუსიკალურობით გამორჩეულ ლექსში ყოველი ბნკარი ჟღერა-

დია? სტრიქონები, სადაც სიტყვათშესაყარზე („ოჰ, როგორ მღუპავს გრძნობა, ჩემი მოსისხლე მტერი“) ზოგჯერ ხუთი თუ ექვსი თანხმოვანი სხდება, სმენას უნდა ამძიმებდეს, ყურს გეჭრიდეს. არადა, თითქოს ბგერწერის ყველა კანონის გასაბიბრებლად, სწორედ მუსიკა მოაქვს.

რა გვიბილავს, ბუნდოვნად ასე თუ ისე ვხვდებით, მაგრამ რითი, არ ვიცით და არც ვეშურებით ამის ცოდნას. განცდა, რომელიც აღგვეძრა, თვითკმარია. ოღონდ ეგ არის, ტექსტთან ისევ და ისევ გვაბრუნებს. მხოლოდ შემდგომ, ისიც ერთეულ შემთხვევებში, პროფესიულ დონეზე, ჩნდება სურვილი საიდუმლოს ამოცნობისა, მაგრამ საიდუმლო არ გვინებდება, ხელიდან გვისხლტება“.

დავამატებდი, არა მხოლოდ შექმნის საიდუმლო გვისხლტება ხელიდან, ზოგჯერ აზრიც არ გვესმის ბოლომდე, ვერ გავრკვეულვართ, რას ამბობს, ვერ „გავგვიშინაარსებია“, მაგრამ ეს პროფესიული ინტერესის საგანი თუ იქნება მაინც, თორემ, სადაც კითხვისას „შინაარსის“, სათქმელის უმცირეს ნიუანსამდე ამოხსნის აუცილებლობა ჩნდება, იქ მუსიკას, მელოდიას, პოეზიის შეუვალ ხიბლს უჭირს.

და ისაა სწორედ ზეშთაგონებული მადლი პოეზიისა, რაც ხელიდან გვისხლტება და ფორმულაზე, ანგარიშზე, განმარტებაზე არ დაიყვანება, ანუ, რაც ითქმება, როგორც განიმარტება, უნივერსალური ვერ იქნება, რადგან აუცილებლად დაგვაკლდება ის, რასაც მოუხელთებელს ვეძახით, რაც სწორედ პოეტს ებოძა იმ კონკრეტულ შემთხვევაში და სხვაგვარად ვეღარ იტყვი, რაც სწორედ იმგვარადაა ერთადერთი და თუ სხვაგვარად თქვი, თუ შენც მოახერხე იმისი აღწერა, იმგვარივე გრძნობის აღძვრა მკითხველში, ერთადერთი აღარ ყოფილა და რაც ერთადერთი არაა, იქნებ, თავისთავად, კარგიც იყოს, შთამბეჭდავიც, მაგრამ გენიალურის კი არა, აღმატებულის რანგისთვისაც სუროგატად დარჩება.

კიდევ ერთი ამონაწერი: „გვეუბნებიან, რომ ეს სულის მუსიკაა, და მართლაც ასეა. მაგრამ რაღაცას ხომ ემყარება, მატერიალურად გამოხატულს, უფრო ხელშესახებს. ფორმის სრულყოფილებასო, გვეტყვიან. დიახ, ეგეც სრული სიმართლეა, გალაკტიონის ფორმა ხშირად უზადოა. მაგრამ რამდენჯერ შევხვედრივართ სრულყოფილ ფორმას, რომელიც არ გვიზიდავს, ანდა გვიზიდავს და სულ სხვა ემოციები მოაქვს, არა ამგვარი შინაგანი მუსიკა. ამ საიდუმლოს ამოხსნა, ალბათ, შეუძლებელია, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მით უფრო. შესაძლებელია მხოლოდ მიახლოება, ზოგიერთი ორიენტირის მონიშვნა, ფიქრი, ვარაუდი“.

გასაოცარი არაფერია იმაში, რომ დავით წერედიანი ასე ღრმად ხედავს გალაკტიონს, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რაკი თავად ბრწყინვალე პოეტია, ვინც ტაეპს, სტროფს კი არა, უხერხულად, ბგერა რაა, ერთ ბგერასაც არ დასვამს, და ამას თავისი უფაქიზესი პოეტური სმენის წყალობით ახერხებს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა სვანური ხალხური პოეზიის შედეგების გენიალურად მთარგმნელისაგან, ბოლოს და ბოლოს, ვიიონის გენიალურად მთარგმნელისაგან... და მე ვნატრობ, ასე ფაქიზი, უნიკალური, აბსოლუტური პოეტური სმენით დაჯილდოებული ბრწყინვალე პოეტები რომ გვეყვანან, სწორედ ისინი წერდნენ პოეზიაზე, პოეტურ ფენომენზე, რაკი თეორიულად კი არა,

„ლაბორატორიულად“ იციან, უნახეს ნერვამდე გრძნობენ ყველაფერს...

კატეგორიული ვერ ვიქნებით ახსნისას, შეფასებისას, ვერც დავით წერედიანია კატეგორიული; გვეჩვენება, თითქოს ჩავავლეთ, მოვიხელთეთ უნივერსალური გასაღები: „პირველ კვალზე ისევ ვერლენის სტრიქონი გვაცენებს, სადაც ლექსისეული მუსიკის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად სიტყვის „შემთვრალი სიზუსტე“ გამოცხადებული... განაზრახი ოდნავი არასიზუსტე სიტყვას ახალი წახნავით შემოაბრუნებს ხოლმე, სათქმელს ბურუსით მოსავს და უამრავ ასოციაციას აღძრავს“.

მაგრამ ნურას უკაცრავად:

„მივყვებით ვერლენის მინიმუმებს და გვეჩვენება, რომ რალაც საიდუმლოს მიუახლოვდით. მაგრამ არა, ვერლენის „რეცეპტივ“ საიდუმლოს ვერ აშიშვლებს. ამგვარი „შემთვრალი სიზუსტე“, ყველანი მოწმენი ვართ, ათიდან ცხრა შემთხვევაში პოეტური კატასტროფით თავდება. გალაკტიონისეული მუსიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იგი უეჭველად არის, მაგრამ არა უმთავრესი“...

მაშ, თუ ეგ არა, რა არის, რა უნდა იყოს ის უმთავრესი? შემთვრალი სიზუსტე?

„კეთილი და პატიოსანი. მაგრამ გალაკტიონის მუსიკა, ამავე დროს, ძალიან ფხიზელ სიზუსტესაც ემყარება“.

ამ სიფხიზლის დასტურად იმონუმებს სტრიქონებს:

**ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი, თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები.**

და იხსენებს, რომ თურმე, ადრინდელ ნაბეჭდ ვარიანტში გალაკტიონს სწერებია „შავ ტანსაცმელში“, რაც აშკარად უარესი კია მუსიკალურად, თუმცა, რასაკვირველია, აზრობრივად თავისი დატვირთვა ჰქონდა. და რატომ შეცვალა გენიოსმა შავი თეთრით? ნუთუ იმიტომ, რომ „თეთრი“ და „მოვირთვები“ ჰარმონიული წყვილია? ხოლო „შავს“ დისჰარმონია მოაქვს, რალაც ავის მოლოდინით ზედმეტად იპყრობს ყურადღებებს და მუსიკას ახშობს? ძნელი სათქმელია. ხომ ცხადია, რომ „ზოგჯერ დისჰარმონიული წყვილი შეიძლება ჰარმონიის შემადგენელ ნაწილად იქცეს, მაგრამ აქ ასე არ ხდება“...

მამასადამე, არც „შემთვრალი სიზუსტე“ ყოფილა უნივერსალური მოდელი და არც „ფხიზელი სიზუსტე“ ანუ, იგივე „ზუსტი სიზუსტე“...

ახლა სხვა მაგალითი მოაქვს დავით წერედიანს:

**ძვირფასო, სული მევესება თოვლით, დღეები რბიან და მე ვბერდები.**

უკვე „ემოციური სიზუსტის“ ნიმუშად და კიდევ ერთი ზუსტი შეფასება, რაც არა მხოლოდ გალაკტიონის ფენომენის, არამედ, საერთოდ, შემოქმედების ფენომენის ასახსნელად გამოდგება: „შემთვრალი სიზუსტე. ზუსტი სიზუსტე. თანაფარდობაში მათი მოყვანაც ძნელი პოეტური ამოცანაა. ნურავინ იფიქრებს, თითქოს იმის თქმა მინდა, რომ გალაკტიონი მაგ პრობლემების გადაწყვეტით იყო დაკავებული. ყველა ცალკეულ შემთხვევაში უპირატესი წვლილი მაინც ინტუიციას მიუძღვის. სიტყვიერ დონეზე ალბათ არც თვითონ ფლობდა თავის საიდუმლოს“...

და თუ თვითონ არ ფლობდა, ჩვენ როგორ უნდა მოვიხელთოთ სიტყვიერად სრულად, ამომწურავად... მაგრამ ის კი უნდა შევძლოთ, იმას კი უნდა მივხვდეთ, უკეთესი და უარესი როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან;

და მაინც, რა არის უმთავრესი პოეზიაში? სათქმელი თუ ფორმა, ანუ მუსიკა? მუსიკა, რასაკვირველია.

თუმცა კატეგორიულნი ვერც აქ ვიქნებით, – არიან პოეტები, გემოვნებას რომ ვერ დაუნუნებ, მაგრამ გალაკტიონის ეს უფაქიზესი მუსიკა ყურს ჭრით და ტიცინის ხორკლიანი სტრიქონი ურჩევნიათ. იქნებ ამისი მიზეზი მათივე პოეტური ნატურა იყოს, ის დიადი სუბიექტური, რაზეც ზემოთ გაკვრით ვისაუბრეთ და კიდევ მივუბრუნდებით?!

მაგრამ მუსიკაც, უზადო მელოდიაც რომ ველარაფერს შევლის ზოგჯერ?

მაგრამ ობიექტური ერთი ხომ უნდა არსებობდეს სადღაც? ნუთუ ორი ჭეშმარიტების არსებობა შესაძლებელია?

ისიც, ის ხორკლიც ხომ მუსიკაა, მთქმელის დრამატული სულის შესატყვისი... ესეც კიდევ ერთი საბუთი „რეცეპტის“ უსარგებლობისა...

მაგრამ არაფერზე დაფუძნებული მუსიკა რის მაქნისია, ვით ავაღლევენს, როგორ აგეკიდება. სიმონ ჩიქოვანის „მეკამჩეების ურმული“, ან „ცირა“ კარგი კია, მაგრამ თვითმკმარია, კამერულია, სოციალური ფენომენი არ არის... დი-ახაც, სოციალური, რაკილა ღრმა სოციალურობა, თავისი უფართოესი გაგებით, დიდი ლიტერატურის აუცილებელი ნიშანი და პირობაა.

მუსიკა, რასაკვირველია-მეთქი; მაგრამ, უმჯობესი იქნებოდა, დავით წერედიანის ესეის სათაურს დავესხებოდი აქაც და მეთქვა – „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. მაგრამ „უპირველეს“ მის გვერდით ხომ უამრავ უმთავრეს პირველსაც გულისხმობს და ეს უამრავი პირველი მხოლოდ მუსიკა არ არის, განწყობილება, სევდაა, ცოტა სიხარულია, სიბრძნეა და სიგჟეა, ბოლოს და ბოლოს, სათქმელია, ის სათქმელი, რასაც ლიტერატურა ეფუძნება და შესაბამის მხატვრულ-მუსიკალურ ფორმაში, მელოდიაში, მხატვრულ ნესრიგში გამოიხატება.

კი, ის ხორკლიც მუსიკაა და არც ორი ჭეშმარიტება არსებობს, უბრალოდ, აქაც რანგების პრობლემას მივადექით, და კიდევ სტილის პრობლემას. ამბობენ, რომ სტილი თავად ადამიანია. მართლაც. არც ორი ადამიანის, ორი შთაგონებული შემოქმედის შესაძლებლობანია ერთნაირი. არ მინდა, ღია კარი ვამტვრიო და ანბანური ჭეშმარიტება ვამტკიცო, ეს თავისთავად ცხადია.

ამიტომ ვერ აურევ რუსთაველსა და შავთელს ერთმანეთში. იქნებ საკამათო რამეს ვამბობ, მაგრამ არა მგონია, ვცდებოდე – რუსთაველის გამძლეობის საიდუმლო სტილის ერთადერთობასა და ბუნებრიობაშია, იმაში, რომ მას მართლა ვერ აურევ ვერაფერში. შავთელმაც გაძლო, მაგრამ მისი მადლმოსილება რუსთაველისას რომ ვერ შეედრება, ერთ-ერთი მიზეზი ის მგონია, მეტისმეტად ხელოვნური რომაა, მეტისმეტად წინასწარ გათვლილი, დაგეგმილი, გაანგარიშებული, სხარტია, მაგრამ ამ სისხარტეს სილაღე აკლია, არტახეზშია ჩაჭედილი, მეტისმეტად მორჩილია ესთეტიკური პრინციპებისა, ლიტერატურული დოგმებისა. დოგმების უარყოფას კი სურვილი არ ჰყოფნის, ახლის დამამკვიდრებლის გენიალური მადლი ჭირდება.

რუსთაველის ჯადო კი გენიალური უბრალოებაა, სიბრძნის გენიალური სიმსუბუქეა და არა მხოლოდ მისი მსოფლმხედველობა, ხასიათები და მორალურ-ეთიკური სენტენციები;

მორალურ-ეთიკური სენტენციები, აფორიზმები, დიდაქტიკა ნამდვილად არ აკლია ჩვენს ძველ ლიტერატურას, მაგრამ, არა მგონია, ლიტერატურული წარმატების პირობად ეს მიიჩნიოს ვინმემ.

მაგრამ მეტისმეტად შორს წავედი, ისეთ რამეზე ვმსჯელობ, უჩემოდაც ცხადი რომაა ბევრისთვის...

დავით წერეთლის ესეის ვუბრუნდები:

„ყოველი ეპოსი, ლექსად იქნება დანერგილი თუ პროზად, ლოგიკური აზროვნების პრიმატს მოითხოვს. მან ბოლო წლები „მშვიდობის ნიგნის“ შეაღწია. დანაკარგი მით უფრო სამწუხაროა, რომ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა და უკვე მინავლული ცეცხლიდან ისევ მაღალმა პოეზიამ იწყო დენა. არადა, დიდი მისწობა არ ჭირდება იმის მიხედვრას, რომ პოემისთვის თუ ისეთი საზომი აირჩიე, სადაც ყოველი მეორე-მესამე სიტყვა გასართიმაგია, პოემა არ შედგება“...

არ შედგება ის, რაც გვინდა, დიადი, ერთადერთი, თორემ არც „მშვიდობის ნიგნის“ ლირების უარყოფას აპირებს ვინმე, არც შავთელის რითმებით დაჭედული „აბდულ-მესიანისას“ ან ჩახრუხადის „თამარიანისას“.

და პირიქით, იქნებ ურითმობაც იყოს იმისი აუცილებელი პირობა, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, განსაკუთრებით „გალობა მეცხრე“, ჩვენი ლიტერატურის შედეგრი რომაა, შთამაგონებელი ძალა სწორედ გენიალური პოეტური იდუმალების წყალობით არ მოჰკლებია და არა მხოლოდ ავტორის სახელისა გამო; სახელს რაც შეეხება, „ცასა ცათასას“ მისი ავტორის – თამარ მეფის სახელიც კი ვერ მიგვაჩვენებებს შედეგად, ამ ლექსს ნამდვილად აკლია მომწუხებელი ძალა, რაიც კლასიკურ მემკვიდრეობას მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის საკუთრებად არ დატოვებს და ცოცხალი სალიტერატურო პროცესის ნაწილად აქცევს, იმად, რაც მუდამ იკითხება, რაც მუდამ ცოცხალია და არა მხოლოდ ისტორიის ნაწილი.

სიტყვას მოჰყვა და ისიც მინდა ვიკითხო: ხშირად ვკითხულობთ თუ არა იმას, რაც წასაკითხი გვაქვს? გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რამდენი ხანი გავიდა, რაც „ვეფხისტყაოსანი“ აღარ წავგვიკითხავს? ეს პოემა ხომ მხოლოდ მისი სიუჟეტი არაა, სიზმარშიც რომ უშეცდომოდ ვუამბობთ მავანს! მხოლოდ მისი ხასიათები, სახეები, პერსონაჟები, მათ მიღმა გალანდული თავისთავად უაღრესად საინტერესო ისტორიული ფაქტები და პერიპეტეიები არაა, არც მხოლოდ ბიოგრაფიული რეზუსებია, რომელთა ამოხსნას უამრავი შუბი და შუბლი შემსხვრევია და აწი უფრო მეტი შეეღწევა. ხომ არ ვჯერდებით აპრიორულ ცოდნას, აქსიომად მიჩნეულ ჭეშმარიტებას, რომ იგი გენიალური პოემაა და მორჩა, ეს საქმე მოლეულია, პასუხი, რაზეც შედავებასაც არავინ იფიქრებს, არათუ გაბედავს, მზადა გვაქვს – ნასწავლი პასუხი, მზამზარეული პასუხი, საუკუნეებიდან საუკუნეებს გადაცემული, იმგვარი, როგორც, ვთქვათ, ბორბალს რომ აღარ ჭირდება ხელახლა გამოგონება: არადა, ეს პოეზიაა, იმგვარი პრაქტიკული ცოდნა სულაც არაა

და ყოველდღე, ყოველწამს ხელახლა უნდა აღმოჩენა, როგორც ფსალმუნს, როგორც სახარებას; აქ წაკითხული და მოლეული, ამ თვალსაზრისით, არ არსებობს და მხოლოდ რუსთაველთან კი არა, გურამიშვილთან, ვაჟასთან, აკაკისთან და ასე შემდეგ.

ამ თვალსაზრისით-მეთქი, ვამბობ და ვაზუსტებ: პოეზიის იდუმალი საქცევების კვლავ და კვლავ განცდას და შეცნობას ვგულისხმობ, სოციალურ-ფილოსოფიური ქვეტექსტის ახალ-ახალი ნიუანსის შეცნობას ვგულისხმობ და არა უპირველეს იმას, „დაშიფრული“, „დარებულსებული“ შინაარსი ვეძებთ ტექსტში: დაშიფრულის ძიებასაც (თუკი მართლა არის რამე დაშიფრული, ანუ ალევგორიულად ნათქვამი) თავისი ხიბლი, ინტრიგა და ფასი აქვს, ამაზე უარს ვერ ვიტყვით; ვერც პოეტის მსოფლმხედველობის ახსნა-გახსნაზე ვიტყვით უარს, ოღონდ მსოფლმხედველობაზე, მრწამსზე მსჯელობა მხოლოდ მაშინ ღირს, თუ ტექსტი ჯერ პოეზიაა... და თუ პოეზია არაა, მისი ავტორის მორალურ-ეთიკური თუ ფილოსოფიური სენტენციები, ანუ ის, სადა რა „სიბრძნეს“ აფრქვევს, პირადად მე, სრულიადაც არ მაინტერესებს.

მაინტერესებს მხოლოდ მაშინ, თუ პოეტური ტექსტი თავისთავად, ჩემდა უნებურად „მაიძულებს“ ამას და არა ისე, სათვალე მოვირგო, მაგადამს მივუჯდე, წიგნი დავიდო და არარასებული (ან, თუნდაც, თვალსაჩინო) ქვეტექსტი ვიკვლიო შიგ თვითმიზნურად, რაღაც „აღმოვაჩინო“ და იმგვარი მედიდურობით მივანოდო მკითხველს, „გავანათლო“, თითქოს ახალი ამერიკა მეპოვნოს. ქვეტექსტი თანამდევი რამ არის ლიტერატურისთვის და მხოლოდ მაშინაა მნიშვნელოვანი, თუ თავად ტექსტია ღირებული, ანუ ე. წ. ტექსტი და ქვეტექსტი ერთი განუყოფელი მხატვრული მთლიანობაა.

### III

#### „თანამედროვედ ყოფნის ნიშნები“

ბესიკ ხარანაული შემძლია გამუდმებით ვიკითხო და ვიკითხო ისიც, რაც მასზე იწერება. ვკითხულობდი, ვყიდულობდი და სხვებსაც ვჩუქნიდი, სანამ შემეძლო, სანამ ტირაჟიც დიდი იყო, წიგნიც იაფი და კარგადაც ვრცელდებოდა. ახლა ხელი ნაკლებად მიმიწვდება, თბილისში იშვიათად, წელიწადში ერთხელ ჩავდივარ და აქეთ ძნელად მოიხელთებ იმას, რაც გაინტერესებს; ჩემმა მეგობრებმა იციან ეს და თუ საშუალება აქვთ, ახლა თავად მიგზავნიან. ჰოდა, ამას წინათ მარსიანმა ნაირა გელაშვილის წერილის ქსეროასლი გამომიგზავნა, ჟურნალ „ალტერნატივაში“ გამოქვეყნებულია („თანამედროვედ ყოფნის ნიშნები პბესიკ ხარანაულის პოეზია“, წერილი პირველი); რაკი წერილი პირველია, ცხადია, მეორეც იქნება და იქნებ – მესამეც. რომელიღაცას ოთარ ჩხეიძეც იმონებდა ერთგან, მაგრამ რომელს, ვერ გეტყვით, რადგან წაკითხული არ მქონდა;

სწორედ ოთარ ჩხეიძისგან შევიტყვე მისი არსებობა და იმიტომაც ვთხოვე მარსიანს, იქნებ წამაკითხო-მეთქი. ისეთი წერილია, ნაირა გელაშვილს რომ შეეფერება და ბესიკ ხარანაულს ეკადრება, მაგრამ ეს წერილი იმათთვისაა, ვინც ბესიკს იცნობს (შემოქმედებას, ცხადია), თორემ იმ

მაგალითებით, რასაც ნაირა გელაშვილი იმონებს, მხოლოდ პოეტის აზროვნების სტილზე, თუ შეიძლება ითქვას, მხოლოდ სააზროვნო ტენდენციებზე, შეხედულებებზე შეიძლება მსჯელობა და არა იმაზე, რაც ამგვარ აზროვნებას პოეზიად აქცევს. მე რომ ბესიკ ხარანაულის შემოქმედებას არ ვიცნობდე, იმ მაგალითებით ჩავთვლიდი, რომ ერთ მეტნაკლებად საინტერესო პოეტზე საუბრობს ავტორი, ჰოდა, ეგ არის და ეგ... მაგრამ ნაირა გელაშვილს, ამ შემთხვევაში, დავით წერეთლისაგან (ჩემგანაც) განსხვავებით ფენომენის სულ სხვა ასპექტი აინტერესებს, თუმცა, რაც აინტერესებს, თავისთავად მნიშვნელოვანია (მეტად მნიშვნელოვანიც).

არ ვიქნები მართალი, ამ „პირველი წერილით“ ვისაუბრო იმაზე, რისი თქმაც ავტორს სურდა, მაგრამ არც მონოგრაფიას ვწერ, აუცილებლად დაველოდო, მეორე-მესამე წერილს როდის ვნახავ; უბრალოდ, ნაირა გელაშვილს აქ იმდენი საინტერესო, მნიშვნელოვანი დაკვირვება აქვს, ჩვენს სათქმელს და საფიქრალს რომ შეესაბამება და მინდა, რამდენიმე გადმოვწერო, ოღონდ, კიდევ ვიმეორებ, ეს უფრო არის „რა“ და ნაკლებად – „როგორ“, რადგანაც, წერილის მიზნიდან გამომდინარე, ციტატები ფრაგმენტულია, პოეტური ენერგეტიკული ველი ლამის გამქრალია, იმ ენერჯის მხოლოდ ნიშნებია დარჩენილი. ამიტომ, ნაკლებად მაინტერესებს, რომ თურმე „ბ. ხარანაულს, როგორც დღევანდელისა და ახლისაკენ მიდრეკილ პოეტს, შესაბამისად, გამძაფრებული გრძნობა აქვს რუტინის, იმისი, რაც უკვე იყო, რაც ინერციაა, რაც არის „გუშინ“.

ნაკლებად მაინტერესებს, რადგანაც ამას მოსდევს ციტატა:

**გაიყინა პოეზია,  
დღეს ლექსისაგან იმას ველით, რაც გუშინ იყო...**

რადგან ეს მშრალი თეორიული სენტენცია და ნაკლებად – პოეზია. ჯობდა, სტრიქონი რუტინასთან დაპირისპირება კი არა, თუნდაც რუტინის ხოტბა ყოფილიყო, ოღონდ პოეზიად ქცეულიყო, რაკი, რაც პოეზიად იქცევა, სწორედ ისაა მნიშვნელოვანი, მიუხედავად იმისა, რას ქადაგებს ზედაპირზე, რადგან თუ ის მართლა პოეზიაა და არა პოეტური პოზა, აუცილებლად ჰუმანისტური მადლი ექნება საფუძვლად.

იმავე მოსაზრების დასტურად იმონებს იქვე:

**გუშინდელი გემო აქვს  
ყველაფერს...**

რაც, თავისი პოეტურობით, სრულიადაც არ გამოირჩევა, ერთი „პროზაული“ ფრაზაა თავისთავად, როგორც ხშირად შეგხვდება ბ. ხარანაულთან და პოეტურ ძალმოსილებას მხოლოდ კონტექსტში იძენს ხოლმე, როგორც განწყობილების შემქმნელი ერთ-ერთი კომპონენტი.

და იქვე:

**ო, როგორ მინდა, გავქეცე ყველას,  
ვისაც შეუძლია  
ძველი სიტყვები რომ მითხრას ისევ.  
აქ ცხოვრებას არავინ არ იწყებს თავიდან?**

არც აქაა რაიმე ისეთი, სხვასაც რომ არ დაენერა, მხოლოდ მეოთხე ტაეპი შემომიბრუნებს ბუნდოვან განცდას, მიმანიშნებს პოეტურ ველზე, რის შეგრძნებასაც განსაკუთრებით მიმდაგრებს სტროფის ბოლოს დასმული კითხვის ნიშანი, რადგან ბოლო ტაეპი, ამ ნიშნის გარეშე, დაასრულებდა, დაადასტურებდა ერთ ჩვეულებივ, საინტერესო აზრს და ამით მორჩებოდა, მაგრამ შეკითხვა, რაც ბოლო ტაეპის წინ გულისხმობს სიტყვას „ნუთუ“, ხოლო კითხვის ნიშნის შემდეგ – ახლის, ორიგინალურის მოლოდინს, უბიძგებს ამ მშრალ ტექსტს, პოეზიად იქცეს.

მაგრამ ამაზე სხვა დროს და სხვა წერილში.

„ლექსის ტრადიციული, მკაცრად მონესრიგებული ნაგებობა ატომივით დაიშალა და გამოთავისუფლდა ახალი, დაძაბული ენერჯია (უპირატესად ენერჯია აზრისა და ფიქრისა), რომელიც ასახავს კონფლიქტს არა მხოლოდ პოეტსა და სამყაროს, არამედ პიროვნებასა და მის საკუთარ თავს შორის („მე ჩემს თავთან საერთო არაფერი მაქვს“ – ფ. კაფკა), ასახავს იმ საუკუნის მიერ მოტანილ რღვევას, რომლის ერთ-ერთ არსისეულ განსაზღვრებად თუნდაც „ატომური“ ითვლება“ – წერს ნაირა გელაშვილი. საკვებით მართებული დაკვირვებაა. მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ სამყაროს ამგვარად აღქმა აუცილებლად გახდება ახალი შემოქმედების მძლავრი იმპულსი იმის ხელში, ვინც ამ დასკვნამდე თავად მისულა, ვისთვისაც სამყაროს ასე მოწყობის გამო ნუხილი წიგნური შთაბეჭდილებებით დასწავლილი პოზა არაა. სამწუხაროდ, ეს დამოკიდებულება ლიტერატურულ მეთოდად იქცა უკვე, მოდად, ლიტერატურულ (არა მხოლოდ ლიტერატურულ) დოგმად იქცა და უამრავი სუროგატი გააჩინა, ცხადია, იმდენი არა, რამდენიც ტრადიციულმა ლექსმა, მაგრამ ამგვარად უკვე ბევრი დაინერა და ბევრიც დაინერება; ლიტერატურულ მოდად იქცა აზრსა და ფიქრზე აქცენტირება პოეტური ტექსტისა, მაგრამ უმეტესობას ავინყდება (უფრო სწორად, არ ძალუძს დაინახოს), უმთავრესი, რომ, ნ. გელაშვილის სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს ენერჯია უნდა იყოს „დაძაბული ენერჯია“... ამიტომ პოეზიის შეფასების კრიტერიუმი არ შეიცვლება – მართალი, ნებისმიერი ფორმით დაწერილი, მართალი და ერთადერთი იქნება, ხოლო მოდურნი ერთხანს კი დარჩება მოდურად, მაგრამ იმასაც დროზე გაუვა ყავლი.

სამშაბათს, 15 მაისს  
 უსუნალ „ჩვენი მწერლობის“  
 დარბაზში გაიმართება  
**მანანა გაბაშვილის**  
 საჯარო ლექცია

**„დავით კურაპალატი  
 და  
 ქართული სახელმწიფო“**

დასაწყისი 14 საათზე  
 ჩუბინაშვილის №41

(დასასრული შემდეგ ნომერში)



მიური ნ. როთბარდი

## ამერიკის ყველაზე ჩაბრული უმცირესობა

სწრაფად მიპასუხეთ: რომელია ამერიკის ყველაზე ჩაგრული უმცირესობა? თქვენ ცდებით (და ეს არც მსხვილი ბიზნესია, ეინ რანდის ყველაზე შეუსაბამო განცხადების მიუხედავად).

მას ასე, მოდი ვიფიქროთ: რომელი ჯგუფი იყო ყოველთვის კანონგარეშედ გამოცხადებული, შერცხვენილი და გაშავებული, ჯერ ისტებლიშმენტისა და შემდეგ კი მას მიდევნებული მთელი საზოგადოების მიერ? რომელი – დიდი ხნის წინათ ასპარეზზე გამოსული, საუკუნეობით სახალხო მოედანზე ამჟამად მოარული – ჯგუფი შეაგდეს უკან „საკუჭნაოში“? რომელმა ჯგუფმა გაითავისა ტრაგიკულად თავისი მჩაგვრელების ღირებულებათა სისტემა და აღიარა, ძალიან მცხვენია და დამნაშავედ ვგრძნობ თავს, საკუთარი წესისა და ჩვეულების ერთგული რომ ვარო? რომელ ჯგუფს უღილავენ თვალებს და აზრადაც არ მოსდის თავი დაიცვას, და თუ შეეცდება, სახალხოდ გაეციცხვენ და მასხრადაც აიგდებენ? რომელი ჯგუფია მიჩნეული ისეთ ცოდვილად, რომ მათ გასაშავებლად შედგენილი საექიმო სტატისტიკა კანონიერ სამხილადაა მიჩნეული მის წინააღმდეგ აღძრულ სახელგანთქმულ საქმეში.

რასაკვირველია, ერთ დროს ამაყ ხალხზე, თამბაქოს მწვევლებზე, ვსაუბრობ, ვისაც ერთ დროს პატივს სცემდნენ და შურდათ, ეხლა კი ისეთი არავინ მოიძებნება, პატივისცემა დაუდასტუროთ.

ისე დაცემულია ამ ჯგუფის ავტორიტეტი, რომ მათ დასაცავად გამოსული, იძულებული ვარ აღვნიშნო, პირადად მე არა ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ მწვევლიმეთქი. წარმოგიდგენიათ ვინმე უარს ამბობდეს საკუთარი უფლებების დაცვაზე, როცა ჩაგრულ შაკვანიანთა, ებრაელთა ან გეითა დასაცავად გამოდის?

ჯვაროსნული ლაშქრობა მწვევლთა წინააღმდეგ ამჟამინდელი ყველაზე გადამდები სნეულების ნიშნულია, ამერიკული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მავნე ძალის: მემარცხენე ნეოპურიტანიზმისა. პურიტანიზმი ყველაზე უკეთ განსაზღვრა ჩემმა საყვარელმა მწერალმა ჰ. ლ. მენკენმა, როგორც „მტანჯველი შიში, რომ ვინმე, სადმე საძლო ბედნიერი იყოს.“ პურიტანთა მთავარი ნაკლი ის კი არ არის, რომ სასტიკი ადამიანები არიან, არამედ ის, რომ სწამთ სახიფათო ქრისტიანული ერესი „პოსტ მილენიალიზმისა“, რაც ნიშნავს, რომ ადამიანს აკისრია ვალდებულება დააფუძნოს ათასწლოვანი (ორიოდ საუკუნის მეტ-ნაკლებობით) მეუფება ღვთისა დედამიწაზე, როგორც წინაპირობა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისა. და რადგან ეს მეუფება, მათი მოძღვრების თანახმად, ცოდვათაგან შეუვალა უნდა იყოს, მორწმუნეთა ღვთაებრივი მოვალე-

ობაა, დაამკვიდრონ უცოდველთა საზოგადოება. სწორედ აქ ჩნდება წმენდის საჭიროება.

ვალარებ, რაკილა იძულებული ვარ ნეოპურიტანები ჯვაროსნებად მოვიხსენიო, პირველ პურიტანებს მეტისმეტად უსამართლოდ ვექცევი. პირველი, მეჩვიდმეტე საუკუნის ახალი ინგლისის, პურიტანები ჯვაროსნები კი არა, ის ხალხი იყო, ვისაც სურდა დაეფუძნებინა უცოდველი სამეფო, საკუთარი „ქალაქი ბორცვზე“, თავის ახალშენებში. სულ პირველი პურიტანები კი კალვინისტები იყვნენ, ვისაც სჯეროდა, ქრისტიანობა და ქრისტიანული თემი მოქცეული უნდა იყოს მკაცრ, ბიბლიურსა და ღვთის ნების მორჩილებულ კანონში. მაგრამ დროთა მსვლელობაში თავდაპირველი პურიტანიზმი შეიცვალა განსაკუთრებით პიეტისტური აღორძინების ტალღით, 1820-იანი წლების ბოლოს, უკიდურესად ჯვაროსნული და, აქედან გამომდინარე, სახიფათო ვერსიით პროტესტანტული ქრისტიანობისა: რაც ცნობილია „პოსტ-მილენიური ევანგელიკური პიეტისმის“ სახელით (პმპე). ამ პმპე-მა ფეხი მოიკიდა ძველ პურიტანთა ეთნოკულტურულ შთამომავლებში, იმ ხალხში, ვისაც „იანკები“ ეწოდათ და ვინც დაიდრენ ახალი ინგლისიდან და დაასახლეს ისეთი მხარეები, როგორიცაა ნიუ იორკის შტატის ჩრდილოეთი, ჩრდილო და აღმოსავლეთი ოპაიო, ჩრდილო ინდიანა და ჩრდილო ილინოისი („იანკები“ ან „წყეული იანკები“ არ ნიშნავს მხოლოდ „ჩრდილოელს“).

ახალი და მავნე ფორმას პმპე-სა, ანუ ნეო-პურიტანიზმისა, რაც უშუალოდ მბრძანებლობდა მთელ პროტესტანტულ ეკლესიაზე, ჩრდილოეთში, ზუსტად ასე წელი აქვს შემდეგი მიმართულებანი: (1) კრედო ან ლიტურგია ფორმალისტურია და უმნიშვნელო. რაკი პროტესტანტი ხართ, მნიშვნელობა არ გააჩნიათ, თუ რომელ ეკლესიას მიეკუთვნებით. ეკლესიებს კი არა, მხოლოდ პიროვნულ ხსნასა აქვს მნიშვნელობა. (2) სულის გადასარჩენად პიროვნებას უნდა სწამდეს და არ სცოდავდეს. (3) ცოდვა ძალზე ფართოდაა განსაზღვრული და, არსებითად მოიცავს ყოველგვარ პრაქტიკულ საქმიანობას, რასაც ტკობა მოაქვს, ანუ ყველაფერს, რასაც შეუძლია „გონება და გიბინდოს“ ისე, რომ ხსნას ველარ ენოი, ვთქვათ: სასმელი (წყეული რომი); ყოველნაირი საქმიანობა შაბათს, გარდა ლოცვისა, ბიბლიის კითხვისა და ეკლესიაში სიარულისა (ოღონდ არა რომაულ კათოლიკურ ეკლესიაში, ვატიკანელი ანტიქრისტეს ინსტრუმენტში); (4) რაკი პიროვნება სუსტია და ემორჩილება ცდუნებას, ხსნაში მას უნდა დაეხმაროს მთავრობა, რომლის თეოლოგიური მოვალეობაცაა – ჩაახშოს ისეთი მაცდუნებელი რამ, როგორიცაა სასმელი, სამოქალაქო საქმიანობა შაბათობით და კათოლიკური ეკლესია. როგორც ერთმა კრიტიკოსმა მართებულად შეაჯამა პმპე-ის დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ, „ხელისუფლება ღვთის მთავარი ინსტრუმენტია



სულის ხსნის პროცესში“; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ უნდა ჩაახშო სასმელი ან კათოლიკეები, მხოლოდ შეგონებით? (5)(ბარემ მარილიც მოვაყაროთ): ცხონება არ გელირსება, თუ ნემსის ყუნწში არ გაძვრები და პირნიმინდად ყველას ცხონებას არ შეეცდები (ანუ აიძულე მთავრობას ჩაახშოს ცოდვა).

ხუთქიმიანი მსოფლხედვით შეიარაღებულმა ნეოპურიტანულმა პმეპ-მა თავი გაიძლიერა სატანურად ენერგიული, თავბრუდამხვევი ჯვაროსნული მოძრაობისათვის, რათა ბოროტების ჩასახშობად აამხედროს პატერნალისტური დიდი მთავრობა ლოკალურ, სახელმწიფო და ეროვნულ დონეზე, გაანადგუროს ცოდვა და შევიდეს სრულყოფილ, უცოდველ სახელმწიფოში. პოლიტიკაში ეს ნიშნავს ერთსაუკუნოვან ჯვაროსნულ ლაშქრობას სასმელის წინააღმდეგ და შაბათის სინმინდის დასაცავად (იცით თუ არა, რომ ლიბერტიარიანულ, ანტინეოპურიტანულ ჯეკსონისდროინდელ ამერიკაში, ფოსტა კვირაობით რიგდებოდა?), მაგრამ, რადგანაც სავსებით არაკონსტიტუციური იქნებოდა კათოლიკური ეკლესიის გაუქმება, პმეპ-ი ცდილობდა – იმდროინდელი პოპულარული გამოხატულებისა არ იყოს, – „გაექრისტიანებინა კათოლიკე ბავშვები“, მოსწავლეები საჯარო სკოლებისა, ხელისუფლებას უსიტყვოდ რომ ემორჩილებოდნენ, რადგან კათოლიკე მოზარდები განწირულნი იყვნენ დასალუპავად.

ნეოპურიტანმა ვუდრო ვილსონმა არა მარტო მშრალი კანონი შემოიღო ამერიკაში და ამით ხორცი შეასხა პმეპ-ის ყველაზე ნალოლიავე ოცნებებს, არამედ მსოფლიო ჯვაროსნული ლაშქრობისკენაც გაუხსნა გზა. რადგან როგორც კი დამყარდა მეუფება უცოდველთა ამერიკაში, მეორე წმიდა ნაბიჯი მსოფლიო მეუფებისაკენ უნდა გადადგმულიყო (მშრალი კანონის ჯვაროსნებმა მალე იერიში ევროპაზე მიიტანეს).

ეთნო-რელიგიური ჯგუფები, რომლებმაც ყველაზე მეტი ჩაგვრა გამოსცადა პმეპ-ის ყველაზე ფანატიკური კუდიანებისაგან (ყველაზე ფანატიკოსი ჯვაროსნები იანკი ქალები გახლდნენ, განსაკუთრებით შინაბერები), გერმან-ამერიკელი კათოლიკენი და ლუთერანები იყვნენ. ორივე ამ ჯგუფმა ამერიკაში შემოიტანა მომხიბვლელი და მიმზიდველი ჩვეულება კვირაობით, გამოსასვლელი სამოსით, ეკლესიაში სიარულისა და ნაშუადღევს ბალებში შეკრებისა, სადაც ლუდს სვამდნენ და თავიანთ საყვარელ უმ-პა-პა ან-სამბლებს უსმენდნენ. წარმოიდგინეთ რეაქცია, როცა პმეპ-ის კუდიანთა ურდოები მოსდევდნენ და მოჰკვიოდნენ „ცოდვა! ბოროტება! უბედურება!“ რადგან, რაც გერმანელებს უგნებელი ეგონათ, პმეპ-ისათვის ლუდის სმა და თანაც კვირას, ორმაგი პირქუში ცოდვა იყო! გარდა ამისა, კათოლიკეებსა და გერმანელ ლუთერანებს სურდათ ბავშვები საკუთარ სამრევლო სკოლებში აღეზარდათ და არა საერო (ან თუნდაც პმეპ-ის) საჯარო სასკოლო სისტემაში.

მწვერვალი პმეპ-ის ჯვაროსნული ლაშქრობისა, ცხადად, იყო ყველანაირი სასმელის გამოცხადება კანონგარეშედ (თანაც, არც მეტი არც ნაკლები საკონსტიტუციო შესწორებით!). შედეგი საყოველთაოდ ცნობილია ამერიკის შეერთებულ შტატებში: სრული კატასტროფა, ტირანია, კორუფცია, შავი ბაზარი და გადამეტებული ალკოჰოლიზმი; მსმელები იატაკქვეშ გადავიდნენ და „დოზებს“

უმატეს, თანაც მაგარ სასმელთა და არა ლუდისა, და სვამდნენ, ვიდრე პოლიცია მიაგნებდათ. ამას დაუმატეთ ორგანიზებული დანაშაული, რაც მშრალ კანონამდე თითქმის არ არსებობდა. ახლა კი კრიმინალურ ბანდებს შეეძლოთ მოემარაგებინე საჭირო ოდენობის ნაწარმით.

ეს ავბედითი გაკვეთილი მთელმა ამერიკამ დაისწავლა, მაგრამ ჩაიკარგა თანამედროვე, მწველთა წინააღმდეგ მიმართულ, ნეოპურიტანული ჯვაროსნული ლაშქრობის ენთუზიზმში. ცოტა თუ აცნობიერებს, რომ ახლანდელი მიზეზი ლაშქრობისა ძველ პმეპ-ს სასმელების წინააღმდეგ ჰქონდა მომარჯვებული. და ათწლეულთა წინათ ნეოპურიტანები ორივე არგუმენტს იყენებდნენ – თეოლოგიურსაც და სამედიცინოსაც; სასმელი არა მარტო ჯოჯოხეთში გაგისტუმრებს, არამედ ამქვეყნიურ სხეულსაც, ღვიძლსა თუ სხვა ორგანოებსაც დაგიგრევს. სასმელი წაგაქეზებთ სცემთ ცოლებს, გადაეყაროთ ხათაბალებს, საგზაო ფათერაკებისას თავიც დაიზიანოთ და სხვასაც შეუქმნათ საფრთხე. ნლების მანძილზე პმეპ-მა, ჯვაროსნული ლაშქრობისას, თეოლოგია და მედიცინა ერთმანეთზე დააქორწინა.

მერე რალა დამართა ნეოპურიტანული ქრისტიანიზმის აგრესიულ ბუნებას, ხსნასა და მეუფების დადგომას რომ ესწრაფოდა? საგულისხმოა, რომ ათწლეულთა შემდგომ ქრისტიანული ასპექტი ნელ-ნელა გაქრა. ბოლოს და ბოლოს, თუ შენი, როგორც ქრისტიანი აქტივისტის, მთავარი მიზანი არა რწმენა და ლიტურგია, არამედ მთავრობის იძულებაა, რათა ცოდვები ამოძიკვოს, ქრისტეს ხატი თანდათანობით გაგიქრება და მთავრობა შეგრჩება ხელთ. დედამინაზე ღვთის მეუფების სურათი საერო და ათეისტური გახდება და, მარქსისტული ვერსიით, სეკულარული, ცოდვებისაგან დაზღვეული მეუფება კომუნისტური პარტიის „წმინდანთა“ სამინელი და სწრაფი მახვილის ქვეშ დგება. და აი, მოვედით მემარცხენე პურიტანიზმის შემზარავ მინაზე, მემარცხენეთა სამეფოში, რომელიც გვთავაზობს სრულყოფილ მსოფლიოს თამბაქოს, უთანასწორობის, სიხარბისა და სიძულვილის გარეშე. მოკლედ, მტრის მინაზე მოვედით.

ამრიგად, მწველნი, თავები ხართ თუ კაცები? აღსდექით მწველნი, იყავით ამაყნი, ჩამოიგლიჯეთ დანაშაულის ლაქა, მოცხებული მჩაგვრელთა მიერ! წელში გასწორდით და მონიეთ! დაიცავით თქვენი უფლებები! ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ვილაცას ფილტვების კიბო გაუჩნდება, თუ თამბაქოს ბოლს ჩაყლაპავს ღია ცის ქვეშ, მისგან ოც ნაბიჯზე მჯდომი მწველისაგან? როგორ ახსნით იმას, რომ მილიონობით ადამიანი მთელი სიცოცხლე ეწევა და არ დასწეულეულა?

გახსოვდეთ, თუ დღეს მწველებს მიადგნენ, ხვალ თქვენ მოგადგებიან. თუ დღეს სიგარეტს გართმევენ, ხვალ საჭმელს წაგართმევენ, ნახშირწყლებს, გემრიელ, მაგრამ „ცარიელ“ კალორიებს მიადგებიან. არ გეგონოთ სასმელებს შეგარჩენენ; ნეო-მშრალიკანონი დიდი ხანია მოაბიჯებს. „ცოდვის წინააღმდეგ მებრძოლ გადასახადებზე“ (საგულისხმო ფრაზაა არა?) რალას იტყვიოთ, რეკლამის გაუქმებასა, სმის ნებართვის ასაკის გაზრდასა და MADD\*-ის ნეოპურიტან ჰარპიებზე? მზადა ხართ მემარცხენე საკვე-

\* დელები ნასვამი მძლოლების წინააღმდეგ.

ბის მეუფებისათვის, სადაც ყველას აიძულებენ მხოლოდ იოგურტით, ტოფუთი და კომბოსტოთი იკვებონ? მზადა ხართ, გალიამი გამოგამწყვდიონ, რათა დარწმუნდნენ, რომ დიეტას სრულად იცავს და სავალდებულო ვარჯიშებს ასრულებსო? და ყველაფერ ამას ჰილარი კლინტონის ჯანმრთელობის ეროვნული ბიურო უნინამძღოლებს.

მწველნო, თუ გული გერჩით, შეჰქმენით მწველთა დაცვის ლიგა, მე კი სულითა და გულით შემოგენე-

ვით არამწველთა დამხმარე ჯგუფით! რას იტყვით მწველებზე, როგორც მნიშვნელოვან დასაყრდენ მასაზე მემარჯვენე პოპულისტი კონტრეკოლუციისათვის?

*სტატია დაწერილი უნდა იყოს 1993-95 წლებში, ბილ კლინტონის გაპრეზიდენტების შემდგომ*

მაია დე გრაფი ნადარეიშვილი

## პალმა რომ მაღალი გაიზარდოს

თუ ქარის ნისკვილებს არ ეომა, დონ კიხოტი თავის მეობას დაკარგავს. აშშ-საც მუდმივად სჭირდება საკუთარ „ქარის ნისკვილებთან“ შერკინება. ადრე თუ მიზანში საბჭოთა კავშირი ჰყავდა ამოღებული, დღეს აღმოსავლეთშია გაჭრილი. ესპანელი იდალგოს მიბაძვით, დევიზიც კარგა ხანია შეარჩია: მსოფლიო წესრიგის დამყარება. და სკდება ერაციის უდაბნოთა თავზე 3 ათას დოლარიანი ჭურვები დემოკრატიის სახელით. დრომოჭმული ანეკდოტის ანალოგიურად, ბინ ლადენს იქ ეძებენ „სადაც სინათლეა“, აბა, სადაც ნომერ პირველი ტერორისტი ცხოვრობს, „იქ ხომ ბნელა“.

ისტორიის გაკვეთილებს ხელისუფალნი უმეტესწილად უფრო მეტი ძალაუფლებისა და ქონების მოსახვეჭად იყენებენ. წარსულის შეცდომებზე დაფიქრება არააქტუალურია. ალბათ, ამიტომაც ვპროგრესირებთ სპირალის პრინციპით – მსგავსი შეცდომების გავლა ლამის ყოველ შემდგომ თაობას უწევს ისტორიული რიმიქების სახით. ამის საილუსტრაციოდ ძალზე მარტივ, თუმცა მეტყველ ნიმუშებს მოვიყვან.

მე და ჩემი ძმა „განიარალობანას“ ვთამაშობდით ბავშვობაში – ნაძვებიდან ჩამოცვენილ გირჩებზე დავბტოდით, ვითომ ბომბებს ვანადგურებდით, როცა მარგარეტ ტეტჩერსა და მიხეილ გორბაჩოვს განვასახიერებდით.

უმცროსი დეიდაშვილის პირველი სიტყვა „ჯოს“ იმიტომ გახდა, რომ თავისუფლების დროშები ზუსტად მისი ფანჯრების წინ ფრიალებდა „რუსთაველზე“, როდესაც „სა-ქარ-თვე-ლოს გა-უ-მარ-ჯოს-ჯოს-ჯოს“ სკანდირებდა ეგზალტირებული მასა.

წლის არ იყო ჩემი შვილი, სიტყვა „ამერიკა“ რომ თავისით ისწავლა ტელევიზორიდან. საახალწლოდ კიდევ ერთი სიურპრიზი მოგვიჩნყო, როცა ისევ ტელეეკრანიდან ათვისებული შალახო შეასრულა შესაფერისი მუსიკის თანხლებით.

ეს სამი თაობაა, არცთუ დიდი ასაკობრივი განსხვავებით და მხოლოდ ორი ათეული წელია გასული პირველი ეპიზოდიდან მესამემდე.

მსგავსი მოგონებები, ალბათ, ბევრს ექნება. ხშირად უფროსებს დაკვირვებისთვის არ სცალიათ, თორემ ბავ-

შვები საკმაოდ ეფექტურად ისრუტავენ აქტუალურ მოვლენათა არსს და თავისებურად რეაგირებენ. მედიაც ნაკლებად ცდილობს მცირეწლოვანთა სერიოზულ რეციპიენტებად აღქმას, ზოგ ქვეყანაში მხოლოდ მანიპულირებს მიმნდობი აუდიტორიით. ფაქტია, პოლიტიკური წრებრუნვა აისახება როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე ცალკეული ოჯახისა თუ თითოეული ინდივიდის შემთხვევაშიც.

1979 წელს მომხდარმა ირანის რევოლუციამ ტახტიდან ჩამოაგდო პროგრესულად მოაზროვნე შაჰი მუჰამედ რეზა, რომელსაც ე.წ. თეთრი რევოლუციის შემდეგ წელნელა დემოკრატიული მომავლისკენ მიჰყავდა ქვეყანა. მოგვიანებით, აიათოლა ხომეინის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა ირანი შუასაუკუნეების რელიგიური ფანატიზმისკენ მიაბრუნა.

ერაყის ყოფილმა დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა საკუთარი ცხოვრების კრეოდ გაიხადა გამოთქმა – „პალმა რომ მაღალი გაიზარდოს, ქვედა ტოტები უნდა შეაჭრა“. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პოლიტიკური „წმენდა“ ჩაატარა. საკუთარი ხალხის რეპრესირებისთვის ჰუსეინი სინდისის ქენჯნას არასდროს შეუნუხებია. ბევრს დღემდე ახსოვს 2003 წლის დეკემბერში საინფორმაციო არხებით გავრცელებული კადრები, რომლებშიც ქალაქ ტიკრიტის მახლობლად, სამალავში ნაპოვნი ერაყის დიქტატორის გაოგნებული თვალები იყო მოქცეული ფოკუსში. მას თითქოს ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ამქვეყნად მისი მომრევი ძალა არსებობდა. ვერ გაითვალისწინა დიდებისა და ხელისუფლების მწვერვალზე მოქცეულმა დიქტატორმა, რომ ტოტებადსახეპილი პალმის წვერო მისი ამბიციების სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. სასამართლოს წინაშეც არ ცნო თავი ბრალეულად, ვერ შეეგუა იმ რეალობას, რომ მისი უკიდევანო თავისუფლება დამთავრდა.

სიმბოლური იყო 31 დეკემბერს მისი სიკვდილით დასჯა – დასრულდა წელი, დასრულდა მთელი ეპოქა არა მარტო ერაყის, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც. არცერთ საინფორმაციო წყაროს გაუმახვილებია ყურადღება ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებმაც მთელი ცხოვრება თუ არა, ნახევარი მაინც ჰუსეინის დიქტატურის პერიოდში გალიეს. მსოფლიოთი მობურთალი პოლიტიკოსებიდან ნაკლებ საგარაუდოა, რომ ვინმე თუნდაც წუთით დაფიქრდა, ამ ხალხისთვის რა დასრულდა ან რა დაიწყო ყოფილი დიქტატორის სიკვდილით.

საიდან მოვიდა „ერაყის ლომი“ ან რატომ ჩაესვენა ნაადრევად მისი კაშკაშა ვარსკვლავი პოლიტიკური ზეციდან?

ერაყიდან შორს, ატლანტის ოკეანის გადაღმა მშვიდად ცხოვრობს ჩე გევარას მხცოვანი თანამებრძოლი. ოდესმე კუბაშიც დასრულდება ისტორიის ერთი დიდი თა-

ვი. მედიის ყურადღება კასტროს გარშემო იტრიალებს, თუმცა ხანმოკლედ. მსცოვანი პინოჩეტის გარდაცვალება ხომ ფართოფურთით გაშუქდა. სწრაფად მიეცა დავინწყებას ჩილეს ხანგრძლივი და სისხლიანი ეპოქა.

დიქტატორები მოდიან და მიდიან. ამგვარად უზრუნველყოფენ სვავივით გაუმადლარი მედიის საკბილოთა გრძელი სიის მრავალფეროვნებას საინფორმაციო მენიუში. სწრაფი კვების პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნის ანალოგიურად, უხარისხო, მაგრამ იმნუთიერი ამბების მიწოდებას უფრო აფასებს მასა პარალელურ რეჟიმში მომუშავე რეპორტიორებისგან. ინტელექტუალური მაყურებელ-მსმენელ-მკითხველისა და ჭეშმარიტი გურმანის ნაკლებობა ითვლება დღევანდელი მედიასიტუაციის მიზეზად. სინამდვილეში ეს საბაბიც „მეორე უძველესის“ წარმომადგენელთა შეითხნია.

საინფორმაციო ნაკადი თანამედროვე მსოფლიოს გიჟურ ტემპებს არა მხოლოდ მიჰყვება, არამედ ცდილობს ერთი ნაბიჯით გადაუსწროს, თუ მოახერხებს. თანაც, წარსულში ქექვა ჟურნალისტიკის საქმე როდის ყოფილა. საარქივო მასალებსაც მხოლოდ დღევანდელ დღესთან რეზონანსის გამო თუ მიმართავენ. მათი დევიზია „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს“. 21-ე საუკუნის ტემპების გამო უკვე ამასაც უბოდიშოდ ამოკლებენ და მარტო „გაუმარჯოს მეფის“ გამოცხადებას ჯერდებიან.

ოპერატიულობა და სენსაციურობა თანამედროვე ჟურნალისტიკური კოქტილის ძირითადი კომპონენტებია, დანარჩენი – გემოვნებით. ვისი გემოვნებით, ეს უკვე ინდივიდუალურად წყდება. ვინც მეტს იხდის, რეცეპტსაც ის იგონებს. მერე მიღებულ ნარევს ელექტორატს აწვდის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. თუ ხალხმა „შეირგო“, გამეორებას წინ რალა დაუდგება და ასე იძირება პოლიტიკოსთა ახალი სტერეოტიპები. აღარავის



სადამ ჰუსეინი

ადარდებს, „მეფე შიშველია“ თუ არა. მთავარია საყოველთაო ეიფორიით ტკბობა. „მეფედ“ გამოცხადებული მალე თვითონაც ირწმუნებს საკუთარი იმიჯის მართებულობას. ასე გაგრძელდება, ვიდრე პოლიტიკური ძალების გადაწინაღობის შემდეგი ეტაპი დადგებოდეს. მედია დროებით ისევ მეოთხე ხელისუფლების ილუზორულობის ბანგს იგემებს და ხალხს ახალი ეიფორიისთვის მოამზადებს შემდეგი „მეფის“ დასახვედრად.

აქტიურ, ცოცხლად დარჩენილ პოლიტიკოსებსაც და ხალხსაც მალე შემდეგი გზაჯვარედინი ელოდება. არა მხოლოდ აქ, საქართველოში, იქაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში. საით ნავალთ და როგორი სამყაროსკენ, ეს არჩევანზე დამოკიდებული. ოღონდ არა ჩვენს არჩევანზე. ხალხი ხომ მხოლოდ იარაღია ჭკვიანი მოთამაშის ხელში, რომლის ვინაობას მედია გაგვიჩვენებს პოსტ-ფაქტუმ. მეტი არც ევალება და ნურც მოვთხოვთ. საინფორმაციო ტექნოლოგიებიც, ფართო გაგებით, მხოლოდ საშუალებაა იმავე უჩინარი გონის არსენალში. ერთადერთი სწორი გადანაცვტილება იქნება, არ შეშინდეს კაცობრიობა, უკან არ მობრუნდეს, თორემ კოჭლი ცხვარი ისევ თავში მოექცევა ფარას, ვიდრე ყოჩი კუთვნილ ადგილს დაიბრუნებს და ყვარყვარიზმს ჩვენი ცხოვრების წლები შეენიერება. თუ მაინც ასე მოხდა, ჩვენდა უნებურად ან უკითხავად, ესეც იმ ჭკვიანი მოთამაშის ზუსტი სვლის შედეგი იქნება, რომელსაც ნიკანდრო ქირიასავით იოლად სამართავი პრიმიტივი ურჩევნია ხელისუფლებაში, ნაკლები პრობლემები რომ შეუქმნას.

ბებერი ჩარლის სიტყვები ადამიანურობის შენარჩუნებისა და გადარჩენისათვის საჭირო ძალას გვაძლევს: „ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა. ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას ერთნაირად დაგვანათის“ მეც, თქვენც და მათაც – ტოტებდასხეპილი პალმის ძირას თუ წვერზე...

ქრონიკა

ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ვახტანგ ჭაბუკიანის ხსოვნას მიეძღვნა პრემიერა – ლოპე დე ვეგას პიესა „ცხვრის წყაროს“ მიხედვით მისი ლიბრეტოთი და ქორეოგრაფიით დადგმული ბალეტი „ლაურენსია“ (ქორეოგრაფ ნუკრი მაღალაშვილის რედაქცია).

სპექტაკლის დაწყებამდე თეატრის ცისფერ დარბაზში გაიხსნა ვახტანგ ჭაბუკიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა, რომელზეც ფოტომასალის გარდა წარმოდგენილი იყო ძველი პროგრამები, აფიშები, ალბომები, კოსტიუმები, რეცენზიები ქართული, რუსული და უცხოური პრესიდან. მნახველთა ყურადღება მიიპყრო დარბაზის ცენტრში გამოფენილმა სკულპტურებმა: ვახტანგ ჭაბუკიანი – ოტელიო (მოქანდაკე ქეთევან ჯაფარიძე) და ვერა ნიგნაძე – ლაურენსია (მოქანდაკე პაატა გიგაური).

სპექტაკლის დაწყების წინ საბალეტო დასის ხელმძღვანელმა ნინო ანანიასვილმა და თეატრის გენერალურმა დირექტორმა და-

ვით საყვარელიცმ სასიამოვნო ინფორმაცია მიანოდეს აუდიტორიას – ახლახან აღმოჩენილ ორ უსახელო ვარსკვლავს მათი თხოვნით ვახტანგ ჭაბუკიანისა და მისი უცვლელი პატრონის – ვერა ნიგნაძის – სახელი მიენიჭა. ოფიციალურ სერთიფიკატთან ერთად ქალბატონმა ვერამ ყვავილები და მაყურებელთა ხანგრძლივი ტაში მიიღო.

თეატრში შეკრებილი საზოგადოება იმ დღეს არაჩვეულებრივი წარმოდგენის მოწმე გახდა. თუმცა სპექტაკლის ბოლოს მაყურებელს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა: ფრონდოზო-დავით ხოზაშვილისა და ლაურენსია-ლალი კანდელაკის ფინალურ ცეკვას ჩაენაცვლა ჭაბუკიანი-ნიგნაძის დუეტი კინოფილმიდან.

ანწყოსა და წარსულის, რეალურისა და ვირტუალურის ამ წარმატებულმა შერწყმამ დარბაზში ცრემლი და დიდი ოვაცია გამოიწვია.

გარეთ კი ცაში, წვიმისა და ღრუბლების ზემოთ ციმციმებდა ორი ახალი ვარსკვლავი „ვახტანგ ჭაბუკიანი“ და „ვერა ნიგნაძე“...

როცა ვიბადებით, გვხვდება სამყარო „უთვალავი ფერითა“. ეს ფერები ისეთივე ბუნებრივი და ორგანულია ჩვენთვის, როგორც დედის წიაღში ყოფნისას მაცოცხლებელი, ღვთაებრივი წყლები. ამ დროს ქვეყანა ერთი გაბმული, ფერადოვანი დღესასწაულია, და გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ ამ დღესასწაულს არაფერი ემუქრება.

მხოლოდ მერე, როცა გარკვეული წლები ჩავლილია, როცა დრამატული თუ ტრაგიკული მოვლენებით სავსე ცხოვრება გამოცდილებად იქცევა, იწყება თვალის ახელა, ერთგვარი „მოქცევა“, სამყაროს ჭეშმარიტი (ფუნდამენტური) ღირებულებების ხელახალი აღმოჩენა და გააზრება.

სწორედ ეს ხდება წინამდებარე მოთხრობაშიც. გმირის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯის, ხატის, ხმის, ფიქრის, სისავსისა თუ სიცარიელის, ყვავილის, პეიზაჟის, სახლისა თუ ჩქამის, სულიერისა თუ ცხედრადქცეული ძვირფასი სახის ისეთი სიღმისეული და უზუსტესი დეტალიძება მიმდინარეობს ჩვენს თვალწინ, რომ მკითხველი ამ, ერთი შეხედვით, მდორე ამბის ემოციური თანამონაწილე და ჭირისუფალი ხდება.

იოსებ იარლანაშვილის მოთხრობის – „მწვანე... ნითელი...“ – მთავარი გმირის, ბერას, დაბრუნება უძღები შვილის დაბრუნების კიდევ ერთი წარმატებული ლიტერატურული ვერსიაა.

იოსებ იარლანაშვილი

# მწვანე... ნითელი...

სოფელს საღამოსთან ერთად ვსტუმრობთ... იქნებ არცა ვარ სტუმარი?! ბინდის სიმუქეში ამაოდ ვაფრიალებ მოგონებებს. „რა გიკვირს, ასაკია, რაც აქ არ ყოფილხარ! თექვსმეტი წელი ცოტა როდია!“, ვუმეორებ საკუთარ თავს. დროდადრო მძლოლის ხმა მაფხიზლებს, როცა კითხვას შემომკრავს-ხოლმე, ახლა საითო.

ავტომობილი რწვეითა და ტორტმანით მიიწევს ოღრო-ჩოღრო გზაზე. ძრავის დახშულ ხმაურს საბურავებიდან დამსხლტარი ქვების ჭახანიც ერევა. მძლოლი დაძაბულ მზერას ადევნებს ფარების შუქს, წამიერად რომ ეხავეს ჩაბნელებული შუკის ფრაგმენტებს. ორივე ვენევით და სალონში თამბაქოს სუნი ტორტმანებს...

ყორეებზე გადმომდგარი ძაღლები გაავებული ყეფით გვაცილებენ. პირუტყვი ამ დროს უკვე დამწყვედეულია.

– შორია? – ისევ მეკითხება მძლოლი.

– რამდენიმე სახლიც და... – ნამწვავს სიმუქეში ვისვრი.

ფანჯრებში მბჟუტავ შუქებს ვხედავ – ზოგან ლამფა ანთია, ზოგან – სანთელი...

ვფიქრობ და დაცარიელებულ წარსულთან შეხვედრის წინ საკუთარი სიმშვიდე მაოცებს. დიდი დროა აქ არ ვყოფილვარ. ვინც დავტოვე, არავინ დამხვდება: დედა, მამა... ძმას მხოლოდ მე ვნახავ...

ფართოდ გაღებულ ჭიშკარს ვუახლოვდებით. სახლის ყველა ფანჯარაში შუქი კრთის. ეზოში ადამიანთა ჩრდილებს ვხედავ.

– აქ გააჩერეთ! – ვუბნები მძლოლს.

მანქანიდან გაზაფხულის სუსხიან ლამეში ვინაცვლებ... და სიგარეტს უყუიდებ. საკუთარი სუნთქვა სანთებელას ალზე პატარა თეთრი ჯინივით იფორმება... და ცივი ჰაერის ლუკმა ხდება.

მძლოლი ძრავას ადუმებს. ეზოში შევედივარ და სახლისკენ მივავიჯებ. ჩრდილები ჩემკენ მოემართებიან. ისევ ყეფენ ძაღლები, სადღაც საქონელიც ბლავის... თვალი გვერდით ეზოში – ჩაბნელებული მშობლიური სახლისკენ გამიბრბის...

უკვე პირისპირ ვდგავართ.

– მე ბერა ვარ! – ვამბობ განაჩენივით.

უმალ შეძახილების გარემოცვაში ვექცევი:

– შეხედე, ბერა ყოფილა!

– ჩვენ ხვალისთვის გელოდით!

– მადლობა ღმერთს!

– მშვიდობა შენს მობრძანებას!

შემდეგ ხელების ტყვე ვხდები – ერთნი მხარზე მითათუნებენ, სხვები – რიგრიგობით მესალმებიან... მაგარი და გაუხეშებული ხელებია. სოფელმა იცის ასე. მამასაც დაკოჟირილი ხელები ჰქონდა. ალბათ, ძმასაც... მეხვევიან, მკოცნიან. სახეებს ვერ ვხედავ.

ხმაურზე სახლიდან ქალი გამოდის.

– ბერა ჩამოვიდა! – უმალ ეხმინება დამხვდურებიდან ვილაც. ქალის შეძახილით ვსაზღვრავ მის აღმფოთებას – ბრუნდება და ასხლტელივით უმალ სახლში ინთქმება.

– შინ შემობრძანდით! – რამდენიმე ხელი იქეთ მიმაქანებს, – მარტო ხარ?... მანქანაში დარჩა ვინმე?... მეკითხებიან ხმამაღლა, ლამის ყვირიან.

– მძლოლი, მხოლოდ! – ვხმადობლობ პასუხს.

სახლიდან ქალები გამოდიან. ერთ-ერთს ხელში ლამფა უჭირავს. ყველანი თალხებსა და ძაძებში არიან. მოაბიჯებენ და თან ერთგვარ მისტიკურ სურათს ჰქმნიან: შავებში მოსილთ ლამფის შუქზე სახეებთან თბილი სუნთქვა უბოლავთ.

– როგორ ხარ, შვილო?! – სახეზე მოხუც ხელებს ვგრძნობ. ქალი ლოყაზე მკოცნის. მის ხმაში ყალბ ნოტებს ვიჭერ. – მე არ გემასხოვრებ! – თითქოს თავს იმართლებს მერე. ასეთნი სხვებს ასწრებენ ყოველთვის.

– მშვიდობა შენს ჩამობრძანებას, შვილო! – ამჯერად სხვა ხელები, სხვა სახე, სხვა ხმა... – როგორ გელოდა უბედური შენი ძმა?!

ანაზღად ყველანი განზე იწვევიან. ჩემსკენ შუა ხნის ქალი მოდის, ისიც შავებშია. ვხვდები – ძმის ცოლი უნდა იყოს.

– მოდი, ბედისა, შვილო! – ხელს აყოლებს მოხუცი ქალი.



ყველანი ჩუმდებიან. წამიერად ადამიანთა დუმილსა და ძაღლების ყეფას რჩება სივრცე.

– გამარჯობა! – ამბობს ჩუმად ქალი. ლამფის შუქზეც ვამჩნევ – წყლიანი, სველი თვალები აქვს. ალბათ უფრო ნამტირალევი.

გარშემო უხმოდ გვიცქერენ, ყველას სიჩუმე აზის მხრებზე.

– გაგიმარჯოთ! – ვიდრე გადავეხვევი, ქალი ტირილს იწყებს, მხრები უცახცახებს და თრთის. – უკანასკნელ წუთამდე გელოდა! – ამბობს თან.

ზურგიდან საყვირის ხმა მწვდება. მძლოლი გაბრუნებას ჩქარობს. ბნელა, თორემ არც ისე გვიანია – ამ დროს მთაში დღე მალე იღამებს. ყველანი ცოცხლდებიან და ერთად სიტყვობენ:

– მძლოლს შემოვიყვან! – მიემართება ვიღაც ჭიმკრისკენ.

– სახლში შევიდეთ! – უცნობი ხელი კარისკენ მენევა.

– ჰო, შევიდეთ! – ეთანხმება ერთი, ქალთაგან.

– მანქანაში ბარგია. – ვამბობ და ხელების ტვერში საპირისპირო მხარეს მივიწვევ.

– ბარგსაც მოვიტან და მძლოლსაც მოვიყვან! – კატეგორიულობით მარწმუნებს ვიღაც.

თითქოს მძლოლი ჩვენს საუბარს გრძნობს – ისევ ნიშანს გვაძლევს.

– არა, მძლოლი გაბრუნდება, ჩქარობს. მხოლოდ ბარგია გადმოსატანი...

– ჩვენ გადმოვიტანთ... – ხმა უკვე მშორდება.

მე კი ხელები სახლისკენ მაბრუნებენ. ხელებს ხელები ემატება... და ერთად კარისკენ მივაბიჯებთ.

ოთახში მხოლოდ ცხელ ჰაერს ვავიწროვებთ – ყველანი ფეხდაფეხ მომყვებიან. კუთხეში სანოლზე საბნიდან ამომძვრალი ბავშვი მიმზერს.

ვხვდები, რადგან შორეულ წარსულში ვხედავდი მსგავს სახეს. ბავშვს თავთან გოგონა უზის, ხელში წიგნი უჭირავს და ისიც მონუსხული მიცქერს.

– ძია ჩამოვიდა, შეილო! – ამბობს ბედისა, როცა ბავშვი მზერას უნილადებს.

ნაბიჯს ვდგამ. ბავშვი მკლავებში მიძვრება... და მის ხელებს ზურგზე ვგრძნობ. ლოყა ცხელი აქვს, დამწვას ლამის. ყურთან მისი სუნთქვა მეთობა. ჩუმად ვართ. ცრემლი ბედისწერას მსგავსებია – მომველინა და თავისი გაიტანა. თვალები მენვის. ისევ ჩუმად ვართ. ხმელი შემატკრციალებს მხოლოდ. დრო ცრემლივით მიდის – შეუმჩნევლად, ვისთვის ღაპა-ღუპით, ვისთვის – თქრიალით.

ბავშვი რომ მცილდება, გოგონა უკვე ფეხზე დგას. მის მორცხვობას ჩემი სიხარული სჯაბნის და გულში ვიკრავ. თმაზე კვამლის სუნი აქვს... – შორეული... მშობლიური. მხრები სუნთქვაზე აუღ-ჩაუღის...

– დედა, ავდგები! – ითხოვს ბიჭი.

– იწეი, შეილო! – პასუხობს ნამტირალევი ხმა.

– ავდგები, რა?! – იმეორებს ბავშვი.

– არა, მეთქი, ბაქარ! – ამჯერად პასუხი კატეგორიული და დამაჯერებელია. მერე გოგონას უბრუნდება – მზენა, დააძინო, ეგებ.

წიგნიანი ხელი ზურგიდან მიქრება. გოგონა სკამს უნაცვლებს ადგილს და ძმას უყურებს.

– თანდილა მანახეთ. – ვუბრუნდები ბედისას.

ოთახში ორნი შემოდინ – ჩემი ბარგი ხელში უჭირავთ. იქვე კართან ალაგებენ და თავის მართლებასავით აღიარებენ:

– მძლოლი არ გაჩერდა, წავიდა! – ამბობს ერთი.

– მეჩქარებაო! – უდასტურებს მეორე.

ისევ ბედისას ვუბრუნდები.

– აქეთ ოთახშია! – ამბობს ბედისა და გვერდით კარში უჩინარდება.

...ჩაბნელებულ კონტურებს სანთლის შუქი პატრონობს – ერთი საყინულის თავთან თრთის, ორი – ოთახის კუთხეებში. გარეთ გასასვლელ კარში სიბნელე დგას. კედელთან სკამები მწკრივობს – უზურგო, მრგვალი, ოთხკუთხა... ყველა ნანათხოვარი ავეჯია.

ზურგიდან ჩემი ტირილი და კენესა მესმის. მოგრძო მართკუთხა სიშავეს მარტო ვუახლოვდები.

– თავი გადავხადოთ! – ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ და ვუკიდებ – ... და მარტო დამტოვეთ! – ვითხოვ, როცა უკვე თამბაქოს კვამლს ვგრძნობ.

ქალები გავიწვინ. კაცები საყინულესთან მიდიან. ორნი კეცვით იღებენ ხავერდის შავ გადასაფარებელს. საყინულე ფიცრულზე დგას. ქსოვილი იატაკამდე ჰფარვიდა მას.

თავსახურს რამდენიმე წყვილი ხელი სჭირდება – დიდა და მძიმე – ფიცარს თუნუქი აქვს ამოჭედებული. ვიდრე ყველანი არ გავლენ, საყინულეს თვალს ვარიდებ.

თავსახურს იატაკზე დებენ სკამებზე მიყუდებულს. სანთლის ალები სხეულთა მოძრაობებზე თრთიან და კრთებიან.

ოთახი ნელ-ნელა ცარიელდება. მარტო ვრჩები. ორივე კარს ვზურავ და საკუთარი წარსულის ხილულ დასასრულს ვუახლოვდები.

საყინულე რკინისაა, ღრმა და დიდი. ძმა მხრებამდე ზენარგადაფარებული ასვენია აქა- იქ ყინულდადებული...

სახე... ტკივილია ასეთი – არის მასში რაღაც ნაცნობიც და უცნობიც. ფართე შუბლი, ამოზურგული ცხვირი, წამოწეული ნიკაპი – იმდენად მშობლიურია, რომ წლების შემდეგ ნახვევშიც იცნობა იგი... ჭაღარა მეუცხოვება (თუმცა, ველოდი)... ჩავარდნილი და ჩამუქებული უპეებიც და დაბერებული, დანაოჭებული სახე, დროს რომ ნაადრევად დაუტოვებია ზედ ცხოვრების ნაურმალები. ჩემი ურმის კვალი, ალბათ, ყველაზე მეტია.

რამდენჯერ შემოუხედავთ ამ თვალებს?! ამ ტურებსაც არაერთხელ უმეტყველნიათ და გაუღიმიათ ჩემთვის... რომ ვიზრდებოდი, ამ სახეს ვხედავდი... საკუთარი ღიმილი მინახავს ამ სახეზე... საკუთარი ცრემლი... ამ სახეზე მომფერებიან და გაურტყამთ ჩემთვის...

ახლა კი როგორ დალეულა?! შეხებას ვერ ვხედავ, რადგან იგი დანაშაულიც არის ჩემი და სასჯელიც... სხეულიც ისეთი სუსტი და უმწეო ჩანს!.. სველი ზენრის ქვეშ ყინულის ნატეხები კიდევ უფრო აზუსტებენ კონტურებს...

ისევ სახეს დავყურებ... რასაც ვხედავ იმაზე მძაფრია, ეს სახე რომ მაგონებს. იქნებ ამიტომაც არ მაკვირვებს საკუთარი თვალის სიმშრალე...

კარი იღება და ღიობში სილუეტს ვხედავ. მოხუცი სხეული ხელჯოხზე ეყრდნობა და ისე შემოდის.

– მითხრეს, მარტო ყოფნა ისურვაო. მე მაინც შემოვედი. – ამბობს მოხუცი. ვერც ხმაზე ვერ ვცნობ. ნაბიჯს გაჭირვებით ინაცვლებს. – არ მიწყინო, შვილო! გულმა არ მომითმინა.

სანთლის შუქზე რომ მიახლოვდება, დგება. უკვე ვცნობ – ძია ნიკო – ჩვენი მეზობელი და მამის მეგობარი.

– მიცანი, ხომ?! – ალბათ, სახეზე მამჩნევს. ისევ ჩემკენ მოიწევს.

ვიდრე ერთმანეთს გადავხვებით, სახეზე მაცქერდება. მზერა სველი აქვს...

– რამდენი წელია, რამდენი წელი?!... – ყურთან ჩამესმის მისი ხმა – როგორ ხარ?

არაფერს ვპასუხობ, ისევ თვალებში ვუყურებ, ცრემლებს რომ ამნიფებენ.

– არ გვეგონა, თუ ჩამოუსწრებდი. – ძია ნიკო თავს ძმისკენ აბრუნებს.

– არც მე მეგონა. შემთხვევის წყალობით მოვახერხე. – ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ და ვიდრე მოვუკიდებ, კოლოფს მოხუცს ვუნჯდი.

– არ მინდა! მივატოვე კარგა ხანია. – ძია ნიკო საყინულეში იმზირება. – რომ იცოდე, როგორ გელოდა, უბედური?! – ამბობს დანანებით.

არაფერს ვამბობ. სიგარეტის კვამლი სანთლის შუქზე კვდება. ყვავილების სუნს ნელ-ნელა ვეჩვენე.

– ბავშვებმა იცოდნენ, რომ შენ გემზე მუშაობ. – აგრძელებს და მე მიყურებს. – დაიჯენდა კალთაში ორივეს და უამბობდა ათას მოგონილს შენზე, ზღვაზე, თევზებზე. განსაკუთრებით მაშინ განატრობდა, საჭმელს რომ ვჭამდით – ვინ იცის, იქნებ მშიერია ახლაო...

კარი იღება და დამხვდურები რიგ-რიგობით შემოდიან. ჩემი მარტოობა უკვე დარღვეულია. ადამიანებს მიბაძვა ინსტიქტში აქვთ. მხოლოდ სიკვდილზე ვერ იტყვი ამას.

ღიად დარჩენილ კარში, მეზობელი ოთახიდან ბავშვის მუდარა მესმის:

– დედა, ავდგები რა?!

შემოსულები კედელთან მწკრივდებიან. ზოგი ჯდება, ზოგიც დგომას ამჯობინებს.

– ესენი ხომ იცანი? – მეკითხება ძია ნიკო.

ჩემი ყურადღება მხოლოდ ახლა იცლის მათი სახეებისთვის.

– ეს კაცი ჩემი სიძეა, მალხაზი – ძია ნიკო მალხაზზე უთითებს და ისიც ხელს მართმევს.

– ეს ბაჭუაა. შენ არ გეცოდინება – ასაკზე ეტყობა, რომ ჩემზე ბევრად უმცროსია.

– ეს კიდეც მინდია – ჩვენი სოფლის სიძე. ამ კაცს კი ალბათ იცნობ – ძია ნიკო გამომცდელად მიყურებს.

უჩაა! მოკრძალებულ ღიმილზე ვცნობ. სკოლაშიც ასე იყო. ერთ მერხთანაც კი ვმსხდარვართ.

– როგორ ხარ? – მეკითხება.

ძნელია სალამში ჩაატიო რას გრძნობს უცხო ქვეყნის ციხიდან წლების შემდეგ ერთადერთი ძმის დაკრძალვაზე შინ დაბრუნებული კაცი. მიხვედრილი ადამიანისთვის დუმილი უცებ ამბობს ყველაფერს.

– შვილები გყავს? – კითხვას ვიშველიებ.

– ორი! – ელიმება უჩაას, – გოგო თხუთმეტი წლის, ბიჭი – თერთმეტის.

კითხვა კიდეც ბევრი მაქვს... სხვა დროს იყოს...

– კარგი, გვეყოფა ახლა! – ძია ნიკო ჩემით დანწყებულ მზერას გარშემო არიგებს. – ვავახშმოთ კაცი, დაღლილი იქნება... დაისვენოს. ხვალ კიდეც უამრავი საქმე გვაქვს. – მერე უჩაას უბრუნდება – დაახურეთ! – მე კი მხარზე ხელს მადებს – წამოდი, გავიდეთ!

ისევ ჩახუთულ ოთახში ვინაცვლებთ. კუთხეში მაგიდა იწყობა – ქალები მალიმალ მიდი-მოდიან და ჭურჭლის ლაგების ხმა ისმის. ბაქარი სანოლზე წამომჯდარი მიცქერს. მზეხაც იქვე ზის. უკანა კარიდან ბედისა შემოდის, მკრთალ შუქზეც აშკარაა – თვალები ჩანითლებული აქვს.

სანოლთან მივდივარ და იქვე ვჯდები.

– ძია, ბერა, გემზე ხომ აღარ წახვალ? ჩვენთან ხომ დარჩები? – ბაქარი უმალ ჩემთან ჩნდება და კალთაში კითხვებს მილაგებს.

ვრჩები-მეთქი, ვარწმუნებ და ბავშვი კისერზე მეხვევია. წამით ყველა ჩვენ გვიმზერს.

– სანადიროდ ხომ წამიყვან? – მეკითხება ისევ.

– წაგიყვან! – ვპირდება.

ბედისა თვალზე ცრემლს ინმენდს.

– თოფი ძველ სახლშია! – ბაქარი სიხარულით ხტომას იწყებს. მზეხას ხელები კალთაში წიგნზე უწყვია და ისევ გვიმზერს.

– ბერა, მოდი, მოინი – ძია ნიკო, რომელიც უკვე განწყობილ მავნებასთან ზის, თავისთან მიხმობს. გვერდითი ოთახიდანაც გამოდიან. – მოდით, მოდით! – ძია ნიკო მათაც ეხმიანება.

სუფრას მხოლოდ მამაკაცები ვუსხდებით. ერთხანს სიჩუმეა.

ჭიქას პირველად ძია ნიკო იღებს – შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს, შენს დაბრუნებას!.. ამიერიდან ბედნიერება ყოფილიყოს შენი არსებობა!..

როცა ყველას შემდეგ მადლობას ვამბობ და ჭიქას სავსეს ვდგამ, ძია ნიკო გაკვირვებული მიყურებს.

– არ დალევ?!

– არა! – ვუარობ. – ერთი კაცის ასაკი იქნება, რაც აღარ დამიღვევია, არ მინდა!

– არც გენატრება? – არ მეშვება ძია ნიკო.

– ერთადერთი ეგაა, რაც არ მენატრება.

– როგორც გენებოს! – აღარ მეძალეება ძია ნიკო.

მეორე ჭიქით თანდილას ხსოვნისას ამბობს. სულ ხუთი თუ ექვსი ჭიქა ისმება. ყველანი მალე მიდიან.

ღამით ძველ სახლში ვითხოვ დარჩენას. როცა სახლი მოსულთაგან იცლება, ბავშვებს შუბლზე ამბორით ვემშვიდობები. კართან ბედისა ანთებულ ლამფას მანვდის:

– ბუხარში ცეცხლი ანთია. სანოლიც დაგებულია. – თვალზე ცრემლს ინმენდს. – თანდილა ყოველ წუთს გელოდა. სახლში ყველაფერი ძველებურადაა. ხანდახან თვითონაც იქ ათევდა ღამეს.

არაფერს ვამბობ... ვბრუნდები და ღამით ხელში გაზაფხულის სუსხიან ღამეში მივაბიჯებ. ცივ ჰაერთან ერთად, დამწვარი ნავთის სუნიც ერევა სუნთქვას.

სახლი გვერდით ეზოში დგას. მოკლე ბილიკი ბალახოვანში უხვევს.

წარსული წინკარში იწყება... ბავშვობაში მე და თანდელა აქედან ვუცქერდით ზაფხულის წვიმას...

სიჩუმეში ხის იატაკზე საკუთარი ნაბიჯების მეტყველება მესმის. ორი კარიდან ჯერ მარცხენას ვირჩევ. ძველი მოგრძო გასაღები ცივია. საკეტში ხმაურით ბრუნდება და კარიც დამწყვედულ წარსულში გზას მითმობს.

ძველი ავეჯის სუნი ზღურბლზევე მეგებება. კედლები, განჯინა, მაგიდა. ბუხართან სამფხვა სკამები – ყველა ნაბლის ხის შვილები არიან. ამ სუნს, ალბათ, წყალქვეშაც ვიცნობ... სიგარეტსაც არ ვუკიდებ, თამბაქოს სუნმა წარსულის სუნთქვა რომ არ შებღალღოს. ლამფას მაგიდაზე ვდგამ. ყველაფერი ნაცნობი და მშობლიურია... ამგვარ წუთებში ფიქრიც სდუმს... დრო არც არსებობს თითქოს...

ასე ფიქრდადუმებული და წარსულხელჩაკიდებული უკანა ოთახებში გავდივარ. ნაბლის ხის სუნი ფეხდაფეხ დამყვება თან...

გარეთ გამოვდივარ. ერთხანს ღამეს გავყურებ. მთვარის შუქზე მინდორი დიდი ცხოველის ბეწვს შვავს.

ზედ კაკლის ხის ჩრდილი გატოტვილა... კაკაჩი ღამე არც საკუთარ სუნთქვას მიმაღავს, სახესთან რომ მიორთქლდება... სადღაც ძაღლები ყეფენ...

მეორე კარს ვაღებ. აქ ბუხარში ცეცხლი ბუუტავს. დაპობილი შეშაც აწყვია. კედელზე ძველებურად კიდია თოფი. ქვევით საწოლი დგას. თოვლივით თეთრ საბანზე მთვარის შუქი ისვენებს.

ღამფას მაგიდაზე ვდგამ და ბუხარში ცეცხლს ვაფხიზლებ. საკვამური სახლის გულშია ამოყვანილი, ამიტომ ბუხარი ოთხივე ოთახშია.. აქ მშობლებს ეძინათ... საკუთარი ფიქრით დავებორიალებ... კარადასთან მივდივარ. ძველი ტანსაცმლის სუნი უხილავი ხელებით მუდარასავით მეპატრონება მდუმარედ... მშობლების სამოსი სევდასა და სინანულს მოუცვამთ ახლა.. ვერც მათთან შეხებას ვბედავ...

კარადაში თაროზე ვაზნებს ვპოულობ – გადანახული სიცოცხლეებივით აწყვია კოლოფში.

ისევ სიგარეტს ვუკიდებ. თამბაქოს კვამლი უმალ უშინაურდება ოთახს. საფერფლეს ვეძებ. ნაღვერდალი მალე ღვივდება და ცეცხლი ოთახს მეტს სინათლეს მატებს...

საწოლის თავთან სკამზე სიგარეტსა და საფერფლეს ვიმზადებ და ღამფას ვაქრობ – ამ სახლის სიბნელეში

ყველაფერს ისევე იოლად მივაგნებ, როგორც ტკივილს საკუთარ სხეულზე...

თეთრეული ჰაეროვანია და მსუბუქი, ზომიერად უხეში და მკვრივიც – სახამებელში ერთბაშად ვითნქმები... შორს, სხვა სიცოცხლეში, ნარზე გათენებული წლების მიღმა მახსოვს ამგვარი თნება. თითქოს ახლა იბადები... სამყაროც შენი ზომისაა – არაფერია მეტი და ნაკლები...

კარგა ხანს არ მძინავს. ვენევი და ვფიქრობ. უძილობა უახლესი წარსულის სახსოვარია – ნარზე გათენებული თოვლიანი და სუსხიანი ღამეების პირმო. ციხეზე ფიქრიც არ მინდა... პატარა წყენა არ გავინყდება კაცს... ტუსალობაში გატარებული თექვსმეტი წელი მით უფრო...

ციხე საშინელებაა – ხარ საკნის ოთხ კედელში გამოკეტილი და შენამდერიგანად არც სიცოცხლეს უშვებენ და არც სიკვდილს. სადღაც შორიანლოს ძალი შყეფს და მისი გაავებული ხმა სოფელში მაბრუნებს. მთვარე ფანჯარას მიემალა. ბუხარში ცეცხლი იხედნება და ოთახში სითბო ჯირითობს...

ისევ არ მეძინება. ვფიქრობ და ვენევი... დიდხანს ვფიქრობ... ბევრს ვენევი... უკვე მამლები

ყვიან... ძილს ბედნიერებასავით ცოდნია – ეძებ, ცდილობ, იბრძვი... ის კი მაშინ გენვევა, როცა დრო აღარ არის...

ღლით გვიან მეღვიძება. კარგა ხანია ასე ღრმად არ მძინებია. რაღაც მესიზმრა. ჩაცმისას ვცდილობ გავისხენო, მაგრამ უძლური ვარ.

გარეთ გამოვდივარ და სიგარეტს ვუკიდებ. მზე უკვე სიმაღლეზეა. კაკლის ძირში ბალახის ახალ, ხასხასა სიმწვანეზე ნამი ბრწყინავს. თანდილას ეზოდან ადამიანთა ხმები ისმის.

სახლის წინ ისევ მეზობლები დგანან. ძია ნიკოც იქვეა. კედელთან ყვავილები აწყვია, ძირითადად მიხაკები.

მესალმებიან. ვხედავ ბაქარი ჩემკენ მორბის.  
– ძია ბერა, ძია ბერა! – გვერდით დგება და ხელში ხელს მკიდებს. ტანთ ფლანელის კუბოკრული პერანგი, ტოტებზე ტალახშემხმარი შავი შარვალი და ლურჯი ბავშვები აცვია.

– ისაუზმე, – ძია ნიკო სახლისკენ ბრუნდება, – მერე ბიჭები სასაფლაოზე სადილს წაიღებენ. ალბათ, წაყოლას მოისურვებ. მშობლებიც იქ არიან დასაფლავებული. ხომ იცი, გზა შორია. ცოტა დროულად უნდა წახვიდე. აქ საქმე შენ არ გეხება – ბიჭები მიხედავენ.



მხატვარი მზია დედანაშვილი



სახლისკენ ვბრუნდები. ბაქარი თან მომყვება. ოთახში ქალები ფუსფუსებენ. ერთნი ღიმილით მესალმებიან, ერთნი – ცნობისმოყვარე მზერით. კართან ჩემს ჩემოდნებს ვიღებ და გამოვდივარ.

საიდანღაც ბედისას ხმა მესმის – ბაქარს ეძახის. ბაქარი უჩინარდება.

სახლში გადავდივარ... ჩემოდნიდან ფულს ვიღებ და უკან ვბრუნდები.

– აქ ხუთასია, – ძია ნიკოს ბანკნოტებს ვუნვდი, – რამდენიც იქნება საჭირო, დავამატებ.

ძია ნიკო ფულს დაუთვლელად ინახავს. დაკრძალვის საქმეს იგი თავგაცობს.

ბაქარი ბრუნდება და პატარა ხელით ისევ ჩემს ხელს ეპატრონება. ჯიბიდან ფულს ვიღებ და ბაქარს პერანგის ჯიბეში ვუჭმუჭნი.

– ეს შენ! რაც გინდა იყიდე! – ვეუბნები ღიმილით.

ბაქარს ღიმილი აღარ ეტევა სახეზე.

– ფულიანი კაცი ხარ, უკვე. – მხარზე უთათუნებს ხელს ძია ნიკო.

– შეხედეთ! – ყვირის უცებ ბაქარი და ეზოს ბოლოსკენ თითს იშვერს. ყველანი იქით ვიხედებით.

ლობის ძირში პირში წინილგაჩრილი ჟღალი კატა მირბის.

– უკვე მერამდენია! სულ მთლად გაველურდა ტიალი!

– ამბობს ძია ნიკო – ვერც მოკლა ვერავინ!

– მამიკომ თქვა, ბიძაშენი უნდა მაგ საქმესო – ერთგვება ბაქარი.

კატა ღობეზე ძვრება და მიღმა უჩინარდება.

– კიდევ ისე გიჭირს მიზანი? – მეკითხება ძია ნიკო.

– აბა, რა ვიცი! – ვპასუხობ და ბაქარს დავარცხნილ თმებს ვუჩეჩავ.

საუზმის შემდეგ მეზობელ ბიჭთან ერთად სასაფლაოს გზას ვადგებით. კალათი მას მოაქვს, დოქი – მე. ბიჭი გაცილებით უფროსია, საერთო არაფერი გვაქვს მოსაგონარი, ამიტომ ჩუმად მივდივართ.

გზა შორია – მეზობელ ბორცვზე მიუყვება აღმართს. მზე სულ უფრო მაღლა იწევს და ჩვენც სიცხე გვანწვება მხრებზე...

სასაფლაოს ვუახლოვდებით. ჩიტების ჭიკჭიკი ადამიანთა საუბარს და წერაქვის ხმას ირევს.

ჩვენს გამოჩენაზე მუშაობას წყვეტენ. უჩაც აქ არის.

– მოდიო?! – თითქოს თავისთვის, ამბობს ხმადაბლა.

– გამარჯობათ! – ვესალმებით ყველას.

გვესალმებიან.

– კარგი, გავჩერდეთ ახლა, – ბიჭებისკენ ბრუნდება უჩა, – შევჭამოთ რამე.

გარშემო მიწის სუნია – ნახამთრი მიწის სუნია. ბიჭებს ყურადღებას აღარ ვაქცევ. მშობლების საფლავთან რომ მივიდე, სველ მიწაზე ვაბიჯებ... მარცხნივ მამის საფლავია, მარჯვნივ – დედის. ახლა ქვაზე ოვალური სურათებიდან მიცქერენ. თანდილას ახალგაზრდობის ფოტო შეურჩევია – მშობლები ერთად არიან... ვუმზერ და მეჩვენება, თითქოს რაღაცის თქმა სურთ... მეც მივინდა მათთან საუბარი, მაგრამ ახლა არა... მეერ, როცა ყველაფერი ჩაივლის და მართო ამოვალ... უკვე თანდილაც აქ იქნება...

ჩემი მეგზური ქვის მაგიდაზე ტრაპეზს აწყობს. იქვე ბიჭები ხელებს იბანენ.

პირველ ჭიქას მე მანვდიან. მშობლების ხსოვნას ვამბობ და ღვინოს საფლავებზე ვანანილებ...

გზას უკან ისევ დუმილში ვცვებით. ბაქარი ჭიშკართან მელოდება...

თანდილასთან შევედივარ. ოთახში ყვავილების სუნი დგას, სურნელი არა – სუნი, უსულო სუნი. თუმცა მეტ წილად მიხაკებია. ძია ნიკო იქვე ზის.

– დაილაღე? – მეკითხება.

– არც ისე! – გვერდით ვჯდები.

– ბიჭები რას შვრებიან?

– სალამოსთვის დაამთავრებენ.

– ეს ერთი ღამე დარჩა გასათევი თანდილას... ხვალ კი... – ძია ნიკო ოხვრით ამთავრებს სათქმელს. – ამ სახლის აშენება რომ დაიწყო, აქ ყანა გქონდათ. ძველს ხელი არ ახლო, ბერა ჩამოვა და როგორც მოისურვებს, ისე მოიქცევაო... ბოლოს სულ მოუმატა სმას... გელოდა და გელოდა... შენ ახლა ნადი, დაისვენე. – მომიბრუნდა მე. – მალე პანაშვიდი დაიწყება. გასაკეთებელი ყველაფერი კეთდება.

სახლში გადავდივარ – განმარტოებისათვის მხოლოდ და მხოლოდ. ვიდრე წარსული და აწმყო უღმობლად მიყოფენ, ეულობა მირჩევენია... ვწევარ და სიგარეტს ვწვევი... საფერფლე სკამზე ნამწვავებს ველარ იტევს... ბუხარი იმილებს მათ მერე...

პანაშვიდი ადრე იწყება – ვიდრე დღე შებინდებას იფიქრებს. კედელთან სკამებზე ჭირისუფალი ქალები სხდებიან. შუაში ბედისა ზის, გვერდით – მზახა. საპირისპირო მხარეს კართან მე ვდგავარ...

ყველა მოსული ხელს მართმევს. ხელი ბევრია – თბილი და ცივი, უხეში ან რბილი... ზოგნი სახეში მაცქერდებიან, ზოგნი მზერას მარიდებენ... ქალები გამუდმებით მოთქვამენ... დრო და დრო გამოვდივარ და სიგარეტს ვწვევი... როცა ოთახში ყვავილები აღარ ეტევა, გამოაქვთ და კართან აწყობენ... ბაქარი არ ჩანს, ერთხელ მოვკარი თვალი ეზოში...

უკვე აგრილდა. მზე აღარ ჩანს, თუმცა ჯერ ისევ დღეა. სიგარეტს ვუკიდებ და გარშემო მზერას ვაფოთიანებ. გაღებულ ჭიშკართან ორი კაცი საუბრობს, მალულად ჩემკენ იხედებიან. ღობის მიღმა ისევ ისმის საქონლის ბლავილი და ძაღლის ყეფა... ჩემი მზერა ყვავილებზე, უფრო მე მიხაკებზე ეცემა... ხასხასა სინითლეზე უმალ თვალი მიხევდება... ამგვარი წითელი არასდროს მინახავს... იქნებ მინახავს, მაგრამ არ შემიმჩნევია... საოცარია! წრიულად წყობილი ნიკებებიანი წითელი ფურცლები იმდენად მიტაცებენ, რომ მათი ცქერისას მხოლოდ მზერით ვარსებობ... სინითლეს სადღაც მივყავარ... უბრალო მიხაკის სინითლეს... ამასთან, ვგრძნობ, რაოდენ ამაყი და მედიდურია ეს სინითლე?! თითქოს თავის ფასიც იცის და ეს კიდევ უფრო ამკვეთრებს მას...

მწვანეც მხიბლავს... ვინრო ფოთლები, ღერო – ეს სიმწვანე მშვიდი და მოკრძალებულია... არსად მიყავხარ – იგი ილტვის შენსკენ... მწვანე და წითელი... უცნაურია – რამდენადც ერთ მთლიანს ჰქმნიან, იმდენად შორს არიან ერთმანეთისაგან... არ კი მეგონა, ყვავილების ფერადოვნება ესოდენ ღრმა და უძირო თუ შეიძლებოდა ყოფილიყო... მოკრძალებული მწვანე და მედიდური წითელი...

გვიან საღამოს კუბო მოაქვთ. ხვალ დაკრძალავა... ნა-შუალამევს დალაქი მოდის და უჩასა და ბიჭებთან ერთად, თანდილას გასაპატოსნებლად გასაბანად ოთახში იკე-ტება...

ლამით გარეთ ცივა. ყველანი გვერდით ოთახში ვართ. ბავშვებს უკვე სძინავთ. შუქი ისევ არ არის. სიტყვას ყვე-ლა ერიდება. ბედისა ჩუმი ტირილით თანდილას ტანსაც-მელს კეცავს და ერთმანეთზე აწყობს. ძია ნიკო ხანდახან თუ იტყვის რამეს... ჩემი სათქმელი სიგარეტია, დრო და დრო გამოვდივარ და ღამეს ვესიტყვები...

თანდილასთან რომ შევდივართ, ჩაცმულ-გაპარსული ტახტზე ასვენია. წარსულიც და აწმყოც ახლა უფრო ცხა-დად აღიქმება: ძვირფასი მშობლიური სახე უღმობლად გაუუცხოვებია დროსა და სიკვდილს... იერი მშვიდი აქვს... ალბათ, ასე ისვენებენ ნანვალები სიცოცხლის შემდეგ...

ბიჭებს კუბო შემოაქვთ და იატაკზე დგამენ. ძია ნიკოს გვერდით ვჯდები. ქალებს თანდილას ტანსაცმელი და ნივთები გამოაქვთ. ბედისა ტირილით იწყებს მათ კუბოში ჩაფენა-ჩალაგებას...

მამლები იწყებენ ყვირლს, როცა ძია ნიკოს დაჟინებით დასაძინებლად მივდივარ...

კარამდე მთვარე მაცილებს... სახლს სძინავს... ბუხარ-საც ცეცხლი ესიზმრება, ალბათ... მხოლოდ ოთახის პატ-რონი – ძველი ნაბლის ხის სუნია ფხიზლად... ვიდრე და-ვიძინებ, თამბაქოს კვამლს ვუსახლებ...

ამ დილითაც გვიან მიშვებს სასიზმრეთი. სადღაც მი-ხაკებში ვიყავი... ვიღვიძებ. გარეთ სილუეტს ვლანდავ, კართან ვილაც წრიალებს.

– შემოდი! – გავეყვირი და ჩაცმას ვინყებ.

ოთახში ბაქარი შემოდის. მზერა დარცხვენილი აქვს. ტანთ ახალი სამოსი აცვია.

– ძია ნიკომ, ბიძიას უთხარი, მალე მღვდელს მოიყვა-ნენ და გადმოდიო – ამბობს ნასწავლივით... მზერა ხან ჩემზე გადმოაქვს, ხან კედელზე დაკიდებულ თოფზე. – ძია ბერა, სანადიროდ წავალთ, ხომ?! – ამოთქვამს მერე.

– აუცილებლად! – ვპირდები მეორედ.

მღვდელი ახალგაზრდა კაცია, რუდუნებით ასრულებს რიტუალს. მთელი ეს დრო თანდილას დავცქერი. მახსენ-დება – ბავშვობაში, ბებია რომ მოკვდა, ჩვენც ასე ვიდე-ქით კუბოსთან და ყველაფერს ხარბად ვუყურებდით. მღვდელი ჭალარა მოხუცი იყო... მიცვალებულის წესის აგების შემდეგ ორივე ძმები მოგვნათლა... თანდილას სა-ხეს ახლაც ინახავს მესხიერება...

შუადღდება. ოთახში უკვე ცხელა... უცხო, უცნობი ხე-ლები სამძიმარს მეუბნებიან და სიცარიელეს მიტოვებენ. კართან მიხაკი მატულობს. მეც ხარბად ვფლავ მზერას სინითლესა და სიმწვანეში... ალტაცება იმდენად დიდია, რომ სურვილიც მიჩნდება შეხების...

გზა სასაფლაოსკენ გრძელი და დამქანცველია. პრო-ცესიას სატვირთო მიუძღვის. ძარაზე ბიჭი თითო-ოროლა ყვავილს იღებს და გზაზე ისვრის. წინ ნელი ნაბიჯით მივი-წევთ, რადგან თანდილა ხელით მოჰყავთ... უკვე აუტან-ლად ცხელა... მზე თითქოს დაბლა დაეშვა და ჩვენ გვაკ-ვირდება... გარშემო ნაბიჯების ხმა ისმის. შორეულ ჭიკ-ჭიკსაც გაიგონებს კაცი, თუ მიაყურადებს. დრო და დრო ბედისა ტირის-ხოლმე მოთქმით...

გზაზე ყვავილები ყრია. მიხაკს ფეხს ვარიდებ. სინით-ლე უცებ ედება მზერას – უკან ხალხი მოდის და ნანრთო-ბი ფერადოვნება მსწრაფლ სოფლის შარაგზის მტვერში ინთქმება... ნაბიჯთა ტვერში ითელება.

თანდილას შუბლზე კოცნით ვემშვიდობები. თურმე შეიძლება საკუთარ სიკვდილს ეამბორო...

ქელები მოპირდაპირე ეზოშია. ბაქარი გვერდიდან არ მცილდება... ისევ ხელები... ათას მადლობას ვარიგებ თა-ნაგრძნობისა და ყურადღებისათვის...

შებინდებულა, როცა ქალები მაგიდების ალაგებას იწყებენ... ეზოში მთვრალი კაცები დაბორიალებენ...

ლამდება. დალლილობას ვგრძნობ. ყველაზე გვიან ძია ნიკო და უჩა მიდიან. დალლილობა ორივეს სახეზე ანერია...

მარტო ვრჩებით. ბედისა ოთახს ალაგებს. ხანდახან ცრემლი და ტირილი წამოერევა. ბავშვებს კარგა ხანია სძინავთ...

ლამფას არც ვანთებ, ისე ვწვები – კაკაჩი ღამე ფან-ჯრიდან შემოდის. სანოლში ჩასაფრებულ ძილს უმალ თან მივეყავარ...

დილით რომ ვიღვიძებ, დღეს ისევ მზე აცვია. ზანტად ვდგები, აუჩქარებლად... მოკიდებული სიგარეტით გარეთ გამოვდივარ.

კართან ბაქარი ზის, ისევ ტალახიანი შარვლითა და ლურჯი ბავშვით. დაჟინებული მზერა კაკლის ხეზე გა-ურბის.

– ნახე, ძია ბერა, კატა! – მაჩვენებს თითით. – გუშინ კიდევ ერთი წინილა წაიყვანა.

კაკლის ხეზე ტოტების გასაყართან ჟღალი კატა ზის და თათს ილოკავს.

– მოიცადე! – ვეუბნები ბაქარს, თან ოთახში ვბრუნ-დები. კარადიდან ვაზნებს ვიღებ და კედლიდან თოფს ვსხნი...

კატა ისევ თათს ილოკავს. სხეულზე მზის სხივი ეცემა და ბენვი უფრო კაშკაშა უჩანს. ნელა ვემზადები – დიდი ხანია ტყვია არ გამიგზავნილა... ბაქარი თვალს არ მაცი-ლებს...

კონდახს მკერდზე ვიკრავ და კატას კორაზე ვსვამ... ყველაფერს თითი წყვეტს: ხმა... ბიძგი მკერდში... კატა მოწყვეტით ვარდება და ბალახში ეშვება...

ორივე ხისკენ მივდივართ. კატა უკვე მკვდარია. ბაქა-რი ზურგში ავლებს ხელს და მაღლა სწევს. ტყვია კისერში სცემია.


– დედას ვანახებ?! – კითხვა და თხოვნა ერთად ჟღერს მის სიტყვებში.

თავს ვუქნევ. ბაქარი კატით ხელში, სახლისკენ გარბის.

– დედა, ძია ბერამ კატა მოკლა! – ყვირის განწირული-ვით, – დედა, კატა მოკლა!..

მე ხესთან ვრჩები. ვდგავარ და ფეხებთან სისხლის პა-ტარა გუბებს დავეყურებ. სისხლი ახალია და ხალასი წითე-ლი... გარშემო ხასხასა მწვანე მინდვრობს... საოცრად მწვანე!.. მწვანე და წითელი... წითელი თითქმის არ ჩანს... თითქოს არც უნდა შეიმჩნეს... მწვანე კი ლალია... ღამისაა იყვიროს... ყველაფერმა რომ იცის, ისე...

მიხაკი მახსენდება და მეღიმება, რადგან ეს უკვე სხვა სამყაროა, არეკლილი სიმაღლე – ახალი და უცხო განცდა – მედიდური მწვანე და მოკრძალებული წითელი...



ვახტანგ ჯავახიაძე

**„სამება“**

და როცა – მამის მაგიერ – მე ძია უნდა მეძია,  
 უცებ: ავლაბრის აღმართზე „სამება“ წამომენია.  
 დღეიდან აღარ დავეძებ, ვინ როგორ მომესალმება,  
 რაკი ავლაბრის აღმართზე წამომენია „სამება“.  
 შენ გქონდეს შენი ვერსალი, შენ გყავდეს შენი მესია,  
 მე უკანასკნელ აღმართზე „სამება“ წამომენია.

**ერთი სიტყვა**

მე მახსოვს ძველი წლების სიკეთე,  
 მაგრამ ვემდური ზოგიერთ მათგანს,  
 რადგან ის ერთი ვერ მოვიხელთე –  
 სიტყვა, რომელიც ენაზე მადგას.  
 მინდა: ზარივით უცებ დარეკოს,  
 აჯობოს ყველა სათადარიგოს  
 და მერე ისე გამომესარჩლოს,  
 ერთი პატარა ძეგლიც ამიგოს.

**ღამის წვიმა**

ღამის წვიმა მღერის ღამის წვიმასავით:  
 მეოთხეა: კარგად მახსოვს წინა სამი.  
 ლილინებს და მესმის მისი არჩევანი,  
 კარგად მესმის: არ გვჭირდება თარჯიმანი.  
 დღისით უჭირს გაღწევა და გავაკება:  
 უცხო კილო-კავზე მელაპარაკება.  
 ენა იცის და ზრახვანი ღამეთანი:  
 უძილობას მიადგილებს ნამეტანი.  
 მიყვარს ყველა, ვინც ჩემსავით მელოტია  
 და ჩემსავით უსმენს წვიმის მელოდიას.  
 მიყვარს წვიმის მელექსე და მერომანე:  
 მე ვარ წვიმის, ღამის წვიმის მელომანი.

**ოთხი კუ**

მოდის ოთხი: კუ, კუ, კუ, კუ,  
 ისმის ორი: კუკუ! კუკუ!

და ბრუნდება ექოსავით  
 ერთადერთი: უკუკუკუ.  
 კვალი არ ჩანს მეორესი,  
 ეჭვი მოდის მეორასე,  
 და მე ხშირად ვფიქრობ ქარის  
 ნისქვილებთან მეომარზე.  
 უბრალოებს – ბრალიანში,  
 უვალოებს – ვალიანში  
 ვცვლი და გამინერვიულდა  
 ოთხეულის ალიანსი.  
 მარტობას მანიჭებენ  
 მსაჯულები ნაფიცები  
 და მოცოცავეს სიხარული  
 კუ-კუ-კუ-კუს ნაბიჯებით.

**ავთანდილის მონატრება**

ბაჯალლო მინდა ბათმანი,  
 რათა წავაბა ფატმანი  
 და მერე უსენს ვესროლო  
 ან ტყვია ან ხელთათმანი.  
 მაგრამ არა ჩანს უსენი  
 და არც უსენის კუზენი  
 და ველარ მაიმედებენ  
 მონანი მოფუსფუსენი.  
 სადა ხარ, ჩემო ავთანდილ,  
 შენს მოლოდინში გავთავდი:  
 ან ოქროს მომაშავიდი  
 ან ევროს დამიხატავდი.  
 მოწმეა ცა მონამეთის,  
 თვალს როგორ ვანამნამებდი,  
 ერთ საქმეს თუ ვერ ჩამიწყობ,  
 ტყვია ჩამიწყვე ცამეტი.

**ქებაი და ღიღებაი არაგვთა**

სხვა სიმდიდრე ფშავ-ხევსურეთს არ აქვნდა –  
 ოდენ აღვირ-ახსნილობა არაგვთა,  
 განუმზადეს რაგვი ელსადგურების,  
 მაგრამ რაგვი იგი ველარ გარაგვდა.

**ყველა გზა რომში მიდის**

ისევ მწყალობს ტაროსი, დარდი არ მაქვს ამინდის:  
 ყველა – არა, დღეს რომში მხოლოდ ჩემი გზა მიდის.  
 მალე უნდა დავბრუნდე, კმარა, რაც ვიგრიალე,  
 ჯერ კი ზღვასთან ჩაქვივით მელის აჩირეალე.  
 მელის სირაკუზა და სასტუმრო და ჩინარი,  
 მზე შინ შემოვიდა და ბავშვის მამაც შინ არი.  
 ყველა გზაჯვარედინზე მელის მუნჯი მისანი:  
 შუქნიშანის მაგიერ მხვდება კითხვის ნიშანი.

ადრე, როცა ცა იყო უფრო უსუფთავესი,  
აუშენა უფალმა ყველას რომი თავისი.  
და მე შემირცხვენია ბაღი სემირამიდის  
და გზა იგი, რომელიც ქუთაისში არ მიდის.

\* \* \*

თავო ჩემო, არასოდეს მიწყევლია თავბედი,  
ქუთაისში დავიბადე და თბილისში დავბერდი.  
დავბერდი და ისევ ისე ვბერდები და ვბერდები,  
არასოდეს არაფერზე აღარ დავეფეთები.  
მე ჩემს სიტყვებს შევეჩვევი,  
თქვენ თქვენს საქმეს შევებით,  
თავს არასდროს მოგაბეზრებთ ჩემი სიბერეებით.  
წლები – აჩქარებულები – მიქვითავენ სალამებს,  
დღეებმა და ღამეებმაც ბევრჯერ დამაზარალებს.  
ცოცხალი ვარ და ყოველთვის ცოცხალივით მეძინა,  
ქუთაისში გამაბრაზეს და თბილისში მეწყინა.

\* \* \*

არ შემიძლია, შურს ვერ ვიძიებ,  
ვერ მოვერევი ტელევიზიებს.  
მტკვრისკენ მენწევა მინი მინორი  
და არ მიშვებენ სანაპირონი.  
ცოტათი მაინც გამომაკეთებს  
ცა, მაგრამ რიგი უდგათ რაკეტებს.  
ველარ მაცდუნებს ანტი-რომანი,  
ანტი-ვისი და ანტი-რამინი.  
ისევ შენ უნდა მიმყარო, რომ,  
უსანაპირო – ჩემო რიონო.

\* \* \*

ამ უსათაუროს – დაარქვი, რაც გინდა,  
რაკილა სიტყვები გაცვდა და გაძვირდა.  
იყო დრო – მკაცრი და არახელსაყრელი:  
კაცს გვამი არ ჰქონდა და ქუჩას სახელი.  
დღეს სახელისათვის ჩალოჩობს მავანი,  
თავისი სახლი აქვს, თავისი მარანი,  
ვენახიც ჩაყარა ძეძვთან და ასკილთან –  
უსახელაური... დაარქვი, რაც გინდა!

\* \* \*

ვერ მოვაბი ყური ქოთანს,  
ვერ გავთაღე იფნის ჩამჩა,  
ვერ ვიყიდე კერატი,  
შვიდი პარასკევი მქონდა,  
ორი პარასკევი დამრჩა  
წითელ პარასკევამდი.

ირგვლივ სალი ტინებია,  
არაფერი მბაღია  
და ღმერთს ველაპარაკები:

– როგორც გიპატივებია,  
ამ ერთხელაც მაპატიე  
ჩემი ორი პარასკევი.

**ერთხელ, მეოცე საუკუნეში**

ერთხელ, მეოცე საუკუნეში,  
ბაზალეთთან თუ ბაკურიანთან,  
ოცდამეერთის დიდი ნუგეში  
მომცა ტარიელ ქანტურიამ და  
რო გაგვიგორდა ნაღდი ღუბეში,  
გათამამდა და გაგულიანდა,  
ოცდამეერთე საუკუნეში,  
ბახმაროსთან თუ ბაკურიანთან.

**სარკესთან**

ჩემზე უფრო ბებერი – მედავება სარკიდან,  
ვეხვენები: დანყნარდი, დამეხსენი, არ გინდა!  
ცოტა კიდევ მაცალე: ერთი, ორი, სამი და  
რამდენიმე მაკლია ათასერთი ღამიდან.  
დამრჩა „ქარნალებულთა“ სამად სამი სერია  
და მესამე ანდერძი ჯერ არ დამინერია.  
სად გაგექცე, თვალიც კი ველარ დავახამხამე,  
რატომ გადამეკიდე, რას მერჩი და რალა მე?!  
არ გიცნობ და არ მიცნობ, თითქმის გადაგიცანი,  
ველარ გადამარწმუნებს სჯანი ქადაგისანი.  
ვიდრე გაგამართლებენ ახლები და მალლები,  
შევბრუნდები, ნავალ და აღარ დავენახვები.

**ბალადასავით**

მოხევე დავითა  
ხევიდან წავიდა,  
აყვირდა სოფელი:  
– ხელიდან წავიდა!  
დაიწყო დავი და  
დარაბა თავიდან:  
– ხევიდან კი არა –  
ხელიდან წავიდა!  
თვითონ კი დავითამ  
დაადო თავი და  
ხევიდანაც წავიდა და  
ხელიდანაც წავიდა.

**გულმოსული**

ბრძანდებოდა!.. დაიფიცა სალოცავთან  
და თბილისში თავის დროზე ჩამობრძანდა.  
იქ მიბრძანდა, სადაც დარდმინდებია,  
სადაც არისტოკრატები ბრძანდებიან.  
როცა მინა ინვოლა და ცა დნებოდა,

სხვათა ომში ბრძენთა ბრძენი ბრძანდებოდა.  
ქორწილში კი – სიძესთან და პატარძალთან –  
თავის ფეხით წაბრძანდა და გადაბრძანდა.  
რაკი მუქი ამჯობინა ღია მწვანეს  
და ნითელი დაიწუნა, მიაბრძანეს!  
ხოლო როცა ცოლმა აღარ მოუცადა,  
გული – კი არ მოუვიდა – მოუბრძანდა!

\* \* \*  
მთვრალია თუ ნასვამი –  
რუსეთს არ ეძინება,  
დედის ნანინასავით  
ესმის დედის გინება.  
შეუკურთხეს, ამხილეს,  
შეურცხვინეს უღვაში:  
ერთი ნაცვალსახელი –  
რამდენიმე ბრუნვაში!  
აქეთ – გაფიცულები!  
იქით – შეპყრობილები!  
კოსმოსს აბინძურებენ –  
დედაშემკობილები.

\* \* \*  
მხოლოდ პელეს შეუძლია რეიგანი გადარიოს,  
კადნიერთა მარაქაში გარიოს და გადარიოს.  
ქომაგები მიუსიოს ქომაგების ბატალიონს,  
ზიდანს უთხრას: შენ ვერა ხარ მარადონას ბადალიო.  
სუფრა ისე გაათენოს, ერთი წვეთიც არ დალიოს,  
სამუდამოდ გადაჰკიდოს სარდიონი არდალიონს.  
დამარცხებულს დამარცხების დარდი გადაატანოს,  
ქარს ნალველი გაატანოს, როგორც მკვდარი კატა რიონს.  
პიკასოს და ბალანჩინის საუკუნე გადარიოს  
(არაფერი ესაქმებათ აქ დარიოს ან დარიოსს!).

\* \* \*  
ერთს მოსწონს მახინჯაური,  
მეორეს – გაგრის ზღვარი,  
მესამეს – ფასანაური  
და კაფიები ფშაური,  
მეოთხეს – ჟიპიტაური,  
მეხუთეს – ცოლიკაური,  
მეექვსეს – აურზაური  
და სტადიონის ხმაური...  
მე მომენონა ზიდანის  
უკანასკნელი თაური.

**მინც**

თუნდაც ჩაატაროთ –  
ყველა მობილურის მობილიზაცია  
და გამოაცხადოთ –  
საერთაშორისო მობილიზაცია

და დააკანონოთ –  
ამორალურების მორალიზაცია, –  
მომავალი მინც –  
ლეონარდოსი და „მონა ლიზასია“.

**ორნი**

ახლა შემოდგომას ელის: უკვე ხნა და უკვე თესა,  
დამარცხებებს იბრალებს და წერს უკეთ და უკეთესად.  
ხოლო იგი, ვინც მოგონილ გამარჯვებებს უაღერსა,  
წერს თანდათან უარესად, უარესზე უარესად.  
აქეთ მინისძვრებია და იქით რიკოშეტებია,  
შორდებიან და ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებიან.

**დეფიზი და ტირა**

მერვე და მეცხრე სართულებს შორის  
ლიფტში გავიჭედე დეფიზივით,  
მოჩვენებებმა მომაშურეს,  
მაბრმავებს სინათლის დეფიციტი.  
შიში მიგზავნის დაიჯესტებს,  
ეჭვები კბილებს ილესავენ,  
ლამის ანდერძიც გაიჭედოს  
სართულებს შორის ტირესავით...  
უცებ ფათერაკი გავაზვიადე და  
შუქიც გაიშალა ქოლგასავით  
და მე გამოვედი წყვედიადიდან,  
ვითარცა ვახტანგ გორგასალი.

**ეკლესიაში**

გამიფუჭა გუნება,  
თითქოს უცებ დავეცი,  
მაგრამ ვერ ვიგინები  
ასეთ სისუფთავეში.  
ხელზე – თითქოს ხუნდები,  
ყელში – თითქოს ბურთები, –  
გავალ, შევუკურთხებ და  
უმალ შემოვბრუნდები.

\* \* \*  
ვინც სულს ყიდის არენდით,  
არასოდეს არ ენდოთ.  
არენდა და ნისია,  
ვინც იკისრებს, მისია.  
ზოგი სპარსულ ხალიჩებს  
პირველობას ანიჭებს,  
თქვენ კი დათმეთ დიდება  
ანუ ავლა-დიდება  
და, ვინც არ იყიდება,  
იმას წაეჩალიჩეთ.

**კრანისი**

1795 წლის 10 სექტემბერი

ამალამ მთვარე ჩავა, ამალამ  
უნდა ჩაბნელდეს დიდი აღმართი,  
უნდა მოზრუნდეს ალა-მახმადი  
და ჩაგვამნაროს ღამე ამ ალამ.  
ორას წელს გასტანს ეს ინერცია,  
დაივინყებენ ალებს ქოები,  
აყვავდებიან ყაყაჩოები  
და პრეზიდენტის რეზიდენცია.

**ფარაონები**

დაჰგმეს ქარის და ქვიშის მიდამო  
ანუ უდაბნოს საკარმიდამო,  
ოქროს ეტლებით რბოდენ მო და მო:  
იქნებ გვიშველოს პირამიდამო.  
ბევრი მათგანი მიამიტია,  
ბევრიც მედროვე-მეამინდეა,  
აქლემებიან-პირამიდიან  
ქვიშაზე თავდა-ყირა მიდიან.  
გაგრძელდა მათი აკრობატიკა,  
გაგრძელდა ჩვენი არგონავტიკა,  
მოსხნა სანდო და სარგო ბანკი და  
სარკოფაგიდან ადგა მუშია,  
რათა შეცვალოს გარემოება,  
რომ საბოლოოდ თავი მოეხას –  
ფარაონების მამაოების  
მარაოების ამაოებას, –  
რომელსაც ახალ სახაზინოში  
თუ არ ეყოფა სილის სილოსი  
და არ დალოცავს ჯვარი ნინოსი,  
ველარ გარეცხავს ასი ნილოსი.

**თინგიზ მირზაშვილს – სალალოზოდ**

ჩემო ჩუფჩიკა, ჩვენ უღირსებს გავემიჯნებით  
და სამონყალოდ აღარავის დავედრიჯებით.  
შეგვეწვევიან ტალანტები ანუ ნიჭები:  
და ვინჩები და ზიჩები და მალევიჩები.  
და თუ მოყვასსაც დავარწმუნებთ დაბეჯითებით  
და უკეთესად გავირჯებით, ვიდრე ვირჯებით, –  
პოლონეთიდან იმერეთში ჩასახლდებიან  
და ჩვენ თბილისში გვიპოვნიან ზდანევიჩები.

**ექსპრომტი ზღვაზე**

შენმა შიშველმა ფანტომმა  
დაცენტრა ევპატორია,  
იცის კი შენმა პატრონმა –  
რა განძის მეპატრონეა?!

**ია და გია**

თავების ჭერი – არშიყების იატაკია  
და თუმცა ჭერქვეშ იღუმალი სუფევს მაგია, –  
იმ იატაკზე საარშიყო ნოხი აგია  
და ნოხზე ყირას გადადიან ია და გია.  
კვლავ გია იგი გარდაიქმნა-გარდაგვიდა,  
შეკრიბა დასი ნოხიანთა-ფარდაგინთა,  
ახლა იმ დასში მშვენიერი ბარდაკია და  
მოარშიყეთა იმართება სპარტაკიადა.

**გზაჯვარედინზე**

აქეთ ნახვალ – ვაია,  
იქით ნახვალ – უია,  
არ ნახვალ და ვერ გიშველის  
ათი ალილუია.  
ეჭვიანობს ჰამლეტი,  
დგას მონაფე ცამეტი,  
ნაღდი მწვანე ანთია და  
მაინც დგანან... ნავედი!

**ემპარგო**

დაულუქეს ბაზები,  
დაუხურეს ბაზრები,  
გზები გადაუკეტეს:  
– ღვინის გამყიდველებო,  
ახლებო და ძველებო,  
რას იყიდით უკეთეს???

**მხატვარი და ჰომეტი**

*ვინსენტი და გალაკტიონი*

ათრობდა და ართობდა მეფეს სისხლის აუზი  
და მზე მზესუმზირების უცებ ამოთავთავდა,  
ბევრჯერ მეტეორივით ჩამოვარდა პაუზა,  
როცა წერდა მხატვარი და პოეტი ხატავდა.  
აღარ შეცვლის არაფერს ბედი უბოროტესი,  
გინდა ნაიშაყირე, გინდა ნაილადავე:  
შეხვდებიან ერთმანეთს მხოლოდ მაშინ, როდესაც  
აღარ-ველარ წერენ და აღარ-ველარ ხატავენ.

**1959 წლის 17 მარტი**

სატახტოს უტევდნენ ახლები:  
– დანყნარდით, დამშვიდდით, ანცებო,  
ამქვეყნად ქალაქის ალების  
ათასი ალიბი არსებობს.  
თქვენ აღარ გჭირდებთ ალიბი,  
რაკილა გამოჩნდა ფინიში:  
აჰა თქვენ – არამი ალაფი –  
უგალაკტიონო თბილისი!



რეზო ესაძე

**მუსამბაზის მაგიერ**

ბევრს რომ ბანი-ბან ეძინა, მე მოვდიოდი,  
თუ ხანდახან ვილიმოდი, – სისხლი მდიოდა,..

მის ნატვრაში ვიყავ მუდამ, გული მტკიოდა,  
თითქოს კიდეც ვილინებდი, სულს შევჩიოდი,..

დრო რაც უფრო გადიოდა მაძლარს მშოიდა,  
მაღლა-მაღლა ასროლილი დაბლა ვცვივოდი,..

ეს სათქმელი ბევრჯერ თქმულა, ვამბობ მეასედ,  
მომანოდე ჯამი-გული, ველარ შევავსე,..

ვალში დაგვრჩი, გავერბივარ, ვუფრთხი მევალეს,  
იმას ველარ გავისტუმრებ ვერც დღეს, ვერც ხვალე,..

დამიამდი? კიდეც უფრო მეტად ამტკივდი,  
ვდარდობ, ველარ გიპატრონე, მწარედ ავტირდი,..

ბევრი განვლე. გასავლელი წინ კვლავ დიდა,  
(უჩემოდ ეშურებიან? სადღაც მიდიან,..)

გზავარედინს ველარ გავცდი, გზაა დამრეცი,  
ალმა-ალმა მივდიოდი, პირქვე დავეცი,..

ოხვრით ვთესე იმერეთი, ცრემლით კახეთი,  
განა ერთი წელი დაყვავ ტანჯვით ასეთით?!

ძველს ვივინყებ, ახალ დროს კი ვეუცხოვები,  
რა არ ვცადე, ვერ მოვერგე, ძნელად მოვები,..

თუმცა მზეა, მუგუზალით მე გზას ვინათებ,  
ცუდი უფრო ბევრი ვნახე და სხვა ვინატრე,..

არ გჭირდებით? გზავარედინს მარტო გადავალ,  
ბილიკითაც არ გამიშვებთ? სულ უგზოდ წავალ,..

მივალ, პატიებას შევთხოვ ძვირფას მევალეს  
და დავრჩები სამუდამოდ მისი მძევალი,..

\* \* \*

კი მარა, ხომ წადი?  
(და,..) აქ ხარ?!  
დამთავრდა მლელვარე დღეები  
(ამალამ),  
წვიმები წვიმდებიან კვლავაც –  
სველი დღე – მინდორი  
ლამესთან ერთად წავა,..  
ნაწვიმარია ახლა („იმდონი“)  
მზეა, ღრუბლიანი ცით.

\* \* \*

დასრულდა ლტოლვა-წყურვილი,  
ჩაფებით იმედ-იმედი,..  
ვინ ნაკლები და ვინ მეტი  
(და) ამით რა გამოვიდა?

... თან გაიყოლა  
(...) ის ბეჭი,..  
არც დარჩა და არც მოვიდა  
განშემოსილი მოვითა.

\* \* \*

მინდოდა, რალაც მეთქვა,  
გინდოდა, რალაც გეთქვა,  
მე, – არ ვთქვი არაფერი,  
შენ, – არ თქვი არაფერი  
ასე მივდიოდით დიდხანს.

გზა იყო აღმაცერი,  
არ ქარი, არ აფრები,  
არ იყო არა ფერი  
არც ფეხით, არცა ფრენით  
ასე ვიარეთ დიდხანს.

\* \* \*

მიცდიდი, არა მხვდებოდი,  
წინმსვლელი, უკან ვრჩებოდი,..  
რა ვიქნებოდი უშენოდ,  
უჩემოდ რა იქნებოდი?..

არ ვიქნებოდი, – მერე რა?  
არ იქნებოდი? – არცა რა  
სათქმელი ბაგეს გვეკერა  
მაგრამ თქმა ვინ დაგვაცალა?

ბერნარ ფოკონიე

# ბატონი ფრანცის საკვირველი კომპარი

მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი – „პროცესი“ და „კომპი“ გაენადგურებინა. ბროდმა დანაპირები არ შეასრულა. უღრმესი მადლობა ვუთხრათ ამისთვის.

## რომანი კანონის შესახებ

„პროცესის“ არგუმენტი გამყინავად მარტივია. ერთ დილას იოზეფ კ.-ს აპატიმრებენ. იგი შეიტყობს, რომ ამერიდან პროცესის საგანს წარმოადგენს, ანდა გერმანული შესატყვისიდან გამომდინარე, იურიდიული „პროცესისა“. მისი დანაშაული არ არის არც კრიმინალური, არც პოლიტიკური და არც რელიგიური ხასიათისა. ეს დანაშაული საიდუმლოდ რჩება. იქნებ იგი იმიტომ დაამნაშავე, რომ ებრაელია? ვაჟიშვილი? გაუბედავი საყვარელი? ყოველივე ამისა და ბევრ სხვა რამის გამოც. სწორედ ესაა პრალელი წერილი სადაზღვევო მოხელის გენიალური მიხვედრა, იმ მოხელისა, რომელიც კაფეებისა და ლიტერატურული წრეების მუდმივი სტუმარია და გარშემომყოფთა მოხიბლვა ძალუძს, რადგან მისი საუბარი ყოველთვის უჩვეულოდ სიღრმისეულია და შავ-ბნელი იუმორით შეკაზმული. მაგრამ არავინ არაფერი იცის მისი გაცხარებული ლამეული მუშაობის შესახებ იმ ოთახებში, რომლებიც მისი ოჯახის მიერ ერთიმეორის მიყოლებით გამოცვლილ ბინებში მდებარეობს. აქ იგი ოცდაათ ნელს გადაცილებული კვლავაც მარტოხელად რჩება, რადგან,



ფრანც კაფკას უკანასკნელი ფოტო

უმნიშვნელო მიზეზებს ზოგჯერ სერიოზული შედეგები მოსდევს. ფრანცის მამას – ჰერმან კაფკას, პატიოსან პრალელ ვაჭარსა და სახელგანთქმულ ხეპრეს დამთრგუნველი და შემზარავი აზრდილივით რომ არ დაემძიმებინა თავისი უფროსი ვაჟის სინდისი, ჩვენ, ალბათ, არ გვექნებოდა არც „მეტამორფოზა“, არც „პროცესი“ და, ცხადია, არც თავზარდამცემი „წერილი მამას“. ამ უდავოდ ამაო და გულუბრყვილოდ ფაქტობრივ შენიშვნას შეუძლია თავს დაგვატეხოს კაფკოლოგთა – მეოცე საუკუნის ყველაზე იდუმალი შემოქმედების ამ თეოლოგთა – რისხვა. გარდა ამისა, მბრძანებლური ხასიათის, ლანძღვა-გინების მოყვარული ჰერმან კაფკა, რომელსაც ფიცხი უფრო ეთქმის, ვიდრე ბოროტი, არც ისეთი უსაშველო რეგენია, ლეგენდამ რომ შექმნა. მაგრამ სხვა რა ვიფიქროთ კაფკას საფლავის წინაშე, სტრასნისის ებრაულ სასაფლაოზე, ნაკვეთილსტელებიან ლამაზ ბაღში, რომელიც სიმშვიდის პატარა კუნძულივით შეჭრილა – ადმინისტრაციული ნაგებობებითა და საშუალო ტიპის სასტუმროებით დახუნძლულ და გაგანია ცვალებადობაში მყოფ – პრალის ერთ სევდიან უბანში.

კაფკა აქ თავის მშობლებთან, ჟიულისა და ჰერმანთან ერთად განისვენებს. საკუთრივ კაფკასეული ვითარებაა, ანუ ცივი, სასტიკი კომიკურობით განმსჭვალული და შავი იუმორისაკენ იხრება. იქნებ შერცხვნილი მამა სამარის საუკუნო განსასვენებელში შვილის წერილს პასუხობდეს. იმ ბალაშიან წერილს, რომელშიც ფრანცი ბოლომდე ამხელს თავის უკმაყოფილებას, სიძულვილს, სასონარკვეთილებას ადამიანისა, რომელსაც ვერ გაუგვს.

იმვითად თუ იქნება ლიტერატურული ნაწარმოები იმ ზომით დაკავშირებული ქალაქთან ისე, როგორც კაფკასია. არ დარჩენილა პრალის არცერთი ქუჩა, უცნობი სადაზღვევო აგენტის აკვიატებული სტუმრობის კვალს რომ არ ატარებდეს, აგენტისა, ვინც მუშაობას დაამთავრებდა თუ არა, თავის ოთახში იკეტებოდა, რათა მთელი ღამის განმავლობაში ეწერა ნაწარმოებები, რომელთა უმრავლესობაც მის სიცოცხლეში არასოდეს გამოქვეყნებულა და კიდევაც სთხოვა თავის მეგობარს, მაქს ბროდს, კაფკას შესახებ ფასდაუდებელი ცნობების ავტორს, რომ

გან, მართალია, მფრთხალ უცოლო მამაკაცს არასოდეს აკლდა „კავშირები“, მაგრამ მაინც არ შეეძლო თავისი არჩევანი ამ ქალთაგან ერთ-ერთზე შეეჩერებინა და ცოლად შეერთო: გრეტა, ფელისია, ერნა, მილენა... ის სქესობრივ კავშირს ისე განიხილავს, როგორც „ერთობლივი ცხოვრებით განცდილი ბედნიერების სანაცვლო სასჯელს“, რაც ნებისმიერ ქორწინებას უმძიმეს ტვირთად აქცევს. 1914 წლის ივლისში ბერლინში გავლით მყოფმა კაფკამ ფელისია ბაუერთან ნიშნობა ჩაშალა. მათი ურთიერთობა 1915 წელს აღდგება. უსასრულო დაპირებანი, ქორწინების გაუთავებლად შორს გადადება. კაფკას მარტოდენ ერთი ღმერთი ჰყავს: ლიტერატურა. მისი არსებობის საზრისი მხოლოდ წერაა. და კიდევ ეჭვის, დაღლილობისა და უნაყოფობის ხანგრძლივი პერიოდები. გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სატანჯველი მისთვის უმთავრესად უცხო გახლდათ, რადგან თავის უფლებამოსილებებს ერთგულ მეგობართა გარემოცვას ანიჭებდა და გამოცემლების მოძებნას მიანდობდა.

კაფკა „პროცესის“ რედაქტირებას 1914 წლის ზაფხულს ანდომებს. ევროპა ცეცხლის ალშია გახვეული. 2 აგვისტოს დღიურში ჩაინერს: „გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. – შუადღე. აუზში ბანაობა“. მწერლის ცხოვრების საზრისი არსებული ვითარების მხილება როდია,



არამედ მსოფლიო სასამართლოს მდივნობა: მან თავიდან უნდა აიცილოს ყოველგვარი გულისწყრომა, სიმდაბლე, ლირიზმი, პათოსი. პროცესში ყველაზე უფრო სკაბრეზული სიტუაციები და ექსტრავაგანტული პერსონაჟები აღწერილი არიან სასამართლოს აღმსრულებლის ოქმისათვის ნიშანდობლივი სიმშრალით. სწორედ ამ შეუსაბამობიდან წარმოიშობა თხრობის არაჩვეულებრივი ძალა და ის კომიკურობაც, რომელსაც მწერლის ენა კი არ განაპირობებს, არამედ გროტესკული სიტუაციები. რადგანაც „პროცესში“ ვერავითარ პროცესს ვერ ვხვდებით თვით გულში დანის ჩაცემამდე, რამაც დაასრულა იოზეფ კ.-ს გონებრივი სატანჯველი. მხოლოდ კანონის მხრიდან მოსალოდნელ მუქარას ვხედავთ, კანონისა, რომელიც არასოდეს ამჟღავნებს თავის განზრახვებსა და თამაშის წესებს. „პროცესი“ ესაა რომანი, რომელიც დამნაშავეობას კი არ ეხება, არამედ დადანაშაულებას. წიგნი „რომანის ხელოვნება“ მიიღწეოდა ამ აზრობრივი გამოცანის ერთ-ერთი საუკეთესო ანალიზი შემოგვთავაზა: „სიტყვა „კაფკასელი“ არ არის არც სოციოლოგიური, არც პოლიტოლოგიური ცნება. კაფკას სამყაროში თითქმის ვერაფერს ვხედავთ ისეთს, რისგანაც შედგება კაპიტალიზმი. არც ფულს და მის ძალაუფლებას, არც ვაჭრობას, არც კერძო საკუთრებასა და მესაკუთრეებს, არც კლასთა ბრძოლას. „კაფკასელი“ არც ტოტალიტარიზმის განსაზღვრება მიესადაგება. კაფკას რომანებში არ არის არც პარტია, არც იდეოლოგია და მისი ლექსიკონი, არც პოლიტიკა, არც პოლიცია, არც ჯარი. ამრიგად, საფიქრებელია, რომ „კაფკასელი“ წარმოადგენს ადამიანისა და მისი სამყაროს ელემენტარულ შესაძლებლობას, რომელიც ისტორიულად განსაზღვრული არ არის და უხსოვარი დროიდან თან სდევს ადამიანს“.

**აკვიატებული და პირტუალური პრალა**

კაფკა მთელი არსებითაა პრალაში, რომელსაც იშვიათად ტოვებდა, და პრალაც სრულადაა კაფკაში, მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწერებში ეს ქალაქი არ სახელდება და დიდი ხნის მანძილზე სულაც მის (ანუ კაფკას – მთარგ.) უგულებელყოფას ცდილობდა: ხანგრძლივი კომუნისტური გამყინვარება ნამდვილი სასჯელი იყო მისი ნაწარმოებებისთვის, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად არაფერს ამხელენ, სამაგიეროდ, ამომწურავად გვიამბობენ კანონის ტერორზე, ბიუროკრატიაზე, სამყაროში ყოფნის შიშზე, როდესაც ეს სამყარო თვალშეუვალია, არაადამიანური, მოუხელთებელი. კაფკა ისევეა პრალაში, როგორც ჯოისი დუბლინელი ანდა ჟიონო მანოსკელი. ის ქალაქის კედლებმა დაიცვა, სული შეუხუთა, სახე უცვალა. ამ ვიწრო და ბრწყინვალე თვალსაწიერში, სადაც ჰაბსბურგთა ძველი ევროპის გული ძგერს, მან შიშის საკუთარი სამყარო დაატია და იწინასწარმეტყველა საკუთარი ხვედრი და ის სიმართლე, რომელსაც გუმანით გრძნობდა – ძრწოლის თავბრუსხვევამ ხორცი შეისხა იგავისებურ თხრობაში.

ის, რომ კაფკა შეძლებული, მაგრამ ნაკლებ განათლებული ვაჭრების შვილი, ბიუროს უცნობი მოხელე, აფორი-

აქებული უცოლო და ხორციელ სიამოვნებათა მოყვარული კაცი თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა, ისე, რომ თითქმის არ მოშორებია თავის ოჯახსა და საცხოვრებელ ადგილს, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე ამაღლებველ საიდუმლოდ რჩება. თითქოს ადამიანური ხვედრის უწყება სამომავლოდ, როცა კანონი წმინდანწყლის ტერორად იქცევა, წილად ხვდომოდეს ამ ქრისტეს, ღმერთის გარეშე, ვინც მწერლობისთვის ენამა და ორმოცდაერთი წლისა ჭლებით გარდაიცვალა. სინამდვილე ამისგან საგრძნობლად განსხვავდება. რა თქმა უნდა, კაფკა, ცოტა არ იყოს, ავადმყოფური ბავშვი იყო, ფარისეველი მამის მიერ დათრგუნული, მაგრამ ზრდასრული კაფკა სპორტული აღნაგობისაა, ენერგიული და რაღაც შავ-ბნელი მომზიბვლობისა, საკმაოდ უცნაური გარეგნობის მიუხედავად – აწონილი სხეული და ფენეკის ყურები – საზოგადოებაში მხიარულია და გამჭრიახი, როგორც ხედავთ, სულაც არ არის ნევრასტენიანი ნამის ჭია, როგორც ნაწარმოების ზედაპირული ნაკითხვისას შეიძლება წარმოვიდგინოთ. და კიდევ არსებობს დედა, ჟიული, მამაზე მეტად ალერსიანი, გამგებიანი, რომელიც შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგება მეუღლის თავაშვებულობას. დედა გერმანულენოვანი იყო და სწორედ მას უნდა უმადლოდეს კაფკა, რომ სწავლა პრალის გერმანულ ლიცეუმში გააგრძელა. ჩეხური ყოველდღიური სასაუბრო ენაა, მდაბიოთა ენა, ხოლო შეუვალე სიმტკიცის მქონე, არისტოკრატთა ენა, აზროვნებისა და კულტურის თავშესაფარი კი გერმანულია. დედისა და დების გარემოცვაში პოულობს მწერალი თავისი ლიტერატურული ცდების გაუბედავ გამოძახილს.

პრალაში კაფკას ოჯახს რამდენიმე სახლში უცხოვრია. სიქსტის სახლი სელეტნას ქუჩაზე, მინუტის შენობა – XVII საუკუნის ბრწყინვალე ნაგებობა ძველი ქალაქის მოედანზე, მოგვების სახლი. მართლაც რომ პოეტური სახელწოდებებია. პრალის ჯადოსნობა მხოლოდდამხოლოდ გაცვეთილი სიტყვები როდია. მოგვიანებით, 1916 წელს, კაფკა „სანერად“ იქირავებს ერთ არაჩვეულებრივ პატარა სახლს, რომელსაც მან და მისმა დამ ოტლამ მალასტრანას უბანში (გრადჩანებზე) ციხე-დარბაზის მიმდებარე ოქროს ქუჩაბანდში მიაგნეს. საბავშვო ზღაპრების დეკორაციაში ჩასმული სახლი თავშესაფარით მოჩანს. როგორღა დავუჯეროთ ლეგენდას უბედურების შესახებ? დეპრესიის, ეჭვების, ნებაყოფლობითი მარტოობის, გარიყულობის მიუხედავად, რაც მისი „დღიურის“ ყველაზე მწვავე სტრიქონებში აისახა, კაფკას, როგორც ჩანს, მიუგნია ბედნიერების, რომ არა ვთქვათ, ნონასწორობის ერთგვარი მდგომარეობისთვის მაინც, ჭლების პირველ შეთქვევამდე, რომელმაც კიდევ შეინირა: არ შეიძლება ასეთი სიძლიერისა და გაქანების ნაწარმოებები დაუსრულებელი უბედურების წიაღში დაინეროს. შინაგანი ტკივილი და შედარებითი მატერიალური კეთილდღეობა – ასეთი იყო ფრანცის ცხოვრება.

კაფკას ოჯახი გეტოს ებრაელებს როდი მიეკუთვნებოდა, არამედ მხოლოდ ემეზობლებოდა. ისინი მუდამ ძველი ქალაქის მოედნის შორიხლოს ცხოვრობდნენ, მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი არქიტექტურული ანსამბლის შუაგულში. კაფკა აქედან ორ ნაბიჯში, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მომიჯნავე სახლში დაბადებულა, რო-

გორც გვაუწყებს მომცრო მემორიალური დაფა. მისმა ცხოვრებამ ამ სავაჭრო მოედნის გარშემო განვლო, სადაც მის მშობლებს ფართლელის პატარა მალაზია ჰქონდათ. მამა იმედს არა კარგავდა, რომ გარკვეული წარუმატებლობის მიუხედავად, საქმეს კარგად გაუძღვებოდა. ფრანცი ყოველთვის უარს ამბობდა ოჯახურ საქმეში მონაწილეობაზე. სახელმწიფო კლასიკური ლიცეუმი, სადაც 1893 წლიდან 1901 წლამდე, ბაკალავრის ნოდების მიღებამდე სწავლობს და სადაც გერმანულ ენაზე ასწავლიდნენ, ამავე მოედანზე მდებარეობს. სამართლის დოქტორის ხარისხიც აქვე მიიღო, მოედნიდან რამდენიმე ქუჩის დაშორებით, პრესტიჟული კარლოსის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორპუსში – კაროლინუმი. ეს იყო ის „კეთილგონიერი“ სწავლა-განათლება, რომლის შინაარსიც კაფკას სძულს, მაგრამ რომლის უსიამოვნო მასალაც, გარდაქმნილი და პაროდირებული, თავს იჩენს „პროცესის“ ვრცელ სასამართლო ბოძვაში. „წერილი მამას“ (ნაწყვეტი): „მე გონებრივად ვიკვებებოდი იმ ნახერხით, რომელიც, ყველა უბედურებასთან ერთად, ათასმა პირმა უკვე დაღუჭა და გადაღუჭა კიდევ ჩემთვის“. ეს არის და ეს: ამ იურისტის არსებობა თურმე იმისათვის ყოფილა საჭირო, რათა კანონის არსი საფუძვლიანად გამოეკვლია, ძირისძირობამდე, მისი საბოლოო მნიშვნელობისთვის მიეგნო. ჩვენ ყველანი – მსხვერპლნიცა და ჯალათნიც – სამართლის დამცველები ვართ.

შეუძლებელია, „პროცესი“ ისე წაიკითხო, რომ ყოველ ნაბიჯზე არ ამოიცნო პრალა, მისი მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, ვინრო სახლი და ოთახი, სადაც მოხდა „მეტამორფოზა“; უზარმაზარი შენობა, რომელშიც ადრე ბოჰემიის სამეფოს სადაზღვევო კომპანია მოთავსებულიყო და სადაც კაფკა მუშაობდა, როგორც სანიმუშო მოხელე 1908 წლიდან 1922 წლამდე, პენსიაზე ნაადრევად გასვლამდე – ამჟამად სასტუმრო „მერკური“, ქალაქის ნაკლებად მომხიბვლელ უბანში. შეიძლება ეს ის ლაბირინთებიანი ბანკია, იოზეფ კ. რომ მუშაობს „პროცესში“? იქნებ არც არის. რა მნიშვნელობა აქვს? პრალა, რომელიც აქ ისე ცხადად იგრძნობა, რომ ლამის აგეკვიატოს და სული შეგიხუთოს, მაგრამ მაინც არასოდეს სახელდება, ვირტუალური ადგილია, ბიუროკრატიის ცივი ბოძვის მარწმუნებში მოქცეული გეომეტრია, ბიუროკრატიისა, რომელიც შეინარავს იოზეფ კ.-ს.

**მეამოხის შემოქმედება**

მაგრამ კაფკას რაც შეეხება, იგი მსხვერპლი როდია. ეს არის პიროვნება, რომელშიც მძვინვარება, აზარტი და გამანადგურებელი იუმორი ერთმანეთს ერწყმის. ის არაა იოზეფ კ. მის კომენტარებით დახუნძლულ ნაწარმოებებს ვერაფერს გაუგებთ, თუ არ გეცოდინებათ, რომ როცა რომელიმე მათგანს მეგობრების წრეში კითხულობდა, მაქს ბროდის მოწმობით, ყველანი გულიანად ხარხარებდნენ. „მეტამორფოზა“ გამქირდველის ფარსია, „პროცესში“ კი თითქოს უხილავი ღმერთის ქირქილი მოგვესმის. იოზეფ კ. თავის დანაშაულს ეძიებს. კაფკას მუდამ მეტაფიზიკა ერჩივნა რელიგიას, ხოლო მიზეზობრივი საფუძვლების ძიებას ღმერთის სიცილს ამჯობინებდა ბასტერ

კიტონისებური შეუპოვრობით. მისი შემოქმედება ეწინააღმდეგება რაიმე ნიშნით დახარისხებას, პოლიტიკური იქნება თუ რელიგიური. ადგილები ანონიმურია, აბსტრაქტული, მოვლენები კი დაუნდობელი, მოუხელთებელი და დაუსრულებელ კომენტარებს საჭიროებს. „პროცესი“ არის იგავი კანონსა და ბრალეულობაზე, ძრწოლიდან ამოზრდილი კომმარის შესახებ მონათხრობია; ეს ის ძრწოლაა, რომელიც ისტორიას გამოედევნის. კაფკას სიძლიერე ისაა, რომ 1914 წლის აგვისტოს თვეში, ევროპის ნგრევის დასაწყისში, მან უგულვებლყო ისტორია, რათა არ ეძებნა კონკრეტული მიზეზი და არ დაესახელებინა დამნაშავე იოზეფ კ.-ს ბედუკულმართობაში. სასამართლო მანქანა, რომელიც მას გასრესს, უსახელოა, მარადიული და არ ეკუთვნის არც რაიმე პოლიტიკურ რეჟიმს და არც რომელიმე იდეოლოგიას. ის მარადუჟამს არსებობს. ის კანონია.

**წინასწარმეტყველური იგავი**

პრალის ქუჩებში ხეტიალისას სულ უფრო ძალუმად შეიძლება აგეკვიატოს აზრი, რომ ამ ძველი ევროპის გულისათვის პროცესი ერთარსია და განუყოფელი. ეს უთუოდ იმის ბრალაა, რომ, კაფკასგან განსხვავებით, ჩვენთვის ცნობილია ამბის გაგრძელება: ჯვარცმული პრალა, უღმობელი კომუნისტური რეპრესიები, და რომ გამომრიცხავ შეხედულებათა მიუხედავად, შეუძლებელია ამ ნაწარმოებს წინასწარმეტყველური ღირებულება არ მივანეროთ. „ადგილის დედა“ უბრალოდ ჯადოსნური სიტყვები როდია: როგორია, პრალაში ცხოვრობდე და მწერალი იყო, თანაც გერმანულენოვანი? ან ჩეხურად არ უნდა წერდე და სხვა ენას ირჩევდე, ანდა უნდა დატოვო ქალაქი და ქვეყანაც, როგორც ბევრი პრალელი ხელოვანი მოიქცა. ვაცლავ ჟამეკმა ამის შესახებ რალაც უნდა იცოდეს. იგი მწერალია, ავტორი შესანიშნავი წიგნისა „ტრაქტატი ხანმოკლე სასწაულთა შესახებ“ (გამომცემლობა „გრასე“, 1989 წ.), ყოფილი დიპლომატი, ამჟამად პრალის უნივერსიტეტში ფრანგულ ლიტერატურას ასწავლის, წერს ჩეხურ, უმთავრესად კი ფრანგულ ენაზე. მისთვის ეს შინაგანი წინააღმდეგობის აქტია. ამბობს, რომ კომუნისტების დროს, პრალის გაზაფხულის შემდეგ, ქვეყანაში სუფევდა მხუთავი ატმოსფერო, თვითკრიტიკა და საფრთხის ბუნდოვანი შიში, რაც აუტანელი იყო მათთვის, ვისაც ჯერ არაფერი გამოექვეყნებინა. მაგრამ ფრონტალურ ბრძოლას, კომუნიზმის უშუალო მხილვას ლიტერატურისთვის არასოდეს არაფერი მიუცია, რადგან იგი მეტაფორისა და იგავის სფეროს განეკუთვნება.

**იოზეფ კ., ახალი პარსიფალი?**

მართალია, რეჟიმი დაინგრა, მაგრამ ძველ „აპარატრიკებს“ ახალი მდიდრების კლასი ჩაენაცვლა, გაუნათლებელი საქმოსნებისა, რომლებიც ამაყობენ თავიანთი უკულტურობით. ვაცლავ ჟამეკისთვის ფრანგული ინტიმური ენაა, როგორც კაფკასთვის გერმანული?

როგორ უნდა შეეჭიდო ზოგადსაკაცობრიო სატყვივარს იმ ენით, რომელზეც მხოლოდ ათი მილიონი ადამიანი საუბრობს? საარაკო კულტურულმა მემკვიდრეობამ, პრალის მომაჯადოებელმა არქიტექტურამ არ შეგაცდინოთ: ქალაქი და ხალხის აზროვნება ულმობელია, მოუხეხავი, ჯერაც ვერ მოსულიერებულა შიშისა და დასმენათა აბსურდული ეპოქის შემდეგ. ვაცლავ ჟამეკთან რამდენიმესაათიანი საუბრის შემდეგ გრჩება უცნაური და დაუფინყარი შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ასეთი გამოცდილების მქონე ჩეხს შეუძლია გულდაგულ ჩასწვდეს „პროცესს“. ისტორიული რეალობა აქ არაფერ შუაშია. „პროცესში“ საუბარია დერეალიზაციისა და დეპერსონალიზაციის ხანგრძლივობაზე: ოჯახი, სამსახური, წესრიგისა და ორგანიზაციის აპოთეოზს მიღწეული საზოგადოების მოხმობა, საზოგადოებისა, რომელიც სადაცაა დაინთქმევა ცარიელ ფორმათა შემოღობ კომმარში. ვაცლავ ჟამეკი თავისებურად კითხულობს „პროცესს“:

„იოზეფ კ.-ს თავგადასავალი პარსიფალისა და წმინდა გრაალის ამბავს მოგვაგონებს. როგორც ერთს, ისე მეორეს (იოზეფ კ.-ს. – მთარგმ.) თავგზა ებნევა ისეთი შეკითხვებით, რომლებიც არაფერში არგია, მაგრამ არასოდეს წამოჭრის იმ კითხვას, რომლის დასმაც საჭიროა. და კავ-

კამ იცის, რომ გამოცანაც ესაა, ეს ხელნაწერის შესწავლითაც დასტურდება. ზოგჯერ იგი გადაშლის იმ სიტყვებს, რომელთაც შეუძლიათ საიდუმლოს ფარდა ახადონ. ერთადერთი კითხვა, რომელსაც იგი წამოჭრის, ასე უღერს: ნუთუ აუცილებელია, თავი გაამართლებინოს? თუ ამ სამყაროში ყველა ადამიანი უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე, მაშინ იქნება მეც სასამართლოს წევრი ვარ და თვითონ მაქვს სხვათა გამართლების უფლება? მთელი ნაწარმოები ამ ჭეშმარიტებას ეფუძნება: უნდა ითქვას სრულიად მარტივი რამ, რასაც ამ კომმარის გაფანტვა შეეძლება“.

მაგრამ რომანში უფრო იოლად როდი ქრება კანონის კომმარი, ვიდრე რეალობაში. და პრალაც, მდიდრულ ფასადებს მიღმა კვლავ მალავს ამ ზრდილი, გალანტური, ესოდენ ცივილიზებული ჯოჯოხეთის საიდუმლოებას, რომელსაც იოზეფ კ. ჯალათის დანასთან მიჰყავს. „ძალიან დაძვინჯეს, – თქვა კ.-მ ისე, თითქოს ეს სირცხვილი მასზე მეტხანს იარსებებდა“. ალბათ, რცხვენოდა, რომ ვერ შეძლო იმის თქმა, რაც უკეთურების წინაშე უნდა თქმულიყო.

ფრანგულიდან თარგმნა  
ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიკა

მოგონებათა სკიპრი

ჟან კოკტო

რილკეს ლამაზა

რილკესთან ჩემი შეხვედრა ძალზე უჩვეულო იყო. თვრამეტი წლისა ვიყავი და, იმ ბედნიერი შემთხვევის წყალობით, რომელსაც ახალგაზრდობისას ხშირად არ ვაფასებთ, ოტელ ბირონთან მონაზონთა ყოფილ სატრაპეზოში ვცხოვრობდი. ჩემი ხუთივე კარ-ფანჯარა ერთ წყებად იყო განლაგებული და შვიდჰექტარიან პარკში გადიოდა. მარჯვენა მხარეს თვით ოტელი აღმართულიყო, სადაც როდენს ჰქონდა სახელოსნო.

სალამობით ჩემი ფანჯრიდან ოტელის მარცხენა კუთხის ფანჯარაში ვხედავდი ლამპას, თითქოს რაღაცას რომ მანიშნებდა შუქურასავით. ეს რილკეს ლამაზა იყო.

ბატონ რილკეს იმხანად მხოლოდ როდენის მდივანად ვიცნობდი. დიდი ხნის შემდეგ პირველად ბლევ სანდრარმა შემიღო რილკეს სამყაროს კარი და მაშინ მომაგონდა



რაინერ მარია რილკე

ეგზოტიკური, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სხვებისაგან არაფრით გამორჩეული მცენარე პეიო, რომელსაც, თუკი გემოს გაუფსინჯავთ, უცხო ჯადისნურ ზმანებაში შეეყავართ.

ახლა მეჩვენება, თითქოს რილკეს ლამაზა იმ შორეულ დროს მფარველ შუქს მფენდა და ყველა იმ უგუნურებისაგან მიცავდა, ახალგაზრდულ მედიდურობას რომ ემუქრება. ხშირად ვაკვირდებოდი ამ ლამპას. რაღაცით მიზიდავდა. მაგრამ გვერდზე ჩავუარე. ვერ ჩავწვდი იმას, რასაც მანიშნებდა.

ერთ დღეს ჩემს ხელთ აღმოჩნდა პოეტის მიერ შვეიცარიაში ცხოვრებისას მეგობრებისადმი მიწერილი წერილები. მაშინ კი, როგორც იქნა, აღარ გავუშეი შესაძლებლობა, უკვე ანბანური ენით ამომეკითხა ის იდუმალი ნიშნები, რომლის გაშიფრვასაც მაშინ, იმ ლამპის შუქით მონუსხული, ამოდ ვცდილობდი. ჩემი აზრით, თითოეულმა ახალგაზრდა პოეტმა გულდასმით და მრავალჯერ უნდა ნაიკითხოს რილკეს „წერილები ახალგაზრდა პოეტს“. მაშინ ისინი არ გაიმეორებენ ჩემს შეცდომას და რილკეს შუქურა გაუნათებთ შემოქმედებით გზას.

ფრანგულიდან თარგმნა  
თამარ კოტრიკაქია

ნიგნიდან „რილკე და საფრანგეთი“

კოტე ხიმშიაშვილის სახელი თავისებურ სიმბოლოდ შემორჩება ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და მწერლობის ისტორიას.

სხვაგვარად წარმოუდგენელია –

ეს არის კაცი, ვინც სასტიკი რეპრესიების ყამს და სრულიად ახალგაზრდამ გაბედა თემატურად გაემრავალფეროვნებინა ქართული ლიტერატურა და რომანით – „ჯონქა ხორნაული“ – სამწერლო მიმოქცევაში შემოეტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სტუდენტური ყოფა, თავისი ადამიანური განცდებით, რასაც ასე სდევნიდა საბჭოთა მორალი.

ეს არის კაცი, ვინც ერთ-ერთ მეთაურად მოველინა 40-იან წლებში გაშლილ ეროვნულ მოძრაობას და კიდევ შეენირა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ სწრაფვას.

1942 წლის შეთქმულება მისი ჰეროიკული სახელითაც შევა ახალ ქართლის ცხოვრებაში.

როგორც 1923 წლის შეთქმულება – კოტე აფხაზის სახელით.

ანდა 1832 წლის შეთქმულება – სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის სახელით.

უმწვავესი მსოფლიო კატაკლიზმების ყამს კოტე ხიმშიაშვილმა გაამჟღავნა ის ზნეობრივი მრწამსი, რაც განსაზღვრავს ყოველი ერის სულიერ ენერჯიასა და მორალურ სიმრთელეს.

აღარაფერს ვამბობთ იმის თაობაზე, რომ საქართველოში არ გამოიციემა XX საუკუნის ნოველის ანთოლოგია, სადაც არ მოხვდება კოტე ხიმშიაშვილის „გლობუსიც“ – უმეცრების ხელში ჩავარდნილი სამყაროს საბედისწერო სურათი.

მისი მწერლური და პოლიტიკური პორტრეტი ხელშესახებადაა გამოკვეთილი როსტომ ჩხეიძის ორნიგნეულში „დაწყველილი თაობა“, და კიდევ ბევრჯერ შეახსენებს თავს კოტე ხიმშიაშვილის სახელი ქართველ საზოგადოებას სახელმწიფოებრიობის განმტკიცების მღელვარე ყამს.

მოსე გვასალია

## კოტე ხიმშიაშვილი

კოტე ხიმშიაშვილის პირველი მოთხრობები რომ დაიბეჭდა და ამ ტანაყრილმა სახიერმა ჭაბუკმა ფეხი გაბედულად შემოგდა ლიტერატურაში, ძველი და ახალი თაობის მწერლები ერთსულოვნად მიესალმნენ მას და მკითხველმაც მაშინვე ირწმუნა საინტერესო შემოქმედის დაბადება, მისი უეჭველი ნიჭიერება და მომავალი.

ეს ის დრო იყო, როცა ქართული მხატვრული პროზის მეუფენი: მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, შემოქმედებითი ენერჯიით აღსავსენი, ქმნიდნენ და ბეჭდავდნენ თავიანთ ახალ-ახალ უჭკნობ ნაწარმოებებს და ძნელი იყო გალაღებული მკითხველის ყურადღების მიპყრობა. ჭაბუკმა კოტე ხიმშიაშვილმა ეს დიდებულად შეძლო.

როცა ლიტერატურულ კონკურსში ჯერ სრულიად უცნობმა ავტორმა პირველი პრემია დაიმსახურა და მისი ის მცირე მოთხრობა „გლობუსი“ გაზეთში დაიბეჭდა, ლიტერატურული ცხოვრების მესვეურებმა მაშინვე კმაყოფილებით აღნიშნეს ნაღდი ნიჭიერებით დაჯილდოებული სრულიად ახალგაზრდა კაცის გამოჩენა.

საქმე ისაა, რომ ქართულ პოეზიას საიმედო და სახელოვანი ახალი თაობა შეემატა; მკითხველი უკვე კარგად იცნობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გამოსულ და შემდეგ დავაჟკაცებულ პოეტებს: ირაკლი აბაშიძეს, გრიგოლ აბაშიძეს, რევაზ მარგიანს, გიორგი შატბერაშვილს, ალექსი გომიაშვილს, გიორგი კაჭახიძეს,

ალიო ადამიას და სხვებს, ლიტერატურულ კრიტიკაშიც ჩანდნენ ფრიად საიმედო ახალგაზრდები: შალვა რადიანი, გიორგი ნატროშვილი, გიორგი ჯიბლაძე, დიმიტრი ბენაშვილი, მამია დუდუჩავა, გიორგი ლომიძე, ალექსანდრე სულავა და სხვები. რაც შეეხება მხატვრულ პროზას, ამ მხრივ ის ძალიან ჩამორჩებოდა და მწერალთა ყოველ თავყრილობაზე სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი.

ამ ვითარებაში კოტე ხიმშიაშვილის მოთხრობები ახალი ვარსკვლავის გამობრწყინებას ჰგავდა. ჭაბუკი პროზაიკოსის ნათლია მიხეილ ჯავახიშვილი გახლდათ, ხოლო მოუღლეელი ქომაგები: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაღაქია ტოროშელიძე, ლეო ქიაჩელი და ლიტერატურული გაზეთის მთელი რედაქცია.

იმხანად ჟურნალ „ახალგაზრდა მწერალში“ გამოქვეყნდა ჩემი პირველი რომანი „სურამი“ და რამდენიმე მოთხრობაც „მნათობში“ დაიბეჭდა. ჩემსა და კოტეს შორის მეგობრული ურთიერთობა სუფევდა, კოტე თავის აზრს მიზიარებდა ჩემს ნაწარმოებებზე, მე ალტაცებული ვიყავი მისი ხალასი შემოქმედებით.

თვითონ მოკრძალებული და თავმდაბალი ჭაბუკი გახლდათ, თავისებური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჯენტლმენური

ჩი ხასიათით, კეთილშობილი, აღზრდილი, თავაზიანი, განათლებული და გათვითცნობიერებული. ამხანაგს ხელს არ ნაჰკრავდა, არ აწყენინებდა, თავის გამოჩენა და ყოყოჩობა არ უყვარდა, სიტყვაძუნწი იყო, მუდამ ჩაფიქრებული, მეოცნებე. ამასთანავე, საკუთარ შემოქმედებით შესაძლებლობებში ღრმად დარწმუნებული. „დამაცადონ და ნახავენ, რისი გაკეთებაც შემიძლია!“ – დაქადნებით იტყოდა ხოლმე, ნახევრად ხუმრობით.

გარეგნულად შევლივით ბიჭი იყო, თეთრგვრემანი, მოხდენილი, ცოტათი ფერმკრთალი, ქოჩორა, ლამაზიც ეთქმოდა. ყველას უყვარდა და ისიც ალალი ღიმილით ხედებოდა თავის თავყვანისმცემლებს.



– აბა, კოტე, რა დაგვინერე ახალი, რა მოგვიტანე? – ეკითხებოდნენ რედაქციის თანამშრომლები.

– ახალი ბევრი მაქვს, – ღიმილით პასუხობდა, – მხოლოდ ჯერ კიდევ ცოტას დავიცდი, ნაჩქარევად არ მინდა დავბეჭდო, გადავხედავ, გავასწორებ, გადავწერ...

მასხოვს, ერთხელ ის ახალი ნაწარმოებები, რომელთა დაბეჭდვაზე უარს ამბობდა, მწერალთა კავშირში წაგვიკითხა. კლუბის გვერდით, დიდ ოთახში მოვიყარეთ თავი. პირველნი მოვიდნენ მიხეილ ჯავახიშვილი და ლეო ქიაჩელი. აქვე იყვნენ მწერალთა კავშირის მდივანი დავით დემეტრაძე, ბესარიონ ჟღენტი და მწერალი ლევან მეტრეველი, კოტეს უახლოესი ამხანაგებიც, ახალგაზრდა დამწყები მწერლები.

საქალაქე ეჭირა ხელში და სულ ერთთავად გადაფიქრებული ვერ ისვენებდა. მისი ცოცხალი თვალები ნაპერწკლებს კვესავდნენ, თავის მოთხრობებს წარამარა ფურცლავდა, ლელავდა...

დავით დემეტრაძემ გულთბილი შესავალი სიტყვა თქვა. სასიამოვნოა, – აღნიშნა მან, – ნიჭიერი ახალგაზრდის ესოდენ საყურადღებო წარმატებები. მშვენიერი მოთხრობებით უკვე გაგვახარა და დღესაც მოვუსმინებთ აქ მის გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს, დარწმუნებული ვარ, ისინიც ჩვენს მონონებს დაიმსახურებენ...

კოტე კითხვას შეუდგა, ჯერ ხმა ცოტათი უკანკალებდა, მაგრამ ძალიან გულდასმით ვუსმენდით, უკვე დაპყრობილი ვყავდით, ამან მხნეობა შეჰმატა, დამშვიდდა და გათამამდა.

ამბავი მოთხრობებში მწყობრად და ბუნებრივად ვითარდებოდა, ენაც ისეთი სადა, გამართული და ხატოვანი იყო, თითქოს ავტორი უკვე გამოცდილი, დაღვინებული, დამდგარი სიტყვის ოსტატი ყოფილიყო: ცოცხალი მხატვრული სახეები, ზუსტი შედარებები, სიტყვების ზედმეტი კორიანტელისა და „გაპრანჭვის“ გარეშე, ნათელი აზრი, მოულოდნელი ფინალი, ფსიქოლოგიურად დაძაბულ-დამუხტული სიტუაციები, ხელშესახები, ცხოვრებისეული მართალი სურათები და მკაფიოდ გამოძერწილი ხასიათები.

ყველა აღფრთოვანებული იყო და ყოველი მცირე მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მონონების ტაში გაიხმინებდა. დააცალეს, სანამ ყველა მოთხრობას წაკითხავდა, სიტყვები მერე ითქვა, მხოლოდ წინასწარვე ნათელი იყო, რასაც იტყოდნენ, ისე კმაყოფილებით და გაცეცხობით შეპყრებდნენ ახალგაზრდა ავტორს.

პირველად ბატონმა მიხეილმა აიღო სიტყვა. მას ძალიან მოსწონებოდა წაკითხული მოთხრობები და თავისი აღფრთოვანება არ დაუფარავს:

– ჩემი ღრმა რწმენით, – ბრძანა მან, – ხიმშიაშვილს ბრწყინვალე მომავალი ხელთ უპყრია, მისგან ბევრ რამეს უნდა მოველოდეთ, სულაც არ მეპარება ეჭვი, რომ ეს ასე იქნება, აბა, დავუკვირდეთ სიუჟეტურ ქარგას, როგორ დამაჯერებლად და ბუნებრივად ვითარდება. რა მიმზიდველად და საინტერესოდ, რა ოსტატურად გვიყვება ახალგაზრდა ავტორი თავის სათქმელს, რა მკაფიოდ გვიხატავს თავისი გმირების სახეებს... არა მგონია, ახალგაზრდა ავტორი გაყოყორდეს, თავი გაზვიადებულად წარმოიდგინოს, ბეჯით შრომასა და სწავლას უარი უთხრას და

ამით თავს ავნოს... – ბატონმა მიხეილმა კოტეს წარმატება მიულოცა და ხელი ჩამოართვა.

ლეო ქიაჩელი დამწყები მწერლების უანგარო მრჩეველი, ქომაგი და მოამაგე გახლდათ, თვალი სულ ახალგაზრდებისკენ ეჭირა და იმით ნაწერებს წაუკითხავს არ დატოვებდა. ამჯერადაც აღფრთოვანებული იყო და მღელვარედ ლაპარაკობდა:

– ხიმშიაშვილის ხალასი ნიჭი ეჭვს გარეშეა, ყოველი მისი ახალი მოთხრობა მკითხველის მონონებსა იმსახურებს, გვხიბლავს შინაგანი სიმართლითა და ჩანაფიქრის სისადავით. დოსტოევსკი ლომი იყო და ლომად დაიბადა, გავისწინებთ მისი პირველი ნაწარმოები, რომელმაც უცებ გაუთქვა მომავალ დიდ მწერალს სახელი... ვისურვოთ, ღმერთმა ქნას, ასეთი ყოფილიყოს კოტე ხიმშიაშვილის დებიუტიც... წარმატების მისაღწევად კი საჭიროა თავაუღებელი, ბეჯითი სწავლა და მოუღლეელი შრომა, მსოფლიო ლიტერატურის დიდი მემკვიდრეობის ათვისება, ჩვენი ისტორიისა და ენის ღრმა ცოდნა, ამის გარეშე რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება წარმოუდგენელია, ახალგაზრდის ნიჭიერება ფრთებს ვერ გაშლის. ვუსურვოთ ხიმშიაშვილს წარმატება ამ დიდ გზაზე...

მწერალი ლევან მეტრეველი თურმე სხვაგან მიდიოდა, საქმეზე მიიჩქაროდა. ჯავახიშვილს გაუჩერებია და აქ შემოუყვანია, ერთი ახალგაზრდა მოთხრობებს კითხულობს, საინტერესო და ნიჭიერი ჭაბუკია, უსათუოდ დაესწარიო. ბატონმა ლევანმა თავისი სიტყვა სწორედ ამის აღნიშვნით დაიწყო:

– მე მიხეილის უაღრესად მადლობელი ვარ, რომ აქ მომიწვია და ამდენი სიხარული განმაცდევინა. დიდი ხანია ასეთი კარგი მოთხრობები არც წამიკითხავს, არც მომისმენია და, მართალი ვითხრათ, დიდად გახარებული ვარ. მით უფრო, ამას წერს ჭაბუკი, რომლის წვერ-ულვაშს ჯერ სამართებელი არ შეხებია. ასეთი ახალგაზრდები ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ, ხშირად დაფუბეჭდოთ მოთხრობები, გამოვცეთ ნიგნები, შევუქმნათ შემოქმედებისათვის ყველა პირობა, გავაგზავნოთ მივლინებით დიდ საწარმოებში, მშენებლობებზე, სოფლად კოლმეურნეობებში, რომ კარგად გაცნონ გიგანტურ გარდაქმნებს, ჩვენს მიღწევებს. ამის გარეშე ახალგაზრდა კაცი წინ ფეხს ვერ წარსდგამს, კაბინეტში გამოკეტილ ფუქსავაჭად დარჩება. აი, თუნდაც დღევანდელ ამ ღონისძიებას მივესალმები, ასეთ შესხვედრებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ...

მერე ორიოდ სიტყვა მეც ვუთხარი ჩემს მეგობარს, სხვებმაც თქვეს და მოთხრობები მოუწონეს...

კოტე შემკრთალი, უხერხულად თავჩაღუნული, გაფიქრებული გვიგდებდა ყურს და სანამ სხდომა არ დამთავრდა, წელში არ გასწორებულა.

გარეთ რომ გამოვედით, კოტემ ხელკავი გამოძლო, ამოიხვნეშა და ეს მითხრა:

– ბევრი შემაქეთ, ვიცი, წამაქეზეთ, ეს ჩემი მოთხრობები ამაღ არ ღირს, ყველაფერი გამეგება, მაგრამ მე ვგრძნობ, გაცილებით უკეთესის წერა შემიძლია და დავწერ კიდევც, აი, ნახავ!

ახალგაზრდა მწერლის ამ ნაოცნებარს ხორცშესხმა არ ეწერა, მაგრამ რაც გააკეთა, არდავინყების ღირსია და მას თანამედროვე მკითხველი უნდა იცნობდეს.

ასეთი  
შედეგად  
16/11

კოტე ხიმშიაშვილი

## მეკოჭობე

ყოველდღე სალამოს ექვსიდან ათ საათამდე იგი იჯდა მკითხველთა დარბაზში და მკერდით მაგიდაზე მიყრდნობილი თავაუღებლად ჩაცქეროდა გადაშლილ წიგნს. ვრცელ დარბაზში პატარა მაგიდებთან მსხდარ მკითხველებს შორის ადვილად გამოარჩევდით მის სახეს – ლოყებზე ფოლაქების დანაჭერივით აწნდა ნაყვავილარი, მაღალი ცხვირი პატრონის უნებურად მუდამ უკმაყოფილებას გამოხატავდა, დანაოჭებული შუბლიდან უკან გადავარცხნილი, გახუნებული თმა ოდნავ უფარავდა ყოყორ ყურებს.

ბიბლიოთეკის გამგე ქალმა სთქვა, ეს კაცი მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობსო. მე იგი მკითხველთა ვერცერთს, ჩემთვის ნაცნობს კატეგორიას ვერ მივაკუთვნე. საჯარო სამკითხველოში მხატვრულ ლიტერატურას უმთავრესად სწავლას თავდანებებული და ჯერ კიდევ გაუთხოვარი ქალიშვილები კითხულობენ. მათ ყოველი ფურცლის შრიალი საბაბს აძლევთ, თავი ასწიონ, მეზობლები ჩაათვალიერონ, საათს შეხედონ და თმა გაისწორონ. ხწირად შეხვდებით გამეტირებულ პატარა ბიჭებსაც, პოეტობას რომ აპირებენ. ისინი მუდამ ცქმუტავენ და უმეტესად კატალოგების ჩხრეკაში და ერთმანეთთან მასლაათში ხარჯავენ დროს. სერიოზული მკითხველი ხანდახან სულ მცირე ხნით თუ შემოიხედავს ხოლმე, ისიც რომელიმე იშვიათ წიგნისთვის.

ეს კაცი კი ყოველდღე აქ იყო. ღამის ათ საათზე, როცა მუშაობის შეწყვეტის ნიშნად ზარს დარეკდნენ, იგი ზანტად წამოდგებოდა სკამიდან, ეტყობოდა – კიდევ სურდა კითხვა, წიგნით ხელში წყნარი ნაბიჯით მიუახლოვდებოდა მოაჯირს, ხელებს ილიებში დაიმწყვდევდა და აშკარად ნასესხები პოზით მშვიდად უცდიდა წიგნის ჩაბარების რიგს. მას მომწვანო, თაფლის წინწკლებიანი თვალები ჰქონდა, ისეთის გამომეტყველებისა, თითქო დიდი ხნის ლოდინის შემდეგ წერილი მიეღო, მაგრამ კონვერტი ცარიელი აღმოჩენილიყო. ზოლებიანი, საეჭვოდ ნაცრისფერი კოსტიუმი ოდნავ მოკლე მოსვლოდა და უფრო მაღალს, გამხდარსა და მოუხეშავს აჩენდა, ვიდრე წამდვილად იყო. დიდი შავი ხელები და მძიმე სიარული მოწმობდა, რომ იგი ფიზიკურად მუშაობდა.

ჩააბარებდა რა წიგნს, ნაყვავილარი კაცი წყნარი ნაბიჯით დაემშვებოდა ხოლმე კიბეებზე და ჩაფიქრებული გაპყვებოდა ქუჩას პუშკინის ბაღისაკენ.

მე გადავწყვიტე გავცნობოდი მას. ბიბლიოთეკის გამგე ქალისგან შევიტყე მისი მეტისმეტად ჩვეულებრივი სახელი – ივანე. შევიტყე, რომ ამჟამად ცვაიგის „უოზეფ ფუშე“-ს კითხულობს. თუმცა უკვე ნაკითხული მქონდა კორსიკელ თავდაჯერებულის და მისი თანამესუფრის ამბავი, მაინც მივედი და თავაზიანად უთხარი:

– ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო ივანე, არ მინდა ვინმემ დამასწროს და ამიტომ, თუ შეიძლება, მაცნობეთ, როდესაც მაგ წიგნს გაათავებთ.

მან მომწვანო, მუდამ განბილებული კაცის თვალებით მომხედა, ოდნავ გაიოცა, რომ მისი სახელი ვიცოდი, და მგონი გაღიმებაც სცადა.

– ძალიან კარგი... უსათუოდ...

რასაკვირველია, იმ სალამოს სამკითხველოდან ერთად გამოვედით და, კიდევ რასაკვირველია, იძულებული ვიყავ საუბარი კორსიკელზე დამენყო.

– როგორ მოგწონთ ნაპოლეონის პიროვნება? – გოგონებისგან დაშინებული ახალგაზრდა მწიგნობრის ტონით შევეკითხე ივანეს, როცა კიბეებზე ჩამოვედით და ფილაქანზე გაგწერდით.

– მაგარი კაცი იყო. – სთქვა ივანემ, ოთხად დაკეცილი თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, ტუჩთან მიიტანა და გაუშლელად ისევ ჩაიღო ჯიბეში, – საქმის გაკეთება შეეძლო...

ასე იტყვიან ხოლმე სოფელში გარდაცვალებულ კოლმეურნე ბრიგადირზე. მე ვცადე ტონი არ დამკარგოდა:

– გეთანხმებით, უთუოდ გენიოსი იყო, მაგრამ მგონი იმდენი საქმე არ გაუკეთებია, რამდენიც სახელი მოიხვეჭა.

– სახელი ჭკუამოკლე ხალხის გასაოცებლადაა მოგონილი, – ჩვენ მხარდამხარ დავიძარით პუშკინის ბაღისკენ, – ის კაცი საქმეს აკეთებდა და სხვები ამ საქმეზე ლაპარაკობდნენ.

– ზოგი რომ საქმეს აკეთებს და არაფერს ლაპარაკობს?

– ეგ რა ბედენაა! თავისთავთან სიამაყეც ეყოფა.

– არა, მე იმას ვამბობ, რომ ნაპოლეონისთვის ჯერ სახელი და პატივმოყვარეობა იყო და მერე საქმე... – რაკი მწიგნობრის ტონი ავიღე, ლევ ტოლსტოის გახსენებასაც ვაპირებდი.

– მართალია. მაგაზე არ გეკამათებთ. – ივანემ თითებით გადივარცხნა გახუნებული თმა, – უბედურება ის არის, რომ ზოგი სახელზე სულ არ ფიქრობს და საქმეც არსადა ჩანს.

მე ყურები ვცქვიტე და სინანულით გავიფიქრე, რომ უკვე სასტუმრო „პალასს“ მივალნიეთ, ჩემი თანამგზავრი შეიძლება ტრამვაის გაჰყვეს და მაშინ ველარ მოვასწრებ ბოლომდე ვათქმევინო მეთქი ყველაფერი.

– ეგ შეუძლებელი ამბავია, – ვთქვი მე, – კაცს სურვილი ჰქონდეს, თორემ საქმის მეტი რა არის.

ივანემ ჩაიცინა და ერთის წუთით შედგა (იქნებ ჭვალამ გაჰკრა).

– მარტო სურვილი არ კმარა. – დაბალი ხმით სთქვა მან.

– რასაკვირველია, ძალა უნდა შეგწევდეს.

– ჰო, ძალა და კიდევ... – ივანემ ჩაფიქრებით გახედა მოედანს.

მე გადავწყვიტე, რომ უკვე დროა დაიწყოს, – და შევეკითხე:

– თქვენ რა ხელობისა ხართ, ივანე?

– მე?.. მე მეკოჭობე ვარ, ჩემო ძმაო... – ნაყვავილარი სახე თითქო ელამმა სარკემ გააღიმა.

– რაო?..

– მეკოჭობე. არ გაგიგონიათ? კოჭობს პატარა კოლოფს ეძახიან.

– ჰოო, – ვთქვი ისე დინჯად, თითქო არ მივმხვდარიყავ რა სიმღერასაც ვისმენდი, – კოლოფებს აკეთებთ?

ნაცყავილარი კაცი უთუოდ სხვაგვარ გამოდახილს ელოდა და დადუმდა.

მე ნამსვე გავალიზიანე:

– რას იზამ, ყველას თავის საქმე აქვს.

– საქმე! ესეც საქმეა რალა... – ივანემ ნერვიულად ჩაიყო ჯიბეში ხელი და მუყაოს პატარა კოლოფი ამოიღო, აი, რა საქმეს ვაკეთებ!

მე ყავისფერი, მოგრძო კოლოფი გამოვართვი. მსუქანი, შავი ასოებით გარკვევით ეწერა: „პილპილი“. და შემდეგ, ცოტა მომცრო შრიფტით: „კოოპერატიული არტელი „მომავალი“.

– ნაპოლეონიც საქმეებს აკეთებდა და ჩვენც საქმეს ვაკეთებთ.

ცოტა ხნით ორივენი გავჩუმდით.

– რატომ, – ვთქვი მე, – ყველა ხომ ნაპოლეონი არ იქნება.

– ჰო, მაგრამ რამე ხომ უნდა იყო!.. – ივანემ ისევ ამოიღო ოთხად დაკეცილი ცხვირსახოცი, ახლა კი გაშალა და მართლაც გულწრფელად მოიხოცა ცხვირი, – აი, ვკითხულობ ნიგნებს... თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, ოდესმე დადგება დრო და ალბათ შეეკითხებით თქვენს თავს, რა გავაკეთეო. თუ უპასუხებთ თორმეტი წელიწადი პილპილის ჩასაყრელ კოლოფებს ვაკეთებდით... – ნაცყავილარი სახე თითქო კიდევ გააღიმა ელამმა სარკემ, – უთუოდ უკმაყოფილო დარჩებით.

„ოღონდაც“... გავიფიქრე ჩემთვის.

პუშკინის ქუჩიდან ზარის ჟღარუნით ამოგორდა ხალხით დახუნძლული ტრამვაის ვაგონი.

– ავერ, პირველი ნომერიც, კარგად გნახეთ.

ივანე უეცრად მომცილდა, სწრაფად შეერია ტრამვაისთან შეგროვილ ხალხს და თვალიდან დამეკარგა.

პილპილის კოლოფი ხელში შემრჩა. მერე კოლოფი ფილაქანზე დავაგდე, ფეხიც გავკარი და რაკი აღმასკომის საათი ჯერ თერთმეტის ნახევარსაც არ უჩვენებდა, გადავწყვიტე ჩემთვის საჭირო ტრამვაისთვის მომეცადნა.

გავცქეროდი პროექტორებით განათებულ მოედანზე მიმოზნეულ ხალხს და ვფიქრობდი:

ვინ იყო ის ნაცყავილარი კაცი?.. თითქო სულ უბრალოდ აიხსნება ყველაფერი. ივანეს სურს იყოს ნაპოლეონ I ან მისი მსგავსი რამ და არა პილპილის კოლოფების მკეთებელი ხელოსანი. იგი ყოველდღე დადის საჯარო სამკითხველოში, კითხულობს ნიგნებს, იცის, რომ არსებობენ დიდი ადამიანები და მას სურს იყოს დიდი ადამიანი! დიდი ადამიანი და არა... მეყოფობე.

ტრავედიაა.

მაგრამ, ივანე არ ჰგავს კვიმატს. ნაპოლეონზე სთქვა: „საქმის გაკეთება შეეძლოო“... ასე იტყვიან ხოლმე სოფელში კარგს მათოხარზე. საქმე. ივანე სულ საქმეზე ლაპარაკობდა და არა სახელზე... „უთუოდ დადგება დრო და თქვენს თავს შეეკითხებით – რა გავაკეთეო“... ეს იყო კაცობრიული სიამაყე. ივანე მუშაა, კოლოფებს აკეთებს; მასში ალბათ დიდი ხანი არ არის, რაც გაიღვიძა ამ სიამაყემ, თორემ აქამდე ან მართლაც საქმეს გააკეთებდა და უკმაყოფილო აღარ იქნებოდა თავისი თავის, ან... საკუთარ სახელოსნოს გახსნიდა სადმე, ოქრომჭედელთა რიგში ან კუკიის ხიდისკენ. არა, ნაცყავილარი კაცი, რომელსაც თავლის წინწკლებიანი თვალები ჰქონდა ისეთი გამომეტყველებით, თითქო დიდხნის ლოდინის შემდეგ წერილი მიელო, მაგრამ კონვერტი ცარიელი აღმოჩნდა, – უთუოდ განსხვავდებოდა სახელის მაძიებელთაგან, ის საქმის მაძიებელი იყო. და საქმე რამდენია...

ტრამვაი ივანებს. შეიძლება მე ვცდები. „ლიტერატურშინა“. ვცდილობ ყოველი მოვლენა დავინახო „პრინციპიალურ სიმალღეზე“.

მას შემდეგ კალენდარს ბევრი ფურცელი მოაკლდა. საჯარო სამკითხველოში აღარ დავდიოდი, ივანეც აღარსად შემხვედრია.

ერთ დღეს, ქუჩაზე მიმავალმა, მთავრობის ძველს სასახლესთან გამოფენილი სტახანოველების ფოტო-სურათებში ნაცნობი სახე შევამჩნიე. ნაცყავილარი, მუდამ უკმაყოფილო ცხვირი; უკან გადავარცხნილი, გახუნებული თმა ოდნავ უფარავს ყოყორ ყურებს; ხელები ილღიებში დაუმწყვდევი და დაჰყურებს მუყაოს პატარა კოლოფების უზარმაზარ გროვას.

ვიცანი – ივანე დორეულია. მაგრამ, საკვირველია, რალაც დიდი ცვლილება დასტყობოდა. კარგად

დავაკვირდი და როგორც იყო მიხვდი – თვალები. მომწვანო, თაფლის წინწკლებიანი თვალებს ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქო დიდხნის ლოდინის შემდეგ წერილი მიიღო, და კონვერტში რალაც იპოვნა ივანემ. თვალები სულ სხვაგვარად იყურებიან.

მე მიუბრუნდი ამხანაგს და შევეკითხე:

– გივი, აბა, შეხედე ამ კაცს... რას იტყვი, ჰა?..

ამხანაგმა ტყავის პალტოში მხრები შეიშმუშნა და ღიმილით თქვა:

– რა ვიცი, ნაპოლეონივით კი იყურება და...

დიად, იგი მართლაც ნაპოლეონივით დაჰყურებდა პილპილის ჩასაყრელი პატარა კოლოფების უზარმაზარ გროვას.

სურათის ჩარჩოს დიდი თეთრი ასოებით ეწერა: „სტახანოველები“.



მხატვარი თამარ მინაშვილი

მინანარი

ოთხმოცდასამი წლის ვარ. ორმოცდათვრამეტი კოტეზე უფროსი. ის რომ წავიდა, უფრო სწორად, გააქრეს ამ ქვეყნიდან, ექვსი წლით ვიყავი უმცროსი.

დროს არა აქვს მნიშვნელობა. ის მოკრძალებულ, სიყვარული არ განელებულა. იმსახურებდა. ახლაც, როგორც ცოცხალს, ისეთივე მონივნებით შევეყურებ მშვენიერ სურათებს, მორიდებით ვეხები დანატოვარ ხელნაწერებს. ყველა ძვირფასია ჩემთვის, მაგრამ ერთს შევახებ ხელს და ქარიშხალივით მოვარდება მოგონება. „პილპილის კოლოფები და ნაპოლეონ I“ კოტეს „მნათობში“ მიაქვს ალბათ. ხელნაწერს ბატონ მიხეილ ჯავახიშვილის მინანარი აქვს კუთხეში – „დაიბეჭდოს“ 1936 წ. სათაურიც შეუცვლია, „მეკოჭობე“ შეურქმევია, მოთხრობა ჩასწორებულია. კოტე მაშინ ცხრამეტი წლისაა.

მალე მიხეილ ჯავახიშვილს აპატიმრებენ. ალბათ კოტეს მოთხრობა რედაქციიდან გამოაქვს. აბა, ვინლა დაუბეჭდავდა.

ცოტახნით ადრე, იმავე 1936 წელს, საქართველოში ანდრე ჟიდი ჩამოდის. მეგზური მიხეილია. ერთხელ, უცხოელი მწერალი ეკითხება მას – „რა აზრისაა შემოქმედებით ახალგაზრდობაზე“. მიხეილ ჯავახიშვილი შეაქებს მოზღვავებულ ნიჭიერ ახალგაზრდას, მაგრამ გამოჰყვარს კოტე ხიმშიაშვილს – განსხვავებულია ნიჭიერს, განათლებულს, ენის მცოდნეს და რაფინირებულს...

მწერლის დაპატიმრების შემდეგ კოტეს ხშირად იბარებენ „სუკში“. შინ მობრუნებული ზის წიგნით ხელში, მაგრამ მგონი არ კითხულობს. დედა ვერაფერს ეკითხება. ეტყობა, შვილის ყოველი დაბრუნება იმდენად მნიშვნელოვანია, სხვას არას დაეძებს.

ერთ დღეს, შინ მოსული, დიდხანს ჯიბეებში ხელებჩანყობილი ბოლთას სცემს. ჩვეულებრივად, ფიქრის დროს, ჭერში და სარკმელში იცქირება. ცისფერი ძარღვი მკვეთრად გადაჭიმია მაღალ შუბლზე. ეს დაძაბულობის ნიშანია. უეცრად წიგნის კარადიდან მიხეილის ტომებს გადმოიღებს, სათუთად შეკრავს, მომიბრუნდე-

ბა და მამის მსგავსად, ჩუმი ხმით მეტყვის – „შენი ჭირიმე, ეს წიგნები გადამაღე“.

თეთრ ყდაში ჩასმულ, მიხეილის გრაფიკული გამოსახულებით დამშვენებულ წიგნებს გულში ვიკრავ. მობარებულს საგულდაგულად ვინახავ სარდაფში. დიდდასიუელ კედელზე მიყუდებულ შირმას ზედ ვაფარებ.

მამა ყვარლიდან ჩამოდის, კოტე თითქოს შვებას გრძობს. იქვე მისხდებიან და საუბარს გააბამენ. ვკითხულობ, მაგრამ ყურები ლოკატორებივითა მიაქვს მომართული. ველავ, რა ხდება ჩვენს თავს?..

„... ერთთავად მეკითხებიან, – თქვა კოტემ, – რატომ შეგაქო უცხოელ მწერალთან ჯავახიშვილმაო. რას ვპასუხობ? მე რატომ მეკითხებით. აქა გყავთ ის შესანიშნავი მწერალი და აი, იმას შეეკითხეთ. უეცრად ილრიალა ერთმა მოსამართლემ. – აჰაა, შესანიშნავია, არა? ახლა რომ მივაჯენ მის გვერდით, მაშინ ვნახოთ, როგორ აქებთ ერთმანეთსო!.. მოულოდნელად მეორე მოსამართლემ დაასწრო – თავისუფალი ხარ... ნადიო!..“

მალე, სკოლაში საიდუმლოდ მიაბმეს – ჯავახიშვილი ნამებაში შემოაკვდათო. ვხვდები, თურმე რატომ აღარ იბარებენ კოტეს „იქ“. შეშინებული ვბრუნდები შინ. მადლობა ღმერთს, კოტე სანერ მაგიდას უზის!.. ხმას ვერ ვიღებ, ფრთხილად დავდივარ, მიჭირს!..

უეცრად მოტრიალდება კოტე – „შენი ჭირიმე, ამოიტანე წიგნები!“ – თითქოს მევედრება. ეტყობა დიდხანს ვეძებ, ხელცარიელს რომ დამინახავს კოტე, უკვე მოთმინებადაკარგული, კიბის თავში, მელოდება, ყველაფერს ხვდება, უხმოდ ტრიალდება უკან...

ალბათ როგორ ენახება პირველ ტომზე მწერლის მინანარი – ვფიქრობ.

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია

გვეკითხებიან, ვპასუხობთ

ბატონო როსტომ, მკითხველი კარგად იცნობს თქვენს მრავალმხრივ და უაღრესად მნიშვნელოვან მოღვაწეობას, როგორც რედაქტორის, მრავალი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორისა. მართლაც შესაშური თქვენი დაუღალავი მარჯვენა.

გამორჩეულია თქვენს მიერ შექმნილი ბიოგრაფიული რომანები ალექსანდრე ორბელიანზე, პავლე ინგოროყვასა და ალექსანდრე ყაზბეგზე, რომელიც, ბელეტრიზებული სახით გადმოცემული, უდავოდ საინტერესოა და დასაფასებელი.

ბიოგრაფიული რომანის ქრესტომათიული ნიმუშები სხვაც ბევრი მოგვეპოვება ქართულად ამეტიყველებული არჩილ ჯორჯაძის, გერონტი ქიქოძის, ვახტანგ ჭელიძის, ოთარ ჩხეიძის, აკაკი ბაქრაძის, სოსო სიგუას მიერ.

თქვენ გამოცდილი კაცი ბრძანდებით და თავგადაღებული იმისათვის, რომ XXI საუკუნეში მაინც მოხერხდეს XX საუკუნის ლიტერატურული ცხოვრების ჯეროვანი შეფასება, მათ შორის, უწინარესად, ამ საუკუნის ლიტერატურული ცხოვრება პირუთვნელად დასაწერი, ეს კი, მონოგრაფიებზე უკეთ, ბიოგრაფიულ რომანს ძალუძს მკითხველამდე მიიტანოს, რადგან, თქვენივე სიტყვებისა არ იყოს, „ბიოგრაფიული რომანი სულის ხვეულებსაც უფრო აშიშვლებს და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ფონსაც უფრო წარმოსახავს“.

უეკრანო გამოსვლებისა და ნაკვესების ციკლში, არაერთხელ და საგანგებოდ ეხებით გამორჩეულ პიროვნებებს, იქნება ეს ვახტანგ ჭელიძე თუ აკაკი შანიძე და გულისტკივილით აღნიშნავთ მათზე ბიოგრაფიული რომანის არარსებობას. ჯერჯერობით დაუნერვლია ბიოგრაფიული რომანები დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, ლევან გოთუას შესახებ.

... იქნებ ბევრს ვითხოვ და ამდენი ერთი ადამიანის ძალას აღემატება, მაგრამ, გავკადნიერდები და ვიტყვი: „ყაზბეგიანას“ ავტორი, ვალდებულიც ბრძანდებით, ამ ციკლს ახალ-ახალი თხზულებები ამოუყენოთ გვერდში.

დაბოლოს, ხომ ვერ გავგიმხელდით მკითხველებს თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ ამ ჟანრში?!

ბია ჩაფიძი

ბატონო გია, გულითად მადლობას გიძენით იმ ინტერესისათვის, რასაც იჩენთ მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრებისა და, კერძოდ, ბიოგრაფიული რომანის მიმართ. ეს ჟანრი ძალიან პოპულარულია ცივილიზებულ მსოფლიოში და ქართველებსაც გვევალება უფრო პირნათელნი ვიყოთ ბიოგრაფიული რომანის წინაშე.

რაც შეეხება ჩემი სამომავლო გეგმების გამხელას ამ ჟანრში. ის, რაც სამომავლოდ მოჩანს მკითხველის – და დავკენდი, ნამდვილი მკითხველის თვალში, ჩემთვის უკვე... წარსულია.

ანყობილია და გამოსაცემად გამზადებული ჩემი სამი ბიოგრაფიული რომანი:

ელიზბარ ერისთავზე („მდინარესა ზედა ქსნისასა“), იაკობ გოგებაშვილსა („ბურჯი ეროვნებისა“)

და არჩილ ჯორჯაძეზე („წერილები იტრიის ნისქვილიდან“).

ვიდრე ეს თხზულებები წიგნებად იქცეოდეს და ხელმისაწვდომი გახდებოდეს მკითხველისათვის, ნაადრევია სამომავლო გეგმებიდან რაიმეს გამხელა... თუმც ისედაც არაფერს ვაპყლავნებდი იმ უბრალო მიზეზითაც, რომ ეს ეგრეთწოდებული სამომავლო გეგმები ნამდუაუნმ მეცვლება...



ეკა ბუჯიაშვილი

# სურათები ღვთისკაცის სამლოცველოდან

აი, ამ კარსაც შევალე...

მერე კიბეს ავუყვები...

მერე ერთ-ერთ კარზე დახატული ფიგურა უცნაური ჩრდილი მეგონება კაცისა, თითქოს დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ შინ რომ დაბრუნებულა, ცხოვრების გრძელი და ეკალბარდებიანი გზებით დაღლილი, წლებისა თუ დარდისგან მოხრილი, ცოტაც და მშობლიურ კარსაც შევალე...

მერე იმ ოთახის ზღურბლსაც გადავაბიჯებ, საითაც ჩემი მასპინძელი, ქალბატონი **ნინო მამარდაშვილი** მიმიძღვის... და აღმოვჩნდები სამყაროში, საიდანაც გონების თვალი საუკუნეს სწვდება.

მაგრამ ეს იქნება მერე...

ჯერ კი მხოლოდ ამ სახლთან ვდგავარ, მეუბნებიან, რომ მოდერნის ტიპის ეს შენობა ისტორიული ძეგლია, შესასვლელი კარი კი მოდერნის სტილის ას საუკეთესო კარს შორის ირიცხება, მთელს მსოფლიოში.

სადარბაზოსთან ფირნიშია წარწერით:

„1945-53 წლებში ამ სახლში ცხოვრობდა დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნმინდა ექვთიმე (ღვთისკაცი) თაყაიშვილი“.

\*\*\*

ყველაფერი რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, როცა „გაერთიანებული ქართული ბანკის (ამჟამად „ვი-თი-ბი ჯორჯიას“) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის **ზაზა სიორიძისა** და „ენერჯი-ინვესტის“ გენერალური დირექტორის მოადგილის **თემურ გორგოძის** ძალისხმევით დაფუძნდა „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი“. სწორედ ამ ფონდმა შეიძინა დანგრევის პირას მისული ეს შენობა, ვაშლოვანის ქუჩაზე №6-ში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესმა“, და შესაბამისი აღდგენითი-სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, საზოგადოებას ექვთიმე თაყაიშვილის ოთახი – სამლოცველოს კარი გაუღო. გახსნაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ყოფილა და მუზეუმისთვის, საჩუქრად ღვთისმშობლის ხატიც გადაუცია.

ფონდის ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო მამარდაშვილი ახლა სწორედ ამ ოთახისკენ მიმიძღვის.

\*\*\*

ამ მაგიდასთან მერე იროდიონ სონღულაშვილი იჯდა.

ექვთიმეს მერე.

მეგობრები იყვნენ. მიზნებიც, სურვილებიც, მრწამსიც ერთნაირი ამოჭროდათ სულსა, გულსა და გონებაში.

ცხოვრების გზაზეც ერთად მოდიოდნენ...

ტვირთივც საერთო ჰქონდათ საზიდი – საკუთარი ქვეყნისა და ერის სულიერი თუ მატერიალური სიმდიდრისთვის ეპატრონათ და თაობებისათვის გადაეცათ.

ჰოდა მოდიოდნენ... თხემით ტერფამდე საქართველოს იდეით შეპყრობილები.

სულიან-გულიან-გონებიანად სამშობლოს წერას ატანილები...

ექვთიმე რომ საფრანგეთში გაჰყვება ქართულ განძს, ბოლშევიკური რეჟიმისაგან გადასარჩენად, იროდიონს ექვატოვებს, სამშობლოში დარჩენილის საპატრონოდ.

**როსტომ ჩხეიძე** თავის ბიოგრაფიულ რომანში „პავლე ინგოროყვა“ მთავარი გმირის პორტრეტს რომ გამოკვეთს, იმასაც მიანიშნებს, ბევრი შტრიხი სწორედ იმ მიმონერათა ქარგაზეა აგებული, იროდიონს, ექვთიმეს, პავლე ინგოროყვასა და რეზო გაბაშვილს შორის რომ იყო. აი, რამდენიმე პასაჟი ნიგნიდან:

1912 წლის შემოდგომაზე, საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში მყოფი ექვთიმე და იროდიონი, უეცრად შენიშნავენ ახალგაზრდა სტუდენტს, მხრებში მოხრილს, მომლიძინარს, ხელნაწერების ჩხრეკას რომ შეუდგება. დაინტერესდებიან მისი ვინაობით, გაიცნობენ... ექვთიმე ხელს ჩაავლებს 18 წლის პავლეს, ბავშვივით აღტაცებული – ხელნაწერ ფოლიანტებს მკვლევარი გამოუჩნდაო... და კიდევ საკუთარ თავზე აიღებს ამ ახალგაზრდაზე მზრუნველობას.

იოლი არ აღმოჩნდება, პავლეს მიზეზიანი ხასიათის გამო, მაგრამ აბა, ეს რა სახსენებელია იმ საქმესთან, რომლის შემსრულებლადაც სწორედ ეს ახალგაზრდა კაცი ეიმედება ექვთიმეს, მომავალ ნიკო მარადაც რომ ესახება პავლე ინგოროყვა და იმთავითვე კარგად უწყის რარიგ მძიმე ტვირთს აჰკიდებს პატარა, ავადმყოფ მხრებზე.

ერთხელ პავლე აიტებს: ვეგეტარიანელი ვარო და ხორციულის ჭამაზე ხელს აიღებს. ბევრს ეცდებიან გადაათქმევიონ, ისედაც ჯანგაბეხილი უჭმელობისგან სულ გახდაო.

მსხნელად ექვთიმე მოველინებათ, პავლეს თავისთან დაპატიჟებს:

– მოდი, ჩემთან ისადილე ხოლმე, – ეტყვის.

– აბა, როგორ შეგანუხოთ, მე ვეგეტარიანელი ვარ, ცალკე ხომ არ გამიკეთებთ სადილს?

– რას ამბობ, მე თვითონ ამიკრძალა ექიმმა ხორციულის ჭამა, წვენიც ვეგეტარიანული უნდა მქონდესო.

პავლეც დათანხმდება.

ერთი თვის შემდეგ ექვთიმე იროდიონს ჰკითხავს:

– რას იტყვი, მოკეთდა? არ უთხრა კია და მთელი თვის განმავლობაში ხორცის უხორცო წვნიანს ვაჭმევდითო.

ცხოვრების რთული გზა აერჩიათ ამ ადამიანებს. ან, იქნებ, ცხოვრებას თვითონ გამოერჩია ისინი ერისკაცობის ხვედრისათვის, ოღონდ ამ გზაზე „ჰაერსავით მოისკაცობის საჭიროება იყო მეგობარი“. სწორედ ამ გრძნობათაა გაჯერებული ექვთიმეს წერილი:

„იროდიონ! მე ვიზრდები, ვიზრდები ისე საშინლად, რომ მგონი კიდევ მოვკვდე. ეს ცალიერი სიტყვები არ არის, ეს სავსეა შინაარსით, როგორც ყველაფერი ჩემში. ნიციე ამბობს ერთ ადგილას: ქვეყანა ღრმია, გაცილებით ღრმა, ვინემ ამის შესახებ ჰფიქრობს დღე. და აი მეც ვიგრძენ, თუ რა ღრმაა, რა უცნაურად ღრმაა სიცოცხლე, სავსე აზრით და შინაარსით, გაცილებით ღრმა და დიადი, ვი-

ნემ ამის შესახებ ვფიქრობდი და ჩვეულებრივ ჰფიქრობენ. მე ვიგრძენ და ვგრძნობ მაღლს ბუნებაში, ვიგრძენ და ვგრძნობ შემადრწუნებელი სიძლიერით მას, რასაც ზემთაგონებას ეძახიან. ახ, – არის ღმერთი...”

ამ მაგიდასთან ჯერ ექვთიმე იჯდა.  
მერე – იროდიონი...

ახლა ეს მაგიდა ამ ოთახ-სამლოცველოში დგას, ეროვნულ მუზეუმს გადმოუცია საჩუქრად, ნოდარ ლომოურის ხელმძღვანელობისას, ექვთიმეს პორტრეტთან ერთად (ეს ნახატი შუხაევის შესრულებულია) –

ზის ექვთიმე თავის მაგიდასთან და იმზირება...  
ათნლეულებს გამოსცქერის...

საუკუნეებსაც...  
იქითაც და აქეთაც.

წარსულისკენაც და მომავლისკენაც.  
სიღრმეებსა და სიმაღლეებს სწვდება მისი მზერა.

„ქვეყანა ხომ ღრმაა... გაცილებით ღრმა, ვინემ ამის შესახებ ჰფიქრობს დღე“, – სადღაც მარადიულობაში აწრინებებს თავის კალამს ფრიდრიხ ნიცშე.

\*\*\*

კედლებზე მოფენილ ფოტოებს ვათვალიერებ.

ამ პატარა მუზეუმში საექსპოზიციო მასალის დიდი ნაწილი ბატონ **გურამ შარაძეს** შეუგროვებია და მოუტანია.

ქალბატონი ნინოს თქმით, ნაწილი ამ ფოტოებისა 2004 წლის 10 მაისს, ფონდის ძალისხმევით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ექსპოზიციანეც იყო წარმოდგენილი, უცნობ მასალებთან ერთად, ექვთიმეს შესახებ. მაშინ ამ დიდ ერისკაცზე გადაღებული ფილმიც უჩვენებიათ – **„დიდი მეჭურჭლეთუხუცესი“** (რეჟისორი **რეზო თაბუკაშვილი**).

წარსულში, თითქმის საუკუნით უკან გაბრუნებს ეს ფოტოები.

ექვთიმე ნოე რამიშვილის დაკრძალვაზე...  
ექვთიმე არქეოლოგიური მოგზაურობისას...  
სტუმრად ძმის, ნიკოს ოჯახში, ოზურგეთში.  
ეს – ნიკო მართან ერთად.

აი, მეუღლის, ნინო პოლტორაცკაიას სურათი, ფოთლის ფორმის ხის ჩარჩოთი, საწოლთან რომ ეკიდა ექვთიმეს. ნინოს ეს ფოტო, კიდევ ექვთიმეს ძმების: ნიკოს და ვარლამის პორტრეტები და საოჯახო ჩანაწერების ჟურნალი ექვთიმეს ოჯახის წევრებს გადმოუციათ მუზეუმისათვის. მათი თქმით, ნიკოს პორტრეტი ცნობილ მხატვარს დიმიტრი შევარდნაძეს ეკუთვნის (მიუნჰენის ნინა პერიოდი).

ამ ფოტოზე კი ექვთიმე ლევილშია გადაღებული, მარჩენალ თხასთან ერთად.

იოსებ მეგრელიძე თავის მონოგრაფიაში „ექვთიმე თაყაიშვილი“ ამ ერისკაცის ცხოვრებასა და მოღვაწეობას რომ აღწერს საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში, ემიგრაციის პერიოდზე თხრობისას, ლევილში ექვთიმეს ცხოვრების მძიმე წლებზეც გვიამბობს და ბიოგრაფიის ამ ნაწილში ეს თხაცაა ნახსენები.



ნინო მამარდაშვილი

„გაჭირვების გამო შეუძენია ექვთიმეს თხა და თვითონვე აძოვებდა თურმე. იტყოდა ხოლმე: წველის დროს ჯანმრთელი ფეხი თხის თოკზე მედგა, დაიძრა თხა, ნამაქცია და შეეძახე: მღუპავ ჩემო მარჩენალო, ფეხს მტეხო!“

ყოფა კი მეტად მძიმე ჰქონია ემიგრაციაში.

„ჩემი მდგომარეობა ფრიად უმწნოა. ყველაფერი მაკლია, – სამოსელი სულ შემომეხა, საზრდო სამყოფი არ მაქვს, დობტურთან ვერ მივდევარ, წამლებს ვერ ვყიდულობ, პარიზში ვერ ჩავდივარ...“

არადა, ფასდაუდებელ განძს კი დარაჯობს.

„1921 წლის 18-19 თებერვალს, თბილისში პანიკის გამო, სამუზეუმო ნივთები 20-21-ს ბათუმში გაგზავნეს. 2 მარტს ექვთიმე თაყაიშვილი და მისი მეუღლე ქუთაისს წავიდნენ. 3 მარტს ბათუმს გაემგზავრნენ. 11 მარტს კი განძეულობით დატვირთულ კრესიერ „ერნესტ რენანზე“ ავიდნენ და ბათუმიდან გავიდნენ“...

ამ უმნიშვნელოვანეს ნივთებს უცხო მინაზე ექვთიმე პატრონობს. ეს ყუთები, სამშობლოში დაბრუნებამდე, მხოლოდ ერთხელ გახსნილა, როცა გერმანელები შეჭრილან პარიზში. მაშინ ვილაცის მიერ დასმენილი ექვთიმე გაუჩხრეკიათ ნაცისტებს, მაგრამ ოქროულობა ვერ უპოვნიათ.

– რომელ ოქროულობას ეძებთ, ამერიკაში რომ წაიღესო? – გულუბრყვილოდ უკითხავს ექვთიმეს.

და დაუპატიჟებელი სტუმრებიც დაესხნენ.

ეს მხოლოდ ერთხელ ყოფილა.

ერთადერთხელ შევლვებია ექვთიმეს მზერა იმას, რის დაცვასაც, წლების მანძილზე ჯანი შეაღია.

ერთი პატარა ნივთი რომ გაეყიდა, თუნდაც სულ პატარა, როგორ შეუმსუბუქებდა ყოფას, მაგრამ...

საზრდო აკლდა;  
სამოსელიც, შუშაც, სითბოც...

ზამთრის სუსხიან დღეებში მის ოთახში თითქმის ისევე ციოდა თურმე, როგორც გარეთ.

„ხშირად უსადილოდაც რჩებოდა. მაგალითად, მას 1934 წლის თებერვალში 6 დღე არ უსადილია, მარტში კი – 13. მხოლოდ ნახევარი ლიტრი რძითა და პურით არსებობდა. როცა სადილს ჭამდა, რძეს არ იღებდა და ეს წლითინლობით ასე გრძელდებოდა“.

ემიგრაციის წლები დაასწეულებს და წაართმევს მეუღლესაც.

მატერიალური სიდუხჭირეც სტანჯავდა და სულიერიც, მაგრამ...

ნემსი არ მოაკლდებოდა ამ განძეულობას და უკლებლივ დაუბრუნდებოდა სამშობლოს.

ახლა, ქალბატონი ნინო მამარდაშვილი ამ პატარა მუზეუმში დაცულ, ექვთიმეს ოჯახის წევრებისგან გადმოცემულ საოჯახო ჩანაწერების ჟურნალს მათვალისწინებებს, ნინო პოლტორაცკაია ლევილში რომ აწარმოებდა თავიანთი მწირი ხარჯების გადასანაწილებლად, და ის პასაჟიც მახსენდება, იოსებ მეგრელიძის წიგნიდან:

სამშობლოში რომ მოჰყავდათ ექვთიმე, თვითმფრინავში აღარ უნდოდა ასვლა.

- რალაც ახირება თუა მოხუცისო, - ამბობდა ზოგი.
- იქნებ ცოლთან განშორების სიმძიმელიაო, - მხრებს იჩერდნენ სხვანი.

- რა მოხდაო? - რომ ჰკითხეს, გაჭირვებამ ათქმევინა ასეთი სიტყვები:

- „ნარსდგა მშიერი და ვერა ტიტუელიო“.

ამ დიდ ერისკაცს, თურმე, საზოგადოებაში გამოსაჩენი კოსტიუმიც კი არ აღმოაჩნდა.

მაშინ გაიგებდნენ საელჩოში გაჭირვებას ფასდაუდებელი განძის გუშავისა.

დაფაცურდებოდნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“.

დააპურებდნენ.

დაარწყულდებდნენ.

შემოსავდნენ.

მოდოდა სამშობლოში საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი და ხელუხლებელი მოჰქონდა განძი, ერმა რომ ანდო.

იქ, ლევილის მიწაში კი სამუდამოდ რჩებოდა მეუღლის ნემბი.

\*\*\*

ისტორიკოსი, არქეოლოგი, ტექსტოლოგი, ეთნოგრაფი, ეპიგრაფიკოსი, ნუმისმატი, რუსთველოლოგი, ფოლკლორისტი, ლინგვისტი... ეს არასრული სიაა ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის იმ შრეებისა, რომელსაც თავისი კვალი დააჩნია მეცნიერმა. და რა გასაკვირია ქალბატონი ნინო რომ მეუბნება ახლა:

- ექვთიმეს მუზეუმი ცოცხალი ორგანიზმი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ მეცნიერთა ჯგუფმა, რომელიც მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის საკითხებს იკვლევს, ამ ოთახ-სამლოცველოში დაიდო „ბინა“, და მუშაობს „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ პროექტზე, რომელსაც „ვი-თი-ბი ჯორჯია“ აფინანსებს. ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი, რომლის სამეცნიერო ნაწილის ხელმძღვანელია ბატონი გიორგი აბაშიძე (არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევის ავტორი, ვისი ბოლო ნაშრომიც „ილია ჭავჭავაძე“ დაჯილდოვდა პრემიით „საბა“). თუმცა ამ ყველაფრის შესახებ ქალბატონი ნინო, უფრო ვრცლად სხვა დროს გვიაზივს - მაშინ, როცა ფართო საზოგადოებრიობასაც წარვუდგენთო, მანამდე კი...

ექვთიმეს მაგიდასთან ვდგავარ, ხელით ვეხები ფიგურას, რომელიც ილიას უჩუქებია მისთვის.

სხვათა შორის, ცნობილია, რომ სწორედ ილიას აქტიურობით შეუღლებულან ექვთიმე და ნინო პოლტორაცკაია. ერთ-ერთ ნვეულებზე ილიას უთქვამს:

- როდემდე უნდა იყოს ბატონი თაყაიშვილი ბატონი გოგებაშვილის ბინაზე?! იგი შეერთავს ნინო პოლტორაცკაიასო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ილიასათვის რომ უკითხავთ:

- რა იყო, ის ლამაზი და მდიდარი ქალი ინვალიდს რომ შერთეთო?! ილიას უპასუხია: სხვა ეროვნების კაცს რომ შეერთო, მიწის დიდი ნაკვეთი დაგვეკარგებოდა ქართველებსო.

ილია ძალიან ცდილობდა ქართველი თავადები რომ მიწებს ჰყიდინდნენ, ისევ ქართველს შეეძინა და არა სხვა

ერის შვილს. ის ყველაფერს ეროვნული თვალთ ზომავდაო, - ასე აღწერს ამ ისტორიას თავის ნიგნში იოსებ მეგრელიძე.

ოთახ-სამლოცველოში კი წმ. ექვთიმე ლეთისკაცის ხატის წინ სანთელი კამკამებს.

ფონდის ძალისხმევით, ექვთიმეს ორი ხატი დაინერა. ერთის ავტორი **დათო ხიდაშელია**, მეორისა - **ლევან სალუქვაძე**.

გურამ შარაძე თავის ნიგნში „ასე იწყებოდა ექვთიმე თაყაიშვილი“, რომელიც ასევე „ფონდის“ დაფინანსებით გამოიცა, ბიოგრაფიული ცნობების მიმოხილვის შემდეგ, აქვეყნებს დღემდე უცნობ ნაშრომს ამ დიდი მეცნიერისა, წინასიტყვაობაში კი ასე აღნიშნავს:

„ილია ჭავჭავაძის შემდეგ წმინდანობა და ერისკაცობა ისე არავის შეუდუღაბებია და შეუხისხლხორცებია ერთმანეთში, როგორც ექვთიმე თაყაიშვილს“.

აკი ქართველი ერიც და ბერიც სახელდებულებით გამოარჩევდა მათ -

წმინდა ილია მართალი;

და წმინდა ექვთიმე ლეთისკაცი.

მათ სახებას კი სახატეში მიუჩენდა ადგილს.

\*\*\*

მე კი... ჩრდილი მეგონა კაცისა.

სინამდვილეში მხატვარს მოეხატა ასე - მხრებში მოხრილი ადამიანის სილუეტი იყო, თავზე ქუდი, წვერით, ცალ ხელში თაიგული უჭირავს, მეორეთი გასაღებს არგებს საკეტს. განწყობილების შესაქმნელად კართან ქოლგა და ჩემოდანიც დაუდიათ.

სამშობლოში დაბრუნებულა წლებისა და დარდისგან მოხრილი ემიგრანტი...

განწყობილებას უკავშირდებაო, - მეტყვის ქალბატონი ნინო, აკი ამ განწყობილებით უწოდებიათ აქვე არსებული კლუბისათვის „ემიგრანტი“.

აი, თითქოს მოძველებულ საკეტსაც გადაატრიალებს - მძიმედ, წვალეზით და... მშობლიური კარიც გაღებულა.

სამშობლოში დაბრუნებულ ექვთიმეს კი... კარიც არ დახვდებოდა, ის ბინა, მაშინდელ ოლღას ქუჩაზე, მისთვის აღარ გაიღებოდა.

სხვა წერი რომ შესთავაზეს, ექვთიმე ცოლოურებთან ახლოს, ვაშლოვანის ქუჩაზე არჩევს ცხოვრებას და ამ სახლში გამოუყოფენ 16 კვ. მ ოთახს.

- არა, ემიგრაციიდან რომ დაბრუნდა, აკადემიის წევრადაც აირჩიეს, უნივერსიტეტის პროფესორადაც, ძალიან რომ ჩავულრმავდი, ის შინაპატიმრობის წლებიც უფრო მოგვიანებით უნდა ყოფილიყო, მაშინ კი ახლობელი ადამიანებიც მიუმავრებიათ მუშაობაში დასახმარებლადო, - მეუბნება ქალბატონი ნინო.

ამ ადამიანებს შორის ყოფილა ნინო ლოლობერიძე, გიორგი ლომთათიძის ცოლი, ვინც ბოლომდე მხარში ედგა ექვთიმეს და პატრონობდა. სხვათა შორის ნინო ლოლობერიძე ამ რამდენიმე წლის წინათ, ექვთიმეს ოთახ-სამლოცველოს გახსნამდე ათიოდე დღით ადრე გარდაცვლილა, მუზეუმისთვის კი გადაუცია მთელი ის მასალა, ექვთიმეს შესახებ წლების მანძილზე რომ აგროვებდა.

ექვთიმე თაყაიშვილი 1953 წელს გარდაიცვალა ამ სახლში, ვაშლოვანის ქუჩაზე.

დღესდღეობით მის მშობლიურ სოფელში, დოხაურში, „ექვთიმე თაყაიშვილის ფონდის“ დაფინანსებით შენდება ამ ღვაწლმოსილი ადამიანის სახლ-მუზეუმი, რომელსაც, ქალბატონი ნინოს თქმით, მომავალში, შესაძლოა, საზაფხულო სკოლის ფუნქციაც ჰქონდეს.

ექვთიმეს ფონდს კი თავისი პროგრამაც აქვს მუშაობისა.

ამ ფონდის სახელი, უთუოდ, აქამდეც გსმენიათ, მაგალითად, ამირან არაბულის საინტერესო პროექტი რომ დააფინანსა ეპიტაფიების ფოტომასალის შექმნისა (თავის დროზე ეს საქმე ხომ სწორედ ექვთიმეს ნამოუწყია);

ასევე ფონდი თანადაფინანსებელია ტაო-კლარჯეთზე გადაღებული დოკუმენტური ფილმისა „მზიანი ღამის ფერები“ (რეჟისორი ნიკო წულაძე; ფილმი გაგზავნილია ბერლინის კინოფესტივალზე). ფონდისავე თანადაფინანსებით, ბატონმა გიორგი კანკავამ საერთაშორისო კონფერენციებზე გაახმაურა ილიას სახელი და ღვანლი.

გარდა ამისა, დაწესდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია – ორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ორიც – სასულიერო აკადემიის სტუდენტებისთვის... თუმცა, „ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი“ კიდევ არაერთხელ წარსდგება ფართო საზოგადოებრიობის წინაშე როგორც მესვეური მეტად მნიშვნელოვანი საქმეებისა – აი, ისეთი საქმეებისა, ქართველ მოღვაწეებს სულსა, გულსა და გონებაში რომ ამოსჭროდათ...

მანამდე კი...

ვაშლოვანის ქუჩაზე მდებარე სახლის კარი უნდა გამოვიხურო.

ეს სახლი უკვე იცით.

ეს კარიც.

მოდერნის ტიპის ისტორიული ძეგლის ნიმუშია.

სადარბაზოსთან კი ფირნიშია, წარწერით...

თუმცა თქვენ ხომ ეს ფირნიშიც იცით უკვე.

ღატაქტივის მაგიარ

ალან პინკერტონი – პირველი კერძო ღატაქტივი



XIX საუკუნის სენსაცია

თებერვალში შევედურმა კომპანია „სექთურიტას ეიზბი“ 384 მილიონ დოლარად ლეგენდარული ამერიკული სამძებრო სააგენტო – პინკერტონ ინკი – შეიძინა. ლეგენდარული თუნდაც იმიტომ, რომ არსებობის 150 წლის მანძილზე მითები მასზე ისე გადაიხლართა, დროდადრო რთული გასაგებია, სად მთავრდება ჭეშმარიტება და იწყება გამონაგონი. თუმცა ის კი სიმართლეა, რომ ალან პინკერტონი და მისი ბიურო ამერიკის ისტორიის გადამწყვეტ წუთებში არაერთხელ გამხდარან მთავარი ფიგურები.

საეჭვოა, გლაზგოს მცხოვრებთაგან ვინმეს, ვინც 1819 წელს ლარიზ ფეიქარ პინკერტონს ვაჟის დაბადებას ულოცავდა, ევარაუდა, რომ დადგებოდა დრო და ალანს (ასე ერქვა ახალშობილს) მთელი მსოფლიო გაიცნობდა. არც მისი ცხოვრების პირველი წლები მოასწავებდა რაიმე სასიკეთოს. – ალანი 8 წლისა იყო, როცა უფროსი პინკერტონი გარდაიცვალა. ოჯახისა და თავის სარჩენად უმცროსი პინკერტონი იძულებული გახდა მიეტოვებინა სკოლა და ფეიქარს დადგომოდა შევირდად.

მაგრამ ფეიქარის პერსპექტივამ ვერ მოხიბლა თუ ანაზღაურებამ (რამდენიმე პენი ღლეში), მალე მეკასრედ გადავიდა. მეკასრეობას გაცილებით დიდხანს შერჩა, მაგრამ 20 წლისა ახალგაზრდული მაქსიმალიზმით დაავადდა და ჩარტისტების მოძრაობის აქტივისტი გახდა. მისი მოწო-

დება სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ და რადიკალური შეხედულებანი შეუმჩნეველი არ დარჩენილა – ადგილობრივმა ხელისუფლებამ ორდერი გასცა მის დასაპატიმრებლად. ალანმა ამის შესახებ გაცილებით ადრე შეიტყო, ვიდრე წესრიგის დამცველნი მისი სახლის კარებთან აღმოჩნდებოდნენ, სასწრაფოდ აიკრა მცირე ავლადიდება, დაქორწინებაც მოასწრო და ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ მიმავალ გემზე ავიდა.

პინკერტონი ჩიკაგოდან ჩრდილო-დასავლეთით, მიჩიგანის ტბის პირას პატარა ქალაქ დანდიში (შტატი ილინოისი) დამკვიდრდა. აქ კასრების საკუთარი სახელოსნო გახსნა, რვა კაცი დაიქირავა და ისეთ წარმატებას მიაღწია, ეს საქმე რომ გაეგრძელებინა, დროთა განმავლობაში თავის კვალს დატოვებდა ისტორიაში, როგორც ოლქის საუკეთესო მეკასრე. თუმცა ბედი სხვაგვარად სჯიდა.

დანდიდან შორიახლოს უკაცრიელი კუნძული მდებარეობდა, სადაც ალანი კასრებისათვის მასალას აგროვებდა. ერთხელ მინავლებულ ნაკვერჩხალს წაანყდა. სხვა ზედაც არ შეხედავდა და ჩაივლიდა. მაგრამ ალანმა რალაც იეჭვა. რამდენიმე ღამე იქვე, ახლოს ბუჩქებში გაათია და შედეგმაც არ დააყოვნა. კოცონთან ყალბი მონეტების დამამზადებლები გამოჩნდნენ. დილით ალანი შერიფისაკენ გაემართა, რომელიც ქალაქის საუკეთესო პოლიციელეებით და მასთან ერთად რამდენიმე ღამით ისევ იმ იდუმალ ბუჩქებში გამაგრდა. შედეგი – ყალბი მონეტების დამამზადებელთა დაჭერა. მალე დამნაშავეთა ბანდის დამამარცხებელი გმირის ალან პინკერტონის შესახებ მთელმა ქვეყანამ შეიტყო და მალევეც დაივიწყა.

მაგრამ პინკერტონს თავისი პირველი გმირობა არ დაეინყებია. მისმა რამდენიმე მუდმივმა კლიენტმა აღმოაჩინა, რომ საქმე აქეთ უცნაურ დეტექტივთან, რომელიც ოსტატურად შენიღბულია მეკასრედ. და, აი, ყალბისმქმნელთა ამბის შემდეგ ვილაცამ პინკერტონს თხოვნით მიმართა, ეპოვნა თაღლითები, რომლებიც ზედნადებებს აყალბებდნენ. ჰონორარის მოცულობა ამკარად მიუთითებდა, რომ

საგამოძიებო ბიზნესი შესაძლოა მეკასრისაზე მნიშვნელოვნად მომგებიანი ყოფილიყო, ანუ – რთულიც. პირველივე ფასიანი დაკვეთის შესრულებამ სრულიად დაადასტურა ეს ვარაუდი.

დამნაშავის მოსაძებნად პინკერტონს კასრის დამზადებაზე გაცილებით ბევრი დრო დასჭირდა, და უფრო მეტი, ვიდრე კოცონთან ღამეების თენებას; მაგრამ მონდომება კვლავ დაჯილდოვდა. თაღლით ჯონ კრეიგის კვალს თვითონვე მიაგნო. პირადად შეიმუშავა დაკავების გეგმა და ოპერაციაც თვითონ წარმართა. ყველაფერი ჩიკაგოს ერთ-ერთ ოტელში მოხდა. პინკერტონი კრეიგს გაეცნო და მაშინვე მიანიშნა, მეც თაღლითი ვარო. კრეიგმა ხუმრობა სათანადოდ ვერ შეაფასა და ალანს ახალი დანაშაულის გეგმა გაანდო, რომლის განხორციელებასაც იქვე, ოტელში აპირებდა. ამავდროულად მათორი პოლიციელი უთვალთვალებდა და დააკავეს კიდევაც კრეიგი ფაქტზე.

ამჯერად პოლიციამ პინკერტონის უნარი სათანადოდ შეაფასა – მაშინვე შესთავაზეს ჩიკაგოს შერიფის თანაშემნის ადგილი. და ისიც მაშინვე დათანხმდა. კასრები საბოლოოდ მიატოვა. თუმცა არც სახელმწიფო სამსახურში გაჩერებულა დიდხანს. და არა იმიტომ, რომ პოლიციელთა იმედები ვერ გაამართლა. პირიქით უფროსობამ გაუცრუა იმედები – ზედმეტად დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ ადგილობრივ ხელისუფლებაზე, მაგნატებსა და დამნაშავეთა ავტორიტეტებზეც კი. და ალან პინკერტონმა გადაწყვიტა ჩიკაგოში პირველი კერძო დეტექტივი გამხდარიყო.

1850 წელს საკუთარი კომპანია დააარსა მყვირალა სახელწოდებით: პინკერტონის ეროვნული დეტექტიური სააგენტო.

შტატში, პინკერტონიანად, 11 ადამიანი და მათ „პინკებს“ ეძახიან. თითქოს ცოტანი არიან, მაგრამ ჩიკაგოს პოლიციაში, ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერად რომ ითვლებოდა, ამდენივე ადამიანი იყო დასაქმებული. თანაც ახლადგამომცხვარი კომპანიის დასახელებამ ძალიან სწრაფად გაამჟღავნა თავის საქმიანობის მასშტაბები.

60-იანი წლების დასაწყისში პინკერტონმა ჩიკაგოს ფარგლებს გარეთ რამდენიმე ფილიალი გახსნა. ეს ერთი, მეორე, და ყველაზე მთავარი, რამდენიმე წარმატებული გამოძიების შემდეგ (მათ შორის იყო დაკვეთა შუა დასავლეთის რამდენიმე მსხვილი რკინიგზისა, რომლებთანაც სააგენტოს 1855 წელს ჰქონდა გაფორმებული კონტრაქტი) „პინკებმა“ დამსახურებულად მოიპოვეს მაძებართა რეპუტაცია, რომლებიც ჯერ თუ ვერ დასდგომოდნენ დამნაშავეთა კვალს, ბოლოს მაინც მიიმწყვდევენ კუთხეში. ამისათვის წყნარი ოკეანიდან ატლანტისაკენ და პირიქით რომ დასჭირვებოდათ მოგზაურობა (ეს, მითუმეტეს, მნიშვნელოვანია, რადგანაც იმხანად სხვადასხვა შტატების სამართალდამცავი ორგანოები საერთოდ არ თანამშრომლობდნენ). და მესამე და ყველაზე მთავარი – პინკერტონით ვაშინგტონი დაინტერესდა.

1861 წელს „უილმინგტონ ენდ ბალტიმორ რეილროუდის“ პრეზიდენტმა სემუელ ფელტონმა, უკვე არაერთხელ რომ მიუმართავს პინკერტონის თავის, სასწრაფოდ იხმო დეტექტივი ბალტიმორში. ამერიკა სამოქალაქო ომის ზღვარზე იდგა და ფელტონს რკინიგზაზე გაფიცვისა ეში-

ნოდა იმ თანამშრომელთა მხრიდან, ვინც ჩრდილოელთ უთანაგრძნობდა. ალან პინკერტონი, მისი მარჯვენა ხელი ტიმოთი ვებსტერი, მარცხენა – ქეით უორნი და კიდევ რამდენიმე აგენტი სასწრაფოდ ჩავიდნენ ადგილზე. „პინკები“ ქალაქში გამოგონილი სახელებით გაჩერდნენ და სავარაუდო გაფიცულებს თვალთვალი დაუწყეს. სემუელ ფელტონის შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდა – საბოტაჟი მართლაც მზადდებოდა.

თანდათან გამოირკვა, რომ შეთქმულთა გეგმა უფრო ფართო იყო. ისინი პრეზიდენტ ლინკოლნზე აპირებდნენ თავდასხმას, როცა იგი ბალტიმორში შეჩერდებოდა – ფილადელფიიდან ვაშინგტონს მიმავალი. პინკერტონი და ფელტონი მისკენ გაემართნენ, სამიშროების შესახებ რომ გაეფრთხილებინათ. როგორ წესი, მსგავსი შეტყობინებებისადმი სკეპტიკურად განწყობილმა ლინკოლნმა ამჯერად ყურად ილო გაფრთხილება. გადანყდა, მისი მატარებელი ბალტიმორს ღამით გაივილიდა და არა დილით, როგორც ეს მანამდე იყო დაგეგმილი, და თან სულაც არ გაჩერდებოდა. მთელი გზა პინკერტონი პრეზიდენტთან იმყოფებოდა და თვალი არ მოუხუჭავს. როდესაც მატარებელი მშვიდობიანად ჩავიდა ვაშინგტონს, პირადად მცველმა ფელტონს ტელეგრამა გაუგზავნა: „ქლიავი თავისი კურკებიანად უვნებლად ჩამოვიტანეთ“.

ამ შემთხვევის შემდეგ, დიდი გამოხმაურება რომ გამოიწვია, გმირის სახელი მთელს ამერიკას პირზე ეკერა. და ისევ ძალიან მალე დაივიწყეს. ვილაცამ ხმაც კი გაავრცელა, არავითარი შეთქმულება არა ყოფილა, პინკერტონმა და ფელტონმა თავიანთი პოპულარობისათვის საგანგებოდ შეთხზეს ტერორისტები. ბოლოსდაბოლოს მათ გულწრფელობაში ლინკოლნიც დაეჭვდა და პინკერტონი საკუთარი პერსონის დაცვის თანამდებობიდან გადააყენა, და ეს ფუნქცია საგანგებოდ შექმნილ სამსახურს დააკისრა. პინკერტონზე კვლავ ალაპარაკდნენ, როცა 1865 წელს ლინკოლნი მართლაც მოკლეს. აქ ისევ ამოტივტივდა ბალტიმორის ამბავი და სააგენტოს რეპუტაცია კვლავ გაიზარდა. ისინი ხომ შეძლებდნენ ჩვენი პრეზიდენტის გადარჩენასო, გაიფიქრა საშუალო ამერიკელმა და სააგენტოს ახალი დაკვეთებით მიადგა.

ომის დასაწყისში ჩრდილოელთა გენერალმა მაკ-კლელანმა, ადრე ილიონისის შტატში კავშირგაბმულობის მთავარ ინჟინრად რომ მსახურობდა და არაერთხელ გამხდარა პინკერტონის აგენტთა წარმატებული ოპერაციების მოწმე, ძველ ნაცნობს სთხოვა, სამხრეთელთა საჯარისო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოეპოვებინა. პინკერტონი პირადად გადავიდა მტრის ზურგში და აუცილებელი მონაცემები მოიპოვა. ჩრდილოელთა საომარი ოპერაციები ერთიმეორის მიყოლებით ფლავდებოდა. ამ ყველაფერს, როგორც ჩანს, ჯამუშის გარეშე არ ჩაუვლია. ერთ-ერთ სამხედრო თათბირზე ჩრდილოელებმა გადანყვიტეს მძლავრი სადაზვერვო სამსახური შეექმნათ.

მაკ-კლელანის რეკომენდაციით საქმე პინკერტონს გადაეცა. მისი სააგენტო ახლანდელი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის პირველსახედ იქცა. „პინკები“ დღედაღამ მუშაობდნენ და ბოლობოლო მიაგნეს დამარცხებათა მიზეზს. ესენი ვაშინგტონელი ლამაზმანის როზი გრინჰაუს მიერ მოხიბლული შტაბის თანამშრომლები იყვნენ, რო-

მელთაც ამ ქალბატონისათვის ჯარის განლაგების დეტალური სქემები და იარაღის რაოდენობისა და სახეობათა შესახებ დანვრილებითი ცნობები გადაუციათ, რამაც ომის მსვლელობაზე დამლუპველად იმოქმედა.

პინკერტონმაც გადაწყვიტა მოხიბლული და ინფორმირებული შტაბის თანამშრომლის როლი ეთამაშა. როდესაც გრინჰაუს წინაშე წარსდგა მაიორი ალანი, ქალს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, შინ მიეპატიჟებინა ეს მამაკაცი, თვალებით რომ სჭამდა.

შემდგომ ზოგიერთი ეპიზოდი არცთუ გარკვევითაა პირველწყაროში აღწერილი, მაგრამ გასაგებია, რომ საქმე ჯაშუშის დაკავებით დასრულდა. მისი სახლი გაჩხრიკეს. ყველაზე ფასეული, რაც იპოვეს, წითელი უბის წიგნაკი იყო, სადაც სამხრეთელთა კურიერები და აგენტები იყვნენ ჩამოთვლილნი.

გრინჰაუმ სამაგიერო გადაუხადა პინკერტონს. მისი შურისძიების საგანი პინკერტონის მარჯვენა ხელი ტიმოთი ვებსტერი გახდა. ვებსტერი თავის უფროსთან ერთად მრავალ ოპერაციაში მონაწილეობდა, მათ შორის ბალტიმორისაშიც. მაგრამ მისი საუკეთესო თვისებები ომის წლებში გამოვლინდა. ვებსტერმა მოახერხა კლერკად მონყობილიყო კონფედერატთა სამხედრო დეპარტამენტში და მათ საიდუმლო კორესპონდენციას გაჰყოლოდა. გზად პაკეტს ხსნიდა, თავისიანებს ცნობებს აწვდიდა და დოკუმენტები დანიშნულებით სამებრ მიჰქონდა მონინალმდეგეთათვის, რომლებიც არაფერს ეჭვობდნენ.

და სწორედ ჩრდილოელთათვის ომის ყველაზე რთულ დროს ლინკოლნმა, მოჭოჭმანეთა გადასაბირებლად კეთილშობილური ფესტი მიიღო – მეომარი ქალები გაათავისუფლა პატიმრობიდან. შეწყალებულია შორის როზი გრინჰაუს იყო. ეს რომ გაიგო, პინკერტონმა ითხოვა, ქალები ვირჯინიიდან მოშორებით გაეთავისუფლებინათ, რადგანაც ვებსტერი და სხვა აგენტები, რომელთაც გრინჰაუს სახეზე იცნობდა, იქ მუშაობდნენ. მაგრამ მოხდა საბედისწერო გაუგებრობა: ქალები სწორედ ვირჯინიაში გამოუშვეს, შემდეგ კი საბედისწერო შემთხვევითობა – გრინჰაუს ვებსტერის თანამებრძოლებს შეხვდა და ამოიცნო ისინი. აგენტები დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს. მალევე დააპატიმრეს ვებსტერიც. 1862 წლის 30 აპრილს იგი რიჩმონდში ჩამოახრჩეს.

ამ ამბის შემდეგ პინკერტონი სადაზვერვო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადადგა, თუმცა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას აგრძელებდა. ავლენდა თალღითებს, ომის დროს სახელმწიფო შეკვეთებზე რომ მოითბეს ხელი. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ მიხვდა საბოლოოდ, რომ მისი სტიქია – მაინც სისხლის სამართლის საქმეები იყო და არა პოლიტიკა. და კიდევ – რევოლუციური სიახლენი კრიმინალისტიკაში.



ალან პინკერტონი

სწორედ პინკერტონთან გამონდა პირველი ქალი – ზემოსხენებული ქეთ უორნი, „პინკების“ მოძრაობის კოორდინატორი ბალტიმორის ოპერაციისას. ვიდრე თვითონ პინკერტონი ლინკოლნის სანოლთან მორიგეობდა, როგორც მოგვიანებით იგონებდა, „ეს დახვეწილი ნაბლისფერთმიანი ქალი გამჭოლი მზერითა და გრაციოზული მოძრაობებით, არცთუ დიდი ხნით ადრე მეუღლის დამკარგავი და უშვილო“ სააგენტოში 1856 წლის ზაფხულში გამოჩნდა. კომპანიის ხელმძღვანელი დიდად გაკვირვებული დარჩა, როცა შეიტყო, ქეთს მდივნობა კი არა სურდა, ჩიკაგოს გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას მიეყვანა იქ – დეტექტივთა აყვანის თაობაზე. ქალი-მაძებარი – იმ დროს ეს გაუგონარი რამ გახლდათ და პინკერტონმა გოგონას შესთავაზა წინდების კემსვით გაერთო თავი და არა დამნაშავეთა ძებნით.

მაგრამ ქეთი არ შეეპუა. „ქალს შეუძლია ისეთ ადგილას გამოიტყუოს საიდუმლო, სადაც კაცისათვის გზა ჩაკეტილია. ქალს შეუძლია დაუმეგობრდეს ეჭვმიტანილთა ცოლებსა და საყვარლებს და მათი ნდობა მოიპოვოს, და რა ხშირია, როცა თვითონ ქალები უბიძგებენ კაცებს დანაშაულის ჩადენისაკენ! ქალები ბუნებრივი დაკვირვებულობითა და დეტალები-სადმი ყურადღებით არიან დაჯილდოებული“. ბოლო არგუმენტმა პინკერტონი დაამარცხა. ქეთი სამუშაოზე აიყვანა და არც არასოდეს უნანია, ასე რომ მოიქცა. როგორც პინკერტონი ამბობდა, „ჩემს ყველა შესაძლო მოლოდინს გადააჭარბა. მის უორნს არასოდეს გაუფიქრებია“.

ქეთი მისი ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი გახდა. თუკი ტიმოთი ვებსტერს არ ეცალა, ყველაზე საპასუხისმგებლო დავალებებს პინკერტონი მას აძლევდა. იგი გარდასახვის ხელოვნებას სრულყოფილად ფლობდა – შესანიშნავად გრძობდა თავს მალალი წრის ქალბატონისა თუ ბოშას ლატაკურ სამოსში. სწორედ ქეთი ჩაუდგა სათავეში „ქალთა დეტექტიური ბიუროს“ – სააგენტოს ქვეგანყოფილებას, რომელიც ქალებისაგან შედგებოდა. არაერთხელ ჩაუგდია სიცოცხლე საფრთხეში. მაგრამ თავისი სიკვდილით გარდაიცვალა 1868 წლის ახალწლის ღამეს და დაკრძალეს პინკერტონთა საოჯახო ნაკვეთში, გრენსლენდის სასაფლაოზე. მხოლოდ 23 წლის შემდეგ დაიწყო ამერიკაში ქალთა მიღება პოლიციის სამსახურში. ოფიციალურად გამოძიების უფლება კი 35 წლის შემდეგ მისცეს. ამ თარიღიდან 52 წლის შემდეგ გაჩნდა ტერმინი „პოლისუომენი“.

ამ დროისათვის პინკერტონი სიახლეებს ნერგავდა. დღეს ალბათ შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს, დამნაშავეთა იდენტიფიკაციის მიზნით, ვინ დაიწყო პირველად მათი ფოტოების გამოყენება (მანამდე, შესაძლო დამნაშავეთა რაც შეიძლება მეტი სახის დასამახსოვრებლად, პოლიციელები განუწყვეტილად სტუმრობდნენ ციხეებს, სადაც მათთვის პატიმართა ე.წ. ალლუმი ეწყობოდა. ცოტა

შეცვლილი ფორმით ასეთი „აღლუმები“ ამერიკაში გასული საუკუნის 50-იან წლებშიც ტარდებოდა. მაგრამ ზუსტადაა ცნობილი, რომ პინკერტონმა შეადგინა ამერიკის კრიმინალისტიკის ისტორიაში პირველი მონაცემთა ბაზა დამნაშავეთა, მოძალადეთა, თაღლითთა და სხვა ბოროტ-მოქმედთა სურათებით. ამას ჯერ კიდევ ომამდე მოჰყიდა ხელი და 1870 წლისათვის შესაბამის პორტრეტთა მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლექციის მფლობელი გახდა.

დამნაშავეთა ძებნა საგრძნობლად გაიოლდა. მათი პორტრეტები მზის სინათლეზე მორიგი ბანკის გაქურდვის ან პინკერტონის კანტორაში მისულ დანაშაულის მონმეთა გამოჩენის მერე გამოდიოდა. მას შემდეგ, რაც მონმეები დამნაშავეთ ამოიცნობდნენ, „პინკები“ ადგენდნენ მათ დაწვრილებით აღწერილობას და სოფელ-ქვეყანას მოსდებდნენ – პატრონი სადმე გამოჩნდებოდა.

კართოტეკა სხვადასხვაგვარი საშუალებებით ივსებოდა. ერთ-ერთი მთავარი წყარო გაზეთი გახლდათ, მუდამ რომ უყვარდათ დაეგემოვნებინათ გახმაურებული დანაშაული და მათი გამირებისათვის გვერდები დაეთმოთ. მაკრატელით შეიარაღებული პინკერტონის აგენტები კობტად წრიდნენ სტატიებს და ცალკეულ საქაღალდეებში აწყობდნენ. სხვა გზებიც არსებობდა.

1866 წლის 6 ოქტომბერს ძმები რინოს ბანდამ ველურ დასავლეთში მატარებელი გადაარცვა. მალე სეიმურის ერთ-ერთ სამიკიტნოში ბანდიტთა სამფლობელოდ რომ ქცეულიყო, გამოჩნდა ფოტომოყვარული ბარმენი, რომელიც სინამდვილეში პინკერტონის აგენტი დიკ უინსკოტი გახლდათ. მან ერთ-ერთი ღრეობისას ძმები დაარწმუნა, სურათი უნდა გადაიღოთ, და ფოტოები პინკერტონს გაუგზავნა. მალე ბანდიტთა ფოტოები მთელ ქვეყანას მოფენილ განცხადებებზე გამოაკრეს, რომლებითაც საშიშ დამნაშავეებზე ძებნა ცხადდებოდა. თუმცა ამჯერად სურათები აღარ დასჭირდათ. უინსკოტმა მოახერხა ერთ-ერთი ძმა სეიმურის რკინიგზის სადგურში შეეტყუებინა, სადაც მას უკვე ელოდნენ პინკერტონი თავის ექვსი აგენტით და გასამგზავრებლად მომართული მატარებელი. სანამ რინოს ბანდის წევრებმა მოისაზრეს, რა მოხდა, ის უკვე ვაგონში იყო. და ველური დასავლეთის წინააღმდეგ ეს პინკერტონის ერთადერთი გამარჯვება არა ყოფილა.

ომის შემდგომ ველურ დასავლეთში მხოლოდ ერთი კანონი მოქმედებდა – იმარჯვებს ის, ვინც დაასწრებს სროლას (ამიტომაც უწოდეს ველური). ბანკების ძარცვა, თავდასხმები საფოსტო მატარებლებზე, ცხენების მოპარვა, შეკვეთილი მკვლელობები დაუსრულებლად მიჰყვებოდა ერთიმეორეს. ხშირად ბანდებს წესრიგის დამცველნი ედგნენ სათავეში. ასეთ ვითარებაში პინკერტონის აგენტები იმ მცირეთაგანნი იყვნენ, ვინც შეძლო განუკითხაობას აღდგომოდა. ჯონ რინოს გარდა მათ გააუფნებელყვეს ცნობილი ჯესი ჯეიმზის თანამზრახველთა – სანდენს კიდისა და ბუჩ კესიდის – ბანდები და მრავალი სხვა.

შესაძლოა ისიც ითქვას, რომ თანამედროვე ვესტერნებში დადებით პერსონაჟთა უმეტესობის პროტოტიპს, ვინც დამნაშავეთ ებრძვის, რეალური აგენტი პინკერტონი წარმოადგენს. „პინკები“ დამნაშავეთ ხან მატარებელთა სახურავებზე, ხან ცხენზე ამხედრებულეები მისდევდნენ. ისინი იყვნენ ბრწყინვალე ფსიქოლოგები, შესანიშნავი

დამკვირვებელნი, გარდასახვის დიდოსტატნი, უბადლო მსროლელნი. ასევე შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ წესრიგის დამცველთა უარყოფითი პირების პროტოტიპებიც პინკერტონის აგენტები არიან. ხშირად მათი მეთოდები გამართლებული იყო ველური დასავლეთის ომთან მიახლოებული ცხოვრების პირობებით. მაგრამ ხანდახან ეს გამართლებაც არადაამაჯერებლად გამოიყურებოდა.

ჯესი ჯეიმზის ბანდის წინააღმდეგ „პინკების“ ოპერაცია ამის ნათელი მაგალითია.

1875 წლის 26 იანვარს პინკერტონის რამდენიმე აგენტი და წესრიგის ადგილობრივი დამცველნი ჯეიმზების სახლთან ჩასაფრდნენ. ვილაც კეთილისმყოფელმა შეატყობინა, ჯესი შინ იქნებაო. დეტექტივებმა მაინც ვერ გარისკეს და ფანჯარაში ყუმბარა შეაგდეს. სინამდვილეში ბანდის მეთაური იქ არ აღმოჩნდა. შინ იყვნენ დედამისი, რომელსაც ყუმბარამ მარჯვენა ხელი მოაგლიჯა, და რვა წლის ძმა, სასიკვდილოდ რომ დაიჭრა და საათიანი ნამების შემდეგ გარდაიცვალა.

ამ შემთხვევის აღწერისას სააგენტოს ოფიციალურ ქრონიკებში მოთხრობილია ბანდაში შეპარული და მხილებული აგენტის ჯეიმზ უიტჩერის მკვლელობის შესახებ. მაგრამ ვერც ეს მიზეზი გაამართლებს წესრიგის დამცველთა სისასტიკეს.

სამაგიეროდ, სრულიად ადვილი გასაგებია ამ „ოპერაციაზე“ თვითონ ჯეიმზის რეაქცია. მან პინკერტონი ნომერ პირველ მტრად გამოაცხადა და რამდენიმე წელიწადს ნადირობდა მასზე. ჯესის შეეძლო ასჯერ მოეკლა სააგენტოს უფროსი, მაგრამ ასე არ მოიქცა. ჩასაფრებული კი არ ესროდა, უნდოდა პინკერტონს სცოდნოდა, ვინ ისტუმრებდა იმქვეყნად. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჯესი ჯეიმზი 1882 წლის 3 აპრილს თვითონ მოკლეს.

აღან პინკერტონი ორი წლის შემდეგ, 1884 წლის 1 ივლისს გარდაიცვალა.

პინკერტონის გარდაცვალების შემდეგ სააგენტო არაერთხელ გადასულა ხელიდან ხელში, არაერთხელ შეუცვლია დასახელება, მაგრამ დამფუძნებლის გვარს მუდამ ინარჩუნებდა. ტრადიციის შეცვლას არც მისი ახალი მფლობელი – შვედური სამძებრო სააგენტო „სექიურითასი“ – აპირებს. ბუნებრივია: უკვე საუკუნეზე მეტია, „პინკებს“ რეკლამა არა სჭირდებათ. და საქმე მართო ის არ გახლავთ, რომ ისინი ამერიკის ისტორიაში ჩაენერნენ, მათი ახლანდელი საქმიანობის მასშტაბებია საგულისხმო.

დღესდღეობით სააგენტოს 250 განყოფილება, მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში რომ არის გაბნეული, 800 კომპანიას ემსახურება „ფორტუნა 1000-ის“ სიიდან. ისინი უზრუნველყოფენ ისეთ სანახაობებს, როგორცაა ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოს ჩემპიონატები ფეხბურთში, „ფორმულა -1“, „ემისა“ და „ოსკარის“ პრემიათა დაჯილდოების ცერემონიალები. მათი საქმიანობა კონსალტინგი, პირადი დაცვა, დაქირავებულ თანამშრომელთა ტესტირება, ტერორიზმთან ბრძოლა, სამრეწველო ჯაშუშობა (ასევე მისგან თავდაცვა) და რაღა თქმა უნდა, ძველისძველი და კეთილი საქმე – სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა ძიება.

ისმის კითხვა, რატომ უნდა შეუცვალო დასახელება ასეთ კომპანიას?

როსტომ ჩხეიძე

# მზის შვილები

IV

მზის სამლოცველო

ან

შუადღის მზის საბალოჯალი

ძნელია ამ სწრაფვის, ამ ჰელიოცენტრული სამყაროს ზემოქმედების უფრო სრულად და ღრმად ასახვა, ვიდრე ამას ოთარ ჩხეიძე აღწევს გიორგი შატბერაშვილის ოთხტომეულის ნინათქმაში, – ოტია პაჭკორია ისე მოიხიბლებოდა ამ სრული და ღრმა ასახვით, რომელსაც ბადალს ვერც მოუძებნიდა, რომ არამცთუ აღმატებით ეპითეტებს არ დაიშურებდა, საერთოდაც აქედან შეეცდებოდა თვითონაც გიორგი შატბერაშვილის მხატვრული წარმოსახვების ახსნას, იმ სამყაროს თავისებურებებში შეღწევის, რომელიც სწორედ ჰელიოცენტრულ სისტემადაც აგებულიყო.

ესეის სახელწოდებაც შესაფერისი გამოიძებნებოდა – „ფიქრი მზისა და სიტყვის გამო“.

ადრე, ჯერ კიდევ ბავშვობისას გაჩნდა გიორგი შატბერაშვილის წარმოსახვაში მზე – წარმართი ღვთაება. ვისაც უნახავს თვალად, მუსტე-კავთისხევის მზით აღვსილი მცირე ქვეყანა, მისთვის ნათელი იქნება სათავე „სწრაფვისა მზისადმი“, – ეს არის იმ სრული და ღრმა ასახვიდან გამომდინარე ერთი თეზისი, ისევე, როგორც მეორე თეზისად ეს სტრიქონი გამოდგება: იშვიათია მზისადმი ისეთი რთული და ნაირგვარი და, თუკი სწორია ასე თქმა, ჰუმანისტური დამოკიდებულება, მზის ისე შეგრძნება, როგორც გიორგი შატბერაშვილს ჰქონდაო.

ამას მესამე თეზისიც მოეხმის, ოღონდ ჯერ ეს პასაჟი ჩავიკითხოთ, კრიტიკოსი რასაც დაყრდნობდა „მკვდრის მზის“ შემოქმედის მსოფლხედვის ანალიტიკური განსჯისას და არამართო გიორგი შატბერაშვილის მხატვრული წარმოსახვების გასაღები გვივარდებოდა ხელთ, არამედ ყველა იმ ჰელიოცენტრული სამყაროსი, რომელსაც შარავანდად ადგა მზის ღვთიური ხატება:

„კატაულას სერზეც იცის მხურვალეობა შუადღის მზე-მა, ასეთი მხურვალეობა, ასეთი გამომწვევი. შატბერაშვილს სახლის წინ აყუდებულა კატაულას სერი, მზის ტახტად დამდგარა ან სამლოცველოდ მზისა და მეტი აღარც აღა-რაფერი მოსჩანს, ოდენ ეს სამლოცველო, ეს საკურთხეველი, ამოვლებული მზის სხივებშია. და ბავშვი, ვიდრე მუხლში ძალას მოიცემდა, ვიდრე გადაივლიდა იმა სერსა და სხვა სერებსაცა, ვიდრე გაჰხედა უფრო ფართო მი-დამოსა, აღივსებოდა სასოებითა მზისა, მზისადმი სწრაფ-ვით იღვსებოდა: „მზისკენ, დიდ მზისკენ, მხურვალე მზის-კენ, გავარვარებულ შუადღის მზისკენ...“ მოჰყვებოდა ეს მოძახილი, მოჰყვებოდა და აღმომხდარიყო, აღმომსკდა-რიყო დიდებულ საგალობლად“.

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №8,9

და კიდევ ერთი სტრიქონი, უფრო ზემოთ ნათქვამი ოთარ ჩხეიძის მიერ შექმნილ ლიტერატურულ პორტრეტში, ოღონდ კრიტიკოსის მიერ ამ ციტატის ქვემოთ გადმოტანილი – მის მონტაჟში ასე ჩამჯდარი, თუმც, ცხადია, ურიგოდაც არა:

„... მზე საზღვარია, მზე სინათლეა, მზე სიცოცხლეა, იმის უმაღლეს აღარ შეიძლება იყოს რაიმე“.

კატაულას სერზეც იცის მხურვალეობა შუადღის მზე-მაო...

დააკვირდით? – „სერზე“ კი არა – „სერზეცო“.

სხვა სერი თუ სხვა სერებიც იგულისხმება, ოღონდ მხოლოდ ზოგადად? იქვე ახლომახლო ტექსტში არაფერი მოჩანს ხელმოსაკიდი, კიდევ რომელი სერი გაივლევებს ლიტერატურული პორტრეტის შექმნელის თვალწინ, და იქნებ მართლაც ზოგადი მინიშნებაა – ბოლოსდაბოლოს ბევრ სხვა სერზეც შეიძლება ასე მხურვალედეს, ასე გამომწვევად ბრიალებდეს მზე. ბევრზეც მთლად ვერა? ზოგიერთზე მაინც – და არ იყოს აუცილებელი მათი ჩამოთვლა. თუმც... თუმც იქნებ ის მოკრძალებული ნაწილაკი უშუალოდაც გულისხმობდეს რომელიმე სერს, მზის სამლოცველოდ თუ ტახტევანად საგულეებელს?

ოღონდ მანამდე ის მესამე თეზისი ოტია პაჭკორიას ესეის ამ პასაჟიდან, მთელი მისი თხზულების ქარგა ზედ რომ უნდა ამოშენდეს.

ამ დამოკიდებულებაში (რთულ, ნაირგვარსა და ჰუმანისტურში) – „ყოველ ნაბიჯზე ჩანდა სიძველის განსაკუთრებული განცდა, ნიაღთა წვდომა, მითოლოგიური სტრუქტურების ცნობიერი თუ გუმანით გამეორება“.

თუ მითოსური სტრუქტურის ამოზიდვაა გულითაც და გონებითაც, თუ სიძველის განსაკუთრებული განცდაა და ნიაღთა წვდომა, მამ მზე მწერლისათვის არ უნდა იყოს მარტოდენ თემა, არამედ არსი. მზე განაგებდეს მიწიერი ცხოვრების წესსა და დინებას, მზე იყოს მისი წარმოსახვის მასაზრდოებელი წყაროც და პოეზიის რეფრენიც – მოუბერებლად გასამეორებელი.

ასეცააო – ირწმუნება კრიტიკოსი, და თუმც ეს თეზისი იმ პასაჟიდანაცაა ერთგვარად ამოზრდილი, სრული და ღრმა ასახვის ნიმუშად რომ მოუხმია ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული პორტრეტიდან, იქ მკაფიოდ მინიშნებული მოუქცევია თეზისის ყალიბში, მაგრამ კიდევ უფრო ხელშესახებად იმეორებს იმ ფრაზებს, თავის მონტაჟში ფრაგმენტულად რომ გამოუყენებია: მზე საზღვარია, მზე სინათლეა, მზე სიცოცხლეაო...

და მოედევნება:

„ძველია მზის კულტი, მითოლოგიური სიმღერებიდან მოგვეყლია დიდება მზის გამთენებლისა, ბნელიდან ამოსვლისა. ყინვით დამზრალთაც მზის დიდება უთქვამთ, სამშობლოდან გადაკარგულთაც მზის ვედრება აღმოხდენიათ. მზე მარადიული სავედრებელი ყოფილა, მარადიული შთამავგონებელი ყოფილა პოეტისა“.

იქვე დავით გურამიშვილის სტრიქონიც ჩნდებოდა, სამშობლოდან გადაკარგვა ძალდაუტანებლად წამოატივტივებდა „დავითიანის“ სტრიქონებს: მის მზეთა მზისა მთიებო, ვიკარგვი ბნელის ღამითაო. და ეს ამონაკვეთი გაუიგივებოდა გიორგი შატბერაშვილის პოემის სტრიქონებს – „ზაფხულის ღამის ქრონიკაშიც“ იგივე დაკარგულობაა, ჯერ თითქოს უშიშარი, თითქოს საამოცა, მაგ-



რამ მერე შიშინი, მართლაც შიშინი, თორემ ისე არ შეიძლება აღმომხდარიყო ასეთი ღალადისიო:

**მზისკენ, დიდ მზისკენ, მხურვალე მზისკენ, გავარვარებულ შუადღის მზისკენ.**

იგივე დაკარგულობა?

დავით გურამიშვილის დაკარგულობას მისი დრამატული ბიოგრაფია გვიდასტურებდა, მთელი სიცოცხლე გაუგრძელდებოდა გადახვეწილობა, მოკვეთილის ცხოვრებით ცხოვრება და მხესაც დაკარგულის ვედრებით შეღალადებდა, მაგრამ გიორგი შატბერაშვილი? მისი ერთნაირი პატიმრობა-გადასახლება შუა აზიაში არ უნდა უიგვიდებოდეს გადახვეწა-მოკვეთილობას მთელი ცხოვრება... და მამ... მამ რალაც სხვა უნდა იგულისხმებოდეს, სხვა დაკარგულობა, რალაცას მონყვეტა, უმთავრესა და უძირითადესს, რადგანაც: „... მძაფრი განცდისა და მღელვარების გარეშე არ ითქმოდა ასეთი სიმღერა, ასეთი ბრწყინვალე ნიმუში საკულტო ჰიმნებისა“.

და უძველესი ფესვებიც უნდა გამოიშვლდეს, მზის გამთანგველ მხურვალეობასა და ვარვარებაში გამოტარებული ფესვი უფრო ხელშესახებად გამოჩნდეს და ისეთი განცდები და წარმოსახვანი დატრიალდეს მწერლის გარემო, მისმა საგალობელმა მზისადმი თვით ამგვარი შთაბეჭდილებაც გამოიწვიოს:

„აქ პოეტი თავის პროფესიას შორდება, ივიწყებს ყველაფერს, იქცევა უშუალოდ, ალალ, პირუთვნელ ბუნების შვილად და გულგაღვლილი ლოცულობს ისევე გულმხურვალედ, როგორც ოდესღაც მზის მოთაყვანე; ლოცულობს გულგაღვლილი და კანგადამსკდარი გულზედა, მხურვალე მზისგან კანგადამსკდარი, იმავე მზისათვის, იმავე მხურვალეობისათვის თავგადადებულ“.

საგულისხმოც სწორედ ესაა – გაჭრა პოეზიის მიღმა თუ პირვანდელი პოეტური ყალიბის აღდგენა, მითოსურ განცდებს უშუალოდ ზიარებული და არა სახეებზე თუ სიმბოლოებზე გადმოსული მხატვრულ გააზრებებში.

დაკარგულის ღალადისა მზის მხურვალეობისათვის ეს თავგადადება და დავით გურამიშვილის სახელიც და სტრიქონიც კიდევ ერთხელ უნდა გახმიანდეს: მზეთამზე, მზემან მომნახოსო...

ოტია პაჭკორია თავის მხრივ სტრიქონს სტრიქონზე დაიმონებდა „ზაფხულის ღამის ქრონიკიდანაც“ და „მკვდრის მზიდანაც“ მითოლოგიურ სტრუქტურათა ცნობიერი თუ გუმანით განმეორებისაც („ალბათ ილლება ის დიდი თვალცი, ცის დიდი თვალი – მზეს რომ ვეძახით...“, „შორულ ცათა და ზღვათა მოვლით მზის თვალი ისევ ამობრიალდა...“), მზის გამორჩეული აღმატებულობისაც, ეპითეტად მხოლოდ დიდი რომ დაშვენდებოდა („დიდ მზეში თბება დამზრალი ძვლები...“, „მზე დიღია, ყველას გვეყოფა...“, „მზისკენ, დიდ მზისკენ...“), მზის ღვთიურობისაც, მისი ჰიმნი ნატეხებად რომ მიმოიბნეოდა პოემის მდინარეებში („როცა მზეში ვართ, მზეში დავდივართ...“, „მზე ღამაზია, როცა ამოდის და უფრო კარგი – როდესაც ჩადის...“, „მზე გახუნებული...“, „დიდი შუადღის მძვინვარე მზე...“).

პოემაში მხოლოდ გაიეღვებდა ჩამავალი მზის ხატი, რომელიც „მკვდრის მზის“, ამ ერთი საუკეთესო მოთხრო-

ბის კომპოზიციურ ქარგასაც ამოიხვევდა და სულისკვეთებასაც განმსჭვალავდა, ფინალში კი ნუთიერად შეყოვნდებოდა ძლევის ქედის მწვერვალზე, კიდევ ერთხელ აენტებოდა ქვეყნის კიდეს მიფარების წინ, ოლონდ უკვე „სულთმობრძავის აღსარებასავით გაუგებარი და სევდიანი“.

ასეთია შემოღამებისწინა რამდენიმე წამი. და ეს ხილვა, კრიტიკოსის გუმანით, უკვე ახალი მნათობის აღმოჩენაა, აღმოჩენა არა მხოლოდ პერსონაჟის, გიორგი კობაიძის, მიერ – ცხოვრებით იქნებ ცოტა დაღლილი მწერლის კოსმოგონიის შესაფერისი.

მზე უკვე ცივად, მისტიკურად ელვარებს, ისე, გონებამ რომ უნდა განჭვრიტოს და შეაფასოს კიდევ ეს დიდი ყამი დღისა და ღამის გაყრისა, როდესაც რეალობა ერთბაშად იცვლის სახეს, მკვეთრდება და საგნებიც თითქოს შიგნიდან ნათდებიან. ოტია პაჭკორია კვლავ იმ ხიბლის ქვეშაა, ჰელიოცენტრული სამყაროს სრულსა და ღრმა ასახვას რომ მოუხდენია მასზე, და ამიტომაცაა, რომ „მკვდრის მზეშიც“ კვლავ და კვლავ ღვთაებრივ გამოსხივებას ეძიებს; და თუმცა დამხობილ ღვთაებას უფრო მოგვაგონებს მოთხრობის სურათები, მაგრამ ამ „დამხობილის“ მიღმა მაინც ისევ ღვთაება ილანდება, მისი ხელახალი ამოსვლა მიწისქვეშეთიდან ნუთისოფლის რიტმულ მონაცვლეობაში და სულაც განსაზღვრა ამ რიტმისა.

„მზე აღმა ისროდა ფერდაკარგულ შუქს. დაძრულიყო, ფეხაკრეფით მოდიოდა ბინდი. უმცირესი კენჭებიც კი ისროდნენ გრძელ ჩრდილებს. მზე ჩადიოდა, ღამდებოდა, ახლა უკვე შეიძლებოდა მზისთვის თვალის გასწორება. გიორგიმ პირდაპირ შეხედა მზეს. შეხედა თამამად და დაცინვით... ასე დაცინვით უსწორებენ თვალს იმას, ვისაც ოდესღაც ღიმილით შეხედვასაც ვერ უბედავდნენ და მონურად მორჩილებდნენ, როცა ძალა ჰქონდა, ახლა კი...“

ჯერ მარტო ეს პასაჟიც მიგანიშნებს, რომ მზე გმირისათვის ასტრონომიულ სხეულზე გაცილებით მეტია და მასთან იდუმალი, უმინაგანესი ძაფებით გადაბმულა.

სითამამე და დამცინაობა ნუ მოგვატყუებს – ამ ფრაგმენტშიც ასე საცნაურია მზის განსაკუთრებულობა და, მითუმეტეს, გიორგი შატბერაშვილის მზიური სამყაროს ფონზე. ამიტომაც დაახუსტებს ესეის ავტორი იმ მნიშვნელოვან ნიუანსსაც, რომ: მხოლოდ მზე კი არა კარგავს „ძალას“, თვით გიორგი ეთიშება „დიდი, მძვინვარე, მაღალი მზის“ ქვეყანას და თან მიაქვს თავისი ტკივილი, ტკივილი განუყრელი, ნაყოფგაუფესები ფესვის“.

სულთმობრძავის აღსარებასავით გაუგებარი და სევდიანიო...

რეალისტურ სურათს მითოსური წარმოდგენა უნდა შეეზიაროს და მოთხრობის ფინალში კიდევ ერთხელ გამოიკვეთოს მძაფრი დრამატიზმიც და სახელწოდებად გატანილი სიმბოლიკაც უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს.

ერთ შუბათელ ბერიკაცს მიაწერს ამ მეტაფორული ხატის – მკვდრის მზე – ახსნას მწერალი. იქნებ მისტიფიკაციური ხერხია, იქნებ ის ერთი შუბათელი ბერიკაცი მართლა შემოდის მხატვრულ სივრცეში, შემოდის, რათა მოთხრობის კონცეფცია მიგვანიშნოს. ასეა თუ ისე, მისი პირით უნდა ითქვას ის ხალხური რწმენა, რომ:

– მკვდრის მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდებაო... ზოგიერთს ჰგონია, ყველა მკვდრისთვის ამო-

დის ეს დაღლილი მზე, ნამდვილად კი გრძელი სოფელიც წუთისოფელივით მაცთურია, არც იქაური მზე აშუქებს ყველასთვისო.

მზის ჩასვლის ყოფითი სურათი ასე შემოსილა იდუმალების შარავანდით, იმ ღვთაებრივი იერით, ორი სამყაროს შუაგულად რომ უნდა წარმოდგეს და სწორად სულაც აღარ მოეფინოს ვარდთა და ნეხვთა, ღირსეულთა და უღირსთა... რუსთველის ხანა შორს დარჩენილა იდეალურ და მიუწვდომელ სივრცედ და „ვეფხისტყაოსანში“ წარმოსახული რწმენა-შეხედულებანიც ველარ ინარჩუნებენ მონუმენტურობას ჩვენს დღევანდელობაში.

ამიტომაც აღარ აშუქებს საიქიოს მზე ყველასათვის.

და თუ სილამაზე ამოსდევს მის დაბადებასაც და ჩასდევს მის სიკვდილსაც, თუნდ შორიდან ეტრფოდე ერთს და ესალმებოდე მეორეს, მაინც სულ სხვა ჟამი გითრთოლებს სულს უჩვეულო ძალით, სულ სხვა ჟამი მიგიზიდავს თავისკენ, ერთნაირად აღმატებული შობასაც და გარდაცვალებასაც.

შუადღეა, დიდი შუადღეა ეს ჟამი.

ის მიაჩნია განსაკუთრებული შექების ღირსად, რადგანაც: თან მოაქვს რაღაც დიდი და კარგი მის ხორშაკიან პაპანაქებას.

ეს რაღაც დიდი და კარგი თითქოს ყოფითი განცდების დასაამებელი თუ თავშესაფარია: თბება დამზრალი ძვლები, მზევდება კაცის სისხლი და ხორცი, გვაშრება ტანზე ოფლი და ჭუჭყი, სხეულს შორდება და მზეში მტკვრდება, მისი სხივები კი ყველგან დაფარფატებენ – ყველა სხეულში, ყველა ნივთში, ბალახში, ხეში, წვიმის წვეთსა თუ ახალწამოსულ თოვლის ფანტელში. და მინდვრის ყვავილში ანდამატი ჩასახულა, მზეს რომ იზიდავს და მეზადურივით იჭერს მის სხივებს.

და უეცრად იჭრება მძაფრი რიტმი, პირველყოფილი გზნებითა და სასოებით აღვსილი, სივარვარისაგან კანგადამსკდარი გულიდან აღმომავალი, ღვთაებასთან მზის გამთანაბრებელი:

**მზისკენ, დიდ მზისკენ, მხურვალე მზისკენ,  
გავარვარებულ შუადღის მზისკენ.**

და პოემამი ჩართულ ამ ვრცელ დითირამბში კვლავ ერთიმეორეს ენაცვლება ყოფითი სურათები და მეტაფორული წარმოსახვანი, რადგანაც: ვსუნთქავთ მზის სხივებს და მის ოხშივარს, და როდესაც სხივი გათოშილ ფესვში შედის, მიწიდან მისი ჩურჩული გვესმის, შედის კაცის ძარღვებშიც და კაცის თვალბუცშიც, ვაზის ლერწმებს სისხლივით შეერევა, ფოთლებს და მტევნებს ეალერსება და ამიტომაც გვათბობს და გვეთენთავს, გვაბორიალებს და გვათრობს ღვინო.

ის ძველთაძველი ფრთიანი ფრაზა – თვალი ჩასულა მტევანშიო – ასე გაშლილა პოემამი, როგორც დითირამბისათვის აუცილებელი რეალია, ურომლისოდაც ნაკლები თუ ფრაგმენტული გამოჩნდებოდა მზის საგალობელი.

ქალის თვალბუცშიც რომ მოჩანს მზე, თანაც ყველაზე მეტი მზე? თვალბუცში – ფართოდ გახელილებში. ამიტომაც გვათბობენ და გვათრობენ ისინი.

ყველა დახარბებია მის ბრწყინვასა და ნათებას, ყველა სათავისოდ მიეზიდება? და აქ უნდა შეგვახსენონ, რომ

მზე დიადია და ყველას გვეყოფა მისი ნექტარიც და მისი შხამიც. შხამიც? დითირამბში... შხამი? მაგრამ ეს იმ წუთების მოლანდებაა, როდესაც მისმა მხურვალეობამ და ვარვარმა შეიძლება სუნთქვა შეგიგუბოს და ამოგხადოს კიდევ. ხიფათიც ასდევნებია მის ცხოველმყოფელობასა და მადლს და საამისოდაც მზად უნდა იყო, რათა გადაიტანო მისი ხორშაკიანი პაპანაქება და სიმხურვალეში გამოიწროთ.

მზეში სიარული თანდათან ამიტომაც გარდაისახება მისტიკურ მოვლენად და მის ხვატში წამი საუკუნეს დაემგვანება და ისევე გვაძრწოლებს და გვიზიდავს, გვაკრთობს და გვაგულიანებს მისი ვარვარი შუადღის ცაზე, როგორც მოსე წინასწარმეტყველს დათრგუნავდა ის იდუმალი, შიშისმომგვრელი ხმა, აალებული ბუჩქიდან რომ მოესმოდა.

და მზის საგალობელიც ასე უნდა მოთავებულიყო:

**არ გვეოფნის სხივი მზის ნაბოძები,  
არ გვეოფნის წამი მზის ნაბოძები,  
და სხვა უცნაურ სასწაულს ველით.  
ელავს, აშუქებს, მივდევთ და ველტვით,  
მისკენ ვისწრაფვით და გვინდა მეტი,  
მზისკენ განვდილი თვალები გვტკივა,  
მზისკენ განვდილი ხელები გვეწვის.**

ასევე შედუღებულა მზის საგალობელი დიდი შუადღის ჰიმნად, იმ დიდი შუადღისა, რომლის აპოლოგეტიც გრიგოლ რობაქიძე გახლდათ და, ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ გავლენით, ჩვენს მწერლობაშიც დაამკვიდრებდა ამ ხატს, ნიცშე პლატონს დასესხებოდა, ოლონდ მისი მეტაფორა „შუადღის ღამისა“ ჰეროიკული და ტრაგიკული სულისკვეთებით განემსჭვალა ერთსა და იმავე დროს და გრიგოლ რობაქიძე „დიდი შუადღის“ სიმბოლურ ხატს, ქართული წარმართობის ემბაზში განზანდა, იმ შარავანდით შემოსავდა და მის ყვითელ აღმურში თეთრ აღმასთა ლენვას შეგვახედებდა და მიწის მკერდეებით ალების შესმას აზარფეშებო.

სიმბოლისტური პოეტიკით შემოიბლანდებოდა დიდი შუადღის უშუალო შესხმა სონეტი („ღვთის სიახლოვეთ მენამულნი ვინვით, ვითვრებით. რახსებ შებმული ტყდება პანის სპილენძის კვერი და სიყვარულის ბნედას გვაყრის მზის ავი ტვერი“), მისი ხვატი და მხურვალეობა კი პიესიდან რომანში გადავიდოდა, რომანიდან ესეებში მიმოიბნეოდა და კიდევ ძალუმად გრძნობდი მის ბრწყინვას და სახელდებითაც გეცხადებოდა მისი ხატი – დიდი შუადღე.

ეს ხატი აიყოლიებდა კონსტანტინე გამსახურდიას – მასაც ნიცშეს გავლენა გადმოწვდენოდა, ცისფერყანწელები კი გრიგოლ რობაქიძის კვალზე შემდგარნი მოიხიბლებოდნენ შუადღის ვარვარებით, გარეგნული იერითაც და მისტიკური შინაარსითაც; და სხვათა შორის, ამ გავლენისა და სიმბოლური ხატის გამოძახილი გაიეღვებს პავლე ინგოროყვას მონოგრაფიის – „შოთა რუსთაველი“ – ფინალურ აკორდად. რუსთაველის მზეს ვერ უახლოვდება ვერავითარი ჩრდილიო, ოდნავ პათეტიკური კილო რომ შეერეოდა თხრობას, მაინცდამაინც ამ ფრაზით დასრულდებოდა ეს ქმნილებაც და მისი ნახევარსაუკუნოვანი რუსთველოლოგიური ძიებანიც:

„მზე დგას ზენიტში“.

„დიდი შუადღის“ მეტაფორა სულაც რომ არ შექმნილიყო, არც ნიციუსს მოფიქრებოდა, აღარც გრიგოლ რობაქიძე დასესხებოდა, პავლე ინგოროყვა მაინც ზენიტში მდგარი მზის სიმბოლიკით დაუსვამდა საბოლოო ნერტილს უჯიათ ძიებებს „ვეფხისტყაოსნის“, პოეზიისა და სინამდვილის შესაცნობად, და ეს სიმბოლო მარტოდენ რუსთველური „მზიანი ღამის“ მეტაფორით იქნებოდა ნაკარნახევი.

ამჯერად კი „ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორას „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ სიმბოლოც შეზავებია.

ორივე განცდა გადახლართვია ერთიმეორეს.

რა აუცილებელია ასეთი დამრევება სულის წამიერი მოძრაობისა?

რატომაც არა, თუკი მზერა მიგვიწვდება... თუკი თვლებში ჩაბუდებული მზე ასეთ მოძრაობებს შეგვამჩნევინებს.

მზისკენ, დიდ მზისკენ, მსურვალე მზისკენ, გავარვარებულ შუადღის მზისკენ...

მიიკარგებოდა ეს ხატიც, ჩაინავლებოდა ეს განცდაც დიდი შუადღის უზენაესობისა, მაგრამ აგერ კვლავ გამოსჩენოდა თავისი ჰიმნოგრაფი ამ სიმბოლოსაც და მზის საკურთხეველსაც, და მის სხივებში გათანგული ღამის მართლა დაშორებოდა თავის ხელობას, პოეზიის იქით გაჭრილიყო „ზაფხულის ღამის ქრონიკით“... რალა ღამის, შორდებაო, ირწმუნებოდა ოთარ ჩხეიძე, როდესაც ჩაუკვირდებოდა მზის სახებას გიორგი შატბერაშვილის მხატვრულ წარმოსახვებში, რომელიც ამ შემთხვევაში პირველყოფილებას უბრუნდებოდა და მზის მოთაყვანესავით დამდგარიყო მის სამლოცველოსთან.

კანი გადაუსკდებოდა გულზე მისი ხორშაკიანი პაპანაქებისაგან?

დაე გადასკდომოდა, კანი რა სათქმელია, სულაც შთაინთქმოდა მზის გამლღვალ მკერდზე, თუკი უზენაესი მნათობი მსხვერპლს მოითხოვდა.

მაშ რისი მლოცველი გახლდათ.

პოეტური შემღერების თეორიაც შეექმნა „მკვდრის მზის“ შემოქმედს, აშკარა ნასესხობას განასხვავებდა უნებურ პოეტურ დამთხვევათაგან, თუმც ნასესხობებსაც ისე მკაცრად არ განსჯიდა. შესაძლოა თავისთავად, გაუცნობიერებლადაც ეჩინა თავი ნაკითხულსა თუ მოსმენილს, თუნდ შეგნებული რემინისცენცია თუ ალუზია არც დაესახა მიზნად მწერალს. უნებურად განმეორებულიყო.

გადიგამოდოდა მსგავსი თემები თუ მოტივები, მსგავსი განცდანი თუ განწყობილებანი ერთი მწერლის შემოქმედებიდან მეორე მწერლის შემოქმედებაში. უამისოდ ვერ გადარჩებოდა ლიტერატურა – ვერცერთი ქვეყნის. თუმც აღნიშვნა ყოველთვის აუცილებელია პირველმთქმელისა, გამმეორებელს არ უნდა მიენეროს პირველობა. თვითონ ყოველთვის მიუთითებდა პირველმთქმელსაც და გამმეორებელსაც, უნებლიე დამთხვევებს კიდევ ცალკე დაალაგებდა და ჩამონათვალში არც იმის თქმას მოერიდებოდა, „დიდი შუადღის“ სიმბოლური ხატი თვითონ ვისგან გადმოელო, იმას, თავის მხრივ, ვისგან ესესხა – იმ სახითვე მეორდებოდა თუ რალაც ნიუანსი თუ თავისებურებანი შემატებოდა; არ მოერიდებოდა, აკრძალვით რომ არ აეკრძალა ახალ რეჟიმს გრიგოლ რობაქიძისა და ფრიდრიხ ნიციუსს სახელები.

ისიც საფიქრებელი უნდა იყოს, რომ მზის ვარვარისა და აღმურის მოტივი, მზის წარმოსახვა ღვთაებად და მის საკურთხეველთან დგომა, გარდა პირადი განცდების, ჰელიოცენტრულ სამყაროსთან უშუალო ზიარებისა, იმ შთაბეჭდილებებითაც უნდა იყოს ნასაზრდოები, „ლონდასა“ თუ „გველის პერანგს“ რომ მოეხდინა 20-იანი წლების ყმანვილკაცებზე. იმ შთაბეჭდილებებსა და განწყობილებებში ტრიალებდა გიორგი შატბერაშვილიც და მისი პიროვნული ბუნებისა თუ შემოქმედებითი ნატურისათვის მახლობელი აღმონდებოდა ეს მოტივიც და ეს განცდაც, კატაულას სერის სამლოცველოდან შობილი და გულსა და გონებაში გამოტარებული გრიგოლ რობაქიძის შემწეობითაც.

თავისებურია გიორგი შატბერაშვილის მზის ჰიმნები – დასრულებულნი თუ ფრაგმენტულნი, ოლონდ „ლონდასა“ და „გველის პერანგთან“ მკაფიო ხიდი გადაებულია და კიდევ, ცხადია, ჰამადანის ხილვასთან.

სამისო მინიშნებანი მიმოფანტულა ოთარ ჩხეიძის ამ ლიტერატურულ პორტრეტში: კატაულას სერზეც იცის მსურვალეობა შუადღის მზე-მაო...

„ზაფხულის ღამის ქრონიკაშიც“ იგივე დაკარგულობააო...

ასე ცალკეც რალაცას გულისხმობდა, თანაც გამჭვირვალედ, და ახლა, როდესაც დიდი შუადღის სიმბოლიკაც ამოჩენილიყო და პირველყოფილი ბუნების შვილად პოეტის დასახვაც ძალდაუტანებლად გადააქროლებდა ფიქრს შორეული სივრცისაკენ, კატაულას სერის



მხატვარი ავთანდილ პოპიაშვილი

V

რიკა – რწმენა,  
სწრაფვა მარადიული

თავისებურ მემკვიდრედ თუ სულიერ თანაზიარად მოჩანს მიუსელლაჰის სერისა; და „ც“ ნაწილაკი რაღაც ზოგად სერს კი არა გულისხმობს, არამედ იმ ბედნიერი ხილვის ადგილს, თავისებურ ნიშანსვეტად რომ წარმოგვიდგება არამართო გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიაში, არამედ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და რაკილა უძველესი ფესვებისაკენ მიჰკვალავდა გზას ის ხილვა, კატაულას სერსაც ისეთივე განცდა უნდა აღედრა თუ გაემძაფრებინა. მიუსელლაჰის სერის გარეშე არც გიორგი შატბერაშვილს წარმოესახებოდა კატაულას სერი მზის სამლოცველოდ თუ საკურთხეველად და ვერც ოთარ ჩხეიძე დაადასტურებდა მზის მოთაყვანის ჟინსა და ვნებას იმის საკულტო საგალობლებში. სერს სერი მოჰყოლოდა, ერთმანეთს გადაბმოდნენ და მითოსურ სიმბოლურეც აიზიდებოდნენ.

დაკარგულობის განცდაც ამას მოჰყოლია.

გიორგი შატბერაშვილსაც ეგრძნო თავისი პოეტური ფესვები იმ ხილვის ანარეკლში და იმ ისტორიული ფესვებისაგან მოწყვეტაც მთელი სიმძაფრით შეეგრძნო. გაისიგრძეგანებდა დაკარგულობას და იქ მიახლებს ნადილიც არანაკლები გზებით გაუჩნდებოდა.

და ტიციან ტაბიძე თუ ქალდეას ქალაქებით შეეცდებოდა იმ ძველთუძველესი ფესვების აღდგენას, ამ გზას გაჰყვებოდა ეროვნული ვინაობის შესაცნობადაც და შესაგრძნობადაც, გიორგი შატბერაშვილს მზის კულტის აღდგენით მოენდომებინა ორ ზღვას შუა მომწყვედუელი სივრცის გადალახვა და უფრო შორს გაჭრა.

ასე განტოტვილა გრიგოლ რობაქიძის სიმბოლიკა: ერთგან ქალდეად.

მეორეგან მზის საგალობლად.

და დიდი შუადლე რომ გადმომდგარიყო ერთხელ კიდევ, ყურძნის მტევანში მზის ჩასვლაც უნდა გახშიანებულიყო კვლავაც, ის ენობრივი სასწაული, ჩვეულებრივ თქმად რომ შემოგვრჩენოდა. „ზაფხულის ღამის ქრონიკაში“ ძალდაუტანებლად ჩნდება, მაგრამ რაკილა მზის ჰომინებში ყოველ სტრიქონს თავისი ღრმა დანიშნულება აქვს, ვაზის ღერწებსა და მტევნებში სხივების ჩადინება სისხლივით სწორედაც მისტერიას უნდა მიგვანიშნებდეს.

... მზეთა-მზევ, მზემან მომნახოსო, – ვერ ეგუებოდა დაკარგულობას დავით გურამიშვილი.

ლექთაგან დატყვევების ბრალი არ უნდა ყოფილიყო, არა და აღარ რომ არ დაუბრუნდებოდა თავის მიწა-წყალს. ეს ტყვეობა საბაბი უფრო აღმოჩნდებოდა მისთვის და შორეულ გზებს ვედარც ვერაფერი მოწყვეტდა. ორ ზღვას შუა სული ეხუთებოდა და გამოსავალს რომ ეძიებდა, უნებურად სავალი აერეოდა – ნაცვლად სამხრეთისა, ჩრდილოეთს შეეხიზნებოდა და ბრძოლებშიც ისეთი თავგამეტებით გადაეშვებოდა, საკუთარი ბედისწერით დაადასტურებდა, ყველა ქართულში ომის ტრფობა ძველისძველი რომ გახლდათ... ეს კიდევ სხვა მოტივია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ზღვებს შუა შემოჭედვას ყველაფერი ერჩინა, თორემ შენარჩუნებით რაღაც სასწაულებრივი ძალით შეინარჩუნებდა მშობლიური მიწისა და ენის სურნელს. სამლოცველოსა თუ საკურთხეველის ხატებასაც...

მზეთა-მზევ მზემან მომნახოს, ვიკარგვი ბნელის ღამითა...

ძნელია ამ სწრაფვის, ამ ჰელიოცენტრული სამყაროს ზემოქმედების უფრო სრულად და ღრმად ასახვაო...

უკვირდები ამ ფრაზას და გრძნობ, რომ აქ გაცილებით მეტია ნაგულისხმევი, ვიდრე მარჯვედ მიგნებული თვალსაზრისი ინვევს პროფესიონალი მკითხველის – თუნდ მწერლის მხატვრული სამყაროს იდეური საფუძვლის ამხსნელი.

ზემოქმედების სრული და ღრმა ასახვა ისეთი, სხვა ვერაფერი რომ ვერ გაუტოლდება, მარტოდენ შეხედულების განსაკუთრებული ღირებულებით ვერ შემოიფარგლება და ექსპრესია და შინაგანი ენერჯიაც აუცილებლად ესაჭიროება, სწორედ ის, რითაც გამოირჩევა ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული პორტრეტის ეს პასაჟი.

და ხვდები, რომ მზის სამლოცველო თუ საკურთხეველი მხოლოდ მეტაფორებად კი არ არის მოხმობილი... და არც მზის მოთაყვანის ლოცვა მხოლოდ მოხდენილი სიტყვისათვის ნახსენები და არც პირველყოფილი ბუნების შვილად გადაქცევა... და ეს ყოველივე არ გამომდინარეობს მარტოდენ გიორგი შატბერაშვილის ჰელიოცენტრული სამყაროს ახსნიდან.

ეს ოთარ ჩხეიძის უშუალო განცდაცაა, მისთვისაც მახლობელი და გაშინაგანებული, და ამიტომაც აღიქვამს კატაულას სერს მზის ტახტად, მის სამლოცველოდ თუ საკურთხეველად; ამიტომაც ამჩნევს გიორგი შატბერაშვილის მზის საგალობელთა ქსოვილში თავყვანების სიალაღესა და განცდის პირველყოფილებას.

საგანგებოდაც ამიტომ გამოარჩევის.

და თვითონაც ამ პასაჟით თავისებურ ჰიმნს უძღვნის მზეს, ქმნის ერთგვარ ლიბრეტოს მზის მისტერიისა და ამიტომაც აღტაცებულიყო ოტია პაჭკორია ამ ექსპრესიის ზეგავლენით: ძნელია ამ სწრაფვის განმეორებაო.

მზის კვალს, მის გამორჩეულ ხატებას სხვა შემოქმედთა ნააზრევშიც საგულდაგულად დაეძებდა და არც გამოეპარებოდა თვალთაგან, თუკი ასეთი რამ არსებობდა – შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად. ძველთაძველი წარმოდგენების ნახსლეტი თუ ახლებური მზერით შემოქსოვილი, ჰამადანური ხილვის იქითაც საგულგებელი თუ ჩვენს თავზევად გადმომდგარი. ესეც მზე გახლდათ, ორ ზღვას შუა შემოჭედილი, მაგრამ მაინც მზე, და აქედანაც გაიდებოდა ხიდი ქართული მოდემის იმ სივრცესთან, ეს მზე საიდანაც წამოგვყოლოდა, დაგვეარვარებდა და გვევაგდა.

ადვილი შესამჩნევი არ არის მზის სიმბოლიკის მრავალშრიანობა შიო არაგვისპირელის ნოველებში და იოლადაც გადარბოდა სალიტერატურო კრიტიკის თვალის მათ სიუჟეტურ ნაკადებზე. მზეს თითქოს არ ენიჭებოდა რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა. არამცთუ განსაკუთრებული, აღნიშვნითაც არ აღუნიშნავთ, ამ მხატვრული სამყაროს იდეური საყრდენის ასახსნელად ეს სიმბოლო არ მოუშველებიათ. გაფანტულა მისი სხივები ნოველებში, პერსონაჟთა ხასიათები თუ მაშინდელი ცხოვრების ორომტრიალი უფრო ხვდება თვალს, ქალაქური ყო-

ფის ზოგადი იერი უფრო ხელშესახებია, მაგრამ ამ ყოველივეს მიღმა ფონად თუ სისტემად მზეც რომ ჩამალულა?..

ვის ააღვლებდა, ვინ გაჰყვებოდა მის კვალს?!

მთავარია, რომ ჩამალულიყო და... კიდევ ამოჩნდებოდა ოთარ ჩხეიძის ხელში, როგორც გზამკვლევი ამ დრამატული და მომხიბლავი სამყაროს მოსახილველად, შიო არაგვისპირელის მხატვრული სინამდვილე რომ დარქმევი:

„... ამიტომაც საოცარია მზეი თბილისისა, დამწვარი მზეი, მზეი თბილისისა, ანუ მზეი შიო არაგვისპირელისა, რადგან თბილისის მზე სხვას არავის გამოუხატავს ასე თავისებურად, ასე ძლიერად, სრულყოფილად“.

შემდგომ მიხეილ ჯავახიშვილის „ოქროს კბილშიც“ გაივლებდა თბილისის ხვატი, სულისმოსათქმელად პერსონაჟებმა მამადავითის თხემს რომ უნდა მიაშურონ. მოთხრობა მოთხრობად და რომანში – „გივი შადური“ – ისე ხელშესახებად გამოიხატებოდა ივლისის შუადღე, მკითხველსაც ცეცხლს უკიდებდა ექსპრესია და გამთანგავი აღმური, თუნდ იმ წუთას არც ივლისი ყოფილიყო, არც შუადღე, და სულ სხვა განწყობილებებში ჩაძირულიყოს.

ფურცლებიდან შემოასკვებოდა თბილისის სიმხურვალე:

„გავარვარებული მზე ქალაქს აღმოდებულ მაჯლა-ჯუნასავით აწვება, თითქო მის გადადნობას ლამობდესო. ქუჩებს ცხელი ბული ასდის. გახურებული ჰაერი აღმურით არის გაჟღენთილი და ეს უზარმაზარი სკა – ქვისა და აგურის სკა – ისე სუნთქავს, ისე ჰლაფავს სულს, თითქოს საზღაპრო ლოქო კვებოდესო“.

ტვინი დუნდება და დნება მწველ სხივებში, ძლივს მილასლასებ და მიბორიალობ, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ეს გორგუნავს და გაფორიაქებს, ქალაქი სულთმობრძავ ზღაპრულ ლოქოდ რომ წარმოგიდგება.

თითქოს კიდევ უფრო გამძაფრებულა შიო არაგვისპირელის ნოველებში ისედაც ძალუმად დატრიალებული განწყობილებანი, არა? ასეთ თავზარდამცემ შედარებასაც აღარ ერიდება შემდგომი ეპოქის მწერალი, რადგანაც ამ ეპოქას მეტი საზარლობა და საშიშროება მოუტანია და ეს განცდა ქალაქის პეიზაჟშიც მკაფიოდ უნდა აისახოს, იმ უკიდურესობას მიღწეული, როდესაც მზის სივარვარემ მსხვერპლიც თუ არ მოითხოვა და არ შთანთქა, სულაც გადაბუგავს იქაურობას.

რალა გივი შადურის ლასლასი ქუჩაში და რალა „ლონდას“ პერსონაჟთა სასონარკვეთა.

თბილისის დამწვარი მზე სხვას არავის გამოუხატავს ასე თავისებურად, ასე ძლიერად და სრულყოფილად, ვიდრე შიო არაგვისპირელსო...

არავის – მანამდე!..

მზე ჰყვარებოდა შიო არაგვისპირელს.

მზე – როგორც ბუნების ძალთა მკვეთრი გამოვლენა.

სხვა ამგვარი გამოვლენანიც იტაცებდა, ბუნების შინაგანი ჭიდილი ალაცებდა მის წარმოსახვას, მაგრამ მზე მაინც გამორჩეულიყო მის კოსმოლოგიაში, მისი მკვეთრი ელვარება, მცხუნვარება, ვარვარი.

სწორედ აქედან ახსნილა მისი ნოველების – ბარემ ესეც ასევე განისაზღვროს – ჰელიოცენტრიზმი, რადგან-

ნაც: მცხუნვარებს მზე თბილისისა, შუა ზაფხულის მზე ვარვარებს მთელი ძალით და შიო კიდევ უნდა აჰყვეს თავის სიყვარულს, აჰყვეს და ალტაცდეს... მაგრამ როდესაც ამ სივარვარეში მისი გმირის სული იწვის, იხუთება სული აღვლებული მამულის ფიქრებით?

– მაშინ მზესაც თავისებური გააზრება ეძლეოდა და გავარვარებული ქალაქის გულში დაგუბებული შმორი საზოგადოებრივი და ეროვნული დავრდომილობის სიმბოლოდ იქცეოდა.

და იქვე დასძენს, რომ: სიმბოლიკისკენ მიდრეკილება ყოველთვის იგრძნობოდა შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში, და განსაკუთრებით ბოლო ხანს იმატა სიმბოლოებმა და ალეგორიებმა, მაგრამ რაოდენ მოხდენილიც უნდა იყოს თვითეული იმათგანი, მაინც ყველაზე ორიგინალურად, ძლიერად და ცხოველყოფილად მოჩანს თბილისის მზე – დამწვარი, დაფუფქული და გათანგული.

რეალისტი მწერლის ნათელ ხილვად მოიხსენიება ეს განცდაც და მისი მხატვრული გარდასახვაც, ზნეობრივი და გონებრივი ამაღლების დიდი სურვილის გამჟღავნებად. ამ დიად ამაღლებას უსათუოდ ესაჭიროებოდა თავისი შარავანდიც და თავისი ღვთაებაც, და ასე გადაიქცეოდა მზე სწორედაც ღვთაებად. რწმენა სამშობლოს გაიგივებოდა და თავისი სალოცავი უნდოდა რწმენას; და აჰა მზე – სალოცავად.

ძალდაუტანებლად ჩნდებოდა მეხსიერებაში შიო არაგვისპირელის სინანული: სემინარიაში მხოლოდ ის მომიხერხეს, რომ რწმენა წამართვესო. და ამ ფონზე იკვროდა მსჯელობა და „მზის პასაჟი“ მის ლიტერატურულ პორტრეტში ამ აკორდით ბოლოვდებოდა:

– რწმენაცა ჰპოვა და სალოცავიცა, ჰპოვა და შეჰლალადა.

ასე მიწვენილა მწერლის გუმანი მწერლის გუმანს, თორემ მზის დასახვა სალოცავად მაინცდამაინც მკაფიოდ არ მოჩანს შიო არაგვისპირელის ნოველებში. არა, არც ხელოვნურად მიუკუთვნებიათ მისთვის რაიმე. ეგაა, რაც მკრთალად ილანდებოდა, ქვეშეცმენულად ჩაბუდებულიყო მის მხატვრულ სამყაროში, ზედაპირზე ამოიზიდებოდა და შესაფერისი სახელიც დაერქმეოდა:

თბილისის მზის ვარვარსაც და მის სხივებში ატორტიმანებულ ქალაქსაც, შმორის სუნი რომ ასდიოდა.

მაგრამ ამ რეალისტური იერის მიღმა ილანდებოდა სალოცავი – ძველთაძველი რწმენის ხელთუქმნელი ხატი, თანდათან გამოკვეთილ სახეს რომ შეიძენდა და გრიგოლ რობაქიძის „ლონდაში“ მართლა სალოცავად და საკურთხეველად გამოჩნდებოდა. იღუმალი ნატვრა მკაფიოდ კონტურებს ამოაჩენდა და ჰამადანის ხილვაში, ერთი მხრივ, ქართული ენოდგმის პირველსაცხოვრისი თუ გადაილეგებდა, მეორე მხრივ, შიო არაგვისპირელის მზესთანაც გაიბმოდა უხილავი ჯაჭვი. სალიტერატურო პროცესი გააბამდა ამ ჯაჭვს და წლების შემდგომ ოთარ ჩხეიძის ესეიში („სამყარო შიო არაგვისპირელისა“) ხელშესახებად დადასტურდებოდა მისი არსებობა.

„ლონდაო“ და:

აკი „ლილეს“ საგალობლით მთავრდება მისი ანტიკური დრამის შესაფერისი სიუჟეტი, იმის დარი მონუმენტური და ტრაგიკული ხასიათებით, საკულტო საგალობლით, რომელიც უხსოვარი ჟამიდან შემოჰყოლოდა სვანურ

რწმენა-წარმოდგენებსაც და სიმღერა-პოეზიასაც, ქართული მითოსის ამ მკვეთრ ნაკადს, მზის ჰიმნით, რომელიც აკვანშივე ჩაესმოდათ ყმანვილებს ნანინასთან ერთად და, ვისაც პოეტური ნიჭი აღმოაჩნდებოდა, ეს საგალობელიც მოაცილებდათ ცხოვრებისა და შემოქმედების გზაზე.

მათგან რევან მარგიანს გამოარჩევდა ოთარ ჩხეიძე. თითქოს მხოლოდ ერთ პოეტურ რკალს ჩაუკვირდებოდა ესეიმი „საგალობელი სინათლისა“, მაგრამ ამჯერადაც მისი პოეზიის კარს შეხსნიდა, მისი მხატვრული წარმოსახვების იდეურ საფუძველს გამოარკვევდა, მის პოეზიაში ჩაბუთებულ ჰელიოცენტრულ სისტემასაც აღმოაჩინდა.

მზის კვალის ძიებას აქამდეც მიეყვანა.

რიჰა, ვინ იცის, მზის ტოლი იყო თუ მასზე უმაღლესიც. დიდი სინათლის საგალობლად ითქმოდა. იქნებ უძველესი ღვთაებაც გახლდათ, სიმბოლო სულის ამაღლებისა, განწმენდისა და ამაღლების მარადიული სინათლის სამეფოში.

ვითომ მზეზე უმაღლესიც შეიძლება ყოფილიყო?

ეს ის ჟამია, როდესაც ჯერ არც არსებობს ღამე, არც ჩრდილი, არც სუსხი, ლაქაც კი არა – მარტოდენ უპნკენელი სინათლე მეუფებს.

ამ კითხვებს უტრიალებს მწერალი და ამ ფიქრში ღამობს გზის გაგნებას, რევან მარგიანის ლექსების ბოლო რკალი ძალდაუტანებლად აიყოლიებს საამისოდ. ადრე თავისთვის თუ ცდილობდა ღიღეს იქით გადახედვასაც და ხელთ რიჰა შერჩებოდა, მაინცდამაინც ველარ ნაჰყევბოდა ძიებას. მელოდია არ გადარჩენილიყო ამ საგალობლის, ალბათ დამსხვრეულიყო და ნატყებდა გაბნეულიყო სხვა სიმღერებში. და როგორ გინდოდა ძალიან და ძალიან სახეცვლილი მელოდიიდან თუ სტრიქონებიდან ის პირვანდელი საკულტო ჰიმნი აღგედგინა. ეგაა, მრწამსი შემონახულიყო, სინათლის რწმენა – დიდის, ყოვლისმომცველის; და კიდევ – სწრაფვა მარადისი, ზეალმტაცი სიმღერები და სხივთა ბილიკები რომ მიგიძღოდა.

ხასხასა სინათლის საგალობელი შეერქმია გუნებაში და იმასაც დაკვირვებოდა, რომ, ეტყობა, ღიღე უფრო ადვილად ითქმოდა, რიჰა – არა, რაკილა ღიღე შემონახულიყო, პირვანდელი სახით თუ არა, ყალიბი, აღნაგობა, ზოგადი იერი ის ძველთაძველი მოსდევდა, რიჰა კი სამუდამოდ გაბნეულიყო სივრცეში.

ნატყებდა გაბნეულიყო...

ოღონდ თავისით როდი – გარდა დროის ავბედითი კვალისა და ტვიფარის, ნატაცებითაც უნდა წარეტაცნათ. დრო-ჟამის იმ უშორეს ფენაში ჩაიძირებოდა მწერლის ფიქრი, არგონავტების კოლხეთში ლამქრობამდეც რომ გავხიდულიყავით დიდ გზებსა და გზაჯვარედინებზე, და დოვლათს რომ მიეზიდებოდნენ ჩვენგან, ჯერ კიდევ მაშინ, მითოლოგიურ თქმულებებსაც წარიტაცებდნენ, სიმღერებსაც და ჰანგებსაც.

და მწერალი ავ ბედისწერას იმით მოუგებდა ნიშნს: თუნდაც წარეტაცოთ, თუნდაც გაბნეულიყო თუ დაკარგულიყო, ოდესღაც რომ ამოხეთქილა ხასხასა, წმინდა პირვანდელი შთაგონებითო.

და თუ ოდესღაც ამოთქმულა ამ განსაკუთრებული შთამბეჭდაობით, ოდესმე კიდევ განმეორდებოდა არა უნიათო, სუსტ გამოძახილად, არამედ უჩვეულო მაღლით

აღვსილი. ამოსკდებოდა რომელიმე შემოქმედში შთაგონებისა და თავგადაკლული ძიების ნაყოფად, იმ ჰარმონიად, ჭეშმარიტ პოეზიას რომ დაჰყოლია სამყაროს კულტურული ვინაობის გარიჟრაჟიდან.

ოდესმე კიდევ განმეორდებოდაო...

ოღონდ ერთბაშად ვერა. თავგადაკლულ ძიებას დროც სჭირდებოდა და ოთარ ჩხეიძე დაიბეჯითებდა: აქამდე ამ გზებს, ამ ნატყებებს დაეძებდა რევან მარგიანი, რიჰას ნატყებებს, ნახლებებსა თუ პნკალებს, იმდენჯერ მიმართა ღიღეს – მზის სიმღერას, იმდენჯერ შეეგება მზის ამოსვლას ამ სიმღერით, იმდენჯერ ჩააცილა მზე, იმდენი მოკითხვა დააბარა დიდ სინათლესთან, სადაც ჩადიოდა და საიდანაც ამობრძანდებოდა ეს უზენაესი მნათობი, გამაბრწყინებელი ქვეყნისაც და სიცოცხლისაცო:

„... და ქვეყნის სიხარულს, ჭმუნვას თუ სიხარულს ჩვენი ქვეყნისა ღიღეთი უმღერა რევან მარგიანმა, ღიღე ჩაუფინა ბევრ თავის ლექსს და შეჰქმნა ვარიაციები ღიღესი. და თუ რამ უახლოვდება, უთუოდ ღიღეც უნდა უახლოვდებოდეს რიჰასა და ვარიაციები იგი, ვარიაციები ღიღესი, საფეხურებად წარმოისახება, ანთუ ბილიკებადა რიჰას გზაზედა“.

ასე ქვეულიყო უძველესი ქართული სიმღერა რევან მარგიანის პოეტური შთაგონების საფუძვლად, იმ რიტმს დაყრდნობოდა, ძველთაძველსა და მარადიულს, და თავისებურად გაიმეორებდა, გამოაცოცხლებდა და ხმასაც შეუნყოფდა. ეს მისი პოეტური მრწამსია, საფუძველი მისი პოეტური ხელოვნებისა, არსია არსობითი მისი შემოქმედებისა, თავისებურებაა მისი, მისი ფენომენი, საწყისიც ესააო, – ამ მთავარ თეზისსაც მკაფიოდ გამოჰკვეთდა ესეის ავტორი და გაიხსენებდა, რომ: რევან მარგიანს „მირანგულას“ ვარიაციებით შემოედგა ფეხი პოეზიაში ორმოცი წლის წინათ და რიჰას კარიბჭესაც მიდგომოდა – მარადისის სალოცავს:

**რიჰა – გადიდდი, განათიდი, განათიდი, რიჰა.**

**შენა ხარ სინათლე მარადი, მარადი, რიჰა.**

**ჯურღმულშიც იარე იარე უქრობი სანათით, რიჰა,**

**რიჰა – გზა მიეც კეთილს და ღვთისნიერს, რიჰა.**

**სინათლე გვიფრქვიე, გვიფრქვიე, რიჰა.**

ძველ ქართულ საფერხულოსაც მოაგონებდა ეს რიტმიც და ფარული მელოდიაც, ვარაუდად ივარაუდებდა, ვინ უწყის, მართლაც ასეთი ყოფილიყო ის რიჰაც – სინათლის საგალობელიო.

ვარაუდს, გუმანს ვერ გაცდებოდა ოთარ ჩხეიძე, რადგანაც კვლავ საძიებლად მიიჩნევდა ამ საგალობელს – არა მხოლოდ ჰანგს, თვით ხალხურ ტექსტსაც. ის სიმღერა სულ სხვა სიტყვებზე უნდა აწყობილიყო, ამჟამად კი სულ სხვა ტექსტი გვეპყრა ხელთ. „რიჰასთვის“ ეს ტექსტი მიესადაგებინათ ფოლკლორისტებს, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს ვერა და ვერ დაეჯერებინა იმ ძველთაძველი საგალობლის თუნდ საკმაოდ სახეცვლილ ვერსიად ეს პოეტური ნიმუში. „ღიღეს“ ამჟამინდელი ტექსტი კიდევ ინახავდა იმ შორეულს, „რიჰა“ – ველარ, რადგანაც ეს ტექსტი მოთქმა გახლდათ მამულიდან აყრილი და გადაკარგული ადამიანის, მარტოდენ მოთქმა და სხვა არაფერი.

მხოლოდ ერთ ტაეპს გუმანობდა პირვანდელი „რიჰას“ ნატეხად თუ ანასხლეტად, იმ ვედრებიდან, საგალობლიდან შემორჩენილ ციტატად. დაზუსტებით აღარ აზუსტებს, რადგანაც სწორედ ეს სტრიქონი ნაუმძღვარებია რევაზ მარგიანს ეპიგრაფად თავისი საგალობლისათვის:

– იქ, სადაც იქნება სინათლე, იქნება ჩვენი სამყოფელი.

და უშუალოდაც ჩაურთავს ლექსში, ყველა სტრიქონი ერთიერთმანეთისათვის რომ შეუხამებია და საფერხულო რიტმის საძირკველზე ამოუშენებია და სინათლის ღვთაებისადმი მიძღვნილ ჰიმნად გარდაუსახავს – ძველის თავისებურ აღდგენადაც და პირად განცდადაც, თითქოს ისიც ბუნების პირვანდელი შვილი ყოფილიყოს და გულგაღვლილი ლოცულობდეს, როგორც ამ ღვთაების მოთაყვანე – დიდი სინათლის, მზის ბილიკების იქითაც საგულგებელის; თითქოს ისიც დაშორებოდეს თავის ხელობას და პოეზიის მიღმა გაჭრილიყოს:

**რიჰა, სინათლედ გასახვდნენ ოდით, რიჰა,  
რიჰა – სინათლედ,  
უქრობელ სინათლედ მოდი, რიჰა.**

მდელი და კორდი ანათეო, ხალხს სინათლის ტოტი გადმოუწოდებო, რიჰა და რიჰაო, – იქნებ მართლაც იმ მოთაყვანეს შეტოლებოდა, მასავით განადიდებდა ლოცვად და ჰიმნად. ის მოთაყვანე ჩადინჯებით დაინყებდა, მერე კი თანდათან აღიგზნებოდა და გაფიცხდებოდა? პოეტიც, თავის ხელობას გამოცლილი, იმასავით ჩაებმებოდა ფერხულში, თავიდან ჩადინჯებული, ნელ-ნელა რომ მოედებოდა ცეცხლი და ავარვარდებოდა.

**რიჰა – სინათლედ გასახვდნენ ოდით, რიჰა,  
და ახლაც სინათლედ,  
უქრობელ სინათლედ მოდი, რიჰა.**

ამ განცდას, ამ შთაბეჭდილებას აუყოლიებია ესეის ავტორიც და დასაწყისში თვითონაც რომ ქმნის ამ საგალობლის თავისებურ ვარიაციას, ფინალისაკენ ერთხელ კიდევ შეურევს თავის ხმასაც სინათლის ღვთაების სადიდებელ ჰიმნს:

„რიჰა – მყინვარებისა ყოფილა, თოვლეთისა ყოფილა, ნელიად დაძრულა, შეუმჩნეველად დაძრულა და მომსკდარა ზვავითითა;

რიჰა – ნატვრა ყოფილა, ნატვრა სითბოსი, ნატვრა გზისა, ნატვრა სიცოცხლისა, ჩაბუდებული ნატვრა ყოფილა, გამხელილი თანდათანობითა;

რიჰა – რწმენა ყოფილა, ლოდინი ყოფილა – რიჰა...

... მაღალია, უმაღლესია, უშორესია, სად მხოლოდ სული თუ ააღწევს, ძლიერი სული, ამიტომაც იწყება ნელა, ეგრევე ნელა აღიმართება, აიყოლიებს გოლიათ მხრებსა და მერე თითქოს მთებსაც შეიდგამს და მთებთან ერთად მიეტანება იმა სიმაღლესა, უშორესსა და მარადიულსა, ჩაუქრობელსა და გაუმკრთალებელსა – რიჰა რო ეწოდება.

რიჰა – სწრაფვა ყოფილა, სწრაფვა ყოფილა მარადიული“.

ამ პასაჟებს აღარ მოჰყოლია რომელიმე კრიტიკოსის აღტაცებული შეფასება: ძნელია ამ სწრაფვის, ამ ჰელიოცენტრული სამყაროს უფრო სრულად და ღრმად ასახვაო... თუმც მონონებით ძალიანაც მოსწონებიათ რევაზ მარგიანის შემოქმედების ამ ძირითადი თავისებურების გამორჩევა, ამ სისტემის, საყრდენის მიგნება, თანაც ასეთი ექსპრესიით წარმოსახვა; და სტატიიდან სტატიამი, ნარკვევიდან ნარკვევში გადავიდოდა ეს დაკვირვებაც და მთლიანი ანალიზიც, ის შინაგანი რიტმიც გადაინაცვლებდა და სულ „რიჰა“ და „რიჰა“ ეკერებოდათ პირზე, თითქოსდა ამის მიკვლევას რა უნდოდა, ჩვენითაც იოლად გავიგენით გზაო.

... დაავიწყდებოდათ პირველთქმელი, დაკვირვების ავტორს ისე მიაყრუებდნენ, გეგონება „რიჰას“ პირველი გამომთქმელი ყოფილიყოს, დაკარგული ტექსტისა, და მელოდიის, ნატეხ-ნატეხ მიმოფანტულის, იმასავით ამოშლილი დრო-ჟამის უღმობელ ბრუნვაში. ოტია პაჭკორიას კეთილსინდისიერება არ აღმოაჩნდებოდათ, ვინც არამცთუ საგანგებოდ მოიხმობდა თვალსაზრისს გიორგი შატბერაშვილის მხატვრული სამყაროს კარის შემხსნელად, ნიმუშადაც დასახავდა – მზეზე მხოლოდ ასეთი განცდით უნდა დაინეროსო; და მერე კი ძიების გზას გულმშვიდად გაჰყვებოდა.

ნეტა გიორგი შატბერაშვილი თვითონ თუ ჩაკვირვებია, მზე რომ ყოფილა მისი მხატვრული წარმოსახვების შუაგული?

ან რევაზ მარგიანი „რიჰას“ საგალობელს რომ ქმნიდა, თუ იფიქრებდა, ესეც ჩემი პოეტური სამყაროს კარიო?

იქნებ არცა... და კრებულს ასე რომ დაასათაურებდა „რიჰა“, ეს უკვე იმას ხომ არა ნიშნავდა, რომ ახალა გაეზიარებინა მეგობარი მწერლის დაკვირვება, ახალა მიმხვდარიყო, პოეტურ წარმოსახვათაგან გამორკვეული, მართლა ხომ არ დავშორებოვარ ჩემს ხელობას, მართლა პირვანდელ მლოცველად ხომ არ გადავეცეულვარ მზის და უზენაესი სინათლისა, თუ ეს მხოლოდ ისტემა და ძირითადი თავისებურებაა ჩემი პოეზიისაო.

ასეა თუ ისე, კრებულის სახელწოდებით დაუდასტურებდა მწერალს მისი მიგნების სიზუსტესა და უეჭველობას.

იდგა ნათელი უსასრულო და უდასაბამო, უსაზღვრო და მარადიული, იდგა ნათელი – რიჰად თუ დიდ შუადღედ, ვარვარებად, ზვატად, სიმცხუნვარედ, ამოჩენილიყო ხილვა მიუსელაჰის სერზე და ისეც ის მზე გწავდა და გადაღვდა ორ ზღვას შუა შემოჭედილსაც.

ეს ოთარ ჩხეიძის უშუალო განცდაცაა, მისთვის მახლობელი და გაშინაგანებული...  
ამიტომაც არ მოეხმო მზის ტახტი, მზის სამლოცველო თუ საკურთხეველი მხოლოდ მეტაფორებად...

შემორკალური სივრცის გარღვევის მცდელობაა მის ამ ესეებში გამოხატული, თავისი სწრაფვაც მიუდევნებია ამ მძაფრი განცდისათვის. მაგრამ რომანების ციკლში რომ არ წარმოუსახავს ჰელიოცენტრული სწრაფვა, და მზის საგალობლებიც იქ არ ჩაუფენია? „ჩემი სოფლის ეტიუდებშიც“ არ მოჩანს დიდი შუადღის სიმბოლიკა და არც პიესები ამოვლებულა მზის მცხუნვარებაში?

ისეც კი არ არის – მზე როგორ არ დაბრუნავს თავს მის სიუჟეტებს.

„ბორიასი“ თავიდანვე გამოჩნდება ვარვარა მზე და მის გულზე აგორებული მტვერი – ვეება, აბმული კუდით, ბორიასი მიგორავს, მკვრივი, თვალგაუფალი, მოგუდული, ამოჭედილი, მერე აგრაგნილი, ამოხვეული, ნასკვამოცლილი, მერე განენილი, აბურბურებული და აბრჭყვიანებული. ბრჭყვიანი მზის სიმხურვალისგანაა – 1924 წლის აგვისტო რომ უნდა მიგვანიშნოს, ხოლო მტვერის აბმული კუდი გველემშაპის იერად და სიმბოლოდ გამოიკვეთება, გველემშაპისა, რომელმაც უნდა შთანთქას ის ტრაგიკული გაბრძოლება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

„ცხრანყარო“ თავისებური ნოსტალგიაცაა იმ რიტუალისა, საუკუნის მიჯნაზე რომ დამკვიდრებულიყო ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში და მლოცველებით აადგებოდნენ ცხრანყაროს, გუნდად შეიკვროდნენ და აადგებოდნენ, მზის უჩვეულო, განსაკუთრებული დიდებულებით მოსილი ამობრწყინება რომ ეხილათ და ამ ხილვით გაექარწყლებინათ, წამიერად მაინც, ათასგვარი უამურობა თუ უბედურება.

სევდა და ნოსტალგია იმისაა, რომ:

„... იქ ისევ ისე დიდებულად ამოდის მზე, ოლონდ ესაა, რო არავინ ელოდება, არავინ შეჰხარის, არავინ გაცდება, თავბრუ არავის დაეხვევა მშვენიერებითა, არავინ მოიგონებს, არავინა ნატრობს, ერთხელ კიდე იქ მამყოფაო, არა, არავინა; ხანდახან თუ შეესწრებიან ვინმე შემთხვევითა, ბუნების მოყვარულნი თუ მაძიებელნი მიწერალებსა, შემთხვევით თუ შეესწრებიან, მოიხიბლებიან შემთხვევითაცა და იქავეც დარჩებათ, ალტაცებას არ წამოიყოლებენ... ყველას თავისი დრო ჰქონიაო, დრო გასულა ცხრანყაროსა, მზის ამოსვლისა, მშვენიერებისა, მზის ამოსვლის მშვენიერებისა“.

ეს სევდა მკაფიოდ შერევია რომანში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს – 1937 წლის საბედისწერო მიჯნას, ზედ გადახლართვია და აღარ გიკვირს, თუ რატომ ამოშლილა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან ცხრანყაროც და მისი რიტუალიც, აღარ გიკვირს, თუ რატომ აღარ სჯერა აღარავის, თუ ვინმე დადიოდა იმ სიმორეს – მართლაც რა ენადა, რა ეშხი სწავადა?!

დაკნინებულია მშვენიერება, წამხდარა მისი აღქმის უნარი და საქილიკოდაც გადაქცეულა.

– მზე ვითომ რა არისო, – აგერა მზე და აგერა მთებო.

თითქოს სულერთი იყოს, მლოცველებით შეეგებები თუ გულგრილად შეავლებ თვალს, ან სულაც მიგავიწყდება მისი არსებობა. და თუ ცხრანყაროს მაინც შეგახსენებს ვინმე, ნიშნისმოგებით შეეპასუხები: მზის ამოსვლა ვითომ რა არის, შენ მზის ჩასვლა უნდა ნახოო. თითქოს მართლა მზის ჩასვლის მშვენიერება აღელვებდეთ, უბრალოდ ეს უფრო იოლი სანახავია – გაურჯელად შეგიძლია უმზირო მზის ჩახდომას ზღვაში, თუმცე შეუმჩნეველი გრჩება ამ კოსმიური აქტის მისტერიული შინაარსი.

„გამოცხადებაში“ 1956 წლის 10 მარტის განთიადი ამ ლაკონურ ფრაზაში უნდა მოექცეს:

„მზე ამოვიდა უსირცხვილოდა“.

უმზეოდ არც იმ ტრაგედიამ უნდა ჩაიაროს, მაგრამ უსირცხვილოა ეს გარიჟრაჟი, და თუმცე უმეტაფოროდ გამოიყურება ეს მზე, მთელი ფრაზა იქცევა მეტაფორად.

ხოლო „ჩემი სოფლის ეტიუდების“ ერთ ნოველაში („ზედაშე“) ქვევრიდან უნდა აღმოხდეს მზე. რაკილა მტე-

ვანში ჩასვლა მისი მოვალეობა ყოფილა, მაშ ღვინიდანაც უნდა ამომზევდეს და ეს იდუმალი, მისტრიკური ხატი ძალდაუტანებლად ჩნდება გლეხკაცის განცდამიც და თვალწინაც.

და დაღლარამ ასე უნდა გააცხადოს ძველთაძველი სიბრძნე:

– შუქი ამოხდა, ბიჭებო, შუქი!.. შუქი ამოხდა და მე ჰო გავშტერდი, გავშტერდი და შუქს დავაშტერდი...

უსათუოდ მოიხიბლებოდა – რომ მოსწრებოდა – გრიგოლ რობაქიძე ამ პასაჟით, თავის ესეებში გამოურევდა თვალსაჩინო მაგალითად, გადააბამდა იმ მეტაფორას: თვალის ჩასვლა მტევანში, – და განსაკუთრებით იმ ესეში მიუჩენდა ადგილს – „მზის ხანა ქართველთა“.

ისე მისთვის საქართველო თუ დაჭრილი მზე გახლდათ, ოთარ ჩხეიძის თვალთახედვით მტვერით გათანგულ მზეს უფრო მიაგავდა, ბორიასით დაბურულს, – თვალგაუფალად და მოგუდულად; მაგრამ მაინც მზეს, გველემშაპის შიგანიდან კვლავ რომ უნდა გამოეკვლია გზაცის კაბადონისაკენ.

კიდეც შეიძლება დაიძებნოს მის მხატვრულ სამყაროში მზის სიმბოლიკა, მაგრამ სისტემად არ ჩამოყალიბებულია, ძირითად თავისებურებად არ გამოკვეთილა, უშორეს სივრცესთან მზის მცხუნვარებით არ გაუდევს ხიდი, მზის კვალდაკვალ არ უძებნია ქართველთა პირველსაცხოვრისი. საამისოდ ჰალდე შეუქმნია „მეჩემში“ – ქალდეას მონატრებისა თუ სვანური ხალდე გავლენითა და ვარიაციით, სოფელ ჰალდეთი და ჰალდურას ხეობით წარმოუსახავს იმ ვეება სივრცის თავისებური ანარეკლი, ამ მოდელში ჩაუნურავს ქართველთა ვინაობის ძიების ხელშესახები განცდა.

ვერ იკმარებდა ჰალდეას და ჰალდურას?

ვერ დაიშოშმინებდა სწრაფვას ორ ზღვას იქით გასაღწევადაც?

ესეებში გადაიტანდა გულისწადილს, საბაბს იოლად იბოვნიდა და გიორგი შატბერაშვილისა თუ რევაზ მარგიანის ხილვების კვალდაკვალ სწორედ სისტემას გამოჰკვეთდა, მხოლოდ კი არ აღმოაჩენდა და შესაფერის სახელსაც შეარქმევდა, საგალობელთა იდუმალ მელოდიას შეურევდა და, მზის სამლოცველო და საკურთხეველი რომანებში, ნოველებსა და პიესებში თუ არ დაედგა, იქ დადგამდა ამ ტახტს, სამლოცველოსა თუ საკურთხეველს იქ აღმართავდა. ესეისტურ-კრიტიკული პროზა ხომ მის ხელთ გახლდათ.

თავისთავად გადაეჯაჭვებოდა ერთმანეთს ჰალდე და კატაულას სერი და რიჰა და მიუსელაჰის სერიც უკვე აქვე იყო, ხელის განვდენაც აღარ სჭირდებოდა, და მზის სხივებში ამოვლევებოდა ყველა და ყველაფერი და ხელახლაც დაიბადებოდა მის სიმხურვალესა და მცხუნვარებაში.

შუქი ამოხდა, ბიჭებო, შუქიო, – ალტაცებულიყო დაღლარა და ამ გამაოგნებელ სიხარულს გრიგოლ რობაქიძე პათეტიკური კილოთი დაჰკრავდა ბექედს: არც პლატონს, არც პლოტინს, არც გოეთეს ამ უკიდურესობისათვის არ მიუღწევიათ და, რომ მოესმინათ, თვითონვე არგუნებდნენ პირველობასო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ქეთევან მეგრელიშვილი

## ნათეს ნაღების მორბეზაგადა

VI საუკუნე... გუბაზი, ლაზიკის დიდი ხელმწიფე ვერაგულად მოკლეს რომაელებმა, ტახტზე მისი მემკვიდრე, ნათე აღის. ლაზიკა კიდევ ერთხელ დგება არჩევანის წინაშე – დასავლეთი თუ აღმოსავლეთი, რომი თუ სპარსეთი...

სიმართლე, ჭეშმარიტება ისევ წყვედიადში რჩება, საბრალო ხალხი კი კვლავაც შეცდებამ და მოტყუვდებამ... – **ოთარ ჭილაძის** ეს პიესა: „ნათეს ნითელი ნაღები“ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ დადგა (რეჟისორი რევაზ ჩხაიძე; მხატვარი მირიან შველიძე; კოსტუმების მხატვარი – უშანგი იმერლიშვილი; მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძისა; რეჟისორის თანაშემწე ციციწო გვაზავა).

ეს ერთმოქმედებიანი ისტორიული დრამა გიგა ლორთქიფანიძის მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული მესამე სპექტაკლია. ამ წარმოდგენას ორი საიუბილეო თარიღი ემთხვევა: „ნათეს ნითელი ნაღები“ რეჟისორის 155-ე სპექტაკლია, 2007 წლის 19 ოქტომბერს კი ბატონ გიგას 80 წელი შეუსრულდება.

დიდი გუბაზი იმიტომ მოკლეს, რომ რომთან მეგობრობდა.

ქვეყნის ტახტზე ახალი მმართველი აღის.

მოსარგებია მეფის გვარგვინი, სავარძელი, სამეფო ნაღებიც მოსარგებია და პოლიტიკური ორიენტაცია, ამ ყველაფრის შესანარჩუნებლად.

„ბედნიერი რომ იყო, ცოტა ბრიყვიც უნდა იყო!“

თუ საჭიროა მლიქვნელიც! დესპოტიც! მონაც!

„ქვეყანას კი რკინის ეკალი ასხია, ბევრს შემოუხევიასასზე ხელიც და გულიც“.

ძველ გზაზე, ღმერთისაკენ, თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე ბალახი ამოსულა. ახლა სხვა ბილიკები უნდა გაიკვალოს, მხოლოდ ასარჩევია რომელი – რომის თუ სპარსეთის.

არადა „სპარსეთიც და რომიც ერთი და იგივეა, ოლონდ არავინ იცის, რომელს უფრო დიდი ხახა აქვს, რომ კარგად გადაგველაპოს“.

ისევ არჩევანის ზღვარზე დგომა.

ისევ დაპირისპირება ლაზიკელებს შორის.

არადა, ერთნიც და მეორენიც „ერთი და იგივე ხის ტოტები არიან, ოლონდ სხვადასხვა მხარეს გაზრდილნი. მათი საერთო ფესვები მიწაშია და სხეულიც ერთი და იგივე წვენით ივსება. ორივეს ერთი და იგივე ქარი ამოძრავებს“, ფესვებიდან მოგლეჯით, წაქცევით რომ ემოქრება.

მაშ სად არის გზა ხსნისა?

გზა ჭეშმარიტებისა?

გასაუბრება რეჟისორთან:

– ბატონო გიგა, **ოთარ ჭილაძე** ის მწერალია, ვისი შემოქმედებაც მხატვრული ნაწარმოების ჩარჩოში არ თავსდება, ეს ერთგვარი ფილოსოფიური ლიტერატურაა, ამიტომაც მგონია, რომ მასთან შეჭიდება, დრამატურგიული თვალსაზრისით სარისკოც კია, უთუოდ რთული იქნებოდა პიესაზე მუშაობის პროცესიც...

– დიახ... ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი შეკითხვაა. საბედნიეროდ ქართულ ლიტერატურას ჰყავს ისეთი მწერალი, როგორც **ოთარ ჭილაძე** – არა მხოლოდ მხატვრული სიტყვის ოსტატი, არამედ ფილოსოფოსიც, მოაზროვნეც... ქვეყნის ბედზე დაფიქრებული ადამიანი, პიესაზე მუშაობა მართლაც ძალზე რთულად მიმდინარეობდა. რამდენად დავძლიეთ ეს ყველაფერი მაყურებელი შეაფასებს.

– ასე მგონია, შემთხვევითი არც ის იყო, რომ პიესა მაინცდამაინც ახლა დაიდგა – ჩვენი ქვეყანა ხომ დღესაც არჩევანის წინაშეა...

– ეს ნაწარმოები 35 წელია დაინერა და პროფესიულ სცენაზე არ დადგმულა (თუ არ ჩავთვლით დავით კობახიძის ნამუშევარს მესამეკურსელებთან). ჩემს მოვალეობადაც კი მიმაჩნდა, რომ პიესა სცენაზე გაცოცხლებულიყო. ერთხანს ის აკრძალულიც იყო, თუმცა ბატონმა ნოდარ გურაბანიძემ მაინც დაბეჭდა ჟურნალ „ხელოვნებაში“. იცით, ნამდვილი დრამატურგია მუდამ აქტუალურია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ყოველთვის იდგა ჩვენი ქვეყნის წინაშე, პოლიტიკური ორიენტაციაა. პიესაში ლაზიკის წინაშე დგას კითხვა: რომი თუ სპარსეთი; შემდეგ იყო – სპარსეთი თუ თურქეთი; მერე რუსეთი თუ აღმოსავლეთი; დღეს კი არჩევანი რუსეთსა და ამერიკას შორის დგას. ჩემი ღრმა რწმენით და პიესის ავტორის პოზიციით ერთადერთი გზა ხსნისა არის დამოუკიდებლობა, თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა, რომლის ბედსაც ჩვენ უნდა ვჭედდეთ და სხვაზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებულნი.

– თქვენ ბრძანეთ, რომ პიესაზე მუშაობის პროცესი რთულად მიმდინარეობდა – დიდი ძალისხმევა დაგჭირდათ, რომ ნაწარმოები დრამატურგიისკენ მოგემართათ. ამ პროცესში ავტორი თუ მონაწილეობდა?

– არა! მე მიჩვეული ვარ მარტო მუშაობას, ცხადია, მწერლის პატივისცემით. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ჩემი რეჟისორობით ამა თუ იმ ავტორის შემოქმედება პირველად ცოცხლდება სცენაზე. ასე მოხდა ნოდარ დუმბაძის, პოლიკარპე კაკაბაძის, ჭაბუა ამირეჯიბის შემთხვევაში. ვფიქრობ, ბედმა გამიღიმა და **ოთარ ჭილაძის** პიესაც პირველად ჩვენ დავდგით დიდ თეატრალურ სცენაზე.

– მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პიესა ჩვეულებრივ დრამატურგიულ ჩარჩოებში მაინც ვერ თავსდება. აი, თუნდაც ტექსტის სიმრავლეზე რას იტყვით?

– კი, ასეა, ოლონდ ეს ამ სპექტაკლის თავისებურებაა და არა ნაკლი. ვფიქრობ „ნათეს ნითელ ნაღებს“ აქვს თავისი გამორჩეული მუხტი, რომელიც უთუოდ მიიზიდავს მაყურებელს.

გასაუბრება დავით დარჩიასთან (ნათე):

**– თქვენი გმირი მთელი სპექტაკლის მანძილზე ბევრნაირ მეტამორფოზას განიცდის. ამდენნაირი გარდასახვა არ გაგიჭირდათ?**

– მართალი გითხრათ, აქამდე არ მითამაშია ასეთი როლი. თქვენ სწორად აღნიშნეთ, მართლაც დიდი ფანტაზიის და გარდასახვის უნარი უნდა გამოავლინო მსახიობმა. რამდენად შევძელი ეს, არ ვიცი, თუმცა მუშაობის პროცესი ძალზე საინტერესო იყო და, ამავე დროს, შრომატევადიც. ეს ის როლია, რომლის თამაშიც, პროფესიული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია – მსახიობს აქვს ბევრნაირი საშუალება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა, როგორც თევზს – ნყალში.

**– ალბათ იმაზეც გიფიქრიათ, ვინ არის, რა კაცია ეს ნათე?**

– ტექსტშიც არის ეს სტრიქონები: ვერც ვერავის გავაკვირვებთ და ახალსაც ვერაფერს ვიტყვითო. ასეთი ადამიანები არსებობდნენ, არსებობენ და იარსებებენ. თავიდან ის გვევლინება როგორც დესპოტი, რომელსაც შეუძლია ვიღაც განიროს, ვიღაცას თავი მოაჭრას, ან ადულტერული კუპრი არგუნოს ხვედრად. მერე, უცებ როგორ იცვლება – ხან მშობარაა, ხან – მლიქვნელი, დამონებულიც, ნალალატევიც... მაგრამ თავისი სავარძლის გამო, ის ყველაფერს შეეგუება, ყველაფერს აიტანს, ოღონდ კი გვირგვინი არ დაკარგოს. ვფიქრობ, მეტად საინტერესო სახეა, დანარჩენს მაყურებელი შეაფასებს.

**ნანა ლორთქიფანიძე (დედოფალი):**

**– ქალბატონო ნანა, თქვენი გმირი ქალი-დედოფალია, ქალი-მოღალატე; ქალი, რომელიც ცდილობს სიტუაციის ლავირებას და მზად არის შვილის ბედნიერებას კი მოვლენების შესაბამისად განიროს...**

– დიახ, ის ცდილობს ყველა ეტაპზე მიმდინარე პროცესებს მოერგოს. ამისთვის კი ხან შეტევა და ხან დაყვავება, ხან შემინება და ხანაც მოფერება სჭირდება... ის ცდილობს სიტუაცია განკარგოს ისე, რომ ძალაუფლების შენარჩუნება შეძლოს, თუმცა დგება ისეთი მომენტებიც, როცა კონტროლს კარგავს. ამ გმირის ხასიათი ცვალებადია, ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ როლს კიდევ სჭირდება დახვეწა მაყურებელთან ერთად. იცით, ეს ისეთი რთული პიესაა, ასე მგონია მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ვითამაშებთ სრულყოფილად. თვით ტექსტის მორგებასაც თავისებური მიდგომა სჭირდება – თითქოს გარკვეულ მელოდიურობას მოითხოვს, ყოფითად ვერ იტყვი. მგონია, რომ პიესას თავისი მაყურებელი ეყოლება. ამ ყველაფერს გულგრილად ვერ მოუსმენ. ეს ჩემი სუბიექ-

ტური აზრია. საქმე ის არის, რომ როცა სცენაზე დგახარ და როლს თამაშობ, ამ ხასიათს, ამ გმირს შიგნიდან ხედავ და მის მნიშვნელობასაც აცნობიერებ, ოღონდ მაყურებელი როგორ აღიქვამს ამას, გარედან, დარბაზიდან როგორ ჩანს ეს ყველაფერი ამის ზუსტად თქმა გამძინელდება. ასე რომ, მუშაობა ჯერ კიდევ გრძელდება, ბევრი რამ ჯერ ისევ დასახვენი და მოსარგებია.

**ზურაბ ინგოროყვა (აიეტი):**

**– ბატონო ზურაბ, თქვენი გმირი ის მამულიშვილია, ვისაც სამშობლოსათვის თავდადებას კარგად მორგებულ ნიღბად უთვლიან, მეტიც – მას ლალატს დასწამებენ და განირავენ კიდევ...**

– აიეტი ჩემთვის კიდევ ერთი საყვარელი და საინტერესო როლია. ისტორიული გმირის სახეზე ადრეც მიმუშავია – მითამაშია დავით აღმაშენებელი, აქ არის სხვა სირთულე – აიეტი ძალიან ენერგიული კაცია (გახსოვთ, მას სულ ეუბნებიან: „დასაბმელი ხარ, აიეტი!“ „გული გაგისკდებოდა, აიეტი!“), ის მოაზროვნეა, ორატორია. ტექსტიც ისეა დაწერილი, უზომო ენერჯია სჭირდება და ამ ენერჯიის სწორად განაწილება, სათქმელის მაყურებელამდე მიტანა დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

მგონია, რომ როლზე მუშაობის თვალსაზრისით, სირთულეები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადალახული. რაც შეეხება იმას, რომ აიეტი იწირება, იცით, ეს ასეთი გმირების ისტორიული ბედისწერაა. პატრიოტები, რომლებსაც სამშობლო უყვართ, ყოველგვარი ქვენა გრძნობის გარეშე, ჩვეულებრივ ასე ასრულებენ სიცოცხლეს.

**P.S.**

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ხელმძღვანელობა გვამცნობს, რომ დაიწყო მუშაობა სამივე დარბაზის ლოგოებზე. დიდი დარბაზის ლოგო (შოთა რუსთაველის პროფილი), რომელსაც მაყურებლის თვალი ასე მიეჩვია, მიიღებს თანამედროვე იერს, რათა შესაძლებელი გახდეს მისი გამოყენება კომპიუტერული ვერსიით და, საერთოდ, თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით; რაც შეეხება მცირე დარბაზის ლოგოს, ხელმძღვანელობამ თეატრის ლოგოების ისტორიის შესწავლისას მისთვის გამოარჩია ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული წრეში ჩასმული კენტივარი. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ლოგო, რომელიც თეატრს არ გამოუყენებია. ექსპერიმენტული დარბაზის სიმბოლოსათვის კი გამოცხადდა კონკურსი თანამედროვე დიზაინის ახალი ლოგოს შესაქმნელად. გარდა ამისა თეატრის ხელმძღვანელობა შენობის ფასადის გაცოცხლებასაც გვპირდება. მალე მის ფასადს დაამშვენებს განათებული ვიტრინები,



**ნანა ლორთქიფანიძე (დედოფალი) და ლევან ხურციია (მარუთა)**

ზაურ მუჯანაძე

## რა გვითქმევინებს ტანსაცმლის ოდას

„ჩვენი მწერლობის“ წლევანდელი იანვრის პირველ ნომერში დაიბეჭდა შოთა იათაშვილის მეტად საინტერესო ლექსი „ტანსაცმლის ოდა“.

ეს ლექსი ისე გულწრფელად, ნათლად, მკაფიოდ და პირდაპირ ხატავს ტანსაცმლის ღირსებას, მის მშვენიერ, მომქარგველ, მომხატველ და გარდამქმნელ ძალას, რომ არა მგონია, ავტორი რაღაც ამოსაცნობ და გამოსარკვევ ლაბირინთებს ქსოვდეს.

როგორც მაია ჯვალაშვილი აცხადებს იქვე დართულ „პირველ შთაბეჭდილებაში“, „ტანსაცმლის ოდა“ მან აღიქვა, როგორც თანამედროვე ყოფის პაროდია, ირონია, ერთგვარი საქილიკო ტონი და ეპატაჟური მანერა, რომელიც ფარავს პოეტის ტკივილს, რომ ადამიანს აღარ ახსოვს სული და აღარ ზრუნავს მასზე.

რატომ უნდა ჩავთვალოთ ეს ლექსი გამკილაჟად, სატირულ მიბაძვად ვინმეს ან რაიმეს მიმართ? რა არის მასში დამცინავი? ან სკანდალურ გამოხდომას მიმსგავსებელი? მე მგონი, არაფერი. როდესაც პოეტი ამბობს: „არ შეუქმნია ღმერთს ადამიანი დედაშობილა. ღმერთმა იგი ტანსაცმლით შექმნა“, – აქ იგი უეჭველად გამოხატავს ალუნურელ მშვენიერებას, რასაც ტანსაცმელი აძლევს ადამიანს და ავტორი გულწრფელად გაკვირვებულია ადამიანისა და ტანსაცმლის ერთსხეულებრიობით ისე, რომ ასკვნის: ეს თვალისა და გონების ალუნურლად დამატკობელი სიკეკლუცე როგორ შეიქმნებოდა ღმერთის გარეშე, რომ ღმერთია ტანსაცმლის შემოქმედი და გარდერობის შემქმნელიცო. სააღბათოც არ არის, რომ ღმერთის ნებად განაპირობა მართლაც, რომ „ადამიანი ტანსაცმელითაა ადამიანი... როცა აცვია, სხვანაირად ფიქრობს, მეტყველებს, სხვანაირად იღიმება, სხვანაირად უყვარს მოყვასი“. ტანსაცმლით მოსილმა „იმღერა ნინწყარო და იცეკვა ხორუმი“, ააგო ნიკორწმინდა და გელათი.

ტანსაცმლის როლი განუზომელია სხეულის დაცვიდან დამშვენებამდე. მას ისე ფაქიზად გრძნობს სხეული და იმდენ სიამეს იღებს მისგან, რომ ერთი წამიც არ შეგვიძლია უმისოდ, ისე, როგორც უჰაეროდ. ამიტომაცაა, რომ მას დროის, ამინდის, ფერის მიხედვით არჩევს ადამიანი. ტანსაცმლით ვიგებთ, რომ ის პატრიარქია, ის – მეეზოვე, ის – მარშალი...

დიდი კრძაღვითა და რიდით ვერ ვეთანხმებით ნათლთ მოსილ მათესაც, რადგან თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებამ მყარად დაამტკიცა, რომ ველის შრომანსაც უამრავი ენერჯია სჭირდება ფესვებით ამოზიდოს და ღეროს მიანოდოს მთელი რიგი საზრდო სიმტკიცისათვის, ზრდისათვის, ფოთოლთა ელასტიურობისათვის, ყვავილთა ფერადოვნობისა და მშვენიერებისათვის.

დედამინაც რა იქნებოდა ამ მშვენიერი საბურველის გარეშე?

თვით ღვთისმშობელი მარიამის წმინდა სხეული სამოსით გახლდათ შებურვილი, როცა მაცხოვარი მოეკვინა

დედამინას. პატარაც ლბილ სამოსში შებურვეს. მერე კი კვართი მოუქსოვა წმინდანმა. უფალმა ადამიანს „კომპიუტერი“ ჩაუდგა ტვინის სახით, რომელშიაც უხვად აღიბეჭდება სამყაროს ცოდნა, რისი ძალითაც ადამიანმა სამყოფიც ალაშენა და დაამშვენა, სალოცავებიც აზიდა და მოაჩუქურთმა, ტანიც გაიმშვენიერა „უბადრუკ დეტალთა“ დაფარვით და სხვა მრავალი. ამაღლებული სულის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ეს ყოველივე და, რა გასაკვირია, ამ შემოქმედების მთავარ შთამავგონებლად ღმერთი დავსახოთ. ამიტომაც ვერ ვეთანხმები ქალბატონ მაიას, რომ „ჩაცმული ადამიანი ღმერთს დაშორებულია“.

კი ბატონო, „ერთხელ მოხდა: მეცნიერი აბაზანაში შიშველი იწვა და სამყაროს ერთი კანონი აღმოაჩინა“. სხვა ხომ ჩაცმულმა და მორთულმა გამოიკვლია. ამიტომაც არის სწორედ, რომ აგრძელებს ავტორი: „ტანსაცმელი წმინდა წიგნს წერს“. ამ ტექსტში, ცხადია, დანყობილი ტანსაცმელი არ იგულისხმება.

„ტანსაცმელი გენიოსია!..“

ტანსაცმელი წერს შედეგებს: ბატის ფრთით თუ კომპიუტერით...“ პოეტის ეს სიტყვები არა მგონია ქების აზარტულობის ან ზღვარგადალახულობის შედეგი იყოს, როგორც ამას ქალბატონი მაია მიიჩნევს. ჩემი ღრმა რწმენით, ის წმინდა, რეალური, მხატვრული ქებაა ტანსაცმლის მშვენიერებისა და შთამბეჭდაობისა.

„სამოსი, რა თქმა უნდა, ერის ისტორიასა და კულტურას ასახავს, მაგრამ თანამედროვე სამოსზე ეს აღარ ითქმის. დღეს ხომ ნიუ-იორკსა, ტოკიოსა თუ თბილისში ერთნაირად აცვიათ და მხოლოდ ფოლკლორულ დღესასწაულებზე იცვამენ ეროვნულ სამოსს,“ – ამბობს კრიტიკოსი გულისტკივილით.

ჭეშმარიტებაა, სამოსი ნამდვილად ისტორია და კულტურაა ერისა, მის შექმნასა და განვითარებას დიდი ძალისხმევა, მხატვრობა და დიზაინი ჭირდება. ადამიანმა ალუნურელი შრომა გასწია ამ კუთხით და დღეს თანამედროვე კოსტიუმები, კაბები, პერანგები, სპორტულები თუ სამხედრო ფორმები ამშვენებს მის სხეულს.

ქალბატონო მაია,

დავით გურამიშვილს რომ „გული უთქმოდა“ სამოსელისათვის, სწორედ იმას მისტიროდა, რომ „მტერმან განმძარცვა მე შესამკელი“, ქორნილის შესაბამისი, და „ქორნილსა შინა ველარ“ შევალო. ეს სტრიქონებიც სწორედ სამოსის ღირსებასა და შესაფერისობის აუცილებლობაზე მეტყველებს, როგორც შემამკობელსა და მეტყველად დამამშვენებელზე. სწორედ ამას გულისხმობს შოთა იათაშვილი, როცა ტანსაცმლის გენიოსობაზე მიუთითებს.

სულხან-საბას ერთ ქადაგებასაც იხსენებთ: აქ დიდი მოაზროვნე ტანსაცმელსა და „სამკაულთა შესხმას“ გვისურვებს „ყოვლითა სიმართლითა და ადლობითა ღმერთისაითა; და რა – იგი მოეცეს ღმერთსა, კმა – იყოფდეთ, და გული გითქმოდესთ სამოსლისათვის ზეციერთა“.

სწორედ ამიტომ ამბობს შოთა იათაშვილი, რომ სამოსი ღმერთის ბოძებულია და „როცა აცვია, სხვანაირად ფიქრობს, მეტყველებს სხვანაირად, იღიმება სხვანაირად, უყვარს მოყვასი...“ რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს და სხვა უამრავიც მშვენიერი – უფლის შემოქმედებაა, და სწორედ ეს არის მუხტი პოეტისა, რამაც „ტანსაცმლის ოდა“ ათქმევინა.

ვანო ჩხიკვაძე

# მცირე პროზა

## თვითმფრინავი

ამსტერდამის აეროპორტში, გოლიათ თვითმფრინავებს შორის, ერთი პატარაც იდგა – „აირზენა“.

პატარა, შეიძლება, კოხტა, ლამაზი, გულმისავალი იყოს. ეს – არა, საცოდავი, ჯაბახანა, უმწეო.

ამის იმედი გვაქვს, თბილისამდე-მეთქი, ვითომ გავე-ხუმრე თანამგზავს, მაგრამ შიგნით რაღაც ძალიან მეტკი-ნა, თუმცა არ გამკვირვებია:

ეს, ჩემი სამშობლოს – ორ აქლემს შორის გამოჭყლეტი-ლი კოზაკის თვითმფრინავი იყო.

## ორი ლამაზი

ბროდვეიზე, ქუჩის აქეთ და იქით, მაღალ კედლებზე, ორი მშვენიერება ბრწყინავს: მერლინ მონრო და ბარბარა სტრეიზანდი. ოღონდ – ერთმანეთისაგან მოშორებით, ალ-ბათ ერთმანეთს თვალი რომ არ მოსჭრან.

ვდგავარ თავსხმა წვიმაში, ქოლგას შეფარებული და ვფიქრობ, რა იქნება რუსთაველზე ღია ელიავას და ვერიკო ანჯაფარიძის დიდი, განათებული სურათები რომ ეკიდოს-მეთქი.

ეჰ, ამერიკაში, მოუნესრიგებელი ქვეყნის შვილს რამდე-ნი „რა იქნება“ დაგწყვეტს გულს.

## კონსულტაცია

– ექიმო, არის საშველი?

– კი, საშველი ყოველთვის არის!

– მე იმ საშველს არ ვგულისხმობ, – ახედა ჭერს პაციენ-ტმა.

– არც – მე...

– უკეთესობა თუ შეიმჩნევა.

– შეიმჩნევა, ოღონდ უარესობისაკენ! – ექიმს ელიმება, ვითომ სერიოზულად

არ მიიღო ჩემი ნათქვამიო და სწრაფად ავსებს რეცეპ-ტის ფურცელს.

## „ჩემი ჰიმნი“

ვის არ უნდა თავის ტექსტზე შექმნილ ჰიმნზე გარინდუ-ლი, ფეხზე ამდგარი სტადიონების, ამღერებული, ხალხმრავალი თავყრილობების, ცრემლმორეული, გამარჯვებული სპორტსმენების ხილვა, ვის გულს არ ნაუღიტიანებს სიამოვნების ჟრუანტელი, ვის არ ნაუცდება კალამი?

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №8,9

დავჯექ და, აი, ისიც:

სამშობლოვ ღვთით ბოძებულო,  
ფარ-ხმალო – ამერ-იმერო.  
აეშვი, კავკასიონზე,  
დაბმულო ლალო ფრინველო.

თავისუფლების სიმები  
აჟღერო, შენი ჯერია,  
ალსდექი, მუხლი გამართე,  
გაბრწყინდი, ჯვარი გწერია.

დავწერე და აკაკი ბაქრაძის მონაყოლი გამახსენდა: ერთხელ, თურმე, მგონი რუსთაველის თეატრის დირექტორობის დროს, ბატონმა კაკომ, ვიღაც უცხოელთან, „შინაურულად“ დაიჩივლა, ბევრის უფლებას ვინ მოგვცემს, რუსეთის კოლონია ვართო.

იმ უცხოელს გასცინებია და უკითხავს:

– თქვენი ფული გაქვთ მოჭრილი?

– არა! – იყო პასუხი.

– ეროვნული ჰიმნი?

– გეკადრებათ?

– ქართული დროშა?

– არც – დროშა!

– აბა, თქვენ კოლონიამდე ჯერ კიდევ ბევრი გკლებია-თო.

უცხოელმა წყალი სულ გადამინურა, კოლონიის სტატუს-სიც ჩვენთვის მიუწვდომელი და სანატრელი ყოფილაო, დანანებით თავს აქნევდა ბატონი კაკო...

გავიდა დრო.

ღვთის შეწევნით უკვე მოვჭერით ჩვენი ფული, გვაქვს ქართული დროშა (სამოქალაქო ომის დროს სწორედ ამ დროშის ქვეშ დარაზმულები ვებრძოდით ერთმანეთს), მა-ლე გვექნება ეროვნული ჰიმნიც და, მიუხედავად ამისა, მი-ვუახლოვდით თუ გავცდით კოლონოზის „სტატუსს“, და-ბეჯითებით მაინც ვერ მოგახსენებთ.

ჩვენთვის, „თავისუფლების სიმები“, ჯერჯერობით, ვე-ნებივით არის გადაჭრილი და სისხლისგან ვინრიტებით, ვინრიტებით.

## ძილში

წკაპ... წკუპ... წკაპ... წკუპ! – მესმის და ვერ გამირკვევია, წვეთები ეცემიან სიპზე თუ საათის ნამზომი ხმაურობს. თან ისეთი ჩუმი და იდუმალია, დღე, ალბათ, ვერც გაიგონებ. ღამის სიჩუმეში კი არ ჩერდება და ნერვებს წინკნის.

გამოვერკვიე – წვიმა არ უნდა იყოს, არც თავგი. რაღაც სხვა, თანაბარი პაუზებით – წკაპ... წკუპ... წკაპ... მაფხიზ-ლებენ გლუვი, ყრუ დუმილის ბზარები...

კუთხეში, გაუქმებული რადიატორის წინ, ჭერამდე აწ-ვდილი, მორთულ-მოკაზმული ნაძვისხე დგას.

ოცდათერთმეტში დავდგი, ძველმა ახალწელმაც გაი-რა, ღამის იანვარიც მიილიოს და, თანდათან დაელუნა ტო-ტები, ბრწყვიალა წვიმების, სათამაშოების სიმძიმემ დახა-რა, ოცდათერთმეტში, პატარძალივით მორთული და მხია-

რული თანდათან დედაბერს დაემგვანა, აღარც მოკაზმულობა უხდება და აღარც ზიზილ-პიპილები – წინვით მოიფინა, გადამწვანდა ნაძვისხის ქვეშ იატაკი.

უფრო მონდომებით მივაყურადე – თურმე წინვების ჩამოცვენის ხმამ გამაღვიძა, წყდებიან თითო-თითოდ, წყვილ-წყვილად, ბლუჯა-ბლუჯა, და ხმაც რაოდენობის შესაფერი აქვთ – ნკაპ... ნკუპ... ნკაპ... ნკაპაპ!..

ჩამოვარდება სიჩუმე, ველოდები კიდევ როდის დაცვივინ წინვები. ამ მოლოდინში თანდათან, ძილბურანს ვუბრუნდები და, ახლა, ლოგინის ნაცვლად, ნაძვის ქვეშ ვწევარ. ჩამოშვებულ, მოღვენილ ტოტებს აქა-იქ შემხმარი თოვლი დაჰკონწიალებს. კენწეროსკენ ლამის ფრინველები, ბუები, ჭოტები, მიკიოტები ახორხლილან. აბრიალებენ ცელოფანის დამცინავ თვალებს, რაღაცას ბჭობენ, არჩევენ მხოლოდ თავიანთთვის გასაგებ ენაზე... უფრო კარგად დავაკვირდი და... ფრინველები კი არა, საპრემიო კომიტეტის წევრები შემომსხდარან, მუშამბის წინსაფარაკრულებს, მუხლებშორის სალესავი ქვეები უჭირავთ, დანებს აფხავებენ და თან ზემოთ, წვეროსაკენ იყურებიან, სადაც, ნაძვისხის ვარსკვლავის ნაცვლად, მთავარი ბუკნაჭოტი დასკუპებულია.

ესენი საკაიკაცოდ არ აფხავებენ დანებს, ხმებს როგორც თვითონ უნდათ ისე დამუშავებენ, დათვლიან, დაახარისხებენ-მეთქი – ხის ძირში მოკლე კეტი ვიპოვე, და ტოტებში შებუდებული, უცნაური საყასბოსკენ ვისროლე.

ნაძვისხე შექანდა, მაგრამ ტოტებს მყარად ჩაჭიდებული კრებული არც განძრეულა, მხოლოდ გაავებული თვალეებით მიინ-მოინიეს და, უფრო ბევრმა წინვმა, ერთად იხუფლა:

– ნკაპ... ნკუპ... ნკაპ... ნკაპაპ!..

**თემის გაგრძელება**

თითქმის მელვიძება:

ვილაც ბუმბერაზი, ფეხებლონიერი, სადღაც, შორიან-ლო, წერილი ტყის განაპირას ზის, გვერდით, დიდი კალათით გამხმარი ორცხობილა მოუდგამს და გემრიელად ახრამუნებს:

„ხრამ-ხრუმ, ხრამ-ხრუმ, ხრამ-ხრუმ...“

პირველ კლასში, ჩემს ამხანაგთან სტუმრობისას ვნახე – გაუმართავი სახლის მეორე სართულზე, შეუღესავ, უიატაკო ოთახში, მავთულებზე გაკიდულ ლასტებზე ძალიან ბევრი პურის ნატყეხი ხმებოდა.

გამიკვირდა, რად უნდათ-მეთქი.

მზად უნდა ვიყოთ, რა ვიცით რა ხდებაო, მითხრა თანაკლასელის დედამ, ცალი ხელით გულისპირი რომ ჩაებლუჯა და მეორეთი, არ დაობდნენო, ნატყეხებს ადგილს უნაცვლებდა.

ქალს ომისდროინდელი შიმშილობის შიში გამოჰყოლოდა, ყველაზე მეტად პურს უფრთხილდებოდა, აგროვებდა, ინახავდა, ნორმალური, სერიოზული ადამიანი, მხოლოდ პურთან დამოკიდებულებაში შეიცვლებოდა, თვალეები სიხარბით და ტანჯვით აევსებოდა ხოლმე.

ის ბუმბერაზი თითქოს სწორედ იმ ნატყეხებს ახრამუნებდა და, ვფიქრობდი, სულ რომ შეუჭამოს, ხომ გაგიჟდება სანყალი ქალი-მეთქი.

თანდათან სმენა დაინმინდა:

ახლა ვილაც სხვა, თოვლში, დიდი, ბრაგუნა ჩექმებით მიდის:

„ხრამ-ხრუმ, ხრამ-ხრუმ...ხრამ-ხრუმ...“...

საიდან ვიცი დიდი, ბრაგუნა, თანაც ქუსლმორყეული ჩექმები რომ აცვია?

მაგის გაგებას რა უნდა, თუ გინდა ჩექმის ზომასაც გეტყვი...

ისევ წამთვლემს და:

„ხრამ-ხრუმ, ხრამ-ხრუმ...ხრამ-ხრუმ...“ – ვილაცახმახი, საშში, ზის ტყის განაპირას, ყვითელ, ფუტურო კუნძზე და ლონიერი ყბებით ლასტზე გამხმარ, ქვასავით ორცხობილას ახრამუნებს.

**მესანთლე**

საეკლესიო დღესასწაულებზე, ადრიანად, ჯერ ნახირიც რომ არ იყო საძოვარზე გარეკილი, უკვე ეკლესიის ეზოში, ამოჩემებულ ქვაზე ეყუნტა. გვერდით პატარა, დიდყურებიანი ჩანთა ედო და ხელში სანთლები ეჭირა.

გატყეხილი სახე წარბებამდე დანეულ, ნიკაპთან განასკულ თავსაფარში ჰქონდა გამოკრული და, როგორც წყლის ზედაპირზე, ნაოჭების წრეებში ცისფერი, გასაოცარი სილურჯის თვალეები ლივლივებდნენ.

მესანთლე ქეთოს სტუმრობა ყველაზე მეტად პატარებს გვიხაროდა. მივიდოდით, წინ დავეუმწკრივებოდით, თითო-ოროლა ასაკიანიც მოკინკილდებოდა – ისეთი დრო იყო, ეკლესიაში შესვლას და სანთლის დანთებას, ყველა ვერ ბედავდა.

ჩვენთვის სანთელს სხვა დანიშნულებაც ჰქონდა, გამოცვლილით ძაფს და კევის ნაცვლად ვლექავდით.

ერთხელ ბებიაჩემმა შესჩივლა, სანთლის ლექვა აღარ გამიგიაო და, იმანაც თავისი კეთილი, წყნარი ღიმილით დაამშვიდა, სუფთა სანთლისაა, არ აწყენთო.

თითო სანთელს უფასოდ გვაჩუქებდა ხოლმე, თან შუბლზე ჯვარს გამოგვსახავდა, გვლოცავდა:

„თამარ მეფედ დაბერდი, შვილო“.

„შენ – დავით აღმაშენებლად“.

„შენ – ქეთევან დედოფლად!“

რამდენიც არ უნდა ვყოფილიყავით, გულს არავის დაგვენყვეტდა, ყოველ ბზობას, აღდგომას, გიორგობას, მარიამობისას „გვაბერებდა“ ჩვენს საამაყო გმირებად, და, თუმცა შეიძლება რიგითობა არეოდა, ჩამოთვლას მაინც ყოველთვის თამარით იწყებდა.

ნაშუადღევს, სანთლებს რომ გაყიდიდა, ხელჩანთას მკლავს გაუყრიდა და, ფრთხილი, მსუბუქი, უხმაურო ნაბიჯით გაუყვებოდა სოფლიდან გამავალ ქვა-ლორიან გზას.

ერთხელაც, ნათლისმცემლობას, ბიჭებთან ერთად გამოიარა მხარზე ცულგადებულმა ბრიგადირმა, ლალიანთ ანდრომ და, ცაცხქვეშ, ქვაზე ჩამოგჯდარ მესანთლეს შორიდანვე დასჭყვილა, შე ჯოჯოხეთის მამხალავ, ვიდრე ფეხებს არ მიგამტკრევ, აქეთ სიარული აღარ უნდა მოიძალოო.

არ გინყინოს, ღმერთს ნუ სცოდავ, შვილოვო, – ჩაიბუტბუტა მესანთლემ და მიმავლებს სინანულის მზერა გააყოლა.

ნავიდა მესანთლე ქეთო, დაბინდა, დაბინავდა ნახირი და, ბიჭებმა ტყიდან, მხარზე გადებული ანდროც ჩამოიყვანეს – დაცურებულ მორს ბრიგადირისთვის ფეხი დაეჩენჩხა...

გავიდა წლები. ერთ ნათლისმცემლობასაც ცარიელი დაგვხვდა მესანთლე ქეთოს ქვა – არც მომავალ მარიამობას, გიორგობას, ბზობას, აღდგომას გამოჩენილა.

მას შემდეგ, როცა გამახსენდება, სულ მგონია, რომ ჩვეულებრივი ქალი კი არა, ხორცშესხმული ანგელოზი იყო.

ამას, იცი, რატომ ვეჭვობ? – სადაც არ გავიკითხე, ჩვენს მეზობელ სოფლებში, საეკლესიო დღესასწაულებზე, ყველგან ერთიდაიმავე დროს გამოჩნდებოდა ხოლმე მესანთლე დედაბერი, ხელჩანთითა და ცისფერი, კეთილი თვალებით. იქაც ბავშვები განსაკუთრებით უყვარდა:

„თამარ მეფედ დაბერდი, შვილო“.

„შენ – დავით აღმაშენებლად“.

„შენ – ქეთევან დედოფლად“...

თურმე ჩამოთვლას უსათუოდ თამარით იწყებდა...

რაც შეეხება ლალიანთ ანდროს, ახლაც დაჩლახუნობს და, ზამთრის ცივ ღამეებში, ხელახლა შეკონინებული ძვლები, ისევ ყრუდ სტეხენ ხოლმე.

კონსტანტინე

ძლივს მოძრაობს სანვრილმანო ჯიხურში, ლაბაბდადებული, ზანტი, უგერგილო, როგორც ზოოპარკის კავკასიური მურა დათვი, ვინრო ვოლიერში.

– მთელი სიცოცხლე სულ აქ კი არ ვზივარ, იცი, რა ხალხს შევხვედრივარ?

სამოცდაექვსში რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატები მოიწვიეს. თეატრში ჯერ დიდი შეხვედრა გაიმართა, მერე – ბანკეტი.

მაშინ ქალაქკომობა-რაიკომობა იყო, სუფრაზე სულ ნარჩევი ბობოლობა მიიწვიეს, ჩვენ ვინ დაგვპატიუებდა.

მონვეული სტუმრებიდან ელგუჯა ამაშუკელს ახლოს ვიცნობდი – ისე როგორ გავუშვათ ქალაქიდან, რომ ჩვენებურად არ მოვეფეროთ.

გავაფრთხილე, ბატონო ელგუჯა, თბილისისკენ როცა წახვალთ, მე და ჩემი მეგობრები, ქალაქგარეთ, გუდაბერტყიასთან დაგხვდებით-მეთქი.

ავიღეთ ვარდივით ღორის სამწვადე, მოზრდილი ხახალით დარჩეული, თანაბარი ზომის ლიხვის მურწა და ციმორი, დედას პურები, ხიდისთავის თავკვერი, ისეთი, სულ ბორჯღლებს ისვრის, ჩავდგით მანქანაში მყალი და გუდაბერტყიასთან, გზისპირზე დაგვანაკდით.

ბანკეტი კაიხანს გაგრძელდა. გვიანი იყო, ბატონმა ელგუჯამ შექიფიანებული სტუმრები რომ მოგვაცენა.

სტუმრებს წინ ხანჯალზე ხელჩამოდებული, კარაკულის ბოხობიანი კონსტანტინე გამსახურდია მოუძღვით, მერე ელგუჯა, ცუდად მხედველი ბესარიონ ჟღენტი და კიდევ ვიღაცეები მოჰყვებოდა...

დავფაცურდით. დაბალ მაგიდაზე ამოვალაგეთ გადახვეული შოთ-ლავაში. დავანყეთ დანაკვერცხლებულ მყალზე წინასწარ გამზადებული სამწვადე შამფურები, გადავხადეთ ქალაღი თევზიან ხახალს, შევავსეთ ჭიქები და... შე-

მოგვწყრა ბატონი კონსტანტინე, ეგ სათითები ვისთვის მოიტანეთ, აბა, მამაპაპური ყანწი მომართვითო.

წამოღებული გვქონდა, ყანწიც და თიხის ფიალებიც.

მივართვით, გალიცილიცებული – დაილოცა, მოიყუდა, ბოლომდე გამოსცალა და, ჩემს შემდეგ ელგუჯას შეუვსეთო, ბრძანა.

დალია ელგუჯამაც, სხვებმაც, მხოლოდ ბატონმა ბესომ იუარა, იქ საკმარისად მივიღე სასმელი და იქნებ ჭიქაზე ვადამატართო.

– თავს ნუ იგდებ, ბესო! ვინც ამ ყანწს არ დალევს, ჩემი სატევარის წერა გახდება, – თამადამ გააძრო ხანჯალი და ბესოს მიეტანა.

იმასაც რა ექნა, დალია.

ჩამორიგდა ცხელი, შამფურიდან ლავაშზე ჩამოკრეფილი მწვადი. შეექცნენ გემრიელად, ვითომ მთელი დღე ხემსი არ ენახათ.

კიდევ შეავსეთო, ბრძანა ბატონმა კონსტანტინემ.

ისევ ჩამორიგდა, ჩამოიარა ყანწმა. უარი არც ახლა გაუვიდა ბესოს, დაცლილი ყანწი მომანოდა და უნებურად ხახალზე ხელი ჩამოეკრა.

ამობრუნებული ხახალი ძირს პირქვე დაემხო.

ვკრეფავთ, ვასუფთავებთ თევზს და ისევ ხახალზე ვალაგებთ.

კვლავ იშიშვლა ბატონმა კონსტანტინემ ხანჯალი:

ეგ თევზი წმინდა ქართული მინით არის გაპოხიერებული და ეგრევე მიირთვით, თორემ ვიღაც უთუოდ წამოეგება ჩემს სატევარსო.

მეტი რა გზა გვაქვს, შევექცევით ბესოს დაპნულ ცოცხალს და კბილებში ქვიშას კნანა-კნუნი გაუდის.

– დაიხსომეთ, ქართული კრიტიკაც ამ ხახალივით დაამხო, ბესო ჟღენტმა, ყმანვილებო! – ხუმრობს ბატონი კონსტანტინე და მოითხოვს კვლავ ყანწი შევავსოთ.

როდის-როდის, უკვე ძალიან გვიან თუ უფრო სწორად, ძალიან ადრე – ქანდარებზე მამლები რომ აფართხუნდნენ დასაყვილებლად, ბატონმა კონსტანტინემ თბილისისკენ წასვლა ბრძანა, სადმე არ ნაიჩნოვო, თავდაც აბარბაცებულმა ნელზე ხელი შემოხვია და ბესო ჟღენტი მანქანამდე მიაცილა...

ჩაინვა ის ცეცხლი. გაქრა ის ღამე. მაშინდელი სტუმარ-მასპინძლებიდან უმეტესობა აღარ არის ცოცხალი. იმ ადგილზეც, გამთენიის ნიავი რომ აბორიალებდა მყალის ფერფლს, ბევრი რამ შეიცვალა, მხოლოდ სახელი შემორჩა ძველი – გუდაბერტყია...

კაცი ჩამოსდებს თავს მეკარის ხელთათმანებით და ბურთულ ხელის ნებზე და პატარა სარკმლიდან მოჩანს, როგორ უტოკებს ღიმილი ოფლით დაცვარულ საუღვამეს.

დატირება

– პატარა ხო აღარა ვარ, არა? ამხნისა მოვიყარე და, რძლისგან დედამთილის ასეთი დატირება, პირველად ვნახე... გეყოფა, ნუ დაგვზოცე, შე ხმაჩასანყვეტოვო, ნავეჩქმითე აქეთ-იქიდან, მაგრამ გაგიგონია, უფრო მოუმატა, უფრო გულსაკლავ სიტყვებს ამოთქვამს, გაიღექსა და ველარ ჩერდება... ან საიდან ამოსდის, გენაცვა, ტარტაროხანთ შალიკოსი კი არა, პროფესორის ოჯახიდან გამოსული გე-

გონება... შენს ნაფეხურებს ვენაცვალე, შენი ნაფეხურები როგორ უნდა წაიშალოს ჩვენს კარმიდამოში, შენი შნოიანი გავლა-გამოვლა როგორ უნდა მოაკლდეს სოფელ-ქვეყანა-საო... რა შნოიანი, ქაა, იმის ტოლი ქვა აღარ დაგორავდა, ძაან დაბერდა, ძლივს დახანხალვდა, იჯდა ერთთავად მზეს მიფიცხებული და თვლემდა თუ ელვიძა, ვერ გაიგებდი... მიდიხარ, მიდიხარ და მიგაქვს ფხიზელი თვალი და გამრჯე მარჯვენაო, დაგვაობლე და დაგვყარე, დაგვყარე და დაგვაობლე... რა ვქნა, ვერ გაპატიებ ამ ლალატს, სხვებმა რომ გაპატიონ, მე – ვერა, ვერა და ვერაო, – ჩამოიხოკავს თმებსა და სახეს, ჩამოიყოლებს ბუნუნების ბლუჯას... ახლა, ჩაეხვევა, ჩაკოცნის იმ გამხმარ, გაშავებულ დედაკაცს – ჩემო მეორე დედავ და დედაზე ტკბილოო... რატომ ღმერთი არ გაიცინებს, სხვებმა თუ არა ჩვენ ხო მაინც ვიცით, რა დაკა-დაკა ჰქონდათ, რამდენჯერ გაიქცა კიდევ სახლიდან, ესა, ტარტაროზაანთი... ჰო, რძალი!.. მაგრამ ახლა ისე უჭირისუფლა, ყველაფერი დაგვაინყა... ხო, გეუბნები, ამდენი დედაჩემი არ მიტირია, დაგვხოცა, ცრემლი არ შეგვაშრო, ჩვენებიანთ თაფლო ცუდად გახდა, ძლივს მოგაბრუნეთ...

რა ვიცი, თავის გულში ეგებ სიხარულის აღმურიც ასდოდა, მაგრამ ხმამაღლა კი ძაან დააფასა... თან როგორა, ქალო, გეგონებოდა ნიგში კითხულობსო...

არა, ჩემი წირვლიანი რძალი დამიტირებს, ეგა ვნახე, ადრე თუ გვიან, დასატირებელი, აჰა! – დედაკაცის მაღლა შეყრილი მკლავები ჰაერში აყელყელავდებიან, ასავსავდებიან და მერე მოწყვეტილებივით კალთაზე დაცვივდებიან, თითებჩახლართული ხელები კოხტად მოენწყობიან, დალაგდებიან გაჩუმებული ქალის მუხლისთავებზე.

**ამბავი – ბელურა**

იმ გაუსაძლის წლებში, დღეებსა და ღამეებში, სულ გაუთავებელი ზამთარი რომ მგონია, ეს ამბავიც ზის ათრთოლებული, მოზუზული ბელურასავით.

ხან მიმავინყდება, ხანაც შეფრთხილდება, თავს შემახსენებს და საწყალ თვალებს მომაცეცებს:

თებერვლის ვითომ მომტყდარი, მაგრამ მაინც მჭახე სიცივე, ჯერ კიდევ ძვალ-რბილში ატანდა, დედაჩემი, მე და ჩემი პატარა და-ძმა სასტუმროს რომ მიგვაყენეს და, მეორე სართულზე, ერთ პატარა ოთახში შეგვასახლეს. ოთახში ძლივს იმართებოდა ორი სანოლი, პატარა მაგიდა და ვინრო, კარჩამოვარდნილი კარადა.

ანდა კარადაში რა უნდა დაგვეკიდა, ფაცხაფუცხით გამოქცეულ ლტოლვილებს, ნაჩქარევად შეკრული ბოლჩისა და რაც გვეცვა, იმის გარდა, რა გვებადა.

შეგვასახლეს. დავსხედით დალილები, გულჩაკლულები. გვინდა თუ არ გვინდა, ვათვალიერებთ, ვეგუებთ იქაურობას და ჩვენს მდგომარეობას. მერე მოგვცეს ორი ხელი ლოგინი, ქვასავით პური და კიდევ რაღაცეები, მაგრამ ვის ჰქონდა ჭამის თავი, სანოლზე თავშექცევით მოვთავსდით, ძლივძლივობით ჩამოთარებს დილამდე ფეხი არ გაგვიძრევია.

გათენდა. გავახილეთ თვალი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით რომ სულაც არ ყოფილა ჩვენი ყოფა ცუდი სიზმარი, ყველაფერი სინამდვილეში მოხდა.

ავდექით, ჩავაცვით ბავშვებს, მივალაგეთ იქაურობა, შემოვიტანეთ საერთო სამზარეულოდან ადულებული წყალი. სკამი მხოლოდ ორი ცალი გვქონდა, მივდგით მაგიდასანოლთან, ჩამოვსხედით და ის იყო შევეუდექით ჩვენს ღარიბულ საუზმეს, რომ ჩემი პატარა ძმა ატყდა, ტკბილი რამე მინდაო, მას ტყუპისცალი და აჰყვა. არც დაყვავებამ გასჭრა, არც დატუქსვამ. ბავშვებს თან უწყრება დედაჩემი, თან თვალეხი სატირლად აქვს დაბურთული, ცოტაც და თვითონაც აღრიალდება.

საიდან რა მოვუტანოთ, რამდენიმე კოვზი შაქრის ფხვნილიც ჩვენზე ადრე შემოსახლებულებმა გვინილადეს.

ვართ ამ ყოფაში, რომ უცებ დააკაკუნეს. დააკაკუნებასაც ვერ იტყვი, რბილად, მორიდებით გახმიანდნენ თხელ, დაფანჩურებულ კარზე თითისგულეები.

გავალე.

ჩემს წინ მუქი, ნიკაპთან შაბიამნისფერ თავსაფარგანასკული მოხუცებული ქალი იდგა. ხელში, მკერდზე მიყუდებული, ლიტრიანი ქილა ეჭირა. ქილას მატყლის მსხვილი ძაფით გაბანტული ვერცხლის ჭრაჭუნა ქალაღდი ჰქონდა მოკრული.

მობძანდით – მეთქი.

მოსაბრძანებლად არა მცალიაო, იქიდანვე მოათვალიერა ოთახი და ოთახში მყოფები, გავიგე ლტოლვილებისათვის საკვებსა და ტანსაცმელს აგროვებენ... მცირეზე ბოდიში, ალუბლის მურაბა იქნებ გესიამოვნოთო, – გამოიმინოდა ქილა.

წამომდგარი, მაგიდას დაყრდნობილი დედაჩემი ზეზეულად ჩამოშეშდა, პატარებიც გაჩუმდნენ, დააჭყიტეს ტირილით დაწითლებული თვალეხი. ყველანი გაოცებულეები ვუყურებთ, ცხადია თუ სიზმარი და ვერ მოგვიფიქრებია ან შემოვიპატიჟოთ, ანდა ქილა ჩამოვართვათ.

ისევ დედაჩემი გამოერკვა, დიდი მადლობა, რატომ შენუხდითო...

რა შეწუხებაა, ეეჰ, ნეტა მეტი შემეძლოსო, ხელი ჩაიქნია მოხუცებულმა და შებრუნდა, ბებრული სიფრთხილით გაუყვა პარკეტაყრილ დერეფანს.

გაკვირვებულმა დედამ – ღმერთო, შენი სახელის ჭირიმეო, პირჯვარი გადაისახა, სკამზე დაემევა, ორივე ხელში ჩაბლუჯული ქილა კალთაში ჩაიდგა და იმ დაბუშტული თვალებიდან ცრემლები წასკდა.

არ ვიცი, ჩვენი მდგომარეობის გამო ტიროდა თუ დედაბერის სიკეთემ აუჩუყა გული.

ალბათ, ერთიც იყო და მეორეც...

ბავშვებმა „იყოჩაღეს“, ქილა საღამოს უკვე გამოსუფთავებულ-გაკრიალებული იდგა რაფაზე და პატრონს ელოდებოდა, მაგრამ დედაბერი აღარ გამოჩენილა.

წავიდა და წავიდა, ჩარჩა ჩემს ხსოვნაში, როგორც თანდათან გაცრეცილი, გაფერმკრთალებული შავ-თეთრი ფოტოსურათი – თავსაფრით, ტურჩებთან შეყრილი ნაოჭებით, ყურადღებიანი, თბილი თვალეხით...

ხანდახან მინდა, როგორც ბუდიდან ისე ამოვიყვანო ეს ამბავი, დავისვა ხელისგულზე...

სიკეთეც ხომ ჩიტივით უმწეო, საპატრონო, მოსაფრთხილებელია, რომ გაბოროტებულ ქვეყანაში არ გადაუარონ და საბოლოოდ არ გააქრონ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## აზერბაიჯანული გაიათები

73.

ყალიონი გავიკეთე,  
შიგ თუთუნი ჩავიკეთე,  
რაკი სატრფომ მილაღატა,  
მასთან ფეხი ავიკვეთე.

74.

დღეყოველჟამ, საძაგლები,  
მანუხებენ მაჭანკლები,  
მოდ, დროზე მომიტაცე,  
არ გამხადო ასაკლები.

75.

რაკი თავი გამიყადრე,  
მეც სიყვარულს არ დაგზარდე.  
ჩემი სატრფო პატარაა,  
ღმერთო, მალე გამიზარდე.

76.

შეგიმშრალე შუბლი სველი,  
ღმერთი იყოს შენი მსხნელი.  
შვილის მშობელს რალა მოჰკლავს,  
უშვილობა არის ძნელი.

77.

გულში თუ გაქვს გრძნობა, ძმაო,  
თავში თუ გაქვს ცნობა, ძმაო,  
ძმობა კარგი რამე არის,  
თუკი იცი ძმობა, ძმაო!

78.

ცოლი მყავს და, ვაი, რა მყავს!  
ვაი ჩემ თავს, მაგის მამყვანს! –  
დღეში, ასე ათჯერ მაინც,  
სახლში მიტეხს აყალ-მაყალს.

79.

ამ არხში წყალი თუ მოდის,  
ამ ჩვენს ბოსტანშიც სუ მოდის;  
ნადით, იმ მელას უთხარით,  
ლომთან საჩხუბრად ნუ მოდის!

80.

რძალი რო ფლავსა ხარშავდა,  
ცრემლების ღვარსა ხარშავდა,  
გვიან ღამემდის იშრომა,  
თითქოსდა ქვასა ხარშავდა.

81.

ჩემო თავო დასაკარგო,  
გამიჩინე რა სადარდო!

საყვარელს რო აწყენინე,  
ეხლე ეგდე სახლში მარტო!

82.

ზოგი რძალი – ენამწარი,  
სახეძმარი, მოუხმარი!  
ჩემ რძალს გულში ვენაცვალე  
გულით უყვარს თავის ქმარი.

83.

თმენა! თმენა! – გეტყვი შენა,  
ყური მიგდე, თუ გაქვს სმენა.  
ბევრმა ბევრი ვერ ითმინოს, –  
უსაზღვროა დედის თმენა.

84.

მთა ვარ, ზვიადად მზირველი,  
თავის ამაყად მჭირველი,  
ჩვენ მხარეს გოგო ბევრია,  
მათში გახლავარ პირველი.

85.

ქარო, ნელ სიოდ გაჯერდი,  
დადექი, ქროლვას დასჯერდი,  
ეგ ერთი ბრონეული მაქვს,  
არ ჩამომიგდო, გაჩერდი!

86.

ბიჭო, გესმის შარიშური? –  
ქვეყანას ჭამს შარი, შური!  
გაიღვიძე, თვალი სჭყიტე,  
მიჰყავთ შენი დანიშნული!

87.

მეზალევ, საქმეს შეები,  
გიცდიან ხეხილ-ხეები...  
უშვილო კაცი მომკვდარა,  
ცილობენ მემკვიდრეები.

88.

ზღვა ფართოდ გადაშლილია,  
ძირს – ცივი, მალლა – თბილია.  
ხომ ძვირფასია დედ-მამა,  
შვილი სულზედაც ტკბილია.

89.

ვერა ვარ ბედის წყალობით,  
ვცოცხლობა დღეის-ხვალობით,  
ძალით ვარ გათხოვებული,  
გულმკვდარი ყმანვილქალობით.

90.

მქონდეს თოკი, კარგად მსროლი,  
ნიშანს აადინოს ბოლი!  
კაცსა კაცად გამოაჩენს  
კარგი ცხენი, კარგი ცოლი!



91.

აქ რო ზვავები ერთდება,  
ზვავის გრიალი მკვეთრდება.  
კაცს თუ აშარი ცოლი ჰყავს,  
თმა მალე გაუთეთრდება.

92.

იბოროტე და იავე,  
ხარ ბედის მონისიავე.  
ამ ქვეყანაზე ვინ ნახა,  
ავს მუდამ შერჩეს სიავე.

93.

დარდი ნაგილებს, ნუ სტირი,  
ფეხქვეშ გაგიგებს, ნუ სტირი!  
დაკეტილ კარებს, – დრო მოვა, –  
ღმერთი გაგილებს, ნუ სტირი.

94.

ლარიბი ვარ, გული მტკივა,  
თანა მცივა, თანა მშვივა,  
ერთი ცხენი ძლივს ვიშოვნე,  
ველარ მიშოვნია თივა.

95.

ათას დარდის და ნაღვლისი  
მანუხებს თავქვასახლისი,  
სოფელ-ადგილი ერთი გვაქვს,  
არა გვყავს მამასახლისი.

96.

სატრფო წამართვეს, მანვალეს,  
ბოღმა სულ ჩემზედ დაცალეს,  
არცა სიტყვის თქმა მაცალეს,  
არც ენა ამომაცალეს.

97.

რაც მე შავი დღე ვატარე,  
ყოფა ჯოჯოხეთს ვადარე.  
ვიტირე – ვერა ვქენი-რა,  
ვიცინე – დრო გავატარე.

98.

რა ვთესე და რაი ვიმკე,  
გავიკვალ-გავიბირკე,  
ვინ – ვარდი რგო, ვარდი კრიფე,  
მე – ვარდი ვრგე, ვაი ვკრიფე.

99.

ეს ქედი მეტ დარდს ვერ ასწევს,  
დადუნდა, უღელს ვერა სწევს,  
მთელი ტყეც კალმებდა იქცეს,  
ჩემს დარდს და ვარამს ვერ ასწერს.

100.

დარდმა მლახვრა და არ ამქნა,  
ვითმენ, რა ვუყო, მა რა ვქნა?  
ქვა ვიყო, – დავიფშენებოდი,  
მინა ვარ, ვუძლებ, – სხვა რა ვქნა.

101.

ბედი არასდროს მიმართლებს, –  
თავს ჩემთან რითი იმართლებს?  
ცხენხეთქით მივდევ კვალდაკვალ,  
ვერ დავწევივარ სიმართლებს.

102.

რა სესხია, რა ვალია, –  
ყველას ჩვენი გვავალია.  
დარდი მარტო შენ არა გჭამს,  
შენისთანა მრავალია.

103.

ტივი მოადგა სატიოს, –  
ხალხი დასხას და დატიოს!  
ჯალათის ხელში ჩავვარდი,  
არც თავს მჭრის, არცა მპატიობს.

104.

ცხვრის ფარა მთიდან ჩამოდის,  
ერთი მორჩება, სხვა მოდის.  
ობლის ცრემლს ხიდად გასდებენ,  
ზედ ხალხი გადის-გამოდის.

105.

წუთისოფლის დარჯაკშია  
ვინ – ლხინში, ვინ – ტანჯვაშია.  
ვის – ძველმანი ენატრება,  
ვინ – შალში და ფარჩაშია.

106.

მთებმა ზვავები ჩაყარეს,  
ღრუბლებმა ჩრდილი დაყარეს,  
ციხეში ქორწილი ვქენი,  
შაბაშად ცრემლი მაყარეს.

107.

ცა ჯანლით დაიჯანლება,  
გარემო გაიზანგება.  
შენ შენი იანგარიშე,  
ვნახოთ, რას იზამს განგება.

108.

წუთისოფელი გაძვირდა,  
ყოფა და ყოფნა გაჭირდა,  
დარდი უდარდოს შევჩივლე,  
ის ჩემზე მეტად ატირდა.

109.

მებლის ბალი ჰყვავის,  
კარგი პატრონი ჰყავის.  
ბედის ყაიდა – წესია,  
მოჰკრეფს გაუშლელ ყვავილს.

110.

ბედის სიავემ დამცადა,  
საცდელი აღარ მაცადა.  
ვერც ველზე ჩობნად ვივარგე,  
ვერც შინ ოჯახის კაცადა.

111.

უცხო თემში მადგა რჯანი, –  
რა ჩაგვრანი, რა ტანჯვანი!  
უცხო თემით შინ მოვბრუნდი,  
მომემატა ძალა, ჯანი.

112.

შავთვალეზავ, შავი თავშლით,  
გამოგარჩევ ყველა ქალში,  
მე შენი გზის გამომყურეს,  
ალარ შემრჩა ჩინი თვალში.

113.

შორსა გყავარ, ჩემო თემო,  
ისლა დამრჩა, თავი ვგვემო,  
უცხო თემში დამავინწყდა  
სიმშვიდე და პირის გემო.

114.

მაცვია ნაბდისძველანი,  
კარგადა მყავდით ყველანი!  
მინდა წერილი მოგწეროთ,  
მაგრამ არ მყოფნის მელანი.

115.

რა ცეცხლსაც გული ინთებდა,  
მიკვირს, რა ტკივილს ითმენდა!  
შენგან შორს ყოფნა რომარა,  
მე სხვა რა გამაყვითლებდა!

116.

გამოვცქერ მათა წვეროთა,  
ვეფარვი ღრუბლის ჩეროთა,  
შენს ამბავს ვკითხავ მაღიმაღ  
თავს გარდამავალ წეროთა.

117.

თითქოს დამლალა ბუნებამ,  
გულის და სიტყვის ბრუნებამ.  
ვერცა-რა შენ გზამ დაგლალა,  
ვერც მე – შენი გზის ყურებამ.

118.

ნისლი დაეშვა ღრანტეზე,  
ცხენი ვაჭენე, დავდეზე,  
ირემს მივდევი, დავკარგე,  
გუმანით ვეძებ ანდეზე.

119.

აგრემც, ცხენო, შენ დაბრმავდი,  
ნალი გძერეს და კლდეს ჩავარდი,  
რად წამგვარე ჩემი შვილი,  
უკან თუ ვერ მომიყვანდი.

120.

ვაჟკაცი შესახედარი,  
მთაში ნადირობს, მხნედ არი.  
განშორების ცხენს მოვაჯექ,  
დარდისა გავხდი მხედარი.

121.

თუნდ ჩამითვალე ქველობად,  
თუნდა – სიგიჟედ, ხელობად,  
რაც შენ დამშორდი, ძვირფასო,  
ტირილილა მაქვს ხელობად.

122.

საოცნებო ხარ მამაცთა,  
შენს შუქზე ზეცაც გაბაცდა,  
შენ რომ ბეჭედი მაჩუქე,  
თითზე ბოლომდის დამაცვდა.

123.

მოჩანს მდინარე ჩქარჩქერი,  
ჩაკიდებული ჩანჩქერი,  
არ გამწყვეტია იმედი,  
ჯერ კიდევ შენს გზას გავცქერი.

124.

მთაში დავიდეგი ბინა მე,  
ეს სიტყვა მეთქმევინა მე;  
წავალ და დაგიბრუნდები  
ცრემლით ნუ ჩამოინამე.

125.

სახლსა და კარს დავაგდე,  
ჩემ თავს ჭირში ჩავაგდე,  
სადამც იყო, მოგივალ,  
გზას გუმანით გავაგნებ.

126.

ზეცაა ჩვენი მფოცხავი,  
მოუსავლეთში მცოცხავი,  
წესია? – კარგი მოკვდეს და,  
ავი კი დარჩეს ცოცხალი?

127.

არ შეცდე დაკვირვებაში,  
ძაგებაში თუ ქებაში,  
მტერი არის თუ მოყვარე,  
კაცს იცნობ გაჭირვებაში.

128.

ძმაო, თუ შენც გაქვს წადილი,  
საერთო გვქონდეს სადილი.  
მტრის დამოყვრება ძნელია,  
მოყვრის მტრად ქცევა – ადვილი.

129.

თვალ-წარბითა ხარ ყამარი,  
გიხდება ზილფთა ქამარი.  
აქლემს სარვანი აჩოქებს,  
კაცს – დარდი დაუამარი.

130.

არ ღირს, ძმაო, ფუჭი კვენხა,  
პიტალოზე შუბლით შეხლა, –  
გულში მჯილის მცემელისა  
ქელეხიდან მოველ ეხლა.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა  
ზაზუნა მადულაშვილი

დაიბადა 1948 წელს, მიუნხენში (გერმანია). მისმა მოშობლებმა გამოიარეს ნაცისტური ბანაკები და ისრაელში დამკვიდრდნენ. თელ-ავივის უნივერსიტეტში სწავლობდა ფილოსოფიასა და ლიტერატურას. 1986 წლიდან იწყებს თხზულებათა გამოქვეყნებას. გამოსცა რომანებისა და მოთხრობების ექვსი კრებული. მისი ნიგნები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და ჩინურ ენებზე.

სავიონ ლიბრეტი

## ნობას დაქალაქა

ნობა – ჩემი და სარკის წინ შიშველი დგას თავის ოთახში, საპატიო ყარაულის ჯარისკაცივით გაჯგიმული, თვალმოუშორებლად ამოწმებს საკუთარ გარეგნობას. მას უკანა ეზოში გამავალი ფანჯრიდან ვუთვალავთ, ფეხის ცერებით წინასწარ აღმართულ ქვის კოშკურას ვეხები, ხელებით დარაბის დამჭერ კოჭსა ვარ ჩაჭიდებული, ეკლის ბურქი სამალავად მადგება, თუმცა მუხლისთავებს მიკანწრავს, თვალებით გაჭირვებით ვწვდები ფანჯრის რაფას, მონდომებისაგან გულამოვარდნილი.

ნახევარი წელია ასეა, ყოველ კვირას. საშაბათო შხაპის შემდეგ გამოდის სააბაზანოდან ორთქლის ღრუბელში გახვეული, თმა ერთი პირსახოცით აქვს გაკრული, დანარჩენი ორი პირსახოცი კისრიდან კოჭამდე სუდარასავით შემოუტმასნია. ვუმზერ, როგორ მირონინებს თავისი ოთახისაკენ, ფეხები პირსახოცის რგოლით აქვს შებორკილი, იქვე ვახსენებ ჩემი ერთ-ერთი ამხანაგის სახელს, შინიდან ერთი ამბით რომ გამოდის და კარს იჯახუნებს.

ვიყურსები, წამით ვჩერდები და ვაყურადებ, უკან ხომ არავინ მომყვება-მეთქი, მერე ეკლის ბურქს მიღმა ქვის კოშკურისკენ ვიპარები. ზოგჯერ ვასწრებ დანახვას, შიგნიდან როგორ იკეტება, ხოლო ზოგჯერ, როცა შევფერხდები ხოლმე, ჩვენს სახლთან ჩამავალ ბილიკზე მეზობლის ან უცხო პირის გამოჩენის გამო, უკვე შიშველი დგას სარკის წინ, ის თავის მხრივ, მე ჩემ მხრივ, ორივე ერთად ვათვალისწინებთ მის ტანს.

თვალის ქრით ვატყობ, საით არის მიმართული მისი მზერა. თავიდან თვალს ფართოდ ახელს და აკვირდება თმას, შუბლს, ცხვირს, ყვრიმალეებს, ტურჩებს, ნიკაპს, – ქუთუთო თანდათან ქვევით ჩადის, კისრისკენ, მხრებისკენ, მკლავებისკენ, მკერდისკენ, მუცლისკენ, მენჯზე ყოვნიდება, მიდის თვალი და ეშვება თქოების გასწვრივ, კანჭებზე, ტერფებზე კი სადაცაა დაიხუჭება.

ნობა – ჩემი და ძალიან ლამაზია. მე კი თითები მტკივა რკინის პატარა კავზე მოჭიდებისაგან, ჩემი სუნთქვა უკვე მოკლე-მოკლე კუთვებში გადადის, მე მათ ვახრჩობ, პირით ქვის რაფას ვეკრობი, თვალებით თავფლის ტალღოვან თმას ვეაღერებ, თმა ნელ-ნელა შრება და, უკან გადაყრილი, ზურგსა და მხრებს უოქროსფერებს. ყველაზე მეტად მკერდსა და მუცელს ქვემოთ თმის პანანა სამკუთხედს ვაყინდები. ორი წლის წინათ, როცა მკერდი ჯერ დაბრტყელებული ჰქონდა და მუცელს ქვე-

მოთაც სუფთა იყო, ერთად ვბანაობდით, ორ ხმაში ვმლეროდით „ვინ იტყვის ისრაელის გმირობას“, თმას ჩამოვიბანდით, პარიკმახერ სუზის გავაჯავრებდით და უკან გადავდებულ კისრით ვუშვერდით თმას წყლის ქავლს. ერთხელაც ნობამ გადაწყვიტა, იმ დღიდან აბაზანაში ერთმანეთის ზურგით ჩავმსხდარიყავით, მის წინ პირსახოცის ჩამოსაღებად ადგომა არ დამანება, თვითონ გაიწოდა უკან ხელი და პირსახოცი გადმომიგდო.



- მანდ რა გაქვს? – ვკითხე მე.
- არაფერი.
- მამ რატომ მიკრძალავ, რომ შემოგხედო?
- იმიტომ, რომ არ შეიძლება.
- არავის ვეტყვი.
- არა.
- არ მოგაჩერდები.
- არა.
- ჩემთვის მოუხერხებელია ასე ჯდომა. წყალი სულ არა მხვდება. ამ სიტყვებთან ერთად ცოტა სლუკუნნი ამოიხდა და ნობა მაშინვე მოლბა: მაშინ შენ შემობრუნდი, მე კი ასე დავრჩები. თუ შენთვის უფრო მოხერხებულია ჩემს ზურგს უცქირო, მე რა მენალვლება, ოღონდ თვალი აქეთ არ გამოაპარო.
- ფეხები ავპლაკე, წყალში გადმოვატარე და მის უკან აღმოვჩნდი. ფეხის თითები მის დუნდულებში ჩაეფლო, უკან გამოწევა ვცაადე, ჩავცურდი და წყალში ჩავყურყურმაღავდი, ფეხებს ვადგაფუნებდი და ხელმოსაჭიდს ვეძებდი.
- კმარა! – აკივლდა ნობა, – დედამ რაც უნდა ისა თქვას, მე უკვე უფლება მაქვს მარტოკამ ვიბანაო!
- აცრემლებული თვალებიდან, როგორც წვიმით დანამული სარკმლიდან, დავინახე ჩემს წინ როგორ ასწია საჯდომი, პირსახოცი ჩამოგლიჯა, ტანს შემოიხვია და გავიდა.
- რატომ არ შეიძლება შევხედო? – ვკითხე საღამოს დედას, წყენა ჯერაც გიზგიზებდა ჩემში.
- ამბობს, განმარტოება მჭირდება და არცერთი ჩემი ამხანაგი დაიკოსთან ერთად არ ბანაობსო.
- არ უნდა და ნუ უნდა. ოღონდ იცოდეს, რომ იზარალებს, ვერ შეიძლება უჩემოდ მთლიანად ჩამოიბანოს თავიდან საპონი.
- თუ გინდა, ჩემთან ერთად იბანავე, – შემომთავაზა დედამ.
- მეც განმარტოება მინდა.

ბებიამ, რომელიც ჩემს წინ ქათმის ძვლებში ჩაფლულიყო, თავი აიღო და თქვა, წყალს როგორ ფლანგავთო. ბებიას არასოდეს ამოუშვია პირიდან ხუთსიტყვიან წინადადებაზე მეტი, და იმასაც ეკონომიასთან დაკავშირებით თუ წამოისროდა.

– ჩემი არცერთი ამხანაგი არ ბანაობს დედასთან ერთად, – მტკიცე უარზე ვიდექი.

– ისინიც ფლანგავენ.

– შენ და დედაჩემი ერთად ბანაობდით, როცა დედა ჩემი ტოლი იყო?

– სასმელი წყალი ძლივს გეყოფნიდა.

– დედა, გეყოფა, – შეუძახა დედამ ისეთი ტონით, რომლის შემდეგაც მუდამ სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე.

– მაშინ მე პირველი ვიქნები. მაგან მთელი ცხელი წყალი რომ არ გამომიცალოს.

– დღეში ერთ აბაზანაზე მეტი ცხელი წყალი არ გამოვა, და შენ ეს იცი.

– მაშინ რატომ არ გადავაკეთებთ საქვავებს?

– მოგესხენება, რატომაც. აქ იყავი სადაზღვევო აგენტთან ჩხუბის დროს.

– მაშინ მაგან სხვა დღეს დაიბანოს.

– არა, ის პარასკევს იბანავებს.

– რატომ მაინცდამაინც ეგ?

ბებიამ ძვლების ზვინიდან თავი წამოსწია ჩემი სლუკუნის გაგონებაზე.

– იცი შენ, რატომაც.

ვიცი: უკვე სამი თვეა, ყოველ შაბათ საღამოს მოდის აპარლე, ფიზიკულტურის მასწავლებლის შვილი, გოგოს დისკოტეკაზე წასაყვანად. სკოლაში, შესვენებებზე, ერთ სიტყვას არ ეტყვიან ერთიმეორეს, მხოლოდ ხანდახან მოუდნის დაშორებული ბოლოებიდან თუ გახედავენ ერთმანეთს. აპარლე ზოგჯერ ბურთს კენწლავს ხოლმე, საჩვენებლად, ნოგაზე შთაბეჭდილების მოსახდენად, ის კი თავს ისე იჭერს, თითქოს ვერც ამჩნევს. არც შაბათ საღამოობით უყურებენ ერთმანეთს თვალებში. ის ღია კარს იკავებს გოგოსთვის, ისიც ისე ჩაუვლის, თითქოს პრინცესა ყოფილიყო, ბიჭი კი – კარისკაცი.

– თქვენ რა ნაჩხუბრები ხართ? – ვეკითხები მეორე დღეს.

– საიდან მოიტანე?

– მაშ რატომ არ ელაპარაკებით ერთმანეთს?

– როცა საჭიროა, ვლაპარაკობთ.

– როდის არის საჭირო?

– შენ არაფერი გესმის.

ნოგას მთელი ამბავი იდუმალეებითაა მოცული ჩემს თვალში. მას აქეთ, რაც სააბაზანოდან გამომაგდო, ჩემთანაც საუბარს მოუკლო. როცა ჩვენს შორის კამათი იმართება, უმაღლე ჩნდებიან დედა და ბებია მის მხარეს.

– მას ახლა რთული პერიოდი უდგას, – ამიხსნა დედამ, როცა ვკითხე, რატომ გიყვარს ნოგა ჩემზე მეტადმეთქი. ჩემმა კითხვამ დედა ააღელვა, – გარდატეხის ასაკია. გაზეთში წავიკითხე ამის შესახებ: მისი ჰორმონები მუშაობას იწყებენ. უნდა გაუფრთხილდე.

– მეც გარდატეხის ასაკში ვარ.

– შენ, მაღლობა ღმერთს, ჯერ კიდევ გაქვს დრო.

მამა ერთადერთია, ვისაც ჩემი გულის ხმა ესმის. – სისულელეა ეგ ყველაფერი, რასაც დედაშენი გეუბნება გარდატეხის ასაკზე. თუ ასეა, დედაშენი უკვე ოცი წელია გარდატეხის ასაკშია, და ჰორმონები რა არის, დღემდე არ იცის. ნოგას რამდენიმე მწყერი ჰყავს თავში, ცოტა ხანში გაფრინდებიან და ყველაფერი დაწყნარდება – სულ ეს არის. მაგრამ მამა მთელი დღე საამკინძაოში საქმიანობს, ხოლო როცა შინაა, ახალი ამბების ვრცელ გამოშვებას უსმენს რადიოში და მალევე იძინებს, ასე რომ, მისი აზრი თავისთავად გაუთვალისწინებელი რჩება. შაბათობით დილას კოლეჯის ამხანაგი ესტუმრება ხოლმე. ლაპარაკობენ თავიანთ მასწავლებლებზე, ძველ თავგადასავლებზე, ზოგჯერ პირველი და მეორე მსოფლიო ომების საბრძოლო პერიპეტიებზე კამათობენ.

– ის ბიჭი თითქმის არ ელაპარაკება, – ვცდილობ საუბარი გავაბა მამასთან.

– რაზე უნდა ელაპარაკონ? იმას თავში მხოლოდ ფეხბურთი უტრიალებს. ამას კი რაში აინტერესებს ფეხბურთი?

– მაშინ რატომ დადის ისეთ ბიჭთან, რომელიც არ აინტერესებს?

მამა მხრებს იჩეჩს. ხანდახან, როდესაც საამკინძაოში ვენევიდი, იქ საამური წუთებიც დგებოდა. ჩაიზე დამპატიყებდა, მაღაზიაში გამოშვებდა, ქუნჯუტის ნამცხვარზე. ორივე ვსვამდით ჩაის და ნამცხვარს ვახრამუნებდით, თან მეკითხებოდა, ისტორიის გაკვეთილზე რა ისწავლეო, მერე თავის კლიენტებზე მიყვებოდა, ან ისრაელის ომების გამომწვევ მიზეზებს მიხსნიდა, ძირითადად უკანასკნელ ომზე შეჩერდებოდა ხოლმე, როცა ეგვიპტემ მოახერხა გავეკვირვებინეთ ქიფურის დღეს. მარტო საამკინძაოში გააბამდა ხოლმე მასლაათს, შინ ჩუმად იყო. ოთხ ქალთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრებამ გული გამოჭამა.

ახლა ნოგა პარასკეობით ბანაობს, მე კი – შაბათობით. მას აქეთ, რაც ერთმანეთს დავეცილდით, თითქმის უცხოები ვართ. შინ ატმოსფერო ძალზე დაძაბულია, თითქოს ყველა რაღაც საშინელს ველით, თითქოს რაღაც დიდებული უნდა დაგვექცეს თავზე. ნოგას გარს ევლებიან ფეხის წვერებზე. დედა მისი ყოველი თხოვნისას სტარტზეა, ბებია თავის კუთხეშია, ბუზღუნებს. მე კი ერთთავად იმას ვკითხულობ, გამაგებინეთ, რა ხდება-მეთქი, მაგრამ ძალღად არავინ მაგდებს.

– ნოგას რა დაემართა? – ვეკითხები დედას.

– რა უნდა დამართნოდა?

– მე რა ვიცი. კლასში ჩარჩება?

– საიდან მოიტანე?

– გაჭირვებით სწავლობს.

– მშვენივრადაც სწავლობს.

– აბა, რა ხდება?

– არც არაფერი. გარდატეხის ასაკშია.

ვინაიდან დავრწმუნდი, რომ სამივემ ჩემს წინააღმდეგ შეკრა პირი, გადაწყვიტე თვითონ ამეხსნა ფარდა საიდუმლოსთვის. პარასკეობით ნოგას ოთახის თვალთვალმა ბევრი ვერაფერი შემძინა. მომდევნო დღეებში, შესვენებებზე ვაკვირდებოდი მას და აპარლეს. სკოლის მეორე სართულზე, დერეფანში, მოხერხებულ სათვალ-

თვალო პუნქტს ნავანყიდი, ყოველ დასვენებაზე ვდგები უჯრებად დაყოფილ აგურის კედელთან და აგურებს შორის სივრცეებიდან დავეყურებ ეზოს, რომელიც ხელისგულივით მოჩანს. ხის ჩრდილში შეყუყუთი ადამიანების გარდა, ჩემს თვალს კაცი ვერ გამოეპარება. და ასე, თან თვალი ეზოზე მიჭირავს, თან სარდინისა და კიტრის მარინადის ბუტერბროდით ვილუკმები. სრულ კონტროლზე მყავს აყვანილნი. რამდენიმე დღეში ვასკვნი: აპარლე დროდადრო ჯერ კიდევ ცდილობს შთაბეჭდილება მოახდინოს ნოგაზე, მაგრამ უმეტესად ავივას აქცევს ყურადღებას. ავივა ნოგას როდი ჰგავს. დაქალებსა და ამხანაგებში მზერას არ მალავს ბიჭის მისამართით. მივა და წინ დაუდგება ხოლმე, დოინჯი აქვს შემოყრილი, მარჯვენა ფეხი წინ წაუდგამს, მუხლში ოდნავ მოუხრია და მსუბუქად ირწევა, თითქოს უცაბედად დამთვრალიყოს. ასე დგანან და ლაზლანდარობენ, რიტმული ქანაობისას ხელით ქვედაბოლოს არმიას ათამამებებს, ბიჭიც დაყუდებულია, ორივე ხელით ჩაუბლუჯავს ბურთი მუცელთან, თითქოს ორსული ქალი ყოფილიყოს.

პარასკევს ჩვენთან ჩვეულებრივ დროს გამოცხადდა, სალამი მოგვიგდო, წამით დადგა, ვიდრე ნოგა ხელჩანთას აიღებდა და მისკენ გასწევდა, ნახვამდისო, წაიდუდუნა, ნოგასთვის კარი ღიად ეჭირა და ზემოთ იცქირებოდა, თითქოს ღრუბლების მდგომარეობას ამოწმებდა. ბებია, დედა და მე მოვდივართ და კართან ვდგებით. წუთის შემდეგ შინ სიჩუმე ისადგურებს, არცერთი არ ვინძრევით. დედას სახეზე მღელვარება ეტყობა, ბებია კი თითებს იმტვრევს.

– რა მოხდება, თუკი შეწყვეტენ მეგობრობას?

– რატომ უნდა შეწყვიტონ? – დედა მთელი ტანით მობრუნდა ჩემკენ.

– იქნებ ვინმე ისეთი იპოვნოს, ვისაც ფეხბურთი აინტერესებს?

– ნოგას ყველაფერი აინტერესებს, ფეხბურთიც აინტერესებს, – დაბეჯითებით განაცხადა დედამ, თითქოს მთელი ჩვენი ოჯახის ბედი ნოგასა და აპარლეს კავშირზე ეკიდა.

ორმა კვირამ გაირბინა. ჩემი სათვალთვალე პუნქტიდან ცვლილება არ შეიმჩნეოდა: აპარლე ხან ცდილობდა ნოგას თვალი დაეტყვევებინა, ბურთს ააგდებდა და უკან ქუსლით მიიღებდა, ან ზურგს უკან ჩაიჭერდა გარუჯული ხელებით, რომლებიც ბურთის მოლოდინში გაეფარჩხა, ხანაც გონება მთლიანად ებინდებოდა ავივით, რომელიც მის ცხვირწინ ასრულებდა ფიზკულტურის ვარჯიშებს: წინ, გვერდებსა და თავს ზემოთ ჭიმავდა მკლავებს, ხტუნაობდა, ან ცალ ფეხზე წრეს ხაზავდა, ბორძიკობდა და ორივენი სიცილით იჭაჭებოდნენ. ნოგა ამ დროს დაქალებში იდგა, მათგან ზურგმექცეული.

ერთხელ, ნაშუადღევს, საჯარო ბიბლიოთეკაში მიმავალი, ვხედავ, სავაჭრო ცენტრში აპარლე და ავივა დგანან, ერთმანეთს მიკრულნი, იტალიური ნაყინით ნაქებ ნაყინის ახალ მაღაზიაში. ვდგავარ შუა ტრასაზე და ვუცქერ: ავივა თავის იდაყვს მის იდაყვს უხახუნებს, მას კი მკლავი ისე უმოძრაოდ უდევს, თითქოს პროთეზი ყოფილიყოს, თან ორივეს თავი ისე უჭირავს, თითქოს სხვა რამით ყოფილიყვნენ დაკავებულნი – მაცივრის ვიტრინაზე

დაყრდნობილნი, სერიოზულად, გულმოდგინედ ათვალთვლებენ ნაყინებს. მანქანამ ჩამიქროლა და ტროტუარისაკენ გამაქცია, მაინც კარგად დავინახე, როგორ გაიშვირა თითი ავივამ, – ისე, რომ მკლავი არ გაურყევია, – შუშის მართკუთხედის კუთხისკენ, ხოლო აპარლემ თავისუფალი ხელით ჯინსის უკანა ჯიბიდან ქალაქდის ფული ამოაძვრინა, გადაიხადა და ხურდა უკან ჩაიყარა. მხოლოდ მაშინ დასცილდნენ ერთმანეთს, როცა ნაყინის ორი ბოკალი მოართვეს. გოგომ ყვითელი ნაყინის ბურთი აირჩია, ბიჭმა – შოკოლადისა. გოგო დააცქერდა ბოკალს, რომელიც ბიჭს ეჭირა ხელში და, ისე რომ უფლება არ უთხოვია, დახარა თავი და ალოკა, მერე თავისი ნაყინი შესთავაზა გასასინჯად. ერთად გადმოჭრეს ტრასა, ერთმანეთს მიხუტებულებმა, წინ ისე ჩამიარეს, თითქოს ფარდულის ბოძი ვყოფილიყავ ავტობუსის გაჩერებაზე. ყელში ბურთი გამეჩხირა, ანგარიშმოუცემლად ჩავიარე ქუჩა ბოლომდე. ავივასა და აპარლეს ბრაზისაგან თვალთ მიბნეულდებოდა. როგორ აგვიგდეს სასაცილოდ მთელი ქალაქის დასანახად ნოგაც, მეც, მამაც, დედაც, ბებიაც, – უცებ ყველა ძალზე ძვირფასი შეიქნა ჩემთვის. მერე გამოვბრუნდი გაჩერებისაკენ, რომელიც ნაყინის მაღაზიის წინ იყო და საამკინძაოსაკენ გავემართე.

მამამ წინ დამიდო გაზეთი და რამდენიმე გასაცოდავებული ჯარისკაცის სურათზე მიმითითა, – აქ ნახე. ისრაელში ომების უმეტესობა ზაფხულში იყო, გარდა ქიფურის დღის ომისა, უკვე აგისენი, თუ რატომ მოხდა ასე. დააკვირდი ამ სურათებს, პირველი მსოფლიო ომისდროინდელია. ასე ისხდნენ ჯარისკაცები წლობით სანგრაბში. წლობით. ომი ზამთარში – ეს რალაც სამინელება. თანაც ევროპის სიცივე. შენ ვერასოდეს გაიგებ, ეს რა სიცივეა. ნაპოლეონმა რუსებთან ომი ზამთრის გამო წააგო. გერმანელებმაც. იცი, რამდენი ადამიანი დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში?

– მე რალაც სხვაზე მსურს შენთან ლაპარაკი, მამა.

– რვა მილიონი. მეორე მსოფლიო ომში კი ორმოცი მილიონი. რაზე გინდა მელაპარაკო?

– ნოგას ჰგონია, აპარლეს ვუყვარვარო, მაგრამ მას ავივა უყვარს.

მან უხალისოდ დაკეცა გაზეთი.

– შენ რა გაინტერესებს?

– ის მაინტერესებს, რომ ჩემი დაა.

პასუხზე ჩემკენ მობრუნდა. მისი უტყვი გარეგნობის მიღმა დავლანდე, ეამა ჩემი ნათქვამი.

– საიდან იცი?

– შესვენებებზე ვხედავ, როგორ ლაპარაკობენ. ის თითქმის ზედაც აღარ უყურებს ნოგას, დღეს კი დავინახე, ავივას ნაყინი უყიდა.

– მერე რა?

– ავივამ თავისი ნაყინი აალოკინა. დავინახე.

– შენ მეტისმეტად ბევრ რამეს ხედავ შენს ასაკში.

– რა მოხდება, ნოგა რომ გაიგებს?

– თავში ერთი მწყერით ნაკლები ეყოლება.

წყნარად ვსვამდით ჩაის. მისი გულგრილობა მამშვიდებდა, მაგრამ უეცრად ერთი აზრი ამეკვიატა, – მეც მეყოლება მწყერები თავში სამ წელიწადში, ჰორმონებთან და ამ ყველაფერთან ერთად?

მამამ თვალეში შემომხედა. ადგა, მაგიდასთან მივიდა, ქეჯა, ქეჯა და ორი წიგნი ამოაძვრინა.

– ნახე, – მეუბნება, წიგნებს ფურცლავს და მიჩვენებს, – ამ წიგნში პატარა შეცდომაა. ხედავ მძიმეს? აქ მძიმე არ უნდა იყოს, აქ წერტილ-მძიმეა საჭირო. ამ წიგნში კი დიდი შეცდომაა. აქ წერია „შეისუნთქა შმორის სუნი“, უნდა იყოს „შეისუნთქა შროშნის სუნი“. დღეს კაცი იყო ჩემთან პატარა შეცდომის გამო. სამუშაო სურს გააჩეროს და სტამბაში დააბრუნოს, რათა გვერდი წერტილ-მძიმის გამო ხელახლა დაბეჭდონ, რაც შეეხება დიდ შეცდომას, მან დახედა, გაიცინა და თქვა, შმორი დარჩესო, იქნებ არიან ისეთებიც, ვისაც შმორის სუნი უყვართ, გემოვნების საკითხიაო. – გესმის რისი თქმა მინდა?

– არა.

– ცხოვრებაში ყოველი ადამიანი თავისებურად იქცევა. ნოგას დედის მწყრები ჰყავს, შენ კი მე მგავხარ. მწყრები არ გეყოლება.

მთელ კვირას საიდუმლო ჩემში მყავდა გამომწყვდეული. აქეთ-იქით ვაბრუნებდი იმ ამბავს. ხან აპარლეზე ვბრაზობდი, ხან – ავივაზე, ხან – ნოგაზე და ხან ბებიაზეც კი მომდიოდა გული, ვიდრე ჩემი ძალები დაიშრიტებოდა და ამ საიდუმლოსაგან გათავისუფლება გადავწყვიტე. საღამოს პირს მის ოთახში შევედი. ნოგა სანოლის კიდეზე იჯდა და სიკვდილმისჯილი პატიმარივით მუხლებში ჰქონდა თავი ჩარგული. მისი თმა იატაკს ეხებოდა, თითებით თავის კანს ისრესდა. მას შემდეგ, რაც წაიკითხა, ჩინეთის იმპერატორის ცოლები ასე იქცეოდნენ თმის სილამაზის შენარჩუნების მიზნით, ჩვევად გაიხადა, ყოველდღე ხუთ წუთს ასე პირქვე დამხობილიყო. ზურგიდან გადმოყრილი თმის პირისპირ მივახალე, გავიგე, აპარლეს ავივა უყვარს-მეთქი.

თმის ბულულებში თითები გაუშეშდა.

– შენ ვინ გითხრა?

– პირობა მივეცი, არ გავამხილო.

უცნაური ქანდაკებასავით დარჩა თავის პოზაში, ერთხანს დუმდა, ბოლოს მუხლებში ჩაიდუდუნა, ხმაც უცნაური გაისმა: იმ აბაზანის შემდეგ ხარ ჩემზე გაბრაზებული, ხო მართალია?

– ხო.

– ამის გამო თხზავ ზღაპრებს?

– არა.

– შეუძლებელია აპარლეს ავივა უყვარდეს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მე ვუყვარვარ.

– დარწმუნებული ხარ?

– ათასი პროცენტით.

– მან გითხრა?

– პატარა ბავშვივით ლაპარაკობ. ასეთ რამეებს არ ამბობენ. ეს უნდა იგრძნო.

– თუკი ვინმე გეტყვის, დავინახე, როგორ უყიდა ნაყინი ახალ იტალიურშიო?

– მაშინ მე ვეტყვი, ნადი და სათვალე შეიძინე-მეთქი.

– რატომ?

– შემოძლია მოგცე მტკიცებულებები, მაგრამ შენი გაფუჭება არ მინდა.

– და თუ გეტყვი, რომ მე თვითონ ჩემი თვალით დავინახე ავივასთან ერთად ახალ იტალიურში?

– მაშინ შენ გაგიშვებ სათვალის საყიდლად.

– მე მართლა დავინახე ისინი.

– შეუძლებელია.

– ავივამ ყვითელი ნაყინი იყიდა, აპარლემ – შოკოლადისა, – მე დამამტკიცებელი საბუთი წარმოგიდგინე.

– მაშინ მე იძულებული ვარ გაგაფუჭო. დამპირდი, რომ დედას არ ეტყვი.

– გპირდები.

– იცი, რაც მოგივა, თუ ჩამიშვებ.

– ხო.

გასაგები იყო, მკაცრ სასჯელს გულისხმობდა. თავი ოდნავ ასწია და სახე გამოაჩინა.

– უკვე რამდენიმე თვეა – ჰგონია, ვერ ვხვდები, მაგრამ მე ვიცი – დამპირდი, რომ არც მამას ეტყვი. შენ ყველაფერს მამას უკაკლავ.

– გპირდები.

– ჩემს ოთახში იჭყიტება-ხოლმე.

– საიდან?

– აქედან. – თითი უკანა ფანჯრისკენ გაიშვირა.

– მაშინ დედან?

კისერი უკან გადაიგდო, თმა აიშალა და თავის ადგილას დალაგდა, მისი სილამაზის შესაფერისად.



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

## უცხოური ნოველა

– არა გჯერა?  
– არა.  
– მაშინ მიდი და ნახე ქვეები, ფანჯრის ქვეშ რომ დაუნყვია.  
გავოგნდი. ნუთუ აჰარლე აქ მოიპარებოდა და ჩემი ქვეების გროვაზე დგებოდა?  
– როდის გიჭყიტინებს? – ეჭვმა გამიელვა.  
– ყოველ პარასკევს.  
– მარტო პარასკევით?  
– დიახ.  
– მაშინვე, ნააბაზანევს?  
– შენ რა იცი? – დაეჭვებით მომაჩერდა ნოვა.  
ცხოვრებაში პირველად გაიღვიძა ჩემში უცხო გრძნობამ, სიბრალულმა ნოვას გამო, მისი მიაშიტობის გამო, მისი სიფაქიზის გამო, მისი კაპრიზების გამო, მისი გულუბრყვილობის გამო, ჰორმონების გამო, რომლებიც დაბობნდნენ მის სხეულში და ყველაფერს თავდაყირა აყენებდნენ, მისი სილამაზის გამო, რომელიც ვერ შეუმსუბუქებდა ტკივილს, როცა სიმართლეს შეიტყობდა.  
– მივხვდი, – თვალი არ დამიხამხამებია.  
– კარგად მიმხვდარხარ, – ისევ გადმოაგდო თავი იატაკისკენ და ორი დიდი ჩანგალივით გაფარჩხული თითები თმის ძირებში გადაიტარა.  
– და ეგ არის საბუთი, რომ უყვარხარ?  
– აბა, რა, ეგ მაგის საბუთია.  
– რატომ?

უეცრად თითები გაუშეშდა, ნანვეტებული იდაყვები საფეთქლებს ესობოდნენ. ის ფიქრობდა.  
– იმიტომ, რომ რისკავს.  
– რას რისკავს?  
– ბევრ რამეს, – ნარმოთქვა უგუნებოდ.  
– მაგალითად?  
– მარტო ამ კითხვაზე გიპასუხებ და მორჩა. მაგალითად, ის კარგი ბიჭის სახელს რისკავს. მეტი არაფერი მკითხო.  
მის ნატიფ ოქროსფერ მხრებს დავაცქერდი და ვიგრძენი – როგორც იმ ნიგნშია, დროის გვირაბში შესული რომ აღმოაჩენს, წლებმა როგორ გადაუქროლეს თავზე – თითქოს წამში, თვალის დახამხამებაში გავიარე მთელი გარდატეხის ხანა, ტკივილისა და შეჭირვების გარეშე, და ახლა მე ვარ პირმშო – უფროსი და. მოულოდნელად, ბებიის ხმის მსგავსი, ყრუ და ბუზლუნა ხმა ჩამესმა: „ქარს ატანს სილამაზეს“. ნოვას მიმართ სინანული საკუთარი თავით აღტაცებაში აირია. დავიხარე, ორივე მკლავით მოვეხვიე, სახით მის სახეს მივეკარი და ლოყაზე ვაკოცე თმის ქვეშ.  
– რას უნდა ნიშნავდეს ეს სველი კოცნა? – ხელის ზურგით გაინმინდა ლოყა.  
– არაფერს. – თითქოს გავფრინდი კარისაკენ. გონებაში უკვე მოვისაზრე, როგორ დავშლიდი ნელა, შეუმჩნეველად იმ გროვას, პარასკევამდე ქვა ქვაზე არ დარჩებოდა.

ებრაულიდან თარგმნა  
მამუკა ბუცხრიძე

## ავისტოლა

# გულს გული იცნობს

\*

## ღია ბარათი მარინა გელაშვილს

ქალბატონო მარინე, ალბათ დამეთანხმებით იმ სადა-უბრალო ჭეშმარიტებაში, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და აქ ყველა ყველას შეიძლება შეხვდეს, შეხვდეს და ამოთქვას მასთან ნაფიქრალი, შენახული, დაფარული, მივინყებულის...  
მივინყებულის სწორედაც, რადგან რაც დრო გადის, მით მეტად გვიქრება სსოვნიდან ერთმანეთის არსებობა და გულიც ნაკლებად შეგვტკივა ამაზე.  
მე მინდა 2004 წლის აგვისტო გავისხენო და წამით გაგახსენოთ თქვენც. გრიგოლეთი, ახალგაზრდული დღეები „ოქროს აკვანი“. თქვენ სამცხე-ჯავახეთის ბანაკის ხელმძღვანელი ბრძანდებით, მე – სამეგრელოს ბანაკში ვარ.  
სიტყვა მოიტანს და საღამოობით ათას რამეზე ვსაუბრობთ... საუბარში ხელოვნების მომეტებულ სიყვარულს შეგნიშნავთ მაშინათვე, განსაკუთრებით – ლიტერატურისა, კერძოდ – ქართული მწერლობის. და ამ სიტყვისგებაში უეცრად ამოიზრდება ჩვენთვის კარგად ნაცნობი და მეტად ჩვენი მწერალი ოთარ ჩხეიძე.  
ესაუბრობთ დიდხანს, გვიანობამდე.

იმ ღამით „ბორიაცი“ მათხოვეთ, ერთი ნიშნული ნიშანსვეტი ქართული ლიტერატურის... მას მერე კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უამრავი ყოფითი და გაუთვალისწინებელი მიზეზი და მეტად ველარ შევქელი თქვენთან დაკავშირება.  
ცოტა ხნის წინათ, როცა ხელახლა აღდგა ან უკვე ჟურნალად ფორმაცვლილი „ჩვენი მწერლობა“, მე-14 ნომერში, სანიშნის სახით ნარმოდგენილმა ინფორმაციამ ბორჯომში არსებულ ლიტერატურულ კლუბ „პატრიოტზე“, კიდევ ერთხელ და ცხადად ნარმომიდგინა გრიგოლეთი და იქ გატარებული დღეები.  
თქვენი სახელი მანამდეც ხშირად მსმენია „ომეგასა“ და გავიხსენებ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, მაგრამ ორმაგად გამახარა ამ ფაქტმა და ერთიხანობა ვიფიქრე კიდევ, იქნებ შემდგარიყო ამ ორი ქალაქის, ბორჯომი-ზუგდიდი ლიტერატურული დაძმობილება (სხვათაშორის, ორიოდ წლის წინათ ჩვენს ქალაქშიც დავაფუძნეთ ლიტერატურული კლუბი „ნოე“).  
ბარათსაც ამ სურვილით და იმ დღეთა მოსაგონრად გწერთ, დიდი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით

ზვიად კვარაცხელია

**მარჩელო  
მიღის კანოსაში**

სამი დღე და ღამე მორჩილად ელოდა შენდობას. მონანიებით მონუსხული ცოდვილის თეთრი პერანგი ეცვა. თავშიშველა და ფეხშიშველა სამი დღე და სამი ღამე მორჩილად იდგა კანოსას ციხე-სიმაგრის კედლებთან; იდგა ქარსა და ყინვაში, ხან ათოვდა, ხანაც აწვიმდა, მაგრამ ავდარს არ ეპუებოდა და მორჩილად ელოდა შენდობას. რომის პაპის მიერ ეკლესიიდან განკვეთილი და სამეფო ტახტიდან გადაყენებული ჰაინრიხ IV, იმპერატორი გერმანიისა, სამი დღე და სამი ღამე უდრტვინველად ელოდა შენდობას კანოსაში. ევედრებოდა რომის პაპს, უარშიობა მომთხოვო.

იდგა 1077 წლის იანვარი. ხან თოვდა, ხანაც წვიმდა.

„წასვლა კანოსაში“ – დამამცირებელი კაპიტულაციის აღმნიშვნელ ფრთოსან გამოთქმად იქცა ბისმარკის რეპლიკის წყალობით, 1872 წელს რაიხსტაგში რომ წარმოთქვა: „ჩვენ არ წავალთ კანოსაში“.

იტალიელი კინორეჟისორი, ოსტატი ფსიქოლოგიური ანალიზისა, მარკო ბელოკიო დაინტერესდა გამოჩენილი იტალიელი დრამატურგის ლუიჯი პირანდელოს პიესით „ჰაინრიხ მეოთხე“ და მისი ეკრანიზაცია განიზრახა. მთავარი როლის შესრულება მიენდო მარჩელო მასტროიანის.

... მხიარულად მიედინება მასკარადულ კოსტუმებში გამოწყობილ არისტოკრატთა კავალკადა. უეცრად ერთი ახალგაზრდა კაცი გაჭენებული ცხენიდან გადმოვარდება და თავის დარტყმის შედეგად ჭკუიდან შეირყევა – მას თავი ჰგონია გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ მეოთხე, ვისი კოსტუმითაც მონანილებოდა მასკარადში. დიახ, სწორედ ის ჰაინრიხი, კანოსაში რომ ეახლა რომის პაპს და შენდობას შეევედრა. სწორედ იმპერატორად „გადაქცეული“ არისტოკრატის როლს ასრულებდა მარჩელო მასტროიანი, ხოლო მისი მეუღლის როლს – კლაუდია კარდინალე.

ორი ათეული წლის მანძილზე ჭკუიდან შეშლილი არისტოკრატი თავის მამულს თანდათანობით გადააქცევს შუა საუკუნეთა ციხე-სიმაგრედ. მსახურნიც მხარს აუბამენ ილუზიებს. „ჰაინრიხ მეოთხის“ სიგიჟე ძალიანაც ეჭაშნიკებათ მოღალატე მათილდას და მის საყვარელს ბელკრედის. შეშლილი კი მთელი ოცი წელიწადი იტანჯება ცოლის ღალატით და შურისძიების გეგმებს აწყობს.

ერთ მშვენიერ დღეს ბელკრედი, მათილდა, მისი ასული ფრიდა, რომელიც ძალზე წააგავს დედას ახალგაზრდობაში, და მოსყიდული ექიმი-ფსიქიატრი ჩადიან „ჰაინრიხ მეოთხესთან“, რათა შეთხზული სპექტაკლით



მარჩელო მასტროიანი („ჰაინრიხ მეოთხე“)

ფსიქოლოგიური შოკი მოჰგვარონ (ფრიდა ვითომ მათილდა) და დაუბრუნონ ჭკუა ჭკუიდან შერყეულს.

ის აღარავის აშინებს. მაგრამ ირკვევა, რომ „ჰაინრიხ მეოთხე“ უკვე კარგა ხანია გამოჯანმრთელებულა და თუმცა საუცხოოდ ესმის ყველაფერი, მაინც განაგრძობს „ჰაინრიხობას“. სიგიჟე ხელსაყრელი ნიღაბია, რომელიც იცავს გარესამყაროსგან. პირფერობა და ინტრიგები, ზეობა ბოროტებისა და მუხანათობისა იწვევს

ამ იტალიელი ჰამლეტის მრისხანებას და ერთადერთ გამოსავლად ისლა მიაჩნია, რომ თავი მოიგიჟიანოს. XI საუკუნეში გადავარდნილი თავის თანამედროვეებს ასე მიმართავს: „როგორც კი პირს გააღებთ, მყისვე იწყებთ იმავე სიტყვების წარმოთქმას, მრავალგზის რომ წარმოთქმულა. თქვენ ფიქრობთ, რომ ცოცხლები ხართ? არა, არა, თქვენ მიცვალებულთა სიცოცხლეს ცოხნიო“.

„ჰაინრიხ მეოთხე“ შეჰყურებს სიტყვების მღვრიე ნაკადად გადაქცეულ ადამიანებს და ასკვნის, განდევნილია და შეშლილის ცხოვრება ამ ცოცხალ ლეშთა ცხოვრებაზე უკეთესიც კი არისო. აღარც კანოსაში წასვლა ეზარება – სამდღიანი ლოდინი შენდობისა ყინვასა და ქარში, თოვლსა და წვიმაში. მწარე და ტრაგიკული წარსული უფრო ხიბლავს, ვიდრე ჩაშაქრული და ყალბი თანამედროვეობა.

ფილმის გადასაღებად შეარჩიეს ეკლექტურ სტილში აგებული ციხე-სიმაგრე XIX საუკუნისა. ფანტასტიკური არქიტექტურა, იკლიკანტური ინტერიერები ფრიად შეესაბამებოდა ფილმის ირეალურ ატმოსფეროს.

ამ პიესამ რით მიგიზიდათო, როდესაც ჰკითხეს ბელოკიოს, მან უპასუხა, ბევრი რამით მიმიზიდაო: პიროვნების გაორება, კონტრასტი ცხოვრებისეულ სინამდვილესა და მოჩვენებით რეალობას შორის, ფიქრები სიყვარულზე, იმედთა გაცრუებაზე და სიგიჟე, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ნებაყოფლობით არჩევანს. რეჟისორის აზრით, მთავარი გმირი თავისი მასშტაბურობით უტოლდება ჰამლეტის, მეფე ლირისა და სხვა კლასიკურ პერსონაჟთა სახეებს.

როგორც აღნიშნავენ, „ჰაინრიხ მეოთხის“ წინანდელ ეკრანიზაციებში (1926, 1942) დიდი ადგილი ეთმობოდა გარეგან მოვლენებს, ბელოკიოს ფილმი კი კამერულ ხასიათს ატარებს, ყურადღების ცენტრში მოქცეულია მთავარი გმირის განცდები და ამ ფილმს თამამად შეიძლება ეწოდოს მარჩელო მასტროიანის ფილმი.



ნიგნაზი  
და  
პოლიტიკოსები

„მიტხარი, რას კითხულობს შენ და მე გეტყვი, ვინა ხარ შენ“, – ასე ამბობდა გოეთე. ამ უკვდავ აფორიზმს უახლოეს მომავალში ყაველი გაუვა და წიგნის მკითხველნი, ალბათ, დინოზავრებივით გადაშენდებიან.

სახელგანთქმული ამერიკელი ავტორი დეილ კარნეგი თავის უაღრესად პოპულარულ ნაშრომში „როგორ მოვიხვეჭეთ მეგობრები...“, სხვათა შორის, იმონებს XIX საუკუნის ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის ჯონ ბრაიტის ღირსსახსოვარ სიტყვებს: „ერთადერთი სინანული, რასაც ყოველთვის განვიცდიდი ბიბლიოთეკაში ყოფნისას, ის გახლავთ, რომ სიცოცხლე ძალზე ხანმოკლეა და არავითარი იმედი არა მაქვს, სრულად დავტკბე აქ თავმოყრილი დელიკატესებით“.

ბრაიტი თხუთმეტი წლისა იყო, როცა იძულებული გახდა, მიეტოვებინა სკოლა და ბაბბის სართელ ფაბრიკაში დაეწყო მუშაობა. ველარასოდეს მოახერხა გაეგრძელებინა თავისი სწავლა-განათლება. მიუხედავად ამისა, ის იქცა მთელი თაობის ერთ-ერთ უბრწყინველეს ორატორად და ინგლისური ენის საუცხოო მცოდნედ. რვეულებში გულმოდგინედ იწერდა ხოლმე ვრცელ ნაწყვეტებს მილტონისა და ბაირონის, შექსპირისა და შელის ნაწარმოებთაგან. იწერდა და იხუბრებდა, რათა გაემდიდრებინა თავისი ლექსიკური მარაგი.

აშშ პრეზიდენტს აბრაამ ლინკოლნს გაგიჟებთ უყვარდა პოეზია. ზეპირად იცოდა ბერნისის, ბაირონისა და ბრაუნინგის ლექსები. არაერთხელ ჰქონდა გადაკითხული შექსპირის ქმნილებანი: მეფე ლირი, რიჩარდ მესამე, ჰენრი მერვე, ჰამლეტი... განსაკუთრებით უყვარდა მაკბეტი – მას ვერაფერი გაუტოლდებო.

უილიამ გლადსტონი (XIX ს.), ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, თავის სამუშაო კაბინეტს უწოდებდა „სამყაროს ტაძარს“, სადაც 15 ათასი წიგნი დაეხინავებინა. ყველაზე მეტად იტაცებდა წმ. ავგუსტინე, ეპისკოპოსი ბატლერი, არისტოტელე, ჰომეროსი, დანტე. თავად ექვსი ნაშრომი დაუწერია ჰომეროსის ეპოქასა და შემოქმედებაზე.

უილიამ პიტი (XIX ს.), ასევე პრემიერ-მინისტრი ბრიტანეთისა, წლების განმავლობაში, ყოველდღე ერთ-ორ გვერდს კითხულობდა ბერძნულ ან ლათინურ ენაზე. თარგმნიდა და მოიხვეჭა შეუდარებელი უნარი – თავისი აზრები გამოეხატა წინასწარ მოფიქრების გარეშე, კარგად ამორჩეული და ერთმანეთს კარგად მორგებული სიტყვების შემწეობით.

უინსტონ ჩერჩილზე ამბობდნენ, ორატორობა შექსპირმა ასწავლაო. ზეპირად სცოდნია მეფეთა ყველა მონოლოგი შექსპირის პიესებიდან. როგორც ამბობენ, მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთს ლიდერად სხვა პოლიტიკოსი რომ ჰყოლოდა, რომელიც ჩერჩილივით ოქროპირი არ იქნებოდა, იგი ვერ დარაზმავდა ერს, როგორც ეს ჩერჩილმა შეძლო.

თანამედროვე ინგლისელი მკვლევარი საიმონ მონტეფიორე გვარანძობს, რომ სტალინი იყო ყველაზე ნაკითხი მბრძანებელი რუსეთისა – ეკატერინა დიდის დროიდან დღემდეო. მისი პირადი ბიბლიოთეკა შედგებოდა 20 ათასი ტომისგან. თურმე ხშირად იმეორებდა გოეთეს ზემოხსენებულ აფორიზმს. საუბრისას იმონებდა ხოლმე ბიბლიას, ნაპოლეონს, ტალეირანს, ბისმარკს... მხატვრული ლიტერატურიდან განსაკუთრებით ჰყვარებია ჩეხოვი, გოგოლი, ჰიუგო... ხანში რომ შევიდა, გოეთემ მოხიბლაო.

ინგლისელი ავტორი ალნიშნავს, რომ შალვა ნუცუბიძე სტალინს, უკვე მისი სიკვდილის შემდეგ, ლიტერატურის უბადლო მცოდნედ მოიხსენიებდა.

... აშშ პრეზიდენტი ტომას ჯეფერსონი, შემოქმედი „დამოუკიდებლობის დეკლარაციისა“, გვიზიარებს თავის გამოცდილებას, მოკრძალებულ შეგონებად რომ ქცეულა: „მე უარი ვთქვი გაზეთების კითხვაზე და სანაცვლოდ ვკითხულობ ტაციტუსს და თუკიდედეს, ნიუტონს და ევკლიდეს. და თავს გაცილებით ბედნიერად ვგრძნობ“.

დეილ კარნეგი კვერს უკრავს ჯეფერსონს და, თავის მხრივ, გვიჩვენებს: „ორჯერ მაინც უნდა შეამციროთ დრო, რომელსაც ხარჯავთ გაზეთების კითხვაში. სცადეთ ეს ერთი თვის მანძილზე და დაზოგილი დრო დაუთმეთ წიგნებს“.

ქრონიკა

ლიტერატურული არტ კაფე „ქარავანი“ 22 აპრილს დათო მალრადეს და მისი პოეზიის თავყანისმცემელთ მასპინძლობდა.

პუბლიკა, საგანგებოდ მორთული, ნება-ნება იკრებებოდა. ტელეკომუნიკაციები იმარჯვებდნენ სთავალთვალო ადგილებს. არც პოეტს დაგვიანებია...

იდგა ერთმანეთის მიკითხვ-მოკითხვის დახვეწილი უამი. განსაკუთრებულად ზოგიერთ მათგანში ყელყელობდა სურვილი – საღამოს ავტორისთვის საკუთარი თავი წარედგინა, პატივისცემა და თანადგომა გამოეხატა.

და რაც ჩანდა უცნაურად, რომ უყვარდათ ხოლმე მისით მხარდამშვენება, დათო მალრადე იმ ძველი „ცნობადი სახეების“ გარეშე გამოცხადდა. თუმცა გულისწყვეტა ამ დანაკლისის გამო არაფერში დასტყობია. სამაგიეროდ, ახლდა შვილები – მშვენიერი ნატო და ელენე – ნებისმიერ ნატიფ მეტაფორას ნამდვილად რომ შეიფრფვივინებდნენ.

დათო მალრადემ თვითონ წარმართა საკუთარი შემოქმედებითი საღამო. გამოირჩეოდა სანდომიანი გულწრფელობითა და სი-

ლალით. ნაკითხა ბოლოდროინდელი ლექსები, ისაუბრა შემოქმედებით გეგმებზე. ცნობისათვის დასძინა, თუ როგორი აღიარება მოიპოვა მისმა ქმნილებებმა გერმანელ და იტალიელ პოეზიის მოყვარულთა შორის, რის გამოც იგი საგანგებოდ მიუწვევიათ რომში ფესტივალზე ეგიდით – „გამგულელო, მოიცალე ლექსისათვის“.

საღამოს ესწრებოდნენ იტალიის საელჩოს წარმომადგენელიც. და რახან წვეულთა შორის გერმანელთაგან არავინ იყო, მანანა პაიჭაძემ, ცნობილმა გერმანისტმა, ნაკითხა დათო მალრადის ერთ-ერთი ლექსის საკუთარი თარგმანი.

ზოგადი შთაბეჭდილებით, კარგი ლექსი გერმანულადაც კარგი მოსასმენი იყო.

პოეზიის საღამო მონოლოგად რომ არ გახანგრძლივებულიყო, დათო მალრადემ უპასუხა მსმენელთა შეკითხვებს და განმარტა, თუ როგორაა მისი მრავალი ლექსი შექმნილი ყოფის, ყოველდღიურობის მხატვრული გარდასახვით. არც ის უარუყვია, რომ ყოველთვის სუბიექტურია, რადგან თავი არ მიაჩნია ობიექტად.